

ՀԱՅԿԱՍԻ

12

1979



გულით აღვიქვით, საქმით ვუკანსუხებთ!

სესი

271

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

12

დეკემბერი

1979

თბილისი

საბ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიბერატორულ-მსაბერული და სასოციალისტურ-კომუნისტური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

- 3. თეიმურაზ მადლასხვიძე — ცხტაპარა. რომანი. დასასრული
- 35. გრიგოლ ჯუღლუხიძე — ლექსები
- 39. კარლო ნაბატაძე — ფენტაზიები მიწოდნაში მისი, მდინარის ბაღში. მოთხრობა
- 67. ივანე კვიციანიძე — ლექსები
- 70. სიმონ ნაბატაძე — გოდების გადამხიან, ლექსი
- 73. რამაზ გიორგოზიანი — მოთხრობები
- 80. ვიქტორ კახიანიძე — ლექსები
- 82. სერგო ფაცაცია — მარკვიტ, რამდენი წლის ბრის. ლექსი
- 83. ზურაბ ქართლელი — ლექსები
- 84. ნაზი ხაჩიძე — ლექსები
- 85. ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები
- 88. გურამ აბაიანი — მოთხრობები
- 93. აბაი გუგუნი — ობიექტ. მოთხრობა

გახსენება

- 107. შუაში მიტოვება. — ლექსები. წინასიტყვაობა მურმან ლეხიანიძის.

კრიტიკა, კუბლიცისტიკა

- 111. დიმიტრი იოვანოვი — „სული სიხარბის შენსა“
- 116. იური ზივარი, ვიკტორ ნაბატაძე — სტატეტიკური ბასის თვალთ
- 122. თამაზ ჩხეიძე — ფეოდალიზმის ფასი

პროზალები

- 138. თეიმურაზ ჯუღლუხიძე — ბუნების, ბუნებისთან თეიმურაზისთვის?

ხელოვნება

- 145. ლილი ფოფხაძე, გელა ნაკვიანი — რუსთაველის თეატრი მდინარეში
- 150. რუსთაველი თეატრი — ცინარა ტარელაძე
- 153. ლილი ფოფხაძე — გავრცელები დასახლები. გული დიდიანი
- 156. შურალ „ცისკის“ 1979 წლის ნომრების. შინა-ბარსი

მთავარი რედაქტორი მირიან ფოცხვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ვახუა ანდრეაშვილი,
- გივი ბუბუაშვილი,
- გურამ გუგუნიძე,
- ინესა გორგოჯიანი,
- გიორგი გუგუნიძე,
- ნოდარ დუმბაძე,
- მერაბ ფოცხვიანი,
- მელქონე მინაშვილი,
- იოსებ მარტოვიანი,
- ოქტა გავრიანი
(მთ. რედაქტორის
მოსადგენი)
- გურამ ფანჯიანი,
- ნუგზარ შატაბაძე,
- ქაინაზ ჩხეიძე,
- გივი მინაშვილი,
- ნუგზარ ნადირაძე,
- თამაზ ფოცხვიანი,
- ტარაზ მ. მინაშვილი,
- რეზო მინაშვილი.

თეიმურაზ მკლავარიძე

მ ს რ ა კ ა რ ა

რომანი

მოლოდინი წამებად იქცა, უკვე მესხეჭერ
 ვადაზომ-ვადაზომა ხარკოვის ხადგურის
 ვრცელი ბაქანი. ჩაუშქრალ პაპიროსზე ახალს
 უყიდებს, გაზეთებს უიდეულობს, ზერეღედ
 ათვალდებებს და აქვე, ურნაში ტენის, ლუდის
 ჭინურთან ღლულს გემოგაუგებლად სვამს, მერმე
 ისევ დადის, დადის წინ და უკან, აუთფუფუ-
 თებულ, აზიშვიმებულ ხალხში, რომლებიც
 ჩემოდნებითა და მატარაშებით უხასრულოდ
 მიიჩქარიან სადღაც, მაგრამ ღრო მაინც შემ-
 ზარავად ნელა მიცოცავს. ფეხსაცმელების
 მწმენდავ ბებერ სომეხს ჩექმებს აპრიადები-
 ნებს — ლიუბოვ არლოვასა და ლეონიდ ფტ-
 იოხოვის ხურათებით მორთულ ჭინურში, თან,
 პატარა ხარკეში ითვალდებებს ხახვს. გამზდა-
 რია, მზედარული, „პილოტკა“ ოღნავ გვერ-
 დზე ახურავს. მოეწონება გვანცას? არ მოეწ-
 ონება? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს. ოღონდ
 კი ჩამოვიდეს, ოღონდ კი ეღიროსო მის და-
 ნახვას, შეხებას მისას. უცებ მთელი არსებით
 იგრძნო, როგორ ცუდად, როგორ უპატიებ-
 ლად მოიქცა ქალის წინაშე. უკანასკნელი ხა-
 ში თუ ოთხი თვის მანძილზე ერთი წერილიც
 არ გაუგზავნია, კითხულობდა სასოწარკვეთის,
 შემოფოთების გამოშხატველ ბარათებს, კბი-
 ლებს აღრქენდა, თვალები ცრემლით ეცხებო-
 და და პასუხს მაინც არ უბრუნებდა. მარტო-
 ბიხისა და უცხოობის წეშს, რატომღაც ვადა-
 წუვიტა, რომ ოქანის წყურების გარდა აღარა-
 ვის ახსოვდა იგი და გვანცას ბარათებიც სიბ-
 რალულისა და ნოვალეობის მოხდის მიზნით
 მოხდიოდა მხოლოდ. მოდა, რაკი აგრეთა. აზა-
 ვის სიბრალული არ ესპიროვება! დაე. ყვე-
 ლამ გზა მოხანოს, მირზა როგორმე გაიტანს
 თავს. მორჩა და გათვდა! ბოლოს, გვანცას
 ბარათებმაც იკლო, მერმე კი სულაც შეწყდა

და მირზა გაბოროტებული ნიშნისმოგებით
 ფიქრობდა: „აი, თურმე რა მართალი ვყოფ-
 ილვარ!“ მაგრამ ახლა, ხადგურის ბაქანზე მო-
 სიარულეს, წინამასწარულად ავებული „თეო-
 რია“ ხუხულასავით ჩაეფშენა ხელში. ერ-
 თხელ და სამუდამოდ მიხვდა, რომ გვანცას
 და მისი ურთიერთობა ღვთისაგან იყო დაბ-
 ტურდაცემული და ახლა აღარაფერი ეწადა
 დედამწიფს ზურგზე მისი ნახვის შეტვი. და
 კიდევ მონანიება, უცეთური ფიქრებისა გამო.
 ხოლო როცა მატარებელი ჩამოღდა და ვაგო-
 ნის კბეზე თეთრებში გამოწყობილი. ნაწნა-
 ვებიანი გვანცა გაიღანდა, როცა მირზა გუ-
 ლამოვარდნილი გაქანდა მისკენ და პირისპირ
 დადგნენ, ორივე დამუნჭდა. უფურცედნენ ერ-
 თმანეთს და ხმას ვერ იღებდნენ... აი, ეს
 თვალები — განუსაზღვრელი სიყვარულით
 აღხავსე, ეს ტურები — ღიმილის ღროს ორ
 ქათქათა კბილს რომ გამოაეღვებს ხოლმე,
 მსხვილი, ბეჭებზე დაფენილი ნაწნავები...
 ღმერთო, ნუთუ მართლა გვანცაა მის წინ?
 ან იქნებ სიზმარია მხოლოდ? არა, სიზმარი
 არაა, რადგან ცხადად ხედავს და გრძნობს,
 როგორ ენება ქალი თვითთ მის შუბლს,
 ცხვირს, ტურებს, ნიკას ყელს და სიცილით
 ამბობს: „როგორ გამოვტყუდი! გამაჩქო-
 ბა მირზა!“

მომდევნო მატარებელი მოსკოვისაკენ დამ-
 ის თერთმეტზე მიდიოდა, მათ განკარგულბა-
 ში მთელი დღე იყო. მართალია, მირზას მხო-
 ლოდ ექვს საათამდე ჰქონდა თავისუფლება
 მიცემული ნაწილიდან, მაგრამ ამაზე საფიქრ-
 ლად ვის ეცაღა ახლა ზღმბარგი შემენახველ
 საკანში ჩაბარეს, ბარემ ბილეთიც იყიდეს
 და ახლადა დებანდა კითხვა: „ხად წავიდეთ?“
 „განა სტუმარს ამას ეკითხებიან?“ — იღინის
 გვანცა, — „ხადე მასპინძელი წამიყვანს“,
 სწორედ ამ ღროს, ბაქანზე სავარტუზნო მარ-
 ტარებელი ჩამოდგება. მირზას ერთი აზრი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 9,
10, 11.

ქ. მარქსის ხაზ. საქ. სსრ
 საბუნებისმეტყველო-განათლებლო
 ბიბლიოთეკა



გაუნათებს გონებას, ბევრს აღარ უფიქრობს, გვანცას ბელს წააღებებს და სირბილით აცვივდებიან მოღიაგებულ, საზაფხულო ვაგონში. ხალხი ბევრია. უმეტესად ტომრებიანი, კალათებიანი დიდულვანა გლესკაცები და ფაშვანა დედაკაცები, ისმის მსუფუ უკრაინული. გვანცა და მირზა, სივარჯის გამო, მჭიდროდ არიან ერთმანეთზე მიხუტებულინი. მირზა სახით ებება ქალის თიშებს, ყურს, დაწვს, ხელთ ელაციცება, ტანში მთენათვი ვრუანტული უფლის.

მატარებელი კი მიდის, მიჭაგაგებს უკრაინის სტაპზე. ვიღები, ვიღები, ვიღები, მერმე თეთრად შეღესილი ფაქეები, „ხატას“ რომ უწოდებენ აჲ, ხილის ბაღები და აქონრდელი ალვის ხეები, ხილო ცის დასავლისას, კორდებზე, მდევებივით წამომართულან ჭარის წისქვილები, ასოციაციურად დონ-კიხოტს რომ უკავშირდებიან მუღამ.

პაწანია, თეთრი ბაქანია, ჩამოვიდნენ. ჩამოლაგდნენ კალათებიანი ფაშვანა დედაკაცებიც — ყაყინთა და ხორხოცით. ბაქანს უკან დაღმართი იწყება, შარა მდორე მდინარისაკენ მუგება და მწვანეში ჩაფლული სოფლისაკენ მიემართება, მარჯვნივ კი, ბილიკი, ზეზინარისკენ მიდის. მირზა და გვანცა ბილიკს დაადგებიან. წითლად დუის დახუნძლული აღუბლის ბაღი. აჲაიჲ, აღერდის მომცრო ზვინები დგას. ცოტა სიარულის შემდეგ, მავულოვანის მიღმა, მცველის სამკუთხა ქოსსაც წააწყდებიან. გრილ, ბნელ ქოსში დამზნელი სურნელი დგას აღერდისა. ჩამოსხდნენ. მზეა, ლურჯი ცა, მწიფე ალუბლები, ახლად ნათიბი ბალახის სურნელი და მჭუდრო სიხუფი.

„მიაშბე თბილისზე“.

„რა გიამბო?“

„რაც გინდა, ყველაფერი. ყველაფერი მანტერებსეხ“.

„მე კი არაფერი მანტერებსებს შენთან ყოფნის მერტ“.

მერმე გვანცას ქერა თმის ვარჯები ტალღებდად დაფინება ბალახს და აგი ზედავს, ქვემოლან ზედავს მზეს, მწიფე ალუბლებს, მირზას ცასაფით ლურჯ თვალებს, მიილულებს და კენის ნეტარებით...

„მე, აღზნათ შენი უკეთესი ლექსებიც მომიხმანია და უარესიც, მაგრამ ასეთი ლამაზი და გულში ჩამწვდენი არასოდეს მჩვენებია. რაც შეეხება იმას, რომ კარგი განწყობილება იშვიათად გაქვს და ამიტომ წერალების წერას ვრიადებ, ვერ დაგეთანხმები. მე სწორედ მაშინ მინდა შენთან ლამაზაკი, როცა განსაკუთრებით მიხარია, ან მწყინს თანაც. ხომ უნდა დაიჭრო ბოლოს და ბოლოს, რომ მე ყველაზე უკეთ შემიძლია გაგიგო. ხომ უნდა დაიჭრო?“

„როგორ მიყვარს შენი სიციფი!..“
„კი, შენ უფრო ხშირად გაცინებელი გინახივარ, თუ ჩვენს პირველ გაცინობას არ მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ იცი რა გითხრა? მე ზოგჯერ მაშინაც ვიცინი, როცა სულ არ მეციხება, იქნებ უფრო მეტარებოდეს კიდევ. მაგრამ მდგომარეობიდან სხვის თვალში სიცილით გამოვდივარ. მომიყევი შენზე, როგორ ხარ?“

„ვარ ისე, როგორც აჲ შეიძლება ყოფნა. შენატრები, შენანები და ჩემი წარსული ახალგაზრდობა მენანება. „ჩქარა, თორემ წასულა ჩენი ახალგაზრდობა“, ვლიინებ, მაგრამ სინჯარე არსად წავიყვანს. დროს ჩავუბღუჭნივართ და არ გვიშვებს. დროს ვერ ვასწრებ თურმე. მით უფრო, ვერ ჩამორჩები. მაგრამ მე ერთი არა ვარ. ათახები არიან ჩემს რკალში, ჩემს მდგომარეობაში და ეს მანუგებებს“.

„მეგობრების წერილები ხომ მოგდის?“

„მომდის. თუმცა, ზოგს დავვიწყდი. არა უშავს. ვისაც უნდოდეს — დამივიწყოს, მაგრამ მე არაფერი მავწყდება — არც სიკეთე და არც სიადე და როცა იქნება, ყველას თავისას მივუწვდავ“.

„ის გაიგე, შენ და ლადო ასათიანი დეკადენტებდა რომ გამოგაცხადეს?“

„ერთი, მავთი ნაშუსიკ შევარცხვიენ. ახლა ჩემთვის სულერთია რას მიწოდებენ. თუ რამ არ დაიწყო და ცოცხალი დაჯრნი, ბევრს შევასენებ ჩემს თავს. იქნება არც მიხსენებდნენ, მაგრამ თანამედროვეობის კარებში თუ დგახარ — გვერდს ვერ აკავლიან. ჩემთვის არ არსებობს კრიტიკოსთა იწილო-ბიწილო. ჩემთვის სამშოლოდ არსებობს და იგი თხოულობს ჩემგან ყველაფერს, რაკი მეტბრძოლი ვარ. მე სამშოლოდ კიცვც და ეს ისე მამაყუებს, რომ შეციხება კიდევ ყველა მითე-მოეთზე, გაზეთებში ამიკობაზე“.

„ეს ნამდვილი ლამაზაკია, მირზა შენ შემოგვეცი! ეგრე მხოლოდ ნამდვილმა პორტეზმა და მამულიშვილმა შეიძლება ილაპარაკოს“.

„მაგრამ მე არასოდეს ვიცოდი საკუთარი თავის ფასი გვანცა, და ყველთვის უარნარევი დიმილით ვხედებოდი იმას, რასაც სხვები ხედებით, კბილებით ეჭიდებოდნენ და გამკვიროდნენ — მოგვეცი, ჩვენიაო. თვით პოეზიაც კი, ეს ერთადერთი ჩემი საყვარელი საქმე, მე მქონდა, როგორც რაღაც განსართობი, თავშესაქცივი რამ. არასოდეს მიფიქრია საკუთარ ადგილზე, რომელსაც სჭირდება ბრძოლა. ახე მეგონა, ყველაფერი თავისით მოვილოდა. მცირე თუ დიდ გაჭირვებაში, გზაში თუ ღამეში — მშველოდა რაღაც და, რა დაგიმალე: ზოგჯერ ისეთი მდგომარეობიდან ამოვსულვარ დიმილით, ხადაც სხვა, ვინ იცის, რას ახამდა. ერთხელ, მანქანა დამმტვრა. მოდიოდნენ გამოცდილი შოფრები და დამსხვრეულ

მანქანას რომ უტყვიროდნენ, გაკვირებული კითხულობდნენ: „ნუთუ შოფერი ცოცხალია? როგორ?“ მე კი, ცოცხალი კი არა, ძალიანაც კარგად ვიყავი“.

რამდენ ხანს არიან ერთად: ორი საათი? ოთხი? დრო თითქოს გაჩერდა და გაიყინა, მხოლოდ მზის მსურველ ბორჯღალი მივორავს დასავლით, მირზა ნებიერად ვაშლართულა ბალახზე, თავვეშე გვანცას მკვირვ მუხლებსა გრძნობს, ასცქერის მის მკერდს, მის სახეს, ნაწინებზე ეღერსება და ბედნიერია უსუსვლოდ. უცებ, მზის სხივებზე აბრწყინებულ ცელას ვარვარა პირს მოპკრავს თვალს აღუბლის ტოტებს შორის და მერმე კაცსაც გაღანდავს. წამოიწევს. შეკრთებ: გვანცაც, კანაზე ჩაიკრავს ხელს. კაცი ხეთა შორის გამობოტებს, კოხთან აისვეტება მხარზე ცელგადებული. მუხის კორძივით ჩადგმულია და ჩაფხვილი, მაჭის სიმსხო წითელი უღვაშები ნიკას ქვეშით ჩამოუგრძელებია, გაბურძნული ვრუბელის „პანივით“ კამკამა თვალნათი იშორება. იშორება, ათვალერებს ქალ-ვასს, მერმე იღიმება ფართოდ, კეთილად და საღამს ამბობს. მადე გამონახეს საერთო ენა. კაცი მიივლ-მოივლის, მაწია კლათს მწიფე აღუღლით აავსებს და გვანცას მართმეებს მოკრძალებით. თან „ხატაში“ ეპატეება ორავს, აი, იქ, მდინარის გაღმა, თაფლით, რძითა და ახლადგამომცხვარი პურით გამასპინძლებას პირდება. ცდუნება ძლიერია, მკრამ გვანცა და მირზა უარს ამბობენ, რადგან ხალამო დგება უკვე და ხარკოვში დაბრუნებაა საქირო.

„ომი თუ იქნება, ამხანაგო ოფიცერო?“ — აინტერესებს ცელზე ჩამოყრდნობილ დეჟაკებს.

„იქნება, ბატო!“
„მერმე და, რად გვინდა ომი, ამხანაგო ოფიცერო?“ შესედეთ რა ლამაზია ირგვლივ უველაფერი. შენი „პარიზნაც“ როგორი ლამაზია. განა მოვლა არ უნდა ამ სილამაზეს? ხად გვცალია ჩვენ საომრად, ამხანაგო ოფიცერო?“

„ეჰ, ბატო...“

ხარკოვში დაბრუნებულებს სამხედრო-სასწავლო მანერები დახვდათ. მთელი ქალაქი აწყოფალივით გასუდრულოყო ბნელში. მკერში აგროკლანები დარიალებენ, ვითომდა ბომბებს უშენენ ხარკოს. პარტეტიორების სვეტები, ფიქვის გალოპრილი, უგრძესი მორბივით ხანჭლავენ წყვდიადს. გამწვლდები გარბი-გამორბიან, თავშესაფარს ეძებენ. უყრის წამდებნად სტევენ მილიციელები: „ჩააქრეთ სინათლე!“ მიეროვები ეზოებში ერეკებიან ხალხს. გვანცა და მირზა, სრულიად შემთხვევით, ეკლესიის ეზოში აღმოჩნდნენ. კუნაე-

ტი ხიხნელე. ეკლესიის გვერდით მაღალი, წერწეტა სამრკველია და ქალ-ვაჟი აპყუნენ ბურღისებრ კიბებს. აღწიეს გუმბათამდე, გაღამსედეს ჩაბნელებულ ხარკოვს. ცაში შემარზენი უსულოდით დაპქრთან თვითფრინავები და ქვეშეხების ბათქი აურუებს სმენას. აცხვანებული გვანცა მირზას ეყვრის, „მეშინია! მეშინია!“ — იმეორებს და ტირის მდულარე ცრქმდებით. მირზა ხველ სახეს უკოვრის, ეფერება, გულში იხუტებს, მაგრამ მასაც მთელი არსება საშინილის, ამარზენის მოლოდინით აქვს სავსე. და იწყებს რალაც აბლაუბდის ჩმასვას იმის თობაზე, რომ უველაფერი კარგად იქნება, გვანცა დამთავრებს ახსიანტურას მოსკოვში, ხოლო მირზა ერთ წელაწადში მოხნდის სავალდებულო სამხედრო სამსახურს. მერმე ხელს მოაწერენ და იცხვადრებენ ბედნიერად სიბერემდე — შეიღებიათ და შეიღიშვილებით დაუურსული... ზო, კიდეც ურანგული პოეზიის დიდ ანთოლოგიას შეადგენენ. გვანცა მკარედებს გაკეთებს, ხოლო მირზა ლექსად გამართავს... ხომ გაკეთებს? ხომ? „უარეში, მირზა, შენ თითონ არ გჭერა, რასაც ამბობ — აწყვეტინებს გვანცა, — „რად გვიღა ზღაპრები? გობია, ლექსი მითხრა რამე აი, აქ, სამრკველოზე“. „როგორც იტნები, როგორც ვერგვები, მხრებს დეხარენენ შუქთა ჩრდილები. ვითხარ, რომ ქვეუნად ველარ შევხვდებით და ატირებულს ვერ გამწვიდები!“... — ჩურჩულებს მირზა. „აი, ეს კი მართალია“, — ამბობს გვანცა. ქვეშეხების ბათქი აზნაწარება ზევას.

მატარებელი მიჰქრის. გასცილდა ქალაქს, დროა ჩაბტობისა, მირზა უკანასკნელად კოცნის გვანცას ცრქმდებით და მამალ, მლაშე ტურნებში, კიბის სახელურს ხელებს უშვებს და ბნელში მიმჭროლავს ჩაენსის ქალის განწირული კვილი. ენარცება მივორავს. მატარებლის თვლები დაგადაგებს, დაგადაგებს. მირზა გლია ქვებზე, დარქქვლი. პირის უბე წამდაუნწუმი ეცხება ხისხლით. ჩაიარა მატარებელმა. ჩანს სამი აღუბლისფერი წერტილი. ერთი ზემოთ, ორიც — ქვეშით. მერმე ეს წერტილებიც შთანთქა წყვდიადმა.

მირზამ საზე ხარკო სრეშში და ატირდა.

4.
ახალი, 1941 წელი ბედნიერად დაიწყო. რალაც შემთხვევითობათა წყალობით, ხარკოვში ქართველმა ბიჭებმა მოიყარეს თავი — ელოდნენ თავიანთ დანიშნულების ადგილზე გაგზავნას, ხოლო ვიდრე ეს მოხდებოდა, მირზას უწევლია, მათგან მომღერალთა გუნდი

თქიმურაზ მბლლაფარკიძე
ცხრბატარა



შეუღღენია და ქართული ხალხური ხიმღერის რამდენიმე კონცერტის გაუმართავთ სხვადასხვა ნაწილებში. „აქ რამდენიმე ქართველმა ბავშვმა მოიყარა თავი. მე ვიწვავდი და გუნდი შევადგინე. მე, ასე ვთქვათ, ხელმძღვანელი ვიყავი, გუნდს კი სხვა ამეცადინებდა. ტანსაცმელი აქაური ოპერტიდან ვითხოვეთ და რამდენჯერმე წავიმღერეთ. ამან მე ერთი თვე დამაჯინა ზედმეტი მუშაობისაგან“, — წერს იგი რუსულად. ადვილი წარმოსადგენია, რა განცდა ექნებოდათ ჩოხებითა და ქაშარ-ხანჭლით დამშვენებულ ბიჭებს, სრულიად უცხო მასურებელთა წინაშე მშობლიურ სიმღერებს რომ დასმებდნენ. ალბათ თვალწინ ედგათ საქართველოს ლურჯი ცა, „დამბიდული ქლიავისფერი“ მთები, ხეები, ჩრდილები, ბაღები და გული ტბილ-მწარე ნაღველით ევსებოდათ. მერმე ცხოვრება კვლავ ჩვეულ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ უცებ, ახალი ბრძანების თანხმად, ყველას, ვინც კი საშუალო დამთავრებული იყო, სამხედრო სასწავლებელში უპირეს თავი. გასაფხულისათვის უნდა დემთავრებინათ და უფროსი ლეიტენანტის ჩინიც მიეღოთ.

სასწავლებელმა კიდევ უფრო მიაჭკვეა საქმეს. დადლა-დადლანცულსა და გამოფიტულს, ფიჭრის დროც კი აღარა რჩებოდა. ზოგჯერ, ძალზე იშვიათად, თუ დროს იშოვდა, აიღებდა კალამს და დაპირებდა რამე მიეწერა ოჯახის წევრებისათვის, ნაცნობ-მეგობრებისათვის, მიეწერა თუნდაც ორი-სამი წინადადება, მაგრამ გაზრუბულ, გაბურბანსალებულ თავში სათქმელი დომბლით ერთოდა და არ იცოდა რა მიეწერა, ან საიდან დაეწერა. ამასობაში კი, ისევ საქმისაკენ იხმობდნენ. ასე შეორდებოდა ძალიან სიზარად, მაგრამ მის დუმილს კიდევ ერთი მიზეზი აქვს: ბღა: ეს იყო უცნაური, სევდიანი გრძნობა, რაც წერის დროს ებადებოდა თავისდა უჩებურად. როგორც კი აიღებდა კალამს, როგორც კი დაპირებდა დაეწერა რაღაც კარგი და გასახარი, სულ შეზრუბებით გამოსდიოდა და მის წერტილებს აკლდა სიხარული, ამიტომ შინაგანად ერიდებოდა მშობლების შეწუხებას და თუ მაინც წერდა, დაინებოთ იმეორებდა სოლო: „მე ძალიან კარგად ვარ!“

სიზმრებს შეეჩვია, მოთხოვნილებად ექცა სიზმრები. დამის დადგომა ეჩქარებოდა, რათა ძვირფას, მშობლიურ სამყაროში გადასახლებულიყო. ერთხელ ეხმანა: თითქოს მისი დექსების წიგნი გამოედგათ მისგან დაუკითხავად. აკვირებდა წიგნის სიდიდე და შავი ყდა. გული სიხარულით ევსებოდა, წარბად უსვამდა ხელს პრიალა ფურცლებს, თვალს ხედებოდა ნაცნობ სტრიქონებს: „ეს იყო წელი ოცდაცხრამეტი. გემთა მღერევი და ვაჩრიავი, როცა დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი და დამნაშავე ჩვენ არ ვიყავით“...

გარეთ თავს, ყინავს. ეს ერთი წამიერად დაჩნა, ეს ერთი წამიერი და, თუ გუმანმა არ გაუმართლა და ომი არ დაიწყო, დაუბრუნდება საქართველოს, თბილისს, სახლს. წამთარი, გასაფხული და წაფხული... შემოგონაზე სამხასურის ვადა უთავდება. და იგი, კვლავ და კვლავ, ფიჭობს მშობლიურ მწეზე, ივრის, აღაწნის, არაგვის ტალღებზე. ფიჭობს, თითქო ბავშვობა უცდებულ იქ და ხედვას საკუთარ თავს მონადირესა და მოთევზავს...

მსოფლიო ასაფეთქებლად გამაადებულ დენთის კასრზე იჭდა. ამრიგად გერმანია იფრს-სლავიანა და საბერძნეთს დაერია. ცხრამეტი სალონიკი აიღეს, სოლო ცამეტში — ბელგრადი. ოცდერთ ივნისს ქლოტრი წვიმა მოვიდა. მირზას ნაწილი, ხარკოვთან ახლოს, უკრაინულ სოფელში, ტუის ჭრავზე მუშაობდა. მორებს ამზადებდნენ, ხერხავედნენ, მერმე მანქანებით გამოჰქონდათ. წვიმის გამო მუშაობა შეწყვიტეს და სოფელში დაბრუნდნენ — ბარაკებში. წვიმამ და ელვა-ქუხილმა ლანის წალევა არემარე, სოლო დილით, კედელზე მიმაგრებულმა რადიო-ტრაზორულტორმა — „თეფშმა“, კრემლის კურანტების ხმიერებით ამცნო მთელ საბჭოთა კავშირს დიდი ომის დაწყება.

ყველა ელოდა, რომ სტალინი გამოვიდოდა, მაგრამ მის მაგივრად მოლოტოვი გამოვიდა:

„საბჭოთა მთავრობამ და მისმა მეთაურმა ამს. სტალინმა დამავალეს, რომ განვაცხადო შემდეგა:

დღეს, დილის ოთხ საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე არეტენციის წარუდგენლად, ომის გამოუცხადებლად, გერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, იერიში მოიტანეს ჩვენს სასაფრებზე ბევრ ადგილას და ვითომფორიანებოდნენ უშუბარები დაუშობის ჩვენს ქალაქებს — შოტშირს, კიევის, სევას-ტაოლს, კაუნასსა და ზოგიერთ სხვას, ამასთან მოკლული და დაჭრილია 200-ზე მეტი კაცი. შტრის თვითმფრინავების თვადახსმა და საარტილერიო სროლა მოხდა, აგრეთვე, რუსინეთისა და ფინეთის ტერიტორიად.

ეს გაუგონარი თვადახსმა ჩვენს ქვეყანაზე წარმოადგენს ცვილიზებული ხალხთა ისტორიაში უმაგალიტო მუხანათობას. ჩვენს ქვეყანაზე თვადახსმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ სხრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულია ხელშეკრულება და საბჭოთა მთავრობა მთელი კეთილსინდისიერებით ახრულებდა ამ ხელშეკრულების ყველა პირობას“.

გამოსვლის შემდეგ რაღაც მზიარული მარშების დაკრა დაიწყო — ალბათ ხალხის განწყობილების ასამაღლებლად, მაგრამ ხალხის განწყობილება ყველაზე ნაკლებ იმ შეხატუვისთვისაც ახლა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანები მაშინ არ ფიჭობდნენ, თუ ასე ძვირ და მწელი იქნებოდა ომისწლი-



ანი ხისხლის წვიმების შედეგად მოპოვებული გამარჯვება და სწორედ ამ იმედითაა დაწერილი მირზას ქვემოთ ბარათი:

ძვირფასო მშობლებო, დებო!
 ომი დიწყო. დიდი ხანია გელოდი, რომ დაიწყებოდა, გვრძობდი. თქვენც ალბათ ასევე — ოლნდ განსხვავება იმაშია, რომ თქვენ გეშინათ ჩემი დაკარგვისა. ჩვენ არაფრისა გვეშინია, ოლნდ თქვენ ნუ დაგვილონდებით.
 და მე შინა ისე უყურებდეთ ამ ომს, როგორც მე ვუცქერი: უშიშრად, უმწუხაროდ.
 გჭეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ მე სიყვდილი მეწერება ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლს ჩემსას. დაე, თქვენ ნუ შეგარცხებიათ, რომ თქვენი სისხლი და ხორცი ვარ!

მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში მთელი აღამაინის მოუღლები სისხლია. ჩემში ცოტავე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიკავებ ჩემს სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჭანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი.

ჩემი გზა მილიონობით გზას მიჰყვება და არსად თავდება, რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება. მე ის ზღაპრული მოყმე ვარ, ყველგან რომ იპოვინდა საკუთარ ადგილს და, თუმცა ჩემი ცხოვრება წიგნების გვერდით მიდიოდა, აჰ, იარაღისა და მანქანების ახლო, თავს ისე გვრძობდა, თითქოს მათთან ვიყო დაბადებული.

მე ისეთი ხალისიანი ვიქნები ომში, ისეთი მშვიდი და ხელმოუცარი, როგორც იხიპის გორაკზე მონადირე ვყოფილვარ მუდამ. როგორი მაღალმთელი ვარ, დედამე, იარაღი რომ შემავარაუთ ბავშვობიდან, იარაღი, სიმართლე და ვაქცეობა. ქართველი დედები უცრემლოდ ისტუმრებდნენ შვილებს აუცილებელ სიყვდილთან, რადგან სამშობლოსათვის სიყვდილს არ უხდება ცრემლი.

მარცხენა გულის ჭიბეში ქართული იები

მაქვს სათუთად გახვეული უბის წიგნი ცეცხლში. (გვანცამ გამომიგზავნა ისინი თბილისიდან). კრწანისში თუ კოჭორზე, ოქროყანაზე თუ დიღმის ველზე უნდა იყვნენ მოკრეფილი და მე მათში ვგრძნობ ქართული მიწის სუნსა და სიახლოვეს.

მე იები დამრჩა სახსოვარი, ჩემი — არავის არაფერი. ყოველთვის ღარიბი ვიყავი და ხელმოკლე, მაგრამ მქონდა უდიდესი მიზანი და თუ ცოცხალი დავარი, ჩვენი გამარჯვების შემდეგ ვანვახორციელებ ჩემს დიდ ლიტერატურულ მიზანს.

რამდენიმე საათის შემდეგ მივიღივარ. უკვე მოასწრეს ასეულმა, ათასეულმა ვაქცეებმა სიყვდილი და მათი სისხლი მაქეხებს ბრძოლასაკენ.

მჭერა: მე დავიბადები უდიდესი ძვირების მონაწილე და ამ ომიდან, ამ გრიგალიდან დავებრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად. მოვიღო ყველა გრიგალებს და დავბრუნდები. ახალგაზრდა ვარ და იმედია. არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არა კედელია, რადგან იმედია ვარ და იმედი მარცხებს სიყვდილს, რადგან გამბედავი ვარ და სიცოცხლით მოთამაშე.

ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა ოდესმე დედამიწის ზურგზე. არც ჰაინბალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შეედრებიან ამ ომის სიდიადეს.

არც საღმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორც მაქვს ახლა, როგორც აქვს ყველა ჩემს ახმანავს.

დედაჩემო, თქვენი სურათი მიმყვება ომში, როგორც ავგარობი.

მე მწამს გამარჯვება და სიცოცხლე.

მშვიდობით იყავით. ნუ დალონდებით.

გვოცნით. მირზა
 1941 წ. ივნისი.

თანი მათე

კოკისპირულად წვიმს. ალაფული ტალახის ფაფად ქვეული შარა ნისლიდან გამოდის და ნისლიან შორეთში იხიქმება. მოდის, ტალღეზავით როგორავს ლტოლვილ აღამაინთა ნიაღვარი. გალუმპული, შეცეიებული, ნაწამები ქაღები, ბავშვები და მოზუები დასაბული დუმილით მიამიჭებენ ნუხლამდე ტალახში. რის წამოღებაც მოუსწრიათ — შეუკრავთ მფრთაშებად, დაუყრიათ ურიკებზე, ამოურჩიათ ილღიაში, ანდა ზურგზე მოუკიდნით და მიდიან, მილახლახებენ უწყვეტ, მღვრიე ნაკადად. დროადარო დაქრულ-დასახიჩრებული ჭარისკაცებით სახვ ფურგონები და მანქანე-

ბი გამოჩნდებიან, ისედაც ამოლაფულ ლტოლვილებს ტალახს შუამხეუბენ და ჩივილიან. სადღაც, ზურგსუკან. არც იხე შორიდან, განუწყვეტლად ისმის ქვემთების ბათქი, ტყვამფრქვევების კაკანი და ავტომობლების წყვიტლი ჭერის ხმა. ფრონტი ახლოა. მშობლიური ბუდეებიდან აყრალ ლტოლვილებს ჭარის ნაწილი მიჰყვება ფხვანებზე და ბუნებრივ საფარს უქმნის. ბატალიონმა არაერთხელ სცადა მტრის შეჩერება, რამდენჯერმე კონტრშეტევა-

თანიშურაზ მალლაფორიამ
 ცხრაპარა



წევრ გადვიდა, მაგრამ კარგად შეიარაღებულ და ორგანიზებულ მოწინააღმდეგეებთან ვერაფერი გააწყო და ახლა, ბოლოთი გავრედილი ასეული კულში მიჰყუება ღრუბლივითა ტალღებს. მაინც რა იყო ეს, რა ღვთის წყობა იყო? ომის დაწყების დღიდან მიხაკისფერი ჭიბრი მოიწვეს რუსეთის უკიდურესი მხარე-წყალზე, წითელი ჭიბრი კი სულ იხვეს და იხვეს, ზედინედ ტოვებს გადამწვარ, დანგრეულ, მიწის პირისაგან აღვვილ სოფლებსა და ქალაქებს.

უკანასკნელი ბრძოლის დროს მირზა წვივში გაეცნულა როდეთო ტყვიამ. სამბედნიეროდ, ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა, ამიტომ ლახარეთში დაწვლია საჭიროდ აღარ მიიხსია, მაგრამ ორი დღე-ღამის შეუსვენებელმა სიარულმა მაინც თავისი გააკეთა და ახლა, ამ ტალახსა და თავსხმამი, ძლივსაღა მიათრედა მარცხენას. ძალიან უჭირდა, მაგრამ რაც სიტად უჭირდა, მით უფრო ბოლომთა და შურისძიების წყურვილით ევხებოდა გული. იქ კი, შორს, საქართველოში, მშობლებსა, ასეთ სტრეიქონებს აგზავნიდა: „მე კარგად ვარ! ჩემს წერილებს თუ აგვიანდებათ, ეს ჩემი მოუცვლელი ომის ბრალია. მე მინდა შეეჩვიოთ იმ აზრს, რომ ყოველთვის კარგად ვარ. ჩემი ცხოვრება მიდის ძალიან შენაარსიანად. თქვენ— არ ვიცი. აი, ასე, მე კარგად ვარ!“ მართლაც: აბა რა საჭირო იყო მშობლებს სცოდნოდათ, რა ჯოჯოხეთს უძლებდა მათი შვილი?! ეს მირზას ჭიბრი არ შეუშუსუბუქებდა, ავირფას. აღმანათებს კი სულის სიდრემნედ შეესრავდა და საზოგადოებრივ დაუპარგავდა მოსვენებას. დამე, იცოდნენ, რომ მირზა მშვენიერად ვრძობს თავს, ანე უფრო იოლი იქნება მათთვის. თანაც, მართლ მირზა ხომ არ არის ამ დღეში და მხოლოდ თავის თავზე ხომ არ აგებს პასუხს ის უკვე ლეიტენანტი, მთელი ოცუთუთი ჰყავს ჩაბარებული და ამ ოცი კაცის გარეშე ერთი წამითაც ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე აქ.

ო, რა მწარეა ხაკუთარ მიწაზე გაღაზული და შეღანდული ჭარისკაცის ბოლმე ოცუთუთში სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, ფსიქიკის, შეგრძნებისა და მოთხოვნების ადამიანები არიან შეყრილინი, მაგრამ შურისძიების ნემა მათ ერთ მტკიცე მუშტად კრავს. და კიდევ, უსაზღვრო რწმენა მეთაურისა, რამეთუ მეთაურია მათი ვაჟთუფლობის სიმშალო. ეს მშვენიერად იცის მირზამ და სწორედ ამიტომ, რომ მათთან ერთად მიაბიჭებს ტყვიანობითა და კოჭლობით სულშეხუთვლილ, თავსხმასა და ღაფში, თან, მთელი არსებით ცდილობს არაფერი შეიმჩნიოს, ცალი მკლავი ჭუჭა ვაუტ იშმაილოვისათვის გადაუხვევია და ასე მიეკლნაობს.

ჩაიარა სურნათ-სანოვაგით დატვირთულმა ფარგონმა, გაუბურაში შერაბრახდა, კუნთებდააქრულმა, გაწუწულმა ცხენებმა ველარ შე-

ძლეს ამოთრევა და შედგნენ. ამირა ჭამოდგაქსი შოლტის უკაუტუბი. გზა ჩიხერგა და სანამ მირზას ბიჭებმა მხარი არ შეუდგეს ფურგონს და ცხენებს არ შეეშველნენ, მოძრაობის ტალღა შეიფრბდა. მირზა ხედავს: ფურგონზე ბატალიონის მომარაგების მუშაკი ზის — აუ-სოვა.

— საით გავიწვია, — უძახის ვილაც.
— პრაჩისტიკიკენ გვიჭირავს, არწივებო, — იცინის პუნსოვი.

— ბოდა, აი, წაიყვანე ჩვენი ლეიტენანტი, სომ ხედავ, ძლივსაღა დადის.
— სიამოვნებით. მოდი, ამოძვერი.

მირზამ ვეღარ გაუძლო ცდუნებას. ვაუტი შევლის. თვითონაც ჩდება. ერთ-ორ კილომეტრს გაივლიან, ოღნავ დასვენებს მტკივან ფეხს და ამასობაში ოცუთუთი წამოეწვია. გუ-ლში სიამოვნებს, რომ ბაჭები წარუწვენ მასზე.

ფურგონი ღრუბლივითა ნაკადში გაერია, ძლივსაღა მიიკვლევს გზას. მირზა ხედავს: სათვალთან მოხუცს წიგნების შეყვრა ამოღორია ილიოში, მორერეუ კი — დიდი, ანტიკვარული საათი. მოხდენილ, ასე, ოცდაათი წლის ქალს მხოლოდ რედოკული უჭირავს, ბერტი გვერდულად დაუხურავს და ისეთი ნარნარი რწვეით მაბიჭებს გაწუწული და გაღაფული, თითქო პავმანზე მიდმოდეს. პატარა გოგონას გულზე სათამაშო თეთრი დათვი მიუხუტებია, მეორე ხელით დედის კალთა ჩაუბლუჭავს და სლუკუნით, გაუთავებლად, იმეორებს ერთი-დაიგივეს: „დედოკო, როდის წვალით სახლში? დედაკო, როდის წვალით სახლში?“

მირზა უყურებს და ტანჯვით ხუჭავს თვალებს. სადაც, შიგნით, ჩნდება მწარე, სულის შემძვრელი სტრეიქონები: „აბავში ეკითხება დედას: — როდის წვალით სახლში? დრუბლები არ მგადენენ დამურებს, დრუბლებს შეეძება მათ ცა. და მტრიალი ბავშვი, როგორც მოღადური, ეკითხებოდა ხმას ხაკუთარს: — როდის წვალით სახლში? იმ დღეს მზის გარდა არაფერს ეძინა. — გვიშველით, გვიშველით! — ჰკიოდა გრიგალი. — გვიშველით: ხეებმა შეიბეს ღებები, რომ როგორც ქინეებმა იქროლონ ცაში! — არ გესმით? როგორც ბაღახის ჩურჩული, კითხულობს ხმა: — როდის წვალით სახლში?!“

წვიმს, კოკისპირულად წვიმს. გზის პირს დგანან უვითლად აბრაილებული ნეკრჩხლის ხეები.

— არაუი გინდათ? — ამბობს პუნსოვი. მირზას მხიარულად უყრავს თვალს და მხარზე ხელს უტყუაუნებს, — მისაყოლებელიც მოიძებნება: კარაქი, გალეთი.

არის რაღაც შეუსაბამო და შეურაცხველი და ამ უადგილო თვალის ჩაკვრამი.

— არა! — მოჭრის მირზა.
— შენა? არც შენ გინდა?

— არა! — ღჭულ ამბობს ვაუტ.

— მმ, უცნაურია ღმერთმან! კაცს ასეთ ამინდენ არაყი არ უნდოდას. დაე, მე მანყინოს! — ბრეწეტის ქვემოდას ბოთლი გამოაჭრინა და მოიყუდა. დრდ ხანს სვამდა. ხელის ზურგით მოიწმინდა ტუჩები: — ჰუმ, კარგია! მირზას ეჩვენებოდა, ან იქნებ არც ეჩვენებოდა და მართლაც ასე აყო, რომ ღტოვნილთა სახეები, მიმავალი ფურგონის უკან, ზიზღს თუ ღაცინვას გამოხატავდნენ მათ მიმართ და ტკივილიანი სირცხვილი აწვავდნენ.

— მაშ, ომობთ არა, არწივებო? გმირულად იბრძვით? — პუხოვის ზმწმი ირონია გაკრთა.

— შენ რაო? — მირზა თვალს თვალში უყრის, — რის თქმა გინდა?

— არაფრის! — პუხოვი იღიმება, — არაფრის თქმა არ მინდა, მადლობა ღმერთს, ჩემი უბანი მზარია და თქვენს საქმეში არ ვერევი, მაგრამ ყველაფერს ფხიზლად უნდა შეხედო, არწივო! წაგებულა ომი, მორჩა და გათავდა, ხომ ხედავ, როგორ მოდიან ჩვეს ტები, მწუბრად, ორგანიზებულად. იყენ კოფრებივართ. ერთი შეხედე ჩვენს ჭარს — რასა ჰგავს, ან ამ ღტოვნილ ბრბოს შეხედე...

— ჩვენ ჭერ არ დაგვიწყია ომი, ბრიყვო! — კარგი, ერთი! არ დაგვიწყიათ! შერდეთ, რას უცდით, რატომ არ იწყებთ?

პუხოვი ისევ მოსვამს არაყს და გაღეტს ჩაყოლებს.

— არ გინდა? ამა, დალიე! მირზას უცხად აასკდა სისხლი საფეთქლებში, დაუზოგავდა, მთელი ხალ-ღონით ჩააფარა სახეში. პუხოვმა ხელი ნაგანისაკენ გააქანა, მაგრამ ვაუტი უფრო სწრაფი აღმოჩნდა, ავტომატის ღულა კინაღამ ხაზში ჩახტობრა.

— არ გაინძრე, გველმა! პუხოვი ხელად მოზლა და მოიღვენთა.

— რას შერჩით, არწივებო? დაგვით, პატვი გეცით....

— წადი შენი... ნაძირალა ჩამოდი, ვაუტ! მირზა ფურგონიდან ჩამოფოტებდა. კვლავ მიაბოტებენ ღაფში ღტოვლილთა შორის, ვაუტი მხარში ჰყავს შემედგარი. და უცებ, ნიხლადან გრუხუნით გამოცურდებიან მტრის თვითმფრინავები. უკიდურესად ჩაბერგილი გზა შესანიშნავი სამიზნეა.

— დაწვიეთ! — ღრიალებს ვიღაც და ადამიანები ტყაპატყუებით ეცემიან ფაფხავით ტლაპოში.

ყუმბარამ, სულის შებერვასავით, წამში გააქრო რაღაც გრძელი და დაბალი შენობა გზის გაყოლებზე. ნამსხვრევებმა წივილით გადაიარა. ჰაერში ატყორცნილი მცნის მიძმე ბელტებით თავზე ეურებთ. მირზა წამოიწევს.

— იწყის! — ყვირის ვაუტი.

— სადა ხარ? — აჰა ვარ, დაგვთარსა იმ გველმა.

ცვივა და ცვივა ბომბები, კვილით, გრუხუ-

ნით, ზაოქით თვითმფრინავებმა კამარა შემკრეს და როგორც მოულოდნელად გამოჩნდნენ, ისევე სწრაფად გაუჩინარდნენ ნისლეულში. დატოვეს გახვეპილი, აბოლებული ნიკერჩხლები, გადახრილი მიწა და გვაშები, გვაშები... ზედავენ მირზა და ვაუტ: ფურგონი გადაბრუნებულა, გამოფატრულ, ერთმანეთზე დადახვლანჭულ ცხენებს ფეხები შეცხაკენ აუშვებრათ. იქვე, ტალახში ყრია შავი პურას გოგორები და ზედ დაკვდომია პუხოვი...

2.

დაღლილ-დაქანცულმა ბატალიონმა პატარა სოფელში მიიღწია და კაპიტანმა სობოლმა ღამის სათევადი დაბანაკების ბრძანება გასცა. მორჩანს ხახვიხებური ვუშმათიანი ეკლესია, სამარკლო. დაბალი, თეთრი კოხები — ბებერა, ფოთლებდაცვიანი ცაცხვებით, თივის ზვიინებით, სკებით, თეშნატი ყვავილებით. სოფლის განაკადეს გაყვითლებული ტუყა. მის ნაპირზე დივანა ბატალიონმა. ჭარისკაცები მიდი-მოდიან, კარვებს დგამენ, ეწყობიან ღამის გასათევად. უსიტყვოდ ირჭებიან, ყბზეზე კუნთებდაბრუნებულ თვალბში ნაველი და ბოღმა ჩაბბორვიათ.

მირზა, ვაუტი და გურგინი პაწია, თეთრი კოხის ქიშკარს მიადგნენ. ეზოში მოხუცი ქალი ძროხის წველას მორჩა და ხბო ჭიანჭე მიუშვა. ბოროლა ბურჯგის ცურს, ძროხა ზმუის სიამოვნებით, მირზა იღიმება, ახსენდება რაღაც მშობლიური.

— ხრისტიანი ხრისტიანი! — იძახის მოხუცი. ქობიდან ათიოდე წლის მკვრივი, წვივამაღლი გოგო გამოდის, მესრის მიღმა ჭარისკაცებს დაინახავს და ბებოს რაღაცას უჩურჩულებს დედაბერმა რძიანი სათლი გოგოს გაღასცა, ხელები წინსაფარზე შეიწმინდა და ქიშკარისაკენ წავიდა.

— რაო, ბიჭებო რა გინდათ?

— ღამის გასათევს ვეძებთ დედალო, — ეუბნება მირზა, — იქნება შეგეფაროთ? ა?

— ეს უბრალო ჭარისკაცი არ გეგონოს, ღეიტენანტია, თანაც, ქართველი! — ვაუტ ცერს აჩვენებს, — აი, ასეთი ვინმეა. აი! ქართველის ხხენება დედაბერზე გადოსავით ჭრის, მეგობრებს ღარბულ. სუფთა ქოხში შეუძღვება და რკინის საწოლებზე მიუთითებს, რომლებზედაც ფუმფულა შალიშები აყოყოლავებული. კუთხეში ნატი ჰქიდა — ჩამწვარი ხანთლითა და ბზის მტვრიანი ტოტით.

რა სიმშვიდეა ირგვლივ, სიმუყდროვე, სიწყუნარე. არც ქვეშეხების ბათქი იხმის, არც თვითმფრინავებიხა და ტანკების გრუხუნი. იქნებ ღამთავრდა ომი? დასახრული დაუღვდა ამ

თვითმტარებ მაღლაშარქმა
ცხარბარა

ჭოჯხეთურ სხსკლასს? აჲ, ოთახში, ყოველივე ზრისტიანს ნახელსაჲმარია აღბათ: ქალთვეწებრი, წერი, რომელსაც შიშველი ასული ელაპარაკება, მტრალი ალიონუშკა... იქვე, შერი პიეტორდის, დუგლას ფერბენქისა და იგორ ილინსკის სურათები. აგრეთ შონტე-კრიხტაჲ ყდაშემოცვეთილი ტომი. ღმერთო, იქნეს მართლად დასრულდა ჭოჯხეთი? არონ გურვინი — უპეებშესიებული, ვაუპარსავი, მოღვეთილი, განუყრელ ვილიონოს იღდბს, უყრავს წუნარად, ხულის შემძვრელად. ვაუტი გაუნდელი წება რბილ ლოგინზე, თვალებს ხუჰავს და ჩურჩულებს:

— ო, ალამა! სიხმარია თუ ცხადი?

მართლაც, სიხმარია თუ ცხადი? მეოთხე თვე გადიოდა, რაც ომი დაიწყო, მაგრამ ამ უცნაურ სიხმარ-ცხადში ჭერაც ვერ გარკვეულიყო მირზა: დანგრეული, მიწასთან გასწორებული სოფლები და ქალაქები, გადაშვარი ყანები, ძირფხვიან გადათხრილი ტყეები და გვამები, გვამები, გვამები ჭარისკაცთა, ქაღთა, ბავშვთა, მოხუცთა... ყველაფერს ამას საკუთარი თვალთ ხედავდა და პირველი განცდა, რაც დაეუფლა, უსაშველო, გამოკუნებელი გოცეობა იყო — აი, თურმე რა შესძლებია ადამიანს მერმე, ცოტა მოგვიანებით, გოცების ადგილი ყოვლისშომოცვეთმა შეძრწუნებამ დაიკავა. იყო წითები, როცა მკაფიოდ ეგონა — ჰქუაზე ვირყვიო. ასეთ დროს ლექსი იყო ისევ ერთადერთი ხსნა, მიზობტებდა სისხლით მოწვეული წითელ ტალახში და ჩურჩულებდა განწყობები: „იწყება შუტი, იწყება წყებდა, თავდაიწყება არსად იწყებაჲ შე მოვიწყებდა წარსულში ყველა“... არა, არ იყო ეს მართალი! წარსულის დაიწყება არ შეედლო მირზას. წარსულს სულში ატარებდა ფაქიზად გამოხვედრის და როცა განსაკუთრებით უპირდა, მაშინ აძლევდა გასაქანს, სადინარს მაშინ უხსნიდა. თვალწინ უდგებოდა ძვირფასი, შორეული სახეები და მათთან საუბარი ლექსში ასეთ სახეს ღებულობდა: „ჩემს მიწურ ქოში შემოღის სხივი და კუთხეებში აყენებს ჩრდილებს, და ჩემი გულის განწირულ ყვილს თავისებურად ხმას აურჩილებს. ო, რა თქმა უნდა, შენმა ოცნებამ არ შეუძლია წარმოიდგინოს, — მაქვს მიდიასტერ ბრძენის მოთმენა, სისხლის ღამე და სისხლის ლოგინი... მაქვს სიყვარული — იების სუნთქვა, სხვას კი, ძვირფასო, არც ვინატრებდი, ვერ ერთი ვინმე, ცხადით სულთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი. ვარ გათენება მთაზე ასული, შიე — დაფენილი ყვითელ ახოებს, როგორც ოცნება, როგორც წარსული, ბედი გვაშორებს და გვაახლოებს. და შენზე ფიქრი მინათებს სისხლში უჩინარ ბილიკს და ნაბიჯს გვიანს, ხსნა თუა ხაღმე, შენ ერთი იხსნი, რასაც გუფლი და ბავშვობა ჰქვია“. ამ ლექსს ბოლოში მიწერილი აქვს: „1941 წელი, ხანგარ-

ში“ და ერთგვარი შესავალია, ფერტიტურაა მირზას ფრანტული ლექსებისა, რომლებიც ქუთუხაიტად გვაცვიფრებს აღქმის ტრავიზით, ვაჟაცური შემართებით, ხილვითა კონკრეტულობით. მოკლედ რომ ვთქვათ, ხსენებული ლექსები დაწერილია იმ კაცის მიერ, რომელიც „სისხლის ღამებს“ ათენებს „სისხლის ლოგინში“, მაგრამ მაინც ინარჩუნებს „ცხადით სულთა და ცხადით ვრცელ გულს“ და მსგავსად მითიური მინდაისი, „ბრძნულად ითმენს“, რამეთუ „ყველაფერი იცის“ სოფლის ტრიალის გულბიზულს მიწვდენილთა...

ამასობაში, ქოში ივხება სტუმრებით. მოდიან ბერკაცები და დედაბრები, თავს მღაბლად უყრადენ მირზას, ვაუტს და გურვირს, დინჯად ხსენებენ და დაძაბული ინტერესით ათვალთვრებენ, ცოტა არ იყოს, დაბნულ ბიჭებს.

საუბარი ვერ ეწყობა. სოფელთა შიგრაში ბიჭები ცუდად მიჩქმალულ საყვედურს და სიმათლის ვაგების წაყურავლს კითხულობენ, რატომ იხეთ ანუ გადმღებულად უყან? გასაგებია, რომ მტერი ძლიერია, მაგრამ თქვენ ხომ სამშობლოს იცავთ — როდემდე შეიძლება ხიზბილი? თქვით, გვიხიზბოთ რამე, გვანუგეშეთ, თქვე უღმერთო!.. მაგრამ ვის შეუძლია ამ შწარე კითხვებზე პასუხის გაცემა? ვინ გაბედავს და ხანუგეშოს იტყვის რასმე? როგორ გაბედავს?

— ახლოს არიან ძაღლისშვილები? — აღდევს სიჩუმეს მოხუცი, რომელსაც მკერდზე პირველი მსოფლიო ომისდროინდელი გიგანის ჭვარი ჰქვია.

— კი, ბაბუ, ახლოს არიან.

— ენე იგი, აჲ, რეწონანაც შეიძლება გამოჩინდეს, არა?

— მმ, შეიძლება!

— შეგარცხვინათ ღმერთმა! — მოხუცი აღშოთლდება, — ჩვენ სხვანაირად ვომობდით, დიამს სამშობლო გასმეთ, სამშობლო გაქმვეთ, ადამიანებად გწრდით, თქვენ კი, ეს ჭანღონით ხავენ მუტრუკები, კურდღლებივით დამურთხალი გარმისხართ. საინტერესოა, როდემდე? ფუჲ!

მოხუცმა უყარჩენი ბოღმით დაჰკრა იატაკს. მირზა, გურვირი და ვაუტ თაჩაქინდრული სხედან. ნეტავ კი მიწა გასკდებოდეს, პირს უწამდეს მათ და ამ ტანჯული ყოვლისგან გაათავისუფლებდეს. ნეტავ! მაგრამ ნატკრის უფლებად რომ არა აქვთ? სტუმრები კი, ამ დროს, ჰამენ, ხვამენ მინახად არაყს, გუნებაზე დგებიან, ხმაშაღალ ღაპარაკს უმატებენ, მაგრამ მაღლი და ფასი ყველაფერს დაკარგული აქვს. ბოლოს, ქოში ხიწყუნარე დაივანებს. ისმის მხოლოდ ხატის წინ დაჩოქილი დედაბარის გულის მომწყველი, ცრემლნარები პუტუნა და არონ გურვირის და ვაუტის წუნარი ფშვინვა. მირზას ძლიერ გაუტრთა ვეღარაღ-

რით მოიშორა გონებიდან თეთრწვერა მოხუცის მიერ ჩლიფინით ნათქვამი, ერთი, ცოტა არ იყოს, უცნაური აზრის: იქვე, ბიჭვინო, გინდათ გითხროთ რა არის საჭირო, რომ მტერს აქოზო, მისი ნებისყოფა დათრგუნო? უპირველეს ყოვლისა, არ უნდა იკანკალო საკუთარი სიცოცხლის გამო ყოველი ბრძოლის წინ თავს უნდა უფხან: ცხოვრება დამთავრდა, მართალია, ცოტა ნაადრევად დამთავრდა, მაგრამ იმეც არაფერი. ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებას მე ველარ დავუბრუნდები, განწირული ვარ ხასიკვილოდ — ან ახლა, ან ცოტა გვიან, მაგრამ გვიან იქნებ უფრო ძნელიც იყოს, ჯობს ახლავე! მე არაფერი ვაპირებ, სხეული ჩემი უსარგებლო რამაა ჩემთვის, მხოლოდ სული ჩემი, ხინდისი, ხაშობადო და ახლობლები რჩებიან ძვირფასად და მე უნდა შევეწირო მათ — ყოყმანისა და სინანულის გარეშე! დამიჭერეთ, შეიღებო, მოხუცს, ასეთი მებრძოლის წინაშე ყოველთვის შეტრთება მტერი. მხოლოდ ის გამარჯვებს, ვინც უყვალაფერზე ხელი აიღოს. იწვა მირზა, თვალმგახრელი შესცქეროდა წყვარამს და მოხუცის ნათქვამზე ფიქრობდა დაფინებით. იქნებ, ამ მოხუცის სახით მეგობრებს რუსეთის სული ვამოუხვალა და შეუმუხვრელი ქემშარბიტება ამცნო? იქნებ, მართლაც მხოლოდ ამ გზით შეძლება შემოსული ურდოების წინააღმდეგ და სამარცხვინო უკანდახევისაგან თავის დაღწევა? იქნებ? იქნებ? იქნებ? ასე ჩაძინა მწარე ფიქრებით მოცულს. ხოლო გათენებისას სრულიად მოულოდნელად, სოფელს ფაშისტებმა შემოარტყეს ალყა და არტილერიის ბათქმა თეთრ ეკლესიას ხულის შეტერვასავით მოაკლდა გუმბათი. ქოხების ნახსებრევები ბუმბულივით განიბნა ბაერში, ზოგივე ტანებმა ჩაასრისეს მიწას. სოფლის მოსახლეობა გაიფურა დიდიან-პატარაინა, ხოლო კაპიტან სობოლის პატალიონის ნაშთმა გააფთრებული ბრძოლით ძლივს გაარდვია ალყა და ხაშვიდობოს გავიდა. მათ შორის იყვნენ ჩვენს მეგობრებიც: ვაუტი, არონი და მირზა. აშკარა იყო, მოხუცი ვეტერანის შეგონებანი წამხდაარ საქმეს ვერ შევლოდა, ვიდრე ეს შეგონებანი საყოველთაო ქემშარბიტებად არ გადაქცეოდნენ და თითოეული ადამიანის, მებრძოლისა თუ არამებრძოლის გულში არ გაიდგამდნენ ფეხებს. ხალხი კი მარავალქირანანასი და ტანჭული, იომენდა და ყველანაირად ცდილობდა თუნდაც ოდნავი შეღავათი მიეცა ფრანტელიათვის. საგულისხმოა მირზას ბარათი მშობლებისადმი, რომელიც 1941 წლის 31 აგვისტოთა დათარიღებულია:

მე, რა თქმა უნდა, ყველას ვუსწორებდი შეძლებისდაგვარად. ეს შენიშნული აქვთ ჩემს ამხანაგებს და მეუბნებიან: რით ინადირებ ხალხს, მირზა, თითქოს დიდი ხნის მეგობრები იყვენ, ისე გვხვდებიან ყველგან! მე არ ვიცი, რად არის ასე. ერთ დღეს პატარა სოფელში ვიდექით. მე შევედრე ერთ ხალხში და ვთხოვე ბინა. მათ, რა თქმა უნდა, მიმიწვიეს. ცოტა ხანს ვაჭკვით დიასახლისი და მე (თქვენი ხნის ქალი იყო დიასახლისი, დედი). მერმე მე მანქანების დასათვალეერებლად წვაიდა. წასულა ჩემი მასპინძელი და მესურია სოფელი: ქართველი სტუმარი მყავსო, კარგი სტუმარიო.

მთელ სოფელში პირველად ხედავდნენ ქართველს. შეგროვდნენ ქალები. მე არ ვიცი რატომ, მხიარული ვიყავი. გამიართა ლხინი. ყველა მპატივობდა ლხინის შემდეგ: — არა ჩემთან, არა ჩემთან წამოდითო!

მპატივობენ ჩაიზე, ათასგვარ ვახშამზე და ვინ იცის, რამდენია ასეთი დღეები. მე უკვე გავიცანი რუსეთი და მისიარის, რომ ასეთი კარგი ყოფილა იგი.

პატარა, ფრონტის მახლობელს სოფლებში უკვე მყვანა ნადნობები. მხვდებიან და მაცილებენ: დმერთი შეგვიწიოთ, შვილო! გადამწერენ პირჯარს და მთხოვენ არ დავიციწყო იხინი“.

ამ დროს, ფაშისტები გააფთრებით უტყვენ მოსკოვს. ვითარება უკიდურესად დაძაბულია. ჩემი თაობის ადამიანები ომს ფიციკურად კი მოესწრნენ, მაგრამ მასზე წარმოადგენა, მაინც უფრო ნაამბობით, მხატვრული თუ დოკუმენტური წიგნებითა და ფილმებით შემოქმედებს. და მე ახლა, ამ სტრატეგიის წერისას, თვალწინ მიდგას მოსკოვის მძიმე, რუბი ცა, თავმხაფრებისათვის გადათხრილი ქუჩები, ტანსაწინააღმდეგო რკინის ხიჩხალები, ერთმანეთზე დახორხლილი, ხილიანი ტომრები, მხარზე ნიჩაბგადებული მოხალისეთა რაზმები და ქუჩის რადიოს ავის მასუწყებელი ხმა: „მოქალაქენო, საპერო განგაში!“ მომბების წული, სკდომა; ფანჯრების ლაწალაწი და სახლების ნგრევა... (ყოველივეს ამას, უმეტესწილად, მიხეილ კალატოზოვის საოცარი ფილმის „მიფრინავენ წეროების“ მიხედვით ვხედავ). მერე სტალინის ცნობილი წინასაოქტომბრო გამოცხლა მტერო „მიავოუცაიაში“ და სიტყვა, წარმოთქმული ლენინის მავოლერშიდან წითელი არმიის პარაღზე 1941 წლის 7 ნოემბერს. უნავს. წერალად თოვს. ლაპარაკობს რუმზაზარინი, მრისხანე კაცი და თითოეულ მის სიტყვას სულგანახული უსმენს უზარანასარი ქვეყანა. „ჩვენში საქმე სამართლიანია — ჩვენ გავიმარჯვებთ!“ ამბობს იგი. ეს სიტყვე-

თინიშპარაზ მადლავაფრძინი
ცხარბარა

— ქამეთ, შეილო, ქამეთ!



ბი შაერით და წყალივით სჭირდებათ ადამიანებს. წელში იმართებთან, თვალში რწმენა უდევს, იმედს უდევს, ენერჯია უსაყვედრებთ. დივიზიები პირდაპირ საოქტომბრის პარადიდან მიდიან მოსკოვის მისადგომების დასაცავად. საღ არის ამ დროს შირზა? რას აკეთებ, ახლა ძნელი დასადგენია, ალბათ შეუძლებელიც, თუ კონკრეტულად რომელი ფრონტის უბანზე იბრძოდა იგი, მაგრამ ალბათ არ შეეცდებით თუ ვივარაუდებთ, რომ მოსკოვის დაცვაში მასაც უდევს წილი. ხოლო ნოემბრის ოთხში, იგი ასეთ შარას უგზავნის დას — რუსულანს:

„სამი დღის შემდეგ დღესასწაული იქნება. მე არ ვიცი, როგორ შეხვედებით მას — მანდა, თბილისში, შვეულ და სიწყნარში. აქ ომია და ყინვა, მაგრამ მე მაინც ვიღვინასწალებს ოქტომბერს ირგვლივ ცეცხლის რკალი რომ შეტყაოს, სიკვდილი რომ ჩამოეკრძალოს თვალეში, ვიდრესასწალებს ოქტომბერს და ვანა მარტო მე? ათასები, ასი ათასები, ვაუგონარი თავგანწირვით ეჩახებან მტერს და რამდენადაც მეტი მტერი დაჩრება ბრძოლის ველზე განგმირული, იმდენად დიდი იქნება დღესასწაული.

მტრის განადგურება — აი, ყველაზე დიდი წილია, აი, რასაც მოგვიწოდებს ოქტომბრის მოგონება.

და მე მახსოვს ჯონ რაიდი.

მის წიგნში მოყვანილ მოწოდებაში ოქტომბრის დღეები დგანან, როგორც ვაუგონარი თავდადების, გმირობის, თავისუფლების დღეები.

და მე ვამბობ: გაუმარჯოს სიკვდილშიაც არ დანებებას!

აი, ამ პათოსმა, რწმენამ, „ათასებისა და ასი ათასების ვაუგონარი თავგანწირვით მტერთან დღახებამ“ და „სიკვდილშიაც არ დანებებამ“, ბოლოს და ბოლოს გააყეთა გაუქმებელი: ფაშისტების ძველავოსილი არმიები არამარტო შეჩერებულ იქნა მოსკოვთან, არამედ დამარცხებული და უკუგადაბრუნდნენ ჩაფუშა პიტლერის „ელვისებური ომის“ გეგმა და რუსეთის თვლიანი ველები მუზარადნა მოცმული შავი ჭკრებით უხვად მოიფინა. ასე მოხდა 1942 წლის „გენერალი ზამთარი“, ასე გადავიდა მილიონობით ადამიანის გულში იმედისა და რწმენის ნაქრქალი. ასე მისწერა შირზა დედას შემდეგ სტრიქონებს: „მე მჭერა დაგზარულნი გამარჯვებულ დამარცხებულნი ერთად და კვლავ ვიგრძნობ თავს ბატარა ბიჭად თქვენს სიხლოვეს“. (შ. IV. 42). ან კიდევ რუსულანს: „ზოგჯერ მომინდება თქვენი ნახვა ისე ძლიერ... სხვა არაფერი ჩრდილავს ჩემს განწყობილებასა და გამარჯვების იმედს. და არ მინდა დავიჭრო, რომ ჩვენ ვერასოდეს ვიხილავთ ერთმანეთს“ (17. XI. 42).

იმედო იმედად, უიმედობა მტრისას, მაგრამ

გამარჯვება ჭრ კიდევ ძალიან შორს იყო. მოსკოვიდან დამარცხებულმა მტრმა ერთი მხრივ ლენინგრადი მოაქცია ბლოკადაში, მეორეს მხრივ ვოლგისპირეთს, კავკასიასა და ყირიმის ნახევარკუნძულს შეუტია. 1942 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული დაეცა ქერჩი. (ათი ათასობით ქართველმა ჩაყარა ძვლები ქერჩისათვის ბრძოლაში). დაეცა სევასტოპოლი. რეალური საფრთხე შეიქმნა სტალინგრადს. ამავ დროს გერმანელებმა გადალახეს დონი და დაეშენენ სამხრეთისაკენ, რათა ხელთ ეგდოთ პურით მდიდარი ყუბანი, გროზნოს და ბაქოს ნავთობი. დაეცა კახსლოდარი, სტავროპოლი, შაიკოპი... ხუთ თვეს ემსხრებოდა მტრის გაფრთხილებული შეტევები კავკასიონის ცილდვან უღელტეხილებს. ემსხრებოდა და მიეხსვრა კიდევ. სვასტოკიანმა დროშამ ვერ გაღმობაძა ზვიად მწკერავლებზე...

1942 წელი სულ რაღაც ექვსიოდე თვესი იყო აღნიშნება მის ფრონტულ შემოქმედებაში და ექვსიოდე თარხის ქვემოთ აწერია მისი ნაწილი: „ფრონტი“. ფრონტი... ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს ყოველწუთიერად სიკვდილთან შეუკრის მოლოდინს მხოლოდ რისკე წასვლას კი არა, მხოლოდ ხაზბრძოლვად წახვლას და უკან დაბრუნებას კი არა, არამედ, მეტიწილად, პირდაპირ სასიკვდილოდ წახვლას. ხოლო რით შეიძლება სიკვდილი დათრგუნოს ადამიანმა? ეს უკვე იცის შირზამ: სიკვდილის შიშის დათრგუნვის და იბადება თქუნი, მართლაც რომ საკვირველი თავისი ტრაგიკოზა და სტოიციზმი: „შენ ნახე, როგორ აწვოდა ზეცა ვაუგონარი, მღვრიე დაწვია. შენ გახსოვს, ტყვია შენ როგორ აგცდა და ამხანაგის გულში გაცივდა. როგორ დაეცა იგი დაქრალი, როგორ კანკაღდენ მიწას თითები და გაზაფხულის შორი ანრდითი როგორ მიშქონდა დღეს გაფრთხილები. მაგრამ მითხარა: ვანა ვიშველის, რომ შედრეც ახლა სიკვდილის გამოი რამდენი ნახე შენ ფესშიშველი ბავშვი უსახლო და უდღემამო! შენ მიდიოდი ჯნა იყო სისხლის და ბავშვის თვალბის უცვლიდა იერს... სიკვდილისაგან შენ ვერა გიხსნის, თვითონ სიკვდილია თუ არა სხლივ“. ფრონტი... აი, ერთი ეპიკური შირზას ფრონტული ცხოვრების.

მ.

— ყვავები! — კენისი დაქრალი. — ხედავ? — ყვავების დაშვარი ირავს აკეთებს მათ თავზე კიდევ და კიდევ.

— მემინია... მემინია, მაგ წყულების. ასე მგონია, დამადგებიან და თვალბს ამოცოტინან.

შირზა უძრავად გაშლართული დაქრალისაკენ იბრება, ხელს უთათუნებს, აღტრისით ეუბნება:

— შე კაი კაცო, მე აქ არა ვარ?

— ჰო... კი...

დღემილი.
მირზას თვალები ებლიტება, თავის კანტუ-
რით უყინთავს. შემოდგომის უფერული, ცი-
ვი დღეა. ნოტიო, მძიმე ზეცა დაბლა დაწეუ-
ლა.

— თიანელო! — კენესის დაჭრილი, — სა-
და ხარ, თიანელო?

მირზა წამოიწევს.

— ჰო, რა უყო? მოგიარა ტკივილმა? მიმეთ-
ვლიმა, ეს ოხერი!

— ვიფიქრე, წავიდა-მეთქი.

მირზა დამნაშავესავით იღიმება.

— აბა რას ამბობ! სად წავად, შენ თავს
გაგანებებ? უბრალოდ, ხამი დღე-ღამეა თვა-
ლი არ მომიხუჭინა და ქუთუთოები თავისთ
ეწებება ერთმანეთს.

— ეე, შეც გაგინდი რაღა, საპატრონო, —
ხენეშის დაჭრილი.

— არა გრცხენია? ერთი მხარის ხალხი
ვართ, თან, მგონი ორი წელი იქნება, ქართუ-
ლად არავის დავლაპარაკებია.

— ჰო, კარგი...

უცნაურად გადაეყარნენ ერთმანეთს: ბრძო-
ლის შემდეგ ფრონტის ხაზმა რამდენიმე კი-
ლომეტრით წინ გადაინაცვლა. მირზა სავლელ
მედსანბატში თავის დაჭრილებს ეძებდა და
დაბნეული დააბიჯებდა თეთრად გაღებანდულ,
დაჩხინალ-დასახინრებულ მებრძოლთა შორის.
იღვა სისხლის, იოდის და კარბოლმწავას მძა-
ფრი, უამური სუნი. უცებ, ქართული ძახი-
ლი მოესმა: „თიანელო! აქეთ, თიანელო! თი-
ანელო! არა ხარ, შენა?“ ტანკისტი ილო მგე-
ლნაშვილი აღმოჩნდა, სოფელ არტნიდან.
მტრის ორი ტანკი აუეთუქებინა და თვითონაც
შემოდე დაჭრილიყო მკერდში. მოწყალების და
შალიმალ სწმენდდა ტურნეზე სისხლის დუფს.
მრავალი საერთო ნაცნობი აღმოჩნდათ, მაგრამ
ერთმანეთს კი არ იცნობდნენ, ილომ გაიხიფ-
ნა — თიანეთში, დღღზე ერთად უქენებიათ
ცხენები ოდენსაც.

— მცხელია, ვიწვი მგონი. ასე მგონია, ტა-
ლახში ვწევარ-მეთქი. ნეტაი წყალში ჩამაწვი-
ნა, გავგრძობდებოდი.

— იქნებ ცოტა წაგეძინა? ჰა, ილო?

— არ მინდა ძილი. გაეპარება ძილში, ფხი-
შლად უნდა შევხვდე სკაველის.

— რას ამბობ, კაცო, რა დროს სიკვდილია!

— თუ მძა ხარ, ხელი მომეცი. აგრე გეჭი-
რას. რა უცნობთა გადომიგადო შენი თავი...

მათ გვერდით გზა გადის. კიდით კიდემდე
არაფერს ჭეანებს მახსენ. გზა გორაკს უვლის,
ზევით მიემართება და ტყეში იკარგება. შორი-
დან მოისმის ქვეშეხების დახშული გრუბუნენი.

— დიდი ხანია, წავიდნენ?

— კარგა ხანია, ილო.

— რა თქვა კაპიტანმა? როდის მოგაკითხა-
ვენო?

— ხალამოს მაინცო.

— რომ ვერ გვიპოვნენ?

— გზის პირას ვართ, ილო, ნუ გეშინია.

— რისი უნდა შეშინოდეს? — დაჭრილი
ტუჩების გრეხით იღიმება, — შენ ის მითხარა...

— ჰო.

— როგორ გგონია, ეს ოხერი ქრილობა სა-
შინაა?

— არა, კაცო!

— ექიმმა რაო? თუ არ გკითხია?

— როგორ არა, ვკითხე. ვუთხარი ჩემი ამ-
ხანაგია, ერთი კუთხიდანა ვართ-მეთქი. ეს რა
გეძინა, ილო, შენ ძველო, ა? ორ ტანკს ეტუმ-
რები?

მირზამ ბანზე აუფლო სიტყვა. ექიმმა უთხ-
რა: ადგილიდან თუ გაინძრა, იმ წუთსავე მოკ-
ვდებაო. იმითმაც დატოვეს, არ წიყყანეს
ფურგონით.

— შეიძლება გვირობაზეც წარგადგინოს.

— ემ, რაიღა ბედენაა...

დღემილი.

— თიანელო!

— ჰო!

— მოიწი, რამე უნდა გითხრა.

მირზა დაიხრება.

— უური მივდე! თუ ამ გოგონებს მშვიდო-
ბით ვადგურჩით, სტუმრად უნდა ჩამოხვიდე
ჩემთან, არტანში. თიანეთიდან არტანში ჩა-
მოსვლას რა უნდა, ორი ნაბიჯია. ვინც გინ-
დოდეს, რამდენიც გინდოდეს, წამოიყვანე-
შუა სოფელში ვცხოვრობთ — მე და დედაჩე-
მი. არც მამა მყავს, არც დაძმა. ორინი ვართ.
ძალიან მშრომელი ქალია — მთელი ოჯახი
იმას უჭირავს, კოლექტივი გინდა, სახლის სა-
ქმე გინდა... თან, ძალიან პურმარლიანია, ისე-
თი სუფრა გაგეშალოთ, ისეთი, რო ჩიტის რძე
არ მთავალდეს. მწვადი, ივრის კალმასი, დამბა-
ლი ხაჭო, პანტის არაყი ხომ რაღა... ჩემს ძმა-
კაცებსაც დაგიატივებ, შაუშლერნოთ, ვიკაფი-
აოთ, გული გავიხაროთ...

მირზამ ძლივს გადაეფლანა ყელში მოცობი-
ლი ცრემლიანი ბურთი...

— ჰო, ილო, ჩამოვალ, შენ კაი კაცო, მამ არ
ჩამოვალ?

დაჭრილი მოქანცა ლაპარაკმა. მიიღუშა.

საღამოვდება, უნიფა მატულობს. მირზა გა-
ლიგებულ სელებს ერთმანეთს უხახუნებს,
არაფერზე და არავისზე ფიქრი არ შეუძლია,
არცა სწადია. აი აქ, აქ იწეება და თავდება
ჰველაფერი. დანარჩენი — მოჩვენებაა მხო-
ლოდ, მირაფი ან უაზრო სიზმარი.

— წყალი! — ამოიხრიალა უცებ დაჭრილმა.

— გაშიშვი, — ეუბნება მირზა ილოს, რომე-
ლიც მირზას კალთაში ჩამტრენია, — გაშიშვი
და მოვითან. აქვეა სადღაც.

თეიმურაზ ბაღლაშვილი
ცხრაპარა

— დაქრული პირს დაადებს, წუთით ასე პირ-
დაუბუღი რჩება, ისევ დამუწავს და სახს-
ლსა სქედით ქაფი ნიკაპზე ჩამოსდინდება.

— ყვავები? ყვავები რო დამესიონ?

— ამ წუთას აქ ვიქნები, იღო! ფურგონი
თუ მოვიდეს, დააცდევინე.

დაღმართის ბოლოში სამი უხახური, წაგრ-
ძელებული შენობა შესცქერის ერთმანეთს:
სახბილო, ფერმა და საჩინბო. სამივე სანახევ-
როდ დაქტეფულია. სახბილის მახლობლად
წყლის ჩხრალი ისმის. საქონლის სარწყული
ჩრდი. ნოტიო, გაყინული ბინდი უფრთდება
ღამეს. მირზა მათარას ავსებს, ვერ უძლებს
ცდუნებას და იქვე, კედელთან დაპირღ თივა-
ზე ჩაიშულებს. წუთიც და, ჩივივნება რბილ,
სურნელოვან თივის ღვიბზე, მაგრამ არადა-
მანსური ძაღისხმევით თავს დაადევნის ცდუ-
ნებას და უკან გზას სირბილით გაივლის.

— მოხვედ, თიანელო? ვკვდები, ბიჭო...

— არა, ილო, არა!

— გასხსნილიანებული ტარები მხეცივით დაე-
ძვრება მათარას, კბილებს ჩააფლებს და ხარ-
ბად, კოშინით სვამს.

— არ მოვიდნენ წასაყვანად. მიგატაცვენ.
მე რა, შე მინც მალე... შენ რა უნდა მქნა?

— ილო!

— ზა.

— რა მითხარი, საღ ჩამოდიო? შო, არტა-
ნში... იცოდე, მართლა ჩამოვად და ნახე, რო-
გორ დაგარბიო. აწნაურის სტუმრობაო, ნუ
გგონია ხუმრობაო, გავიგონია? ვითევზაოთ,
ვინადიროთ, აონის ხატშიც ავიდეთ. ყოფილ-
ხარ აონის ხატში?

გორაკის მიღმა, მოულოდნელად, თვლის-
მომპრელი შუქი გაანათებს. ერთხანს ციცი-
მებს ალი. მერმე ჩაქრება და კვლავ წყვდაიღი.

— ვყოფილვარ... თიანელო!

— გისმენ, ილო.

— მართლა მოვა ფურგონი?

— მოვა. გტკივა?

— არა. ხულ გავხედი. ველარაფერსა
ვგრძნობ. მგონი, მართლა ვკვდები... (პაუზა)
თიანელო!

— გისმენ ილო.

— თქვი რამე.

— რა?

— რაც გინდა, შესაუბრე ცოტა ხანს.

მირზა მკლავს თავქვეშ ამოსდებს და მის
გვერდით მიწება. მთელი ტანით მიიხუტება.

— ლექსი ვიოხრა? სხვა არაფერი მზადაა.

— ლექსი... რა ლექსი? თუმცა, სულერთია...
მიოხარი.

მირზა სვენებ-სვენებით, ტანქვით კითხულ-
ობს: „შე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი,
ოღონდ მოხვლამდის, ოღონდ ბოლომდის, რო-
გორც გაზაფხულს ელიან მთაში, — შენი ღა-
მაზი გული მელოდეს. შევეყრი შეგობრებს,
მალად მაყრიონს, ორღობებში გასროლას

დოლის, ზეცის ჩამოხსნას, მთების შერყევას
ჭილდოდ მივუტან ბრწყინვალე ლოდინს. და
შენს ეტოში დაუკრავს ზურნა, დაბალი ხმე-
ბით დუღუნი დოლის, აგაცხადდება სიწმარე
შორი, ვაგასხედება დოზილთა ზრუნვა, გეტ-
ყვან: ოი, ჰკარგავ ბავშვობას, ოი, დოზილ-
ებს გვტოვებს მშვევებად, მშვიდობა ყრმობას
და თამაშობას, მშვიდობის შუქი ნურც მოკე-
შეება, და ქორწილს ზეცის სულრატ გავშე-
ოღონდ მოხვლამდის, ოღონდ ბოლომდის, რო-
გორც გაზაფხულს ელიან მთაში, — შენი ღა-
მაზი თრთოლვა მელოდეს“.

დუმილი.

— მშ, ლექსი! რაო, ლექსებსა სწერამ?

— ვწერდი, ილო, ახლაც, ზოგჯერ.

— ეგ ვიზე დაწერე?

„სად არის ახლა გენცა? რას აკეთებს, რას
ფიქრობს? ნუთუ ვერა გრძნობს — რა დღე-
ში ვარ?“ — წამით გაიფიქრებს მირზა.

— ვისზე დაწერე? ჩემზე, შენზე, ყველა-
ზე. ვისაც ელოდებოდი და ვინც ელოდობა.

— კაი ბიჭი ყოფილხარ. რომელს ცოდვანმა
გამოგაგზავნა აქა? რა შენი საქმეა ომი და კა-
ციის კვლა?

— ემ, რას იზამ, ილო, გავეძღვებ როგორ-
მე. გტკივა?

— არა. რომ მოგკლან?

— ვერ მომკლავენ. მაგნაირი ტყვია ჭერ არ
ჩამოუსხიათ ფრიცებს.

— აი, ხარემო კი ჩამოუსხამთ და ეგ არი.
ცულადა ვარ, თიანელო.

— გტკივა?

— არა, არაფერი არა მტკივა. მინდოდა გა-
მარჯვება შენაბ... დედაჩემო... ხო.

შეიდროდ მიხუტებულმა მირზამ უცებ იგ-
რძნო როგორ გაუშეშდა დაჭრილს სხეული,
გაუშეშდა და გაუცვიდა. ელდამ თმა აუბურ-
ძენა. წამოვარდა. სწრაფად მოუფათურა ხე-
ლი.

— მოკვდა, — თქვა ჩუმად, — მოკვდა...

მღვრიე განთიადი ქანრდულად მოიპარება.
ყინვა, ნისლი. არ ჩანს არც ტარებავხდელი
ხეები, არც გზა, არც გორაკი, — არაფერი.
ყოველივე სადღაც იქით არის, თეთრი, ხაზი-
ღარი ბურუსის მიღმა. ხილულია მხოლოდ
პაწია მინის ნაკლეჭი და სამუდამოდ დაძინე-
ბული ტანკისტი ილო მგელაშვილი. თიანე-
ლი ბიჭი, მტრის ორი ტანკის მომსპობი.

მირზა ზის მის გვერდით.

მერმე ნისლიდან ჭენებით გამოვარდებოან
ცხენები. ფურგონის კოფოზე, სანიტრის გვე-
რდით, ვაუტ იშმალოვი დგას და მთელი ძა-
ლით შოლტავს გახვთქულ ცხენებს, დაინახ-
ავს მირზას, აღვირს მოსწევს.

— ცოცხალი ხარ? ცოცხალი?

მირზა ნელა ასწევს ჩამუქებულ უტყვე სა-



ხეს. ისეთი იერი ადევს, რომ ვაუტი ადგილზე გაქვადება.

...ის იწვა ერთი და უცქეროდა ღრუბლების მალეობს თვალბით თეთრით... არც

ხმლის ნატეხი, არც ბუდე ისრის არ ეგდო სადმე, მხოლოდ შემზარარი მოშავო სისხლი შევინოდა წარბებს. ამ სისხლს ბსოენისთვის გულზე წაიცხებს, მკერდით დაიცავს, გამირობას მისას არ დაიფიქვებს რუსეთის მიწა“.

თაში მთარგმნებ

1.
1948 წელი მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში გარდატეხის ხანად არის მიჩნეული. ამ წელს გათამაშდა მოვლენები, რომელსაც უფიქრები მნიშვნელობა ჰქონდა და რომელმაც ძირფესვიანად შესცვალა ომის მიზანგება, საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ წარმართა იგი. აქ, უპირველეს ყოვლისა, სტალინგრადის გრანდიოზული ეპოპეა უნდა მოვიხსენიოთ. 43 წლის 2 თებერვალს, სტალინგრადთან აღწეოდა მოკეტულმა ფელდმარშალ პაულიუსის არმიამ 330.000 კაციის რაოდენობით თავი დამარცხებულად ცნო, იარაღი დაჰყარა და ტყვედ ჩაბარდა. დამთავრდა ომების ისტორიაში უმაგალითო, სამკდრო-სასიცოცხლო წყვეტება, ორას დღე-ღამეს რომ გრძელდებოდა. დამთავრდა, და, სამაგიეროდ დაიწყო ტოტალური შეტევა მთელ ფრონტზე, რომელიც მარტის ბოლომდე გრძელდებოდა. მტერმა დაიხია 600-700 კილომეტრით. განთავისუფლებულ იქნა: სტავროპოლი, კრასნოდარი, დონის რსოტოვი, ვოროშილოვგრადი, ვორონეჟი, ბელგოროდი, ველაიკე ლუკი... მაგრამ, რაც მთავარია, 1948 წლის 12 იანვარს გარღვეულ იქნა ბლოკადა და მრავალტანჯული ლენინგრადი ფენიკსტერ აღსდგა ფრეფლისაგან. ახლა უკვე უკვლახათვის ცხადი შეიქნა, რომ ფაშისმის დღეები მართლაც დათვლილი იყო. ბეგრის მოჩვენებითი ოპტიმიზმი ნამდვილმა, ჰერმარტმა ოპტიმიზმმა შეცვალა. საბჭოთა ჯარი მშვენივრად დაეუფლა მტრის დამარცხების ბელოვებებს და ბუნდღვან ოცნებას საბოლოო გამარჯვებაზე, რეალური, ძალზე კონკრეტული ხაზი მიეცა.

სხვათა შორის, საინტერესოა ერთი დეტალი: 1948 წლის 2 თებერვალს დაიწერა ბრძანება უმაღლეს მთავარსარდლისა დონის ფრონტის ჯარებისადმი და ამ ჯარების ხარდლის — რუსოვსკისხადმი: „გილოცავთ თქვენ და დონის ფრონტის ჯარებს სტალინგრადთან მტრის გარშემორტყმული ჯარების ლიკოდაციის წარმატებით დამთავრებას. მადლობას ვუცხადებ დონის ფრონტის უყვლა მებრძოლს, მეთაურსა და კოლოტმუშაკს წარჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის“. როგორც ითქვა, ეს ბრძანება 2 თებერვლითაა დათარიღებული. ხოლო 2 თებერვლი უზის თარიღად მირზას წერილს მშობლებსადმი, სადაც ანეთ ფრანსაც ვკითხულობთ: „ფრონ-

ტმა, სადაც მე ვარ, მთავარსარდლის მადლობა მიიღო. როგორც ჩანს, ცუდად არ ვიბრძვი“. აქედან უდავოდ მტკიცდება: მირზა სტალინგრადის ეპოპეის უშუალო მონაწილე ყოფილა და რომ დესცლოდა, ალბათ სიამაყით გომიერება გალაკტიონის სიტყვებს: „მთელი სიმწარე მოვლენის და მთელი სიტყვი, რომ ეს სტიქია უჩემოდ არ ჩატარებულა... ო, რათამაად ცეცხლისკენ ვვლიდი“.

1948 წელი უჩვეულოდ ნაყოფიერი გამოდგარა მირზას პოეტური შემოქმედებისათვის. ჩვენ ხელთა გვაქვს 14 ლექსი, რომელიც, გარდა იმისა, რომ თავისთავად წარმოადგენს მაღალი პოეზიის ნიმუშებს, პირველხარისხოვანი ღირებულება ენიჭებათ მირზას სულიერი ბიოგრაფიის შესწავლისათვის. აქვეა მოხსენიებული 7 პირადი წერილი, რომელთაგან ექვსის ადრესატები რუსულადნი და მშობლები არიან, ხოლო ერთის — გორილი პიონერი ლეილა კიანაძე. ომის დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო ეს: პიონერები სწერდნენ მებრძოლებს გამამხნეველ წერილებს, მებრძოლები — უპასუხებდნენ. ისიც ხდებოდა ხოლმე, მშრომლები ცალცალკე ან შეერთებულ ძალეზით, დანაშოგით, აშენებდნენ ტანჯს, თვითმფრინავს და ფრონტზე აგზავნიდნენ... ჰოდა, აი, მირზა გელოვანი უპასუხებს პიონერი ლეილა კიანაძეს. (წერილი ფართო მკითხველთათვის უცნობია და ამიტომ მომყავს მთლიანად): „ამ წერილს ფრონტიდან გწერთ. მე წაიციებთ თქვენი წერილი და ისე გამეხარდა, ისეთი სითბო ვიგრძენი... თურმე მანდ, საქართველოში ფიქრობენ ჩვენზე — მებრძოლებზე და ვეგზმარებთან... და აი, ქალაქ გორში არის პიონერი ლეილა კიანაძე, ჩემთვის უცნობი გოგონა, ასე რომ უყვარს სამშობლო, ასე რომ ზრუნავს ჩვენთვის, მებრძოლებისათვის!

მე დიდი ხანია წამოსული ვარ საქართველოდან, მაგრამ არ ყოფილა არცერთი დღე, მასზე არ მეფიქროს. მე მიყვარს მისი მადლიანი ქედები, მინდვრები — საგულე დასირმული... ჩემი იორი და თქვენი ლიახვი, მტკვარი და არავი, პალდო და ბახალეთი...

და ისიც მიყვარს, სადაც იღვრება სისხლი თავისუფლებისათვის. მე თავისუფლება მიყ-

თეიმურაზ მადლაშვირძე
ცხრაპარა



ვარს და უპირველეს ყოვლისა, ამ თავისუფლებისათვის ვიბრძვი!

მე ვნახე დანგრეული ქალაქები, გადამწერი სოფლები, თქვენგნა გოგონები უბნისოდ, უპატრონოდ დარჩენილი, თოვლი გაყინული ბავშვები...

თქვენ არასოდეს არ იხილავთ ამ სამიწიერებას! ტანკი, რომელსაც თქვენი მონაგარი აშენებს, მტკიცე ხელში იქნება და სიკვდილს მოუტანს მტერს სიკვდილისათვის, რომელიც მან დათესა ნაწილში, სადაც მე ვარ, არცერთი ქართული არ არის, მაგრამ ეს განსაკუთრებით არ იგრძნობა ჩემთვის, რადგან ჩემ აშხანაგებს ისეთივე ილია და რწმენა აქვთ, როგორც მე. მათ უყვართ სამშობლო და მეს უყვარვარ მათ. მეც მიყვარს ისინი.

მაგრამ ხანდახან მომენტარება ქართული სიტყვა, ქართულის ელერა — ფანდურის ხმასავით ტკბილი და ლაბივიით მობუტბუტე და იცით კიდევ რა? როცა ავიღებ ვაზეთს, მინდა ყოველ ნომერში ეწეროს საქართველოს შესახებ. მინდა ყოველთვის წინ იდგეს საქართველო.

მე ერთი მეგობარი მყავს საქართველოში, გვანკა ჰქვია. კვამულობ მის წერილებს და ხარბად ვსენითავ საქართველოს მიწის სურნელებს მის ალერსიან სიტყვებში.

არ არის უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე შეგრძნება იმისა, რომ იბრძვი სამშობლოსათვის და შეგნება, რომ სამშობლოში ახსოვბარ, ზრუნავენ შენზე.

მე ბედნიერი ვარ, ჩემო უფნობო, პატარა მეგობარო, რადგან თქვენი ბედნიერებისათვის ვიბრძვი აქ, რუსეთის ცივ ველებში. მშვიდობით. ჩემი და ჩემი ამხანაგების საღამი ვადევი თქვენი სკოლის პირნერებს.

ლუტენარტი მირზა მალაშკინი
24.II. 1943.

ამ წერილს კომენტარები არ სჭირდება, აქ განსამარტავი არაფერია. მირზას კარვად შეეძლო, როცა საჭიროდ მიიჩნა, პათეტუარხა ერთმეზუაება და ამიტომაცა, რომ მისეთი პათეტუა არასოდეს გჭრის ყურს, არ გეხამუშება. ხოლო მეორეს მხრივ, მართლაც ხაკირველია, როგორ შეეძლო სტალინგრადის ბრძოლებში ვალაშეებულ კაცს ასეთი მშვიდი ინტონაციის ფრაზა დაეწერა: „მე კარვად ვარ, ძვირებურად. თქვენი ნახვა მომენტარა. სხვაფრივ, ისე — ჩვეულებრივ ვცხოვრობ (მშობლებიხადმი, 9. 2, 48 წ.) ეს „ჩვეულებრივ ვცხოვრობ“, ერთ რამედ დღის და იმავრ მეტყუელებს, რომ მათ ავტორს საკმაოდ გაწონასწორებულად ხასიათი და ძლიერი ნერვები აქვს. რამ მისთვის უყვე პროფესიად, ვალდებულებადა ქვეუღლა და ისიც აკეთებს თავის საქმეს ყოველგვარი ზედმეტი ემოციებისა და

ფუნფუნის ვარემე, რამეთუ იცინის მტერის და ფუნფუნი დამლუშველია ომში.

1943 წელს მირზა აქტიურად განახლებს პოეტურ მუშაობას: „გოგზავნი ხუთ ლექსს რა თქმან უნდა, არა მაქვს დრო და შესაძლებლობა, მთვე ამ ლექსებს ის სახე, რომელიც მქონდა განზრახული მათი დაწვეებისას, მაგრამ მე შეიმედება, რომ მკითხველი (მიუხედავად ლექსების სისუსტისა) გაიგებს გრძნობას, რომელმაც დამაწერინა ისინი. მანდ თუ არის პირობები ამისთვის, მინდა გამოვეცადო ლექსების პატარა წიგნი „ომის ლირიკა“, სადაც ეს ლექსებიც შევლენ. დანარჩენი გამოგოგზავნი“, — სწერს რუსუდანს 19 აპრილს, ხოლო შემორებ დღეს, ოცში, კვლავ იღებს ფანქარს: „გუშინ ვამოგზავნი შენთან ხუთი ლექსი და ვთხოვდი — დააბეჭდონო სადმე. დღეს იმავე ლექსებს და დამატებით კიდევ ხუთს ვიგზავნი ფანაინი წერილით. დანარჩენ ლექსებსაც ვამნიდან „ომის ლირიკა“, რომელსაც ვაშააბებ, როგორც გწერდი, გამოგოგზავნი შემდეგ. მე მინდა ისინი აუციალებლად დააბეჭდონო. მიმართე ჩემს ამხანაგებს და ისინი დაგეხმარებიან, ვიყოფები ფრონტზე, ვრცელ წერილს შემდეგ მოგწერა“.

„ომის ლირიკა“... ძნელია უფრო ზუსტი თაულის მოძებნა ლექსების ამ ციკლისათვის, რომლებიც უშუალოდ ფრონტზე დაიწერა. საშუალოდ მხოლოდ, რომ არ ვიცით, როგორ მქონდა წარმოდგენილი მირზას წიგნის სტრუქტურა, ანდა კონკრეტულად რომელი ლექსების შეტანას აპირებდა კრებულში (უნდა ვივარაუდოთ, საჭირო რაოდენობა ამ ლექსებისა დღევანდელზე არ მოღწეულია). მეორე წერილის ბოლოს, იგი ჩვეული ლაკონიზმით წერს: „ვამყოფები ფრონტზე“ (თითქოს ხანატორიუმში იმყოფებოდეს) და ჩვენთვის იწერს წარმოსადგენი ზებდა, თუ რა პირობებში იწერებოდა „ომის ლირიკისათვის“ განკუთვნილი ლექსები: ხანგარში, ზარბაზნის ლაფტზე, შანაინის ძარაზე, სესევენების ცამს შეტევიდან შეტევამდე — ტყეების წივილში, ბომბების გრუნუნში... და აბა როგორ უნდა ეპოვნა დრო, „მთედა ლექსებისათვის ის სახე, რომელიც მქონდა განზრახული?“ ამის მიუხედავად, 1943 წელს მირზამ მაინც დაწერა რამდენიმე ისეთი ლექსი, რომლებიც სამუდამოდ შემორჩებიან ქართულ პოეზიას და ამიტომ წერილის ის ფრაზა, სადაც იგი ლექსების სისუსტეზე დაპარაკობს, მხოლოდ და მხოლოდ ავტორის გამამეტებულ თავმდაბლობად უნდა აქნეს მიჩნეული.

არ ეწერა წიგნის გამოცემაზე ოცნების ახრულება. წიგნის კი არა, ლექსების დაბეჭდაც კი ვერ მოხერხდა. რატომ? წადი და გაიგე — რატომ? ვინც თმისდროინდელ ქართულ პრესას იცნობს, იხივ ეცოდინება, თუ რა მდარე, პლაკატური ლექსები იბეჭდებოდა მაშინ და



მირზას ლექსები რატომ არ უნდა გამოქვეყნებულიყო, გაუგებარია სწორედ. ცოცხალი მოკვანებით გულდაწყვეტილი მირზა რუსუდანს სწერს: „ნუთუ არ ეყოთ ჩემს ლექსებს სიმართლეს, რომ არცერთი მათგანი არ დაბეჭდილა აქნობამდის? ან იქნებ ჩემს თბილისელ ამხანაგებს არ ეყოთ სიმართლეს“ ამხანაგებისა და მოგახსენოთ, მაგრამ ლექსებს რომ ჰარბადა ეძიებდათ პოეტური სიმართლე, ეს ცხადზე უცხადებია!

როგორც წერილებიდან ჩანს, ლექსზე, პოეტზე, საერთოდ ლიტერატურაზე ფიქრი განსაკუთრებით მისძალდება ბოლო წლებში. ეტყობა, ქვეყნობიერად გრძობდა დახასრულის მოახლოებას და წუხდა, ზორავდა, ნამდვილს, ხაზმდამოს ვერაფერს ვტოვებო ამქვეყნად. ირგვლივ არავინ იყო ისეთი, ეძებე და აღჩევა სულითა გუწიარებინა და ისევე უნაწეს დახას და მეგობარს, რუსუდანს სწერდა:

„მივიღე შენა წერილი — ღია ხარათი ვალეტიონის სურათით. ძალიან გამებარდა. შენ იცი, როგორ მიყვარს გალდატიონი და აქ, ფრონტზე, მისი სურათი მომჩვენა თავისებურ სულისჩაღმობად“. (11. 12. 13 წ.)

„ამ ლექსის, რომელსაც ახლა ვიგზავნი, მერღობა. ისინი, ჩემი ლექსები, ვერ მაქმყოფულეებენ და ალბათ მივატოვებ მათ წერას, ვიდრე ვერ ვიპოვი ვასადეებს, რომელაც ვახსნის ჩემს გულს და აჩვენებს მომავალ თაობებს, როგორ გადაბრუნდნენ გულზე დღეები, ღამეები და ტოვებდნენ კვალს, მილიონებისათვის ნაღობს. (მერნე ჩართულია ლექსი „იქ, სადაც სხვები ქვებს დაუმგავსენენ“, რომელზედაც საქმიად ვილაპარაკე ამ წიგნის შეხავალში და აქ სიტყვას აღარ ვაგაგრძელებ).“

„... წლები გარბიან. აი, დეკემბერი თავლებდა და მესამე წელი მიიღის, რაც დაგზორდით თქვენ, თბილისს, პოეზიას. ასე მგონია ზოგჯერ: ახალგაზრდობაც გაივლის და გამოუფიხლდება ნახევარ ჯვარზე ჩემი ცხოვრების და შენაწება ჩემი წლები — ჩემი დაუფერვლი წიგნები, მოუცლადობით რომ ვერ დავწერე. „ყოველთვის მოცლას ვუცდიდი, ნეტამცა არ მომეცადა“, — ვახსოვს გურამიშვილი?! (18. 12. 48 წ.).“

„ძალიან მადლობელი ვარ, რომ „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამომიგზავნე, სხვას არავის მოსვლია ეს ფიქრად. განა არა დირს, ყოველთვის ჩასდო კონკრეტში გავითი და გამომიგზავნე? მე ლიტერატურებს რა იწერება საქართველოში, ვინ წერს, როგორ წერენ. მე ალბათ ჩამოვრჩი...“ (30. 4. 44 წ.).“

„რამდენი ხანია, ლექსი არ დამიწერია. ომი კლავს ჩემში ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდის პოეტს. გული ჩემი უცვლელია, თუმა ნერვები და სული გამაგრდნენ, გამოიცვალდნენ“. (33. III. 44 წ.).“

„აქ ზოგნი იღებენ წიგნებს. მე მინდა,

რომ გამომიგზავნო, რაც ჩემთვის ახალგაზრდა უაღრესად შეინტერესება ქართული ლიტერატურა ამ დღი და ომის დღეებში“. (19. 6. 44 წ.).

უცნაურია, თავისი საბრძოლო საქმიების აღსაწერად ორივედ ძუნწ სიტყვასაც ვერ იმეტებს, სამაგიეროდ, პოეზიაზე ამდენს ლაპარაკობს. მთავარი მაინც ის იყო, რომ „ომი მასში კლავდა ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდდა პოეტს“. მწიფდებოდა რაღაც დიდი, მრავენელოვანი, ჭეშმარიტი. უნდა დამდგარიყო, დადგებოდა კიდეც უამი, როცა ყველა ურთულეს კიბოვანა და პრობლემა ანალიტიკოსის სიმშვიდითა და სიღრმით გაეცნოდა ჭეშმარიტი პასუხი, მანამდე კი, მირზას აღქმასა და განსჯაში გული სპარბობდა და არა გონება. გული, სწორედ გული! „მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს, ეტყვი მხოლოდ, ომში გული არა კვდება, ეტყვი, რომ შენ წაიჭეცი, როგორც მუხა, როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება“, — წერს იგი ლექსში — „მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“. დააკვირდით, „ომში გული არა კვდება“... კვდება კი არა, სწორედ ამ დროს, 1943 წელს ზედიზედ იწერება მშვენიერი ლექსები, რომელთა გამოც კარგად თქვა კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა: „მირზა გელოვანმა თვითონვე გადაწერა ლექსად თავისი ცხოვრება და თავისი ბედი. „როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა, მაინც მივდივარ, მაინც გუმორდებ“. ეს მთელი ეპოპეა, მთელი თაობის ბედი და განწირული სულის კივილია. მაგიური ძალა ამ სიტყვებისა, ამ უზბრალეების, უადამიანურების და უზუსტების სიტყვების მაგიურია ძალა აისხნება იმ ტკივილით, რომელსაც ტრაგიკული წინათგონობა განაცდევინებს პოეტის სულს, როცა ადამიანს ხორცთან ერთად აგლუჭენ იმას, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სათუთი და ყველაზე მშობლიურია. მირზა გელოვანმა თანატოლია შორის ყველაზე მწარედ და მძაფრად თქვა საბედისწერო განსორების, განწირული იმედების და საინფიდი არდაბრუნების სიმღერა“.

საბედისწერო განსორებმა... ეს ტრაგიკული თემა მართლაც ხშირად იჩენს თავს მირზას ფრონტულ ლექსებში და განსაკუთრებით იმ ლექსებშია საგულღებელი, რომელთა ადრესატადაც ქალი იგულისხმება. აქ ზედიზედ იწერება კარგად ჩანს მათი ავტორი: „ქირთაშთმენი, ელევანტური, რაინდულად ამოაღებულნი...“ „მე დავბრუნდები, პო, დავბრუნდები, მე თქვენი თემბე დამაბრუნებენ“, წერდა იგი ოლქელაც, თბილისიდან გამგზავრებისას, მაგრამ გაიარა დრომ და: „ბედმა უცნობი გზით გამაქანა, თქვენ დარჩით შორი, ცაზედაც შორი... და როგორც კარტში აგურის ქალებს, ჰქონდათ ქება თმა და ყელი ბროლის. მე გაიკრებო“

თეიმურაზ მალაზუბარიძე
დზნაბარა

ვ. შარქის სიბ. საქ. სსრ
საბჭოთაო კლასიკოსი
გეგლიოსქასა

დით, რომ დავბრუნდები, რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ, მაგრამ დღეები, როგორც ქურდები, ჩემს შეპირებას ანადგურებენ. და სადმე ტყეა თუ ვაცოვებს გულს საშინელი განდგურებით, თქვენ მშაბტიეთ, ჰო, მშაბტიეთ, დანაშაული არ დაბრუნებისა". ან „ჩვენ განუშორდებით. შეხვედრის ფაზი დარჩება, როგორც თეთრი ზღაპარი... ანდა: „მეთხოვებოდა ჩემი თბილისი, ჩემი მიჭნური ცრემლით დამშორდა“... კიდევ: „არ დაბუნება არ მეძნელება, უფრო ძნელია თქვენზე წუხილი“. კიდევ: „დღეს გადავწყვიტე: ვერასოდეს ვეღარ შევხვდები“... და ბოლოს: „შენ მითხარი, რომ ჩემს დაბრუნებას დაუდღის შენი ბავშვობა წინდა, მაგრამ შენ გქონდა ქალის ბუნება, შენ ქალი იყავ და დაგავიწყდა“. ნადვლი გეძალბა ამ სტრუქტურის წაკითხვისას და ავტორთან ერთად, რაღაც მოჭადღებულ წრეში გამოიწყვედულად გრძნობს თავს. „ქვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის“, მაგრამ აი, კითხულობ ვახაოცარ ღექსს „ნუ მწერ“ და სულში თითქო მზე ჩააშუქებს, ირგვლივაც მზეა, ჩახჩახა მზე. თუ გახსოვთ, ერთ ადრინდელ ბარათში მირჩა წერს: „მარცხენა გულის ჭიბეში ქართული იები მაქვს (სათუთად გახვეული უბის წიგნაკის ფურცლებში. გვანცამ გამოიგზავნა ისინი თბილისიდან). კრწანისში თუ კოკორზე, კოქრუანაზე თუ დიღმის დიდ ველზე უნდა იყვნენ მოკრეფილნი და მე მათში ვგრძნობ ქართული მიწის სუნსა და სიხლრცეს“. გახსოვთ, არა? მაშინ, ეს მითუმეტეს გეხსოვებათ: „მე ერთი მეგობარი მყავს საქართველოში, გვანცა ჰქვია სახელად. ვლბულობ მის წერილებს და ხარბად ვსუნთქავ საქართველოს მიწის სურნელებს მის ალერსიან სიტყვებში“. და აი, ერთხელ კიდევ მოფრინდა ბარათი საქართველოდან და ვაფხუზების დადგომა ამცნო მირჩას რუსეთის ცივ, თეთრად გადაღებულ სტაბებში. რამდენ ფიქრს, ოცნებას, სინანულს, ტკივილს, სურვილს, აუხდენელ სურვილს წამოიშლის ვაფხუზების მათუწყებელი ბარათი... და გამოცანჭული სიხარულით იბადება ღექსი, რომლის ბადალი არც იმე მგერია უახლოეს ქართულ პოეზიაში. „ნუ ბერჩე, რომ ბაღში აუვავდა ნუში, რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თოქოს, რომ საქართველო ამ ვაფხუზულში, როგორც ყოველთვის ვაგავს ზეთოს, რომ ორთაქალამ ჩაიცივა თეთრი, რომ შენც ჩაიცივი კაბა ყვავილის, რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის, როცა მტეტების ახლოს ჩაივლის... წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს და საშინელი ბრძოლების ნისლი მე მომეჩვენა სადაც, ჩვენს უკან, აღვედრული იდგა თბილისი. ორთაქალაში ჰყვავოდა ნუში, მთაწმინდის მხარებზე მზე იწვა თითქოს და შენ, ძვირფასო, ამ ვაფხუზულში, როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ზეთოს. ნუ მწერ... ისევ ვიცო, როგორი ფე-

რებით ჰყვავის თბილისი ახლა, რომ ვილაც დადის მინდვრებში ღამით და დილისათვის ამწვანებს ნახნავს. მე ისიც ვიცო, რომ კარგ ამინდებს მოაქვს გულდის საამო ფუტქვა და თუ ბოლომდე ტყვია დამინდობს, თუ ვაფხუზულებს შევხვდებით ერთად, — გეტყვი, რომ მოველ ბრძოლანახული და სიკვდილამდე შენთან დავრჩები, რომ ღამაშაია მზე ვაფხუზლის, ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვებისა“.

ასეთია მირჩას ფრონტული ღექსები — სიცოცხლთა აღტაცება, დაოკებული ნადვლი, საბერდისწერო განშორება და კვლავ შეუერის მქრთალი იმედო, სიკვდილის იღუშალების შეცნობის წყურავილი და გარდაუვალი დაღუპვის ფატალურა შეგრძენება... არც ერთი პლაკატური სტრიქონი, არც ერთი ბრავურული მოწოდება, არც პატრიოტიზმით სპეკულაცია, რასაც დიდი ვასავალი ჰქონდა მაშინ. ღექსების მიღმა დგას ახალგაზრდა კაცი, რომელიც სამყაროს დრამატიზებული თვალთახედვით აღიქვამს და გამოხატავს.

2.

იმა წლის ზაფხული უჩვეულოდ ცხელი და ხორშაკიანი დაიჭირა თბილისში. გამოჩანმართებულზე და საბოლოოდ ბელარუსული შმ წლის ჰაბუკი ღაღო ასათიანი ახასთუმინდან დაბრუნებულიყო და ერთ პაწია, დასუთულ ოთახში, ძერეისეის ქუჩაზე, ჭიუტად ებრძოდა სიკვდილს. „ღაღო ვერ არის კარგად, ახასთუმინიდან ჩამოვიდა. გარეგნულად თითქოს არაუშავს, მაგრამ რაღაცნაირად ნადვლიანია, თუმცა მისებურად ისევ დადის და დიღინებს, რატომღაც სულ დედას, ოცნებობს და წუხს, ზნორად უფრო სევდიანია, ვიდრე წინათ იყო, სულმოკლე და უმიდლო კი არა ჩანს, ისევ მზიარულია და ჩვენც გვაზიარებებს“, — სწერდა ალიოშა სჯაია ნიკა აგიაშვილს ფრონტზე.

ბოლო თვითონ ღაღო ასე ეხმინებოდა მეგობარს: „მე, დაწყვედილი ღაღო ასათიანი, ერთი კვირაა, რაც გეაბელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გვატარე ახასთუმანში... არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით, მე მალე უნდა მივიცვალო, ძვირფასო, და აბა, შენ იცი, ცრემლებს თუ დაღვრი. როცა ჩამოხვალ, შენ ნახავ ჰეჰამეტრებით წაწერულ ეპიტაფიას ჩემს სამარის ქვანზე“.

თუ ამდებლად, წერს, უნდა დავეწროო ჩემი თეგადასავალი ბლოკის მანერით. როგორ მოვედით ჩვენ, ოქტომბრის კბილანი, ამ დიდი მშენებლობისა და მათრი ბრძოლების ხანაში. ჩვენს დროში საქირა გახდებოდა ძველ თემებს ახლებურად დაეუბრუნდეთ. უნდა აიხსახოს ჩვენი გრანდიოზული და მქუხა-



რე დღეები, როგორც უზარმაზარი პანო სად-
მე, დიდი ქალაქის ვეებერთელა კედელზე ფა-
რთო პლაკატებით“.

ძალზე სწორად ლაღოს ფიქრი მირზას დას-
ტრიალებს: „მირზა ისევ ბრძოლებშია და მი-
სი ლექსები დროდადრო გაიღვლეებენ გაზეთებ-
ში.“

„სისწრაში ვნახე ფიორდები. ეს, კნუტ
პამსუნის რომანებს რომ ვკითხულობდი, იმის
გამოა. რატომ ვერ უნდა ვნახო ცხადად ისე-
ნის, გრიგის, ამუნდსენისა და ნანსენის ქვეყ-
ნა? მირზა გელოვანმა თქვა ერთხელ: ინდო-
ეთში დიდებულ რაჯასავით ვიმოგზაურებდი
სამოყენებით, სწილოებით ვეფხვებდა და მარ-
ტორქებზე ვინადირებდი, მიშალაის უმადლეს
მწვერვალებს თვალს შევაფლენდი შორიანლო-
დარო. მე კი მენატრება ვნახო პარზი, რომი,
საბერძნეთი, ესპანეთი... ჩამოვივლიდი ჩა-
ილდ მაროლდებით...“

და ისევ: „ზოგი ამხანაგი ქერჩის შემდეგ აღ-
არსად ჩანს, მირზახიც აღარაფერი ისმის...“

ლაღოს ბოლო წერილი ასეთი იყო: „ველარ
ვქმედ ამ ვიწრო ოთახში, თითქოს კუბოში ვარ
ცოცხლად მდებარე, შინს მოსწავთობდი, რომ
მოკვდე, ნეტავი, ამაზე უარესი თუ იქნება
ის კუბო. ამის ბრალაა, ალბათ, რომ თითქმის
ყოველ დამით და დღისითაც, როცა ოდნავ
წავთვლიშ, სულ თავადილი კუბოები მეწა-
ნება. კუბოს დანახვა ყოველთვის ტანში მზა-
რავდა, კუბო სიკვდილია... შენ ხომ იცი, სი-
აზარი მიუყარდა და მით უფრო ტბილი იყო
იგი, რაც უფრო საშინელი და კომარული
იქნებოდა. სწორად მინახავს ფერად-ფერადი
სიწმრებიც — წარმტაცი პეიზაჟებით.“

ახლა კი საუკუნის დამე ჩადის და საშინელი
სიწმრები არ მახვენებენ... სულ ერთი და იგ-
ივე, ერთი და იგივე. — უცვლელად: ვითომც
ვეყარ ერთ შავ რკინის კუბოში, გარშემო
უამრავი კელაპტრები ანთია, მათ ლიფლიფზე
შავ კატებს მხრებზე შეუდგამთ ის კუბო და
ამაზრუნენ კნავილ-ჩხავილით, კულების სხმარ-
ტალითა და შესაზარი თვალთა ბრიალით,
„კუბო“, „კუბოს“ ერთობლივი შემადრწუნებ-
ლი ძახილით და გნახით მიმაქროლდებენ სა-
დღად... შემდეგ კაცები ქრებიან, კუბო უღრი-
ალით ენარცხება მიწას და ის კატები დახოცო-
ლი მავკვიციან თავზე, კუბო ივსება მათი გახ-
რწილი, რბილ-რბილი ლეშით. გავურბი მყრალ
ხუნს, მაგრამ მუხლები მეკეცება, ძირს ვეცე-
მი და ვიღვიძებ ოფლით გალუმპული. ჭერ
არავისთვის გამიხხელია ეს ამბავი“.

სიკვდილის წინა დღეს მწერალ სერგო კლდი-
აშვილს და პოეტ ვიქტორ გაბესკირიას მო-
უხანხლებიათ¹.

„ძალიან გაეხარდა ჩემი ნახვა. სახეზეც
რგად იყო, თითქო არაფერი ეტყობოდა, მაინც
ვხედავდი, რომ თავდებოდა კაცი. მაგრამ არ
მოგვეცოდა, ხალისიანად აღმარაკდა. ხუმრობა
დაიწყო და ჩემც ვერ მოვეშვით. ბავშვით
აფოფინდა, წამოქდა, სასთუმლიდან ნაწერი
ქაღალდი გამოიღო და რაღაცნაირი მქუხარე
სმითა და მგზნებარებით, თვალბანთებულმა
ლექი წავგიკითხა. ეს იყო ავადმყოფობაში
დაწერილი „ცხრა მმა ხერხეულიძე“. ისე კარ-
გად მოგვეჩვენა, რომ გავკვირებულნი და ვაო-
ცებულნი დავრჩით: ნუთუ ეს კაცი ასე უსაშ-
ველოდ ავადმყოფია, ნუთუ ეს ხვალამდე ვე-
ლარ გადწვეს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ შე-
მდეგ საცოდავმა საბანი გადაიწინა და საშინ-
ლად დასიკვებულნი ფეხები გააჩვენა.“

„ამის მხვავსი ჭერ არაფერი მენახაო, —
უმატებდა ვიქტორი, — როგორც იყო ვაწუგე-
შეთ და გავამხნევეთ, გამოთხოვებისას სვედიანი
ღმილით შემოგვივლია: წავიდა ჩემი ყმაწვილ-
კაცობა! განა ასეთი ახალგაზრდობა მინდობდა
მე? განა ამას ვნატრობდა?“ ვხედავდი უმიე-
დო ავადმყოფის სულიერ მდგომარეობას. ის
თვითონაც გრწმობდა აღსასრულის მოახლოე-
ბას და სიცოცხლესთან გამოთხოვების უკანასკ-
ნელ წუთებში ლექსების კითხვითა და თავის
განგებ მომხიარულებით ცდილობდა ამაყად და
მედგრად დღესვედროდა სიკვდილს.“.

მეორე დღეს ლაღო გარდაიცვალა.
მერმე... იყო გულწრფელი ცრემლიც, გვირ-
გვინებიც, ნეკროლოგებიც, მწერალთა კავშირ-
დან გამოსვენებაც... იყო, ბევრი რამ იყო, მშა-
ლოდ ლაღო ასათიანი აღარ იყო ამ ქვეყანაზე.
და ალბათ ყველაზე მართალი და ყველაზე
მწარე სიტყვები, რაც იმ დღეებში იქცა, გი-
ორგი ლეონიძეს ეკუთვნის:

— ბედნიერი ხარ, გულზე საქართველოს მი-
წა რომ გაცვივა და შენს თბილ სამარეს ნათე-
სავეები და ტოლმეგობრები დასტირიან. რამდენ-
ნიმე შენი საყვარელი ამხანაგის ძვლები დანება
ახლა უკუბოოდ და უსამაროდ ბრძოლის ველ-
ზე, განა რამდენ შინაოუსვლელს დაიტირებენ
ასე, შენსავით!

ორი დღე-ღამის ბრძოლის შემდეგ დივიზია
ძალთა გადათვალეირებას ახდენდა, აწუხებდა,
ზარალსა და ნადავლს, რომლითაც მოყენილი
იყო მშით დამწვარი, გავითლებული, დახეთქი-
ლი და გადათხრილი უკიდვგანო ველი. ყველაზე
ბლომად მტრის ჭარისკაცთა გვამები ეყარა, მე-
რმე „იარაღი და მუზარადები ჩანდა სოკოები-
ვით, დასიებული ცხენები და მოღრცეილი ტან-
კები. ერთი სიტყვით, ნაბრძოლ სტეპზე შეიძ-
ლებოდა ყველაფრის პოვნა, დაწებული გამჭ-

¹ ეს მოვლენება და ნაწყვეტები წერილები-
დან — ნიკა ავიაშვილის წიგნიდანაა მოხმობი-
ლი.

მიმწერს მალაშვირიძე
მხრბაძე

ლტილი ბილწიდან, გათავებული გაუხლებელი
თავით. გარეშემო მგავდა ნანადირევით სავსე
მინდორს, სადაც ადამიანები ნადირობდნენ ადა-
მიანებზე. ერთიერთმანეთზე უარესი და შემზა-
რავი სურათები ზვდებოდა თვალს, მაგრამ მათ
უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას და სავერ-
თოდ აღკლიან ცოტა დრო რჩებოდა ფიქრისათ-
ვის. არ იბრძოდნენ აღამიანები, რომ ასეთი ხა-
ზოზღრობა არ განმეორებულყო, კიდევაც იბ-
რძოდნენ და დაიხოცებოდნენ იმ იმედით, რომ
შემდგომში თათბები აღარ დაუსვებდნენ
ამ სისხაგულს. ეს იყო სულ, მეტი არაფერი...

მირზა ზის ბლინდაში ვახანების ყუთზე, კეფა
მორისთვის მიუყრდნია, თვალები მიოლულავს.
სახეზე უკიდურესი მოქანცულობა ატყვია. არც
ლაპარაკი უნდა, არც ფიქრი, არც ქამა, არს სმა,
სავრთოდ არაფერი უნდა ამქვეყნად, სრულიად
არაფერი, ოღონდ ამყოფონ ასე, გაუნძრევლად
და ცოტა ხანს მაინც ნუ შეაწუხებს ქვემეხების
გრუხუნი...

ამ დროს, საველი ფოსტა. წერილი. ვაუტი
მორბის, უნდა, რომ ახაროს მეგობრის და მე-
თაურის მირზა როგორღაც მოღვენილი სხნის
ბარათს, თითქო გული უგრძნობსო. „აღარ
არის ლაღო ასეთიანი“... ცივი ელდა. ერთი წა-
მის განმავლობაში თვალწინ გაუფლის ყველა
დღე და საათი, რომელიც ლაღოსთან გაუტარე-
ბია, ზედავდა მის ალღ ლიშილს, ქლექისაგან
გაწითლებულ ცალ ყურს, ჩაესმის მისი ეღრია-
ლა ხმა ლექის კითხვისას — „მეი, თქვენ, არა-
გვედებო, გაუმადლარო ომითა“... ზედავს თია-
ნეთიდან თბილისს მიმავალს — „ლინეიკაზე“
წამოშარათულს, ქულდ რომ იქნეს დამშვიდობე-
ბის ნიშნად, ზედავს და ესმის, ზედავს და ეს-
მის... რომელი ერთი გაიხსენოს? რომელი ერ-
თი? „ამხანაგო ლიტენანტო, მოხდა რამე?“
ვაუტის ხმა. მირზა უყურებს, მაგრამ ვერ ზე-
დავს. „მო. კი, მოხდა!“ — ამბობს ბოლოს ჩუ-
მად, — „მოხდა, ვაუტ, მოხდა!“ ადგა, ბლინდა-
თიდან ამოქრა და გადათხრილ. გადახტუკულ,
გვამებით მოფენილ სტეპზე გავიდა. ვაუტი მი-
ხვდა, რომ არ უნდა გაჰყოლოდა. მიდიოდა
მირზა, მიდიოდა და ბუტბუტებდა თავისთვის:
„მაინც ეს ერთი თეთრონი რა გულსაკლავად
ქიზინებს, ბედვეო, ვისაც ეძახი, ვაი, რომ ვე-
ღარ იხილდი იმისი სული მტრდევით ცაში გა-
ფრანდას ლაღადა“... „მტრდევით ცაში გაფ-
რინდა... ლაღადა“... ყუმბარისგან ამოთხრილ
ორშოს წაწყდა. ჩაფორხდა, გაწვა და სახე
გახურებულ მიწას დაადო. არ ტიროდა. ერთი
ცრქმლიც კი არ გადმოუგდია. მხოლოდ ეგ იყო,
განუსაზღვრელ, უკადეგანო სიყარეღეს გრძ-
ნობდა...

მერმე მოულოდნელად მოვიდა ფიქრი და
ძვლებამდე შეაყრუოდა, იმდენად მკაფიო, იმ-
დენად ცხადი იყო, ლამის ხელით შეპებოდა.
— ბედნიერი ხარ, ლაღო, ქართული მიწა მა-

ინც დაგეყარა გულზე. მე... მე ესეც არ შეღირ-
სება...

ხოლო ცოტა მოგვიანებით ნიკა აგიაშვილს
ასეთ სტრიქონებს მისწერს:

„მინდა აქედან შენს მწუხარებას შევეუერთო
ჩემი ქვითინიც და ერთად ვიკლოვით ძვირფასი
ლაღო... ადევა ჩვენი ნორჩი მეღოღო, მაგრამ
სიმღერა იცოცხლებს მისი“. ტყუილად ამბო-
ბენ: სიყვლილი ყველაფრის დაბოლოებააო...
კაი ყმა სიყვლილის შემდეგ იცოცხლებს“.

3.

გრანდიოზული სატანყო ბრძოლის შემდეგ,
რომელიც კურსკის შვერილზე გაიმართა და სა-
დაც ფაშისტებმა მიწარე დამარცხება იწინეს
უკვე აღარავის ეეჭვებოდა, რომ ომი მოგებელი
იყო და უახლოეს დროში უნდა დამთავრებუ-
ლიყო კიდევ. „მაღე ომი მორჩება და განახვთ“,
— სწერს მირზა მშობლებს. ხოლო მეორეგან:
„როგორც იგრძნობა ომი მაღე უნდა დამთავრ-
დეს და აი, მაშინ მომცემენ შევებულებას“. საი-
მდროოდ საბჭოთა ჯარებმა ზედოზედ გაათავა-
სუფლდეს ბრანსკი, სმოლენსკი და შეადწემა
ბელორუსიის აღმოსავლეთ რაიონებში.

1943 წლის 6 ნოემბერს განთავისუფლდა კი-
ევი!

ხოლო იმავე წლის ბოლომდე განთავისუფლე-
ბულ იქნა კალინინის, პოლოცკის, მოგილიოვის
ოლქები და ქალაქი გომელი. ასე დადგა ახალი,
1944.

2 მარტი მირზას დაბადების დღეა. თოვს ქა-
რი ზვეტს ნამქერს და სანჯრის კიდეში უყრის
თავს, როგორც მქენარ ფოთლებს შემოდგომა-
ზე. თეთრი ფანტლები წყნარი შრიალით ცვი-
ვიან ქვემეხების ტუჩზე, დაჩნბილი ხეების ტო-
ტებზე. აბალაზებულ მიწაზე, თითქოს აპრილის
პებლები იყვნენ, ერთს შეინავარდებენ თხრილის
კიდესთან და მერე ეშვებიან დაბლა ჩუმად,
უხმაროდ. ღამდება. შორიდან ისმის გრუხუნი
ყრუდ, მღორედ. წინ მოხერბული ტყეა, კვლი
და გადაბრუნებული ფურგუნის ბორბლები...

მიწურში უღმერთოდ ცივა. გაურანდავი ფი-
ცრებით შეტრულ ნართან, კედელზე, ვალატრი-
ონის და ვაფა-ფშაველას სურათებია. ვაფ-ს
თავი დღმანდაით წაწერავს, გული გაუფლდა,
ხელში კი რაღაც ახალნერვა უჭირავს. ეტუობა,
ის-ისაა დასარგველად ეშნადებოდა და მაშინ
გადაუღვებ.

მირზა, ვაუტ, გურვიჩი და შალაღი, მწითური
ხერყანტი — სერგეი სიხოვი თვითნაკეთ მაგი-
დას შემოსხდომიან. მაგადანე ხანთლებია (ხა-
თლებია მიმაგრებული კედლებზეც, რათა მი-
წურს ოდნავ მაინც მიენიკოს სადღესასწაულო
იერი. ეს გურვიჩის მოფიქრებაა), არაყი, ქაშა-
ყი, და „გალტი“.

— რაღაც არ მოქერბიან ფრიცები, ნეტავ

რასია საქმე? ალბათ გაიგებს, რომ ლიტერენტ გელეონის დაბადების დღეა, — როზრობებს სი-
ზოვი და არაყს თუნუქის „ქრუსეკაში“ ასხამს,
— გაუმარჯონ, ძმებო ჩვენს იუბილარს! სულ-
მოუთქმელად სვამს და გალტეს ზრამხარუსით
აყოლებს, — რამდენი წლისა გახდით?

— ოცდაშვიდის.
— ოცდაშვიდის. აქედან, ოთხი წელი ფრან-
ტზე, ხომ?

— კი, ორიც ისე ვიმსახურე არმიამი.
— ბლომდ დაგვროვებია. ცოტა მოითმინე
და ბერლინიც იქნება.

— აჰი ვითმენ სიზოვ?
ვაუტ ნაწია, მახინჯ ჩიბუხს ამოიღებს, გამარ-
თავს და გააბოლებს. ეს ჩიბუხი მას მოსუც
გნოშს ამგვანებს, ბინამდვილში კი ოცდაათისაც
არ არის ჭერ. თავისთავზე ძუნწად ლაპარა-
კობს, მაგრამ მირზამ მაინც იცის, რომ დედ-მე-
მა არა ბუყვს ვაუტს ერთადერთი გათხოვილი
და, სადაც მთებში ცხოვრობს და ომამდეც
თურმე, ათსში ერთხელ ხვდებოდნენ ერთმან-
ეთს. ნასამართლევო ყოფილა, მაგრამ რაზე —
არ ამხელს. მჭადარა. ვადაზე ადრე გაუთავისუ-
ფლებიათ. ომში მოხალისედა წამოსულია. ყირ-
გიზეთში, აულში, საცოლდე ბუყვს დატოვებულა:
ქიაშიმ-ყიზი.

— ომი რომ გათავდება, — ამბობს წყოს
მურალ ბოლში გაჩეული ვაუტი — დავბრუნ-
დები ჩემს აულში და თუ ქიაშიმ-ყიზიმ მანამდე
მომიცადა, ხელს მოვაწერთ. აი, მამინ კი უნდა
მეწყო სტუმრად, ამხანაგო ლეიტენანტო. კვი-
ციის ზორცს და ფლავს არ მოგაკლებ. სანადირო-
დაც წაგიყვან, გათევზავებ კიდევც...

— ვიუყვარს ნადირობა, ვაუტ?

— ზეე, სულ ზეპირად ვიცო, სადაც დათვები
ბინადრობენ, ან კიდევ, ზუთხის ამოთრევა სად
შეიძლება. ოო; რა ლამაზია ჩვენი ყირგიზეთი,
რომ იცოდე, ამხანაგო ლეიტენანტო!

— მაშ, ცოლის შერთვას აპირებ?

— რატომაც არა?!

— მერე რა საქმეს მოკიდებ ზელს?

— შეე? მშ, მაგას კითხვა უნდა? მეფუტკ-
რეობას! ავადებ პატარა ქობს, ქიაშიმ-ყიზი
გამჩინებს ბევრ შვილებს და ვიცხოვრებთ წუნა-
რად, უხმაურად, არავის შევაწუხებთ. აღამი-
ანი თუ კეთილია, სულ უნდა იღიმებოდეს, არა-
ფერი უყვირდეს, იყოს თავისთვის...

— მართალი ხარ, ვაუტ.

გურჯიში ჩუმად ზის, მთელი საღამო რატომ-
დაც ხმას არ იღებს, სათვალის მიღმა აფხუ-
ლებს ბეც თვალებს და უხმენს ამხანაგებს.

— კარგად იყავი, ამხანაგო ლეიტენანტო!
ორი ვინმე გამჩინა ამ ქვეყანაზე: შენ და
ქიაშიმ-ყიზი. ღმერთმანი, ორივე ძალიან მიუ-
ვარხართ, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგა, შენ
მირჩვენებარ...

— ეს როგორ გავიგოთ, ქალს კაცი გირჩე-
ნია? — როზრობებს სიზოვი.

— ეი, აქლემის უყანალო, დაფაქრდი და ისე
ილაპარაკე! — გაწურა ვაუტი, — ქალს ყოველ-
თვის იშოვნის კაცი, ამისთანა აღამიანი კი ათას-
ში ერთი თუ იქნება. ასე ფაქრობს მთელი ოცე-
ული, ასეუღო, ბატალიონი, დეიზია!

— შო, კარგი ახლა, ვაუტ, ზედმეტი არ მო-
გვიღებს, — იღიმება მირზა.

— რატომ ზედმეტი? ვითხოთ, ვისაც გინდა
გამჭივრავდე წმინდა წყალივით ხარ, შივ რომ
ჩაიხედდე და საკუთარ სახეს დაინახავ: თუ ლა-
მაზი ხარ, ლამაზი გამოჩნდება, თუ მახინჯი,
აი, ამ სიზოვივით, მახინჯი!

— აბა, აბა! — იბღვრება სიზოვი.

— დამთავრდება ომი, ყველანი თავ-თავის
სახლებში წავალთ და აღარ ვიცო, როგორ გავ-
ძლებ უშენოდ? ემ: უნდა ჩამოვიდე საქართვე-
ლოში!

სვამს.

— ჩამოდი, ვაუტ, ჩამოდი. შევესდეთ ცხე-
ნებზე, ვიაროთ სოფელ-სოფელ, ვთქვათ ლექ-
სები და თუ მაღლიანი ხალხი რასმე მოგვაწე-
დის, ვირჩინოთ თავი.

— ო, ლამა მანახებთ თუ არიან თქვენში?

— რამდენიც გინდა. მთელი „ვეფხისტყაოსა-
ნი“ იცინა ზეპირად.

— ძალიან კარგი, გვეჩვირებით ერთმანეთს.
მე ჩემსას ვიტყვი, ისინი — თავისას. რა სჯობია
ახეთ ცხოვრებას? ოღონდ ერთი ეს ძალღური
ომი გათავდეს და...

— მართალია, გელოვანო, პოეტიპო, შენზე
რომ ამბობენ? — დაინტერესდა სიზოვი.

— პოეტი არ ვიცი, მაგრამ ლექსებს კი ვწერ.

— გაგიყვება შეიძლება დაქვები, აიღებ ქა-
ლადს, ფანქარს და წერ, არც სადმე წიგნი
ჩაიხედდე, არც ვინმეს შეეკითხები? რითმები
ისე, თავისი მოდის?

— მოდის, კი, სიზოვ.

— საკვირველია, ღმერთმანი.

— რა არის საკვირველი, ბრიყვო, ჩვენი მა-
ნახებთ სულაც ზეპირად ამბობენ უარმანარ
პოემებს.

— ნუ გააჰირე საქმე მაგ შენი მანახებით!
ღვთის გულისათვის, გელოვანო, გეთხარი რამე
ლექსი.

— მე ხომ რუსულად არ ვწერ სიზოვ.

— არა უშავს, იყოს ქართულად.

— კარგი, წაგიკითხავთ. გუშინ დაწერე სწო-
რად, — ამბობს მირზა და გრძნობს რომ მას
თავად სწურობა ქართული სიტყვების ხმამაღლა
გაგონება, ლექსის ხმოვანების შემოწმება... გუ-
ლი ეკუმშება ტკივლით...

„სახეში გვათოვს, მტერი არა ჩანს, სიკვდი-
თეიმშურაჲ მადლსაშტარძიმ
ცხრაბარბა

ლის ნატვრა გამოსდა დარღვად. ვდგვიარ სხეუ-
ბით, სველი ფარაჟა არაფერს მაძლევს, სიცო-
ვის ვარდა. რა სასტიკია, რა სატირალი სხვის
ქვეყანაში თოვლი პირველი... მე ვხედავ თოვლ-
ზე დაუბრუნებ ნაფოტებს, მეზობლის ბიჭი ამზა-
დებს მარხილს, ბაღში ჩემი ძმა დაბერტყავს
ტოტებს, თოვლის ხიმშით მიწაზე დაბრუნებს.
გულგულვებს, ოხრავს ჩვენი ბუხარი, ფანჯრის
მახლობლად ჰკვივის ბელურა, ჩემს დაკარგვზე
დედა მწუხარებს, ცხოვრება მაინც ფეთქს ძვე-
ლებურად. და მამაჩემი, კარგი კეთილი, შრო-
მოს ჩუმი და გულდაცობილი. მიიდა იქ ვიყო:
გაყინულს, დაღლილს მათობადებს ბუხრის მახ-
ლობლად წოლა, მესმოედეს ყუფა მეზობლის
ძაღლის და უნებურად მივლიდეს ერთოლა. ან
ვიყო ბავშვი, ტუბილი ფიქრებით ბელურებით
ვაგებდებ ბინას, ან ვუცქეროდე თოვლის ფიფ-
ქები როგორ აღენბა ფანჯარის მინას... მაგრამ
ომია. დღენი წავლიან, მე კი ვერ ვიგარძნებ
შობილიურ სითბოს! იქ, ჩვენი ეზოში, ძაღლი
ჭარბა ჭარბოს, ყმუხს და ეს მე ვარ თითქოს“.

შობილისაღმე მიხანწერი ბარათიდან:

„დღეს ჩემს ამხანაგებში ვსაუბრობდი სახლ-
ზე — იმაზე, რაც დამარჩა. რაც, ვინ იცის გან-
მეორდება ჩვეთვის თუ არა. მე არ მიყვარს
მიმავალზე საუბარი, წინათ ფიქრი მიყვარდა
მომავალზე... მო, მე ვცხოვრობ ჭარისკაცულად.
ტყეში. მიწურში. წარსულის ყველა თვისებები
იქ, მადლა დარჩენ. მიწურში წარმოიშენენ
ახალი, უდნაურნი თქვეთვის და ყველასთვის,
ვინც არ იცის, რას ნიშნავს ფრონტი.“

მაგრამ ხანდახან ბავშვის თვისებები, უყვარ
რომ ვთქვა: განცდები — მოვლენ. მომეფერე-
ლიან. თვალწინ ცოცხლებიან ნაცნობი პეიზა-
ჟები და ცოცხალი სურათები, ასე რომ ჩასუ-
ლდი სულში, გაუყნიათ ის, დამკვიდრებულან
სამუდამოდ მაგრამ მე ხანდახან.

უფრო ხშირად მე ვარ ახალი, მტიკიე იმედ-
ბით, გამარჯვების რწმენით სავსე, ამტანი და
მოუბრელი. მაშინ ყველაფერი, რაც იყო —
პატარაგებმა და რჩება წარსულში. როგორც
ჩემი უსაშინლესად ხანმოკლე ბავშვობა. ზოგ-
ჯერ ვფიქრობ და ვერ გამიგია: რად იყო ჩემი
ცხოვრება თითქოს უბავშვო. მე ისე ცოტა ხანს
ვიყავი პატარა“...

— მდაა! — ამბობს სიწოვი იმ ტონით, თით-
ქო ყველაფერი გაგავს და ძალიან მოსწონებო-
დეს, — მაგარია, ძმავა!

პაუზა,

— შენ? შენ არაფერს მისურვებ, გურვინი?
— მე? როგორ არა... მე... — გურვინი და-
ინა და ხელები უმწეოდ გამაღა, როგორ არ
გისურვებ, ძვირფასო... მიიდა, რომ კარგად იყო,
გაუძლო ამ საზიზღარ ომს... მე მიიდა, ყველა
კარგად იყო... აღმიანებს უყვარდეთ ერთმა-
ნეთი... დღერთო ჩემო, სულ არ ვიცი ლაპარაკი,
ჭობია დაუყვარავ!

ვილინო აიღო, შევლთან მიიშარჯვა და ხე-
ლით ფრთხილად შევიხა სიმებს.

— რა დავუწერა?

— რამე მხიარული, გულს რომ მოეპილოს
მხიარულიო? და გურვინი დასცხებს ცეცხ-
ლოვან „ჩარდას“. სიწოვი მაშინვე წამოხტა, რა-
ღაც უცნაური ილეთების კეთება დაიწყო. ამჟ-
ვა ვაუტოცე... მირჩა უყურებდა მათ, უყურებდა
და რატომღაც ახსენებოდა, ჭერ კიდეც სიმა-
წვილის უამს, „ელტრემერდში“ ამოკითხული:
„მარტში დაბადებული უქმად არ გაატარებს
დროს, უყვარება ხწავლა, უმეტესად საომარი.
იქნება ზოგჯერ საწყლად, ზოგჯერ მიღწერიად.
აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარე მისთვის
იღლინია, დასავლეთისა — არც ისე, ჩრდი-
ლოეთისა — საშინაო“. აჰა, ოცდაშვიდი წელიც
ვასულდა... რა მოიტანა ამქვეყნად მისმა არსე-
ბობამ? ვის რა შესძინა, ვის რა მალამო წაც-
ხი? რაღაც ერთი-ორი ლექსი კი დასწერა, მაგ-
რამ საქმე იყო ვითომ ეს? ათასწერი უკეთესს,
ათასჯერ უფრო ნამდვილის დასაწერად ერი-
ოდა გული, მაგრამ კაცობრიული ხინდისი და ხი-
ყვარული, თერთი ქალწული, ბინძურ მაკილს
პუვდა დატყვევებული და უპირველეს ყოვლი-
სა, მისი გამოსხნა იყო საჭირო, თუღაც საყ-
თარი სიცოცხლის ფასად. მარტში დაბადებუ-
ლისათვის ჩრდილოეთი საშინაო. „ჩრდილოეთის
უფროსილი, შვილი“, — მოპიკოდა ჰალარა
დედა, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა ყველა გზა-
ბილიკი ჩრდილოეთზე გადიოდა ნება-უნებლი-
ეთ... ოცდაშვიდი წელი გასულა... და მირჩა
ცხრაჯარის ციხე იყო თითქოს, ციხე, რომელიც
უსმო არჩილებთან ლაციცს მოუნდა. თითო
ლოლის მოწყვეტა ქონგურადან თითო იმედის
დაკარგავს უფროდა მისთვის და ჩუმად, მტკიე-
ნეულად ოხრავდა... მო, მართლაც ცხრაჯარის
პუვდა ოცდაშვიდი წლის მირჩა! რა ზუსტად
დაუწერია ოდესღაც, შორეულ სიმაწვილეში:
„მაგრამ ნელ-ნელა შევიგენ თითქოს, ძნელია
უსმო არჩილებს მიმუყე, ყოველდღე ლოდი-
ცვიოდა თითო და მტკიენეულად ოხრავდა ცი-
ხე“... დმერთო, აწი მაინც ამორე ცხრაჯარის
ლოდების ცვენა ქონგურებიდან და ნალოლია-
ვები იმედების კარგვა. აწი მაინც!...

ამჯერი ვახლდათ ლიტენანტ მირჩა გელო-
ვანის დაბადების დღე 1944 წლის 2 მარტს, ბე-
ლორუსიის მიწაზე და ომის პირობებში უკე-
თესს ალბათ ვერც ინატრებდა კაცი, მაგრამ აო,
გახურებული ცეცვისა და ფუნდრუკის უამს, მო-
ულოდნულად, მეცავშირე შემოდის მიწურში,
მირჩას გამოეკიშება და მოახსენებს: კაპიტანი
სიბოლი დაუყნეველი ვისმობხო.

ვილინო დადუმდა. გურვინიმა სათუთად შე-
მოახვია შალითა, კუთხეში მიიყუდა და ყველას
გასაგონად განაცხადა:

— ეს ჩემი უკანასკნელი დეკრია, ბატონებო!
ამ სიტყვებისათვის მაშინ არავის მიუქცევია

ურთაღება, მერმელა შოიგონეს, მერმე, როცა აღმოჩნდა, რომ მართალი უთქვამს გურჯინს.

მიწურში ხანთლის აღი თრთის. ვაწეთგადაფარებულ მაგიდაზე კაპიტანი სობოლი დახრილა, რუკას ჩააქურტებს. ადრეტანტი თუნუქის ლუმელთან მიმჭდარა და ავტომატის წმინდითაა გარსულანი. შემოდის მირზა.

— ამხანაგო კაპიტანო, გამოეცხადი თქვენი ბრძანებით!

კაპიტანი უძილო, შესიებული თვალებით ავირდებდა მოსულს. სინჩემე.

— კო, კარგი, თავისუფლად. მოდი, დაჭეკი. — კაპიტანს დაღლილი ხმა აქვს, — დაჭეკი, შვილო.

ამ „შვილომ“ და საერთოდ აღერსიანმა ტონმა, მირზას აგრძნობინა, რომ რაღაც უჩვეულო, სერიოზული და სახიფათო დავალება მოელოდა. არც შემცდარა. საჭირო იყო მტრის მოტყუება, მისი უურადლების გაფანტვა, რათა გათენებისას საყოველთაო შეტევა დაწყებულიყო. ამიტომ ოცეული გადავიდის დანადგმულ ველს, გადასერავს ხევს, მარჯნიდან მოვლის მადლობას, რომელიც გამაგრებულია მტრის მეთაობატიებითა და ტყვიამფრქვევებით და სროლას ატეხავს, მტერს ბრძოლაში გამოიწვევს, ხოლო როცა მთლიანად მიიჭებავს მის უურადლებას, აი, მაშინ დაიწყება დიდი შეტევა. ერთი სიტყვით, პირველად მირზას ოცეულმა უნდა შეუსწავროს ციციხის წვიმას თავი.

გარეთ თოვლია, ქარი და ყინვა. გუშაგები დააბიჯებენ დამეში წინ და უჯან, იორთქლავენ ხელებს, აბაკუნებენ ფეხებს. პატრულები ზეცარავენ გზას, რომელიც მოდის ტყიდან. ვიღაც ფარაჯის სახელოში მალულად იწევა წიკოს. გარეთ თოვლია, ქარი, ყინვა და მებრძოლები. ისინი წვანან მეწინავე ხაზზე, შეჩვეული თვალით უთვალთვალებენ მტრის ბლინდაეებს, ავირდებიან ლანდებს, რომლებიც ხანგამოშვებით გადაბრბან თოვლზე.

კაპიტანმა დამთავრა. მირზა ადგა.

— ნება მომეცით, შევასრულო ბრძანება! კაპიტანი კვლავ ჩაციებით უფურებს მირზას, მერმე თვითონაც დგება, უახლოვდება და მაგრად ართმევს ხელს. ერთი წამი, როგორც მძიმე ლოდი, ისე დააწვა გულს.

— აბა თქვენ იცით, შვილებო. გისურვებთ წარმატებას!

მეტო არაფერი. მირზა გავიდა. მთვარე გამოფარა დრუბლებიდან, გადაიარა ტყეზე და ჩრდილები ჩამოყარა. ქარი ქრის, თოვლს ხვეტს და ცრის ბუნჩებში შვრალ, ცივ ფიფქებს. ისე ხმაურობს, თითქოს ხმელ ფოთლებზე დადის ვინმეო. შრიალებს, ციციქინებს, გაყინული, წვრილი ფიფქი. მირზამ ოცეული ამოხინა ვაუტს.

რაკეტის ბურთი აჯარდა შაღლა, მერმე ერთ-

ბაშად დაქანდა, სიკვდილისფრად გაანათა თოვლიანი მიწა და შიშველი ხეები და ჭერ დაცემულიც არ იყო, რომ მალღობიდან ბუგედ ყრუდ, თითქო გამოქვამულში ისვრიანო, მოისმა ავტომატის ტა, ტა, ტა... მტრის ძლიერი ციციხლი დააცხრა მარჯვენა ფლანგზე ჩაწოლილი ოცეული. ნაღმსატყორცნები ზუიან, წივიან, სკდებიან... აირია ყველაფერი და ამ ჭოჭობთურთი სროლის დროს რა ხდებდა, არავინ იცის, არც რამის გარჩევა შეიძლება...

ბოლოს, როგორც იქნა, გაისმა შეტევაზე გადახულთა ყიფინა და ოცეულმა შევებით ამოისუნთქა.

ინათა, თოფის წამლის კვამლი წაიღო ქარმა. აღარ ისმის სროლა. მალღობი დაკავებულია. პირველი დახმარების გასაწევ პუნქტზე მოყვადების დამ მოყვანა დაჭრილი. ქალი ძლივს სუნთქავს, ოფლი წურწურით ჩამოსდის სახეზე. ხოლო დაჭრილი მის ზურგზე მომკვდარა. დააწვენს. სათვალის ცალი შუშა ჩამხხვრევი და უყურებს მღვრიე ცას ღია, გაციებული თვალებით. მოაშორეს სათვალე. თვალები დაუხუტეს.

— ეს ჩემი უჯანსკნელი დაკვრაა, ბატონებო! მოლასლასდა გატალახიანებულია, სისხლში ამოხვრილი მირზა. ადამიანის სახე აღარ ადევს. თვალების მაგივრად კეთის ნატებები უწყვავა, წარბშეკვრით დახედავს გურჯინს. „ყოველდღე ლოდი ცვიოდა თითო და მტკივნეულად ოხრავდა ციხე“..

მეტო არაფერი..

მებრძოლები უხმოდ მუშაობენ. ნიადაგი გაყინულია და ქვიანი, არ ემორჩილება ხარს. ვიღაცამ მოიტანა ტანსაწინააღმდეგო ყუმბარა, ააფეთქა, ბუჩქი შეტრიალდა მათში და დავიცა გვერტში. ისევ აფეთქდა. სამეო საფლავი შხადაა. ისმის სამჭერ გასროლა ნაღმსატყორცნიდან. სამჭერ — ავტომატიდან. ქვიანი, თოვლიანი მიწა აცვივით გულზე სამეო საფლავში მწოლიარეთ.

— ეს ჩემი უჯანსკნელი დაკვრაა, ბატონებო! — ჩუმიად ამბობს არონ გურჯინი, ვიოლინის შაღლითაში ინახავს, კუთხეში მიაყუდლებს და მიდის, მაგრამ ვიდრე წაიფილოდეს, უჯანსკნელ ლექს ერწრწულდება მირზას:

„თოვლი მივოდა, ო, არა თეთრი, სულ სხვა-ნაირი თოვლი მივოდა. მგონია მოხვად, შენ მოხვად ერთი და თოვლის სპეტაკ კუბოს მომიტან, დამმარხე თოვლში, დამმარხე ქარში, თორემ მომბურღა მიწა ბორბოტი. იჩქარე ვიდრე თოვლივით წაეშლი შენზე ფიქრებს და შენზე მოდლოდინს. წახედო რტონის, ბრუნდები რო-

თეიმურაზ მალღაფარიძე





დის— დამწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი, ჩემ-
კენ, ო, ჩქარა, გზაც აქეთ მოდის — თოვლი,
თოვლი, თოვლი... მათოვდა წუხელ, ავად ვარ
ახლა და თვალზე ბინდი ჩამორბეულა, ამდენი
ვნება, ამდენი დაღლა სად ღაბიგოს ჩვილმა
სხეულმა! თოვლი მოსულა. რომელ მხარეში,

სად გიღამდება ღლე თოვლნარევი, დავრჩი მზისა
და თოვლის გარეშე, ამ თოვლზე უფრო ნამტი-
რალევი. წახვედი როდის, ბრუნდები როდის
— დამწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი... წამოდა
ჩემთან, გზაც აქეთ მოდის — თოვლი, თოვლი,
თოვლი!...

ინტერლუდია

თავდაცვით შეატყობდი, ძვირფასო მკითხვე-
ლო: წიგნი, რომელიც ხელთ გიპყრია, დასას-
რულისკენა მიდრეკილი. ერთი, მეტორმეტ
თავი და ეპილოგი დამარჯ დასაწერი. იმ თავ-
ში, ცხადია, მირზას ცხოვრების ბოლი დღე-
ზე იქნება საუბარი. მერმე ეპილოგიც და,
შრომა აღმათ შეიძლება დამთავრებულადაც
ჩაითვალოს. წიგნის ავტორის, ზადისა თუ ლი-
რსების ამწონ-დამწონი შენა ბრძანდება, მკითხ-
ველო, მაგ საქმეში, შე უფლებაც რომ მკონ-
დეს, როგორ ვიკადრებ ჩარევასა და ჩაზიარე-
ბას, წიგნი შენთვის დაიწერა და მსაჯულიც
შენა ხარ. შე აქ, ვიდრე ბოლო წერტილი და-
მისვამს, სხვა რამე მინდა ვაუწყო!

საქმე ის გახლავთ, რომ სრულიად მოულო-
დნელად, ჩემთვის ცნობილი შეიქმნა მწერალ-
ნიკოლოზ მიქავეს მოგონებანი, სადაც მირზას
რამდენიმე, უადრესად საგულისხმო პირადი
წერილია ჩართული.

და უნდა ითქვას პირდაპირ: მისი პირადი
ბარათებიდან მხოლოდ ეს ბუთიოდე რომ შე-
მოგვჩინოდა, მაინც შესაძლებელი იქნე-
ბოდა მოგვეხაზა მკვეთრი პოეზიული პოე-
ტიკა და მეომრისა, ადამიანისა, რომელიც უა-
დრესი ძნელბედობის ტაშ „იქ, სადაც სხვები
ქვებს დაემსგავსენ“, ინარჩუნებს „ხომალდს
თავისას“. ამ ბარათებში ისევე თრთის და
ცახცახებს უკიდურესად დაჭიმული ნერვი პო-
ეტისა, როგორც მისხავე ლექსებში. ხოლო
ზოგ წერილში ეს თართოვანა ნამდვილ ტრაგი-
ზამედ მიდის.

ბარათებში, შეკუმშული სახით ომის მთელი
მდინარეებია წარმოადგენილი. აქა მოსკოვის
დაცვის უზარმაზარი ეპოპეის მოკლე, მაგრამ
სულის შემძვრელი გადმოცემა (სხვათა შორის,
წინა თავში შე ვწერდი: სავარაუდოა, მირზა
მოსკოვსაც იცავდა-მეთქი. იცავდაო? ქვე-
მოზე წერილით მკითხველი დარწმუნდება,
რამდენად სალუძვლიანი ყოფილა ეს ვარაუ-
დი). აქა ქართული კაცის გამთავადი შიში
იმის გამო, ვაითუ ჭაღარა კავასიონი გადათე-
ლოსო მტერმა და ამაუი რწმენა, რომ ეს არ
მოხდება არასოდეს! აქა სიხარული ომში სა-
ბოლოო გარდატეხით გამოწვეული... აქა ძალ-

გულოვანი, რანდით პოეტი... თუმცა, ჭობს
თოვად დარწმუნდეთ:

„უზივარ სანგარში და ვწერ წერილს. სიცი-
ვეხაც კი არ ვგრძნობ და საერთოდ არა-
ფერს არ ვგრძნობ... წარსული წლის შემო-
დგომასად ჩვენი ნაწილები უკან იხევდნენ...
და აი: მალაიაროსლავეცში გავლისას მე ვნა-
ხე: ყუმბარის ძალას მავთულეზზედ შეეგდო
კაცი. კაცი ეკიდა მავთულეზზედ და არავის
მოსდიოდა აზრად ჩამოეხსნა, მიწაზე დაედგა
მისი ჰაერში ნაწამები. ჰაერში გაციებული ვვა-
ნი. პისტოლეტის მეხსად გასროლით გავწყვი-
ტე ერთი მავთული და ის ჩამოვარდა...“

და ვიხვედით უკან — მოსკოვისაკენ... მივდი-
ოდით თავჩალუნულნი, გაფთრებულნი ყვე-
ლა ჩვენთაგანის თვალეში იქდა მრისხანება
და თავმოყვარეობის ძალაუნებური შელახვა.
ჩვენ მივდიოდით, მაგრამ ეს არ იყო ბრძო-
ლიდან გაქცევა — გატენილის, დამარცხებუ-
ლის... ეს იყო უკან დახევა ვეფხის, რომე-
ლიც ეშმადება ნახტომისათვის და როცა ვუც-
ქტროდი მათ, ჩემს შილიონ ამხანაგებს და თა-
ნამებრძოლებს, თვალეხს, რომელთა მრისხანე
ალიც მეტყველებდა უდღეს რწმენაზედ —
გამარჯვებაზედ, შე მაწვევოდა სურვილი მთე-
ლი ქვეყნის გასაჯონად მიყვირავ:

— Бергис, Европа!
ერთ ნისლიან, ცივ დღეს, როცა პირველი
თოვლის ფიფქები ძლივს მიარდევდნენ უმში-
მეს ჰაერს, შე შევხვდი ზარკოველ ნაცრობ კა-
პიტანს, პავლენკოს. ის ამოვიდა ტანვიდან,
შემნიშნავ:

— როგორ ცხოვრობ, გელოვანი?
— იხე... როგორც ყველანი!
იღამებოდა. მიკვირს ეს დიმილი. მისი ფარ-
თო მხრები რატომღაც ირხევა. მხარზე ხელს
მარტყამს. თითქმის ჩურჩულით ამბობს:
— არაფერი! ცოტაც მოიცადე და ნახავ!

ნისლიანი ღლე ცრიდა თოვლს და მისი კო-
ლონა ეფარებოდა მოსახვევს. გრუხუნებდნენ,
გუგუნებდნენ ღოლაღის ტანკები და რაც
უფრო შორიდა, მით უფრო მეტის დაჭერე-
ბით იჭრებოდა ჩემს გულში ფოლაღის ხმაუ-
რი, როგორც გამარჯვების მალწყებელი ხმა.
მოსკოვი — გული ქვეყნის. ყველა მოსახე-
ლელში ვთხრიდით სანგრებს, ვაწენებდით
ბლინდაუებს. ვნადმავდით მინდვრებს. აქა-იქ

1 „მნათობი“, 1965, № 5, 6. მიქავე, „პოეტის
უკვდავება“.



სახლის სახურავებზე იყო შენიღბული სახენი-
ტო ტუყამფრქვევები. აღმდგარიყო ეს უშვე-
ლებელი ქალაქი და ენადადობდა თავდაცვისათ-
ვის და მე მერგო წილად ვყოფილიყავი ამ ქა-
ლიის დაცვის მონაწილე და მეომარი. ნე მერგო
წილად მშვენიერი ხედვით მებრძოლია. მტერი
ძალიან ახლოს იყო. ლენინგრადის მოსხე-
თიქმის ბიჭვამდე მიადნია მტერმა და აქ, მოს-
კვის კარიბჭესთან აიბარათ ჩვენი შრისანე
თავანწირვა, როგორც არღანებების გარდუ-
ვალი კედელი. და შეერთა მტერი, გაბრუნდა
დასავლეთით. უწესრიგოდ მიჰყვებოდა დასა-
ვლს და ჩვენ მივდევდით მას, როგორც ნა-
ღირს — დაჭრილსა და გაყოფებულს.

ღმირიების, ეოლოკალამსკის, სერპუხო-
ვის, ვარშავის, მინსკის გზებზე კვლავ გაიღ-
ვეს ჩვენი ცხენების ფოლადის ნალებმა, კვლავ
ვიპოვნეთ ჩვენი შემტვეი ბმა და გაზაუ-
ხუდამდე უკველ მტერზე ეყარნენ ისინი —
დასაპრობად მოსული გადამითლები. ეყარ-
ნენ და მათი ცივი თვალების უაზრო მწეხ-
ვე ვასუსობდი: — „უკველა, როგორც ერთი!“
ახე თხოულობს ჩვენი დანგრეული ქალაქე-
ბი, დამწვარი სოფლების სირუფე. — კაპიტანო
პავლენკო! მე ვნახე!“..

ეს წერილი, ხედვის სიწესტიათა და ტრუან-
ტლის მომგერელი ემოციურობათ, ერთი კარ-
გა ნოველის ტოლფასი გახლავთ. თუნდაც შა-
ვთულუბზე გადაკიდული მკვდარი და პისტო-
ლეტის მესამე გასროლით მისი ჩამოგდება რა-
და ღირს...

ახლა მეორე ბარათი:
„ზამთარი მოვიდა ჩრდილოეთიდან. შეთე-
თდნენ, შეღამაზდნენ მწვანე ნაძვის ხეები.
უხილავი ხელი საითუთად სწყვეტს თოვლის
ფოჭებს და ისვრის სწორედ ის, როგორც
მე მწვევდა ბრისანტემების ფერცვლა.

როგორ მიუვარდა თეთრი ხრისანტემები და
ყვითელი ღლები შემოდგომის! ხშირად
ტუის გუბებს აუოლილი, ვუცდილი შეღამებას,
რომ მიეკირა უღამაზესი სანახაობისათვის —
მთები რომ ბაცდებიან მზის სხივებდამრეტლი-
ნი, იხვევენ ზეწარს გაუშვივრავლს. ბინდი იწ-
ყება ხის ფესვებიდან, თითქოს მიწიდან ამო-
დის ბინდი, შეყვება სიმაღლეს, როგორც უს-
ურავაწი, როგორც ფიქრი მისმე და ძნელი, და
ტოტბქვეშე შაშვები ქაშახებენ, ტირიან
შეღამებას.

მიუვარდა მთები. ჩემი ბავშვობის ღამაზ
ოცნებას, როგორდაც თავისებურად ეწვიუნენ
ისინი... მომხატრებოდა — მერგმლო ტუბილი
ტუივლი მთებისგან განშორებისა. თბილისის
ქუჩებში მოხეტიალეს, მაწუნებდა განცდა
მთის და გაურკვეველობის, მკარამ ეს არ იყო
ის, რასაც ახლა განვიცდი.

მეგობრებო, სიყვარული და ნათელი პოე-
ზია ავსებდა ჩემს ხულს, ოღონდ ესაა არ მე-

გონა, თუ ასე მვირფასი იყავით: მოხუცი ქა-
ლებთანგანი მთები და თქვენ, ჩემი მეგობრე-
ბი.

ახლა განსაცდელი მიადგა მათ, ჩემს მოხუ-
ცებს. ზოგჯერ წარმოვიდგენს ჩემი ორეული
დადის მთებში და მას, ქალმენბიან ბიჭს, ელის
განსაცდელი: მტერი მოსდგომია კავკასიონის
მთებს და ცდლობს მოხაროს ცადასული თე-
თრი მწვერვალები... მოხაროს ისინი და დას-
ციონოს სისხტაკეს მათსას.

მე მოხუცი დედა მუყავს მთებში. ის აღერსით
მზრდიდა მოშავალ მომარს. ის ომში დახლეს
მომზადებდა თბილ ხელოთამნებს — წალებტა-
ნში, თუშეთში, მთიან სამეგრელოში... ის უო-
ვილდედე, უოველდამე ფიქრობს ჩენზე და
მტრის განადგურებაზე. ყველა სახლში, ყველა
ოდაში ღოცულობს ჩემი ჭამრთელოისსათვის,
ის დასცქერის ნაპირემოსირმულ არაგვს და
მიგონებს მე — ბელმოუცარავ მოთეწავეს.
ის შესცქერის თოვლით შეთერებულ მთებს
და მიგონებს უებრო მონადირეს... მისი დამქ-
ნარი ბაგები რურჩულენენ ჩემს სახელს...
დედარემი საფრთხეშია...

მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს!
სატრფო მელოდება მთებში, ჩემი სიყვარუ-
ლი მელოდება. ის მუშაობს ჩემს მაგივრად.
დაკოტდენ მისი ნაწი თითები. ის იმედით მე-
ლოდება და უნდა მნახოს გამარჯვებული, სა-
ხემოციანარი. ის სირუმეში რურჩულებს ჩემს
ამაუ სახელს და მელოდება... სიყვარული მე-
ლოდება მთაში... ჩემი სიყვარული საფრთხე-
შია...

მტერი მოსდგომია კავკასიონს!
ასეული წლების წინათ, ომით მობრუნებუ-
ლი ჩემი წინაპარი აწუნებდა ვარძიას, სიონს,
მცხეთას, ალავერდს. შალალ მთაზე ზურგით
აქონდა მძიმე ღოლები და ჰქმნიდა ტაძრებს
კედლებმოზატულს. ის დაჭდა ამ ტაძრებში,
სწერდა „ვეფხისტუაოსანს“, „სიბრძნე სიცრუ-
ისას“... სწერდა, ჰქმნიდა და მე შიტოვებდა
საამაუად. პაპაჩემის სახლი, პაპაჩემის ნაამა-
გარი საფრთხეშია ახლა.

მტერი მოსდგომია მთებს კავკასიონის!
მკარამ, როგორ შეიძლება უაზბეგის მოხრაწ
არ იცის მან ეს ჩამბაზობა, იგი პირდაპირია
და სპეტაკი, ცადამართული, იწყება თეთრი
მწვერვალებიდან და მიწიერმა ვერ მოხაროს
მისი ბერხემალი!“

მესამე წერილი ნამდვილი ჰიმნია გამარჯე-
ბის ურყეოდ რწმენისა და მტციე ქარისკაცუ-
რი მეგობრობისა.

...მე დღეს მოშავონდა შენი სიყვარელი
აფხაზური ანღაზა, — მეგობრობას, როგორც

თეიმურაზ მაღლაფირიძე
ცხრაპარბა



ხანჯალს, ორი ზასრი აქვს და მას მტერი ვერ მიეკრებაო“. რომ იცოდეთ, რა მრავლადა მყავს მე ახლა მეგობრები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები... და ჩვენი მეგობრობა სწორედ იმ ხანჯალსა ჰგავს... აბა, გაბედოს მტერმა, მოგვახლოვდეს!

დღეს ჩვენ განსაკუთრებული დღე დაგვიდგა, ჩემო მეგობრებო, დავიწყეთ მტრის განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან. და მას, ვისაც თუნდაც ერთხელ წარმოუდგენია დიდიდა სხვაენის ცადაზიდული მყინვარების, ჩემი საქართველოს მწვანე მინდვრების სილამაზე, ვინც ბავშვობიდანვე აღტაცებული იყო „მეფე-ხისტყაოსნის“ რაიდეული სულით, ვინც გაიფლინდა ლერმონტოვის პოეზიის სევდით, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც იყო დატყვევებული ჩაიკოვსკის მუსიკით, — ჩემთან ერთად ასწიოს თანხი ჩვენი გამარჯვებისა...

ჩვენ ყველანი, აი, ეს ბიჭები ომში დაგვახლოვა, ასეთი მეგობრობა კი მუდამ მტრის საფუძველზეა დამყარებული, იგი არამც და არამც არა ჰგავს მშენებელ სოლნისის კიბებს... სხვათა შორის, იხსენის სიტყვები მომაგონდა; „რაც უნდა ზნელი იყოს ღამე, მას შეცვლის მუდამ მზიანი დღი“.

აი, ღმერთმანი, მოვიდა იგი, მზიანი დღი და მივლინდა მე შეგვდებით მეგობრებო!

და ბოლოს, კიდევ ერთი ბარათი:

„გახსოვს, როგორი ვიყავი მე? ერთხელ მაქნაოთ სადგურისაკენ მივდიოდი. იყო დღე გაფითრებული, წყნარი, როგორც ნამტირადევი ბავშვის თვალები. მარჯვნივ შავი ზღვა და ცის დასავალი. მალაი სიმინდები ჩურჩულდებდნენ აფხაზურ ახლებში, არ ვიცი რისთვის, მალუხებდა რაღაც და შენ მშურად მკითხავდი რატომ გაფითრდი... ნეტა შემგვდებოდე ახლა, მეგობარო, ვეღარ მიცნობდი! ომმა განკურნა ჩემი ნერვები და მოვიტოვე, როგორი ვიყავი გუშინ. ჩემს ლექსებს სინაზე აწუხებდა. მე მჩვეოდა წყნარი ღიმილი. ახლა გადავიჩვიე ღიმილს და მხოლოდ მაშინ, როცა მტერი გარბის ჩვენი ცეცხლის ქვეშ, როცა მათი გვამების ცივი გამოხედვა მხედება წინ მიმავალს, ვიცი: ჩემს ბავშვედ დარბის ღიმილი: ღიმილი კაცის, რომელიც გააშმაგა შურისძიების წუთ-რვილმა!

ამბობენ „ძმა“ მე არ ვიცი რა არის „ძმა“. ძმა ის არის, დაჭრალს რომ მომიფერება, მკლავს შემხივებს და შენი ხისხლის წვეთებისათვის დაღვრის მტრის ხისხლს.

ხისხლი და ზორცი ის არის, დადლილს რომ მოგაჭდება გვერდით, გიამბობს საკუთარ ოცნებაზე, გამარჯვება რომ უქსოვს რწმენას.

ძმა ის არის, ვაწინებს რომ ვინაღობს თავაუხრელი ან კაბინეტში ჩაკეტილი მუშაობის სინჯავს ჭაფუნის სიმარგებს, იგონებს იარაღს, რათა ჩვენ მოგვაწოდოს. ძმა ის არის, ჩვენი გამარჯვება რომ სწამს...

ახლა ღამეა. მიწურ ქოხში, ნამტევა სინათლის შუქზე გვირ ან წერილს და მინდა ჩემი სიტყვა მისწვდეს ჩემს მთებს — ჩემს მეგობრებს: მინდა უველას, ვის გულშიც სცემს სიცოცხლე, დადავდას ზიზღი მტრისადმი, რომელიც ასე მწვავს მე.

მე შორს ვარ მთებიდან. მაგრამ თუ აქ, რუსეთის თოვლიან ველებში მომხვედბა მტრის აშარი ტყვია, დაე, იცოდეს მთამ, მე მას ვაცავდი აქ!

თქვენ გესმით ჩემი ძახილი, მეგობრებო? იარაღი, მხოლოდ იარაღი! სიკვდილი მტერს, ვიდრე მას არ მოუვლავართ. სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს, ცეცხლითა და მხვილით დასანგრევად მოსულთ! სიკვდილი ფაშისტებს!

აი, ასეთი გახლავთ ბარათები, ნიკოლოზ მიქაეის მცირე მოგონებაში რომაა ჩართული და უმთაობა დიდად მოაკლდებოდა ამ წიგნს. მადლობა პატივცემულ მწერალს, მეგობრის ხსოვნის სათუთად შენახვისათვის და, რაც მათავარია, მადლობა, რომ ეს ბარათები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა...

აქვე ვხარგებლობ შემთხვევით და მივმართავ უველას, ვისაც ნებით თუ უნებლიეთ ამ წიგნის გადაკითხვა მოუწევს და ვისთვისაც ძვირფასია მირზას სახელი:

სულაც არ არის გამორიცხული, რომ პოეტის პირადი ბარათები დღესაც საქაშად იყოს დაცული სხვადასხვა პართა არქივებში (ასევე შეიძლება ითქვას ეტიკეტზეც). იქნებ ზოგი მთავანი ზედმეტად ინტიმურ იერს ატარებდეს და აღრეხას, ბუნებრივია, მივრიდოს მათი საქაროდ გამოტანა, მაგრამ მირზა გელოვანი კარგა ხანია ისტორიის ბინადარი გახლავთ, თანაც, სახელგანთი ისტორიისა და ამიტომ ძალზე სასურველი იქნებოდა, რომ ყველაფერი, წვირლმანიცა და მსხვილმანიც, ინტიმურიცა და საზოგადოებრივიც, გვეოდნოდა მის შესახებ, რათა შთამომავლობისთვის გაუზუნარი ფერებით გადაგვეცვა ამ მზიური ქაბუციის სახე. უცნობი ბარათებისა და ლექსების მზის სინათლზე გამოტანა აუცილებელი, საშური საქმეა და იმედი მაქვს, ჩემი ეს თხოვნა, თუ მოწოდება, არ დარჩება „ხმად მალაღდებლისა“...

და კიდევ: მირზას პოეტურ და ეპისტოლარულ შემკვიდრებაზე მუშაობამ დამარწმუნა, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება მისი ნაწერების მე-

ენიერული, ტექსტოლოგიურად გაჩაღებული ვა-
მოცუბა. ძალზე ხშირად შეუსაბამოა ხელნა-
წერ და დასტამბულ ტექსტებს შორის, დამა-
ხინჭებელია აზრი, არაფელია სტილიონები, ხში-
რია გაუმართლებელი კუპირები, დაუდგენე-

ლია ლექსებისა და წერილების დათარღვევა
ნი და სხვა. ერთი სიტყვით, ქაოსი წეიშობს
მირწა გელოვანი ლიტერატურის ისტორიის კუ-
თენილდება ვახლათ და ეჭვი არაა, მტ უ-
რადღებნაც იმსახურებს.

თავი მეთორმეტი

1.
დაჯგა აპრილი, უკანასკნელი აპრილი მი-
რწას ცხოვრებისა. გაიღლის სულ რაღაც ხა-
ში თვე და იგი დაიღუპება დასავლეთ დეი-
ნის გადაღებისას, ბელორუსიაში, მაგრამ მა-
ნაწილ სპი თვეა, სპი უგრძესი და უმოკ-
ლესი თვე. რა ხდება ამ დროს ფრონტზე?
მთავარ ბანაკში და გენშტაბში მუშავდება
უზარმაზარი მასშტაბის ოპერაცია „ბაგრატი-
ონი“, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა მი-
წაწყლის მთლიანად გაწმენდას ფაშისტებისა-
ვან და საომარი მოქმედების მტრის ტერო-
ტორიაზე გადატანას. სადაცაა გაიხსნება ქრი-
სტეს პერანგადეცეფული მეორე ფრონტი, ამე-
რიკა და ინგლისი ჯარებს გადასხამენ იტა-
ლიასა და ჩრდილო საფრანგეთში და ეს კი-
დედ უფრო დაჩქარებს ნაცისტების საბოლოო
კრახს. მთელს საბჭოეთში, ომშიც და ზურ-
გშიც, აწეული, ხალხიანი ვანწყობილება
სუფიქსი. ადამიანები ცხადად გრძნობდენ,
რომ ახლოვდებოდა სასუცავარი დასასრული
და ენაქავიანუხის მშვენიერი ფილმის სათა-
ურისა არ იყოს, „სიკვდილი არავის უნდა“.

ამ დროს, მოულოდნელად, უფროსი ლეიტენ-
ანტი მირწა გელოვანი ფრონტის წინა ხაზი-
დან მოხსნეს და მოსკოვში გაგზავნეს თვე-
ნახევარიანი მივლინებით. ახლა, ცხადია, შეუ-
ძლებელია დადგენა ამ მივლინების კონკრეტ-
ული მიზნისა და მიზნისა, მაგრამ, უწ-
რუფელი ცხოვრებისათვის რომ არავინ ვაუ-
შებდა იქ, ახა, ამას რა დიდი მიხვედრა უნ-
და! თუმცა, როგორც მთ აპრილით დათა-
რადებული წერილიდან ჩანს, არც უამისო-
ბა ყოფილა. წერილის ადრესატი რუსუდანი
გაბლავი:

„მივიღე შენი კარგი წერილი. გულში მთ-
ვსრული მოსკოვიდან და დამხვდა. მშვენიერ-
ად გაგატარე დრო მოსკოვში, ჩემ მოსკოველ
ამხანაგებთან ერთად დაელიე შენი სახელგერ-
ძელი და ჩვენების, ჩემო დამო. თვე-ნახევარი
დაჯავი იქ და საქმეთა შორის ვაპოლოდნი
დროს კინოსათვის, თეატრისათვის, წიგნი-
ბისათვის. ფრონტს ჩამოშორებამ საოცრად
იშქმედა ჩემზე: მოვიმატე, დავიკვენი. თუმცა
უწიოდ გადატვირთული ვიყავი და მოუ-
ცდელია.

მე მქონდა შეხალეობა მოსკოვში დარ-
ჩენისა, მაგრამ რატომღაც არ გადავწყვიტე
ეს და კვლავ ფრონტზე ვარ“.

ბოლო ფრაზა, მეტი რომ არ ვთქვით, უც-
ნაურია. დააკვირდით: „მქონდა დარჩენის სა-
შუალება, მაგრამ კვლავ ფრონტს მიაშურა
უწყოვნად. („არ გადავწყვიტე!“ — ისეთ
ტონითაა ნათქვამი, ყოველგვარ ორზაროვ-
ნებას გამორიცხავს. „არა!“ — და გათავდა)
კი, მაგრამ რატომ? უნდა ვივარაუდოთ. მის-
კოვში მის დატოვებას კონკრეტულად რომე-
ლიმე ხელმძღვანელი მუშაკი მოიწადინებდა.
იქნებ მან, ამ ხელმძღვანელმა მუშაკმა გაი-
გო, რომ პოეტი იყო მირწა და კვლავ წინა
ხაზზე გაგზავნა შედინა. თანაც, მაშინ უკვე
აღარ არსებობდა აუცილებლობა, რომ განუ-
რჩევლად ყველას იარაღისათვის მოეკლდა
ხელი, მტერი სულსა დაფავდა. შოდა, არ ღი-
რდა ამ ნუკრივით ყელადერებული ქაბუკის
როსიო ტუვისისათვის გამოხეტება. არც ის
არის გამორიცხული, რომ ზურგში დასჭირე-
ბოლათ მარჯვე, სახრიალი ოფიცერი, სწო-
რედ ასეთად ეცნოთ მირწა და ამიტომაც შეე-
თავაზებინათ დარჩენა. ძნელია რამის ვადა-
ქრით თქმა, ფაქტი კი ისაა, რომ მირწამ უა-
რი თქვა ზურგში დარჩენაზე, კვლავ ფრონტზე
წავიდა და სამ თვეში დაიღუპა კიდევ, გამო-
დის, შეგნებულად წავიდა სიკვდილზე, რამეთუ
მშვენიერად იცოდა: ფრონტი და სიკვდილი
ძმები არიან განუწყრელი.

რა ვიფიქროთ? რით ავხსნათ ეს უკველი-
ვი?

დავუშვათ ერთი წუთით, მირწა დარჩენა-
ზე დათანხმებულიყო, ამით მის ჯარისკაცურ
ხინდისსა და ზენობას ჩრიდლი მიადგებოდა?
მადალი ინსტანციები რანგით უმცროს ოფი-
ცერს სამსახურის გამოცვლას სთავაზობენ,
რაც მისი სიცოცხლის უსაფრთხოების სრულ
გარანტიას იძლევა... ვინ იტყვის ამაზე
უარს — შლიგის მეტი? და მაინც, მირწამ
უარი თქვა! მიუხედავად იმისა, რომ მხედრ-
ული ეთიკა არ შეებღალეობდა, სავსებით მარ-
ნათელი იქნებოდა საკუთარი ხინდისისა და
ამხანაგების წინაშეც. ეერავინ გამამტყუნებდა
— რატომ მოიქცევი ასე და არა სხვაგვარადო,
მაინც უარი თქვა ზურგში დარჩენაზე და
ფრონტს მიაშურა, რათა იქ მყოფ ამხანაგებ-
თან ერთად გაენაწილებინა ქირიცი, ლბინიცი,

თინიშარაზ მალლაფმირძე
ცხრაპარა

სიციცხლე და თვით სიკვდილიც კი, რათა გურჯინისა და მისთა მსგავსთა სისხლი აეღო, რათა ბოლომდე შეესრულებინა ის ფიცი, ჭირ კიდევ თბილისში რომ დახლო საქუთარის თავის წინაშე: ხანამ პირში სული ეღვა ებრძოლა თეთრი ქალწულის, სიყვარულის, სიკეთისა და სათნოების სიმბოლოს, ურჯუი მაცილის ხელიდან გამოხსნისათვის.

ფრონტზე დაბრუნება, ბრძოლის ველის არმიტოვება, ის პატროსანი, რაინდული, დაუძაღებელი იძულება გახლდათ, რომელიც ოდი-თგანვე მოსდგამდა ქართველ ერს და რაც ასე დანაშაულებრივ დაფორმულეს რუსთველიზმა და ვაჟა-ფშაველამ: „მე ფეი ვარ, ვინ სიციცხლე-ღეს არად აგდებს კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“. ან კიდევ: „მტრის ჭაჭრის ეღვას ლოგინი, მტრის ჭაჭრი სახნად მფარავდეს. იქ იდგეს მზადმოწყვდილი, საც ძალა აღ-ზართს ჰკვალავდეს, დაბერავებულს სიმართ-ლეს უსამართლობა სძალავდეს. სხვისა იუნწის სახელი, თავის გარჯასა მძალავდეს“.

„კიი უმისი“ ამ ეთიკით, ამ ზნეობრივი იდეა-ლიებით იყო გაზრდილი და დაუფუძვლებული მირზა და სწორედ ამიტომ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, უტყვევლად დაუბრუნდებოდა ფრონტს. სიყვდილი ერჩია, ნაშღვლილად ერჩია „თავის ჭამში ცერას და საქვეყნოდ არ-ცროს გაზოდგომას“.

ასე და მხოლოდ ასე უნდა გვესმოდეს მი-რზას თითქოსდა უცნაური ფრაზა: „მე მქონ-და შესაძლებლობა მოსკოვში დარჩენისა, მა-გრამ რატომღაც არ გადაწყვიტე ეს და კვლავ ფრონტზე ვარ“.

მაგრამ ვიდრე მისი ფრონტზე დაბრუნდებო-დეს, თვე-ნახევარი უნდა გაატაროს მოსკოვ-ში, თავადუღებლივ იშრომოს წმინდა წყლის სა-მხედრო საქმეებზე, იმის დროც მოიტკოვოს, რომ მიხედლოს „კინოს, თეატრის, წიგნების“.

მშვენიერი იყო 1944 წლის აპრილი მოს-კოვში — მშრალი, თბილი, მოაღერსე. ად-ამანთა მხნე განწყობილება თითქოს ბუნება-ვცა გადაადგებიაო, ახლად გამოფეთქილი კვირ-ტების სააოოდ ფუშენდენ, მზის გულზე ღაბ-ღაპებდენ ოქროსფერი გუმბათები თეთრი ტარებისა. კულტურული ცხოვრება გამოცო-ხცვლებულიყო ქალაქში, ერთხანს ევაკუირე-ბული „შხატა“ და სხვა თეატრები, კვლავ თა-ვის ადვალ-სამყოფელს დაბრუნდებოდნენ და სრული ანშლაგით იძლეოდნენ სპექტაკლებს. კინოთეატრებთანაც გრცელი „კუდიები“ იყო გაბარებული. ერთი სიტყვით, მოსკოვი სწრა-ფად იმუშებდა ომის ქრილობებს და ახლა ფრონტულ წარმატებებს ქვემეთა ბათითა და ნაირფერი შუშუხუნების ფრქვევით ხედებოდა, რასაც თან ერთვოდა ზავშეების მინარული ფი-ვილიზილი.

მირზას იმდენი სისხლი და ოფლი ჰქონ-და დაღვრილი მოსკოვის დაცვისათვის, ისე ზშირად უხდებოდა ფოფა ამ ქალაქში ომა-მდეღე და ომის შემდეგაც, რომ ზუნებობოდა, ხაკმაოდ გაიჩინდა იქ ნაცონო-მეგობრებს და მათ შორის უტყვევლად იქნებოდნენ შემოქმე-დებითად განწყობილი ახალგაზრდები — პოე-ტები, მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები... ალბათ მათი დამსახურებაც იყო, რომ მირზა „პოულობდა დროს კინოსთვის, თეატრის-თვის, წიგნისთვის“. ნეტა რა თემაზე საუბრო-ბდნენ ისინი? რას ფიქრობდნენ? რას კითხუ-ლობდნენ? ან რას ნახულობდნენ კინოსა თუ თეატრში? ანდა, როგორ აფახებდნენ წაყ-თხულსა და ნახულს? სამწუხაროდ, ჩვენ მო-კლებული ვართ საშუალებას ამის თაობაზე რაიმეს ცოდნისა და ზოგად ვარაუდების მე-ტი არა დაგვჩინდა რა:

— უცნაურია კაცობრიობის ბედის ნუთუ, პირველი ომის შემდეგ კიდევ უნდა გამოე-რჩეულიყო ეს სასაკლაო? არაფერი ვიცი! არაფერი მესმის ტოლსტოი... რას იტყოდა, ახლა რომ ცოცხალი იყო?

— მე ვიცი, რასაც იტყოდა! მრისხანედ დაჰკრავდა ჭოხს მიწაზე და ბრანებდა: არ დანდლოთ კაცობაშია მომხედვრები, დახო-ცეთო! აი, რას იტყოდა!

— კი, მაგრამ ტოლსტოი მაინც...

— არავითარი მაინც! ზუსტად ასე მომე-ლანდა ერთხელ, ბრძოლის შემდეგ: მიდოდა ფეხსაშეველა ტოლსტოი, უფურებადა გადამწ-ვარი სოფლებს, დაქცული ქალაქებს, დახო-ცილი ბავშვებისა და მოხუცების გვიშინს, ნა-მუსახილი და ხიშტიო, გაფატრულ ქალებს და ბოღმით აცხცახებული ყვაროდა: დახოცეთ! გაფლიტეთ! და ამას იტყოდა ყველა, ვინც განყენებული ფილოსოფიით თუ არ იტყუებს თავს, არამედ ცხოვრებას პირდაპირ უყუ-რებს თვალეში. „სიკვდილი თვითონ ღმერ-თისაცა გაუჩინია მკვდრისადა!“ — ამბობს ვა-ჟა-ფშაველა.

— დაახ, ეს ომი შობს ახალ ხელოვნებას, რომელსაც ქარზად ექნება დენთისა და სის-ხლის სუნი, „სუკეიკი“ აღარ განმეორდება.

— და იცით, კიდევ რა? გოგოლში დაქერა ბარწყინავლე მოთხრობა „შინელი“, საილა-ნაც, ერთი მოსწირებული კლამბურის მიხედ-ვით, ვაროიდა დოხროვეკის თაობა. ზოდა, აი, ჩვენც, ომის მონაწილეებს, გვაქვს შინელი და ამ შინელიდან უსათუოდ გამოვა ახალი თაო-ბა მათ ექნებათ მავარი კუნთები და ისეთი კუტი, ქავს რომ მონიღებეს! ისინი არ გახდე-ბან ავად გრიობით, არ ცეოდნებათ რა არის მოწყენა, ან უკან დახევა, დასახული მიწის წინაშე! აი, ისინი კი რეალზად აქცივენ კა-ცობრიობის უნაოღეს ოცნებას — კომუნიზმს! დაახლოებით ამგვარად საუბრობდნენ აღ-

ბათ მირზა და მისი მოსკოველი მეგობრები და თან ერთმანეთს უკითხავდნენ საკუთარსა და სხვათა ლექსებს სწრაფად გაიჩინა თვე-ნახევარმა. ასე შეიგანადა მოსვენებული და მომავლის რწმენით სავსე კარგა ხანია არ ყოფილა მირზა, მხოლოდ ის უშინავედა გუ-ნებსა, რომ ღონა გურჯინის ასავალ-დასავალს ევლარსად შიავნო.

— ეს ჩემი უკანასკნელი დაკრავა. ბატონე-ბო! — უტრებში უწიოდა არონის ნათქვამი. აი, ეს სადარბაზოა. მეოთხე ნართულია. რე-კავს. ვიღაც ფაშვასა დედაკაცი გამოდის. ა, ღონა გურჯინი გინდა? კი, აქ ცხოვრობდა, მა-როთლია, მაგრამ რად სურს მისი ნახვა ამხა-ნაგ უფროს ლეიტენანტს? ძმის ამბავზე? გა-საგებია... მაგრამ, საქმე ისაა, რომ ღონა გუ-რჯინი ერთ ღამეს გაქრა და... მის ოთახში ახ-ლა ჩვენ ვცხოვრობთ, დიამ! საერთოდ, ეს გურჯინები... ზომ ესმის ამხანაგ უფროს ლეი-ტენანტს? დიამ, მათი შიშობლები... უმჯობე-ნაა ამხანაგი უფროსი ლეიტენანტი ნუ გაერ-უნე ამ საქმეში... დიამ...

მირზა უსმენს ფაშვასა დედაკაცის გაუთა-ვებულ ლაქლქს, უსმენს, უსმენს თავზარდაცუ-მული, გატრიალდება და უსიტყვოდ წვა.

— ეს ჩემი უკანასკნელი დაკრავა, ბატო-ნებო! — ჩურჩულებს გზად მიმავალი და კუ-რცხალს იწმენდა.

და თუ იმ დღემდე კიდევ ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, იმ დღის შედეგე კატეგორიულად მოითხოვა — ფრო-ნტზე დამბარუნეთო... აპრილის ბოლოს ეშე-ლონში ჩაქდა და ბელორუსიისაკენ გასწია, სადაც თავისი ნაწილი ეკუთვნოდა.

ვაკონი გაქედლია ადამიანებით. დახალ ხმა-ზე მღერიაან ნაღვლიან სიმღერას:

... მივდივართ ჩვენ. გზა შორია, უცნობი და სისხლიანი. დამეკარგა ცოლი, ბავშვი წაი-ყვანა სხვამ — დამე იყო და თავისი ეგონა. მივდივართ ჩვენ, შურისძიების წუურვილით აღვსილნი, რჩება გადამწვარი პურის ყანები და მივდივართ შორს, უკუნეთში. მაგრამ ჩვენ დაიბრუნდებით და დალილები, გვემულნი, კვლავ მივადგებთ ერთმანეთს...

გაქედლი ვაკონი ჩაივლის პოლიტსელი. ეს-მის სიმღერა, დაღვრემილია, არაფერს ამბობს. მომღერლებსაც და მსმენელებსაც ცრემლი უბრწყინავთ თვალბუნებ.

შაქრის წაჭარხებული აპრილით გაღვიძე-ზულ ბელორუსიის მიწაზე. უფროსი ლეიტენან-ტი მირზა გელოვანი ფრონტს უბრუნდება.

2.

დაო რუსუდანს მივიღე შენი კარგი წერილი. გუშინწინ მოვბრუნდი მოსკოვიდან, სადაც უკვე მეო-რედ ვიყავი და დამხვდა შენი ბარათი.

... ბელორუსიის ტყეებში და ქაობებში მდინე-სიცოცხლე. გაზაფხული შედის მიწის ვულ-ში და ამღვრევს სისხლს მიწისას. ისეთი კარგია ეს უკანასკნელი დღე აპრილის. ნუ-ანი გაზაფხულის დღეა და ჩემი სული სავ-სეა კეთილი სიხარულით, სიხარული ჩასულა ჩემში და ისე თავისუფალი ვარ და უჭრუ-ნეელი, თითქოს ბავშვობა მოსულიყოს ჩემ-თან. ოცდაშვიდი წლის ბავშვი ვარ დღეს თუ ამ საათს. როცა მივიღე შენი წერილი და გა-დაეწყვიტე ვიპასუხო დაუყოვნებლად.

მინდევრები რუბედა წავიდა წყალი. გა-ლღვა მიწაზე გაფენილი ყინულის ქურჭი და მავრში დადგა სიახლის სუნი. მე დავდიოდი ერთი საათი შენი წერილით და მავონდებო-და თბილისი რომელიღაც ზაფხულის დღეს: მე ვიდექი ოპერის თეატრის კუთხეში და ვუც-ქეროდი, როგორი მზრუნველობით ექიპრა იის კონები ვიღაც შუახნის გლეხკაცს და როცა ახალგაზრდა წვეული მიუახლოვდებოდა, უზ-რუნველი ხმით სთავაზობდა წვევილებს: — ია... ია... ია...

სწორედ დღეს ისეთი დღეა, როგორც მა-შინ. ბუნებაში მეორდება მრავალი. დღეც მეორდება თურმე ბუნებაში და ღრუბლის ერთი ქულა ისე დაგს ჩრდილოეთის ცაზე, როგორც მაშინ ცაზე თბილისის. მზეს გაუშლია ოქროს ფუნჯები და მსუბუქი, როგორც სანის მოელვარე ბურთულა, მისცურავს მაღლა, სულ მაღლა და მე ველოდები: ვასდება მზე სიმაღ-ლეში და ჩამოიშლება მიწაზე ოქროს წვეთე-ბად, როგორც სანახაობა უღიადები. ეს დღე მოსულა ჩემთან, თან მოუტანია განცდა წარსუ-ლი შორეული დროის და ჩემი ხმა ისე უჭრუ-ნეელი იქნებოდა ახლა. მე ისე კარგად შემეძლო მეტყვიარა: — ია... ია... ია...

ოცდაშვიდი წლის ბაღლი... აი, ჩემს თვალ-წინ დგანან ის წლები — ტკივილებით, მათ რომ მომაყენეს. მოტყუებით — მე რომ მომეტძეს, როგორც გამოანაკისს და თუმ-ცა მათში მხოლოდ აქა-იქ მოჩანს რამდენიმე დიმილიანი დღე, მაინც მედიმება ჩემს წარ-სულზე. მე ისევ სავსე ვარ ახლა სიხარულით, ისე კარგია ეს მზე... მე ვაპატიე ჩემს წარ-სულ წლებს ყველაფერი.

მე კმაყოფილი ვარ და შენ შეგიძლიან ჩემს მრავალ გამოცვლად სახელს მიუმატო ერთიც — „ხოტანი“, იაკონელების ღმერთი კმაყოფილების. მომწერეთ ხშირად. გამომიგე-ზავნეთ გაზეთები, თუ მოხერხდება — თურნა-ლებიც. გაოცებით ყველას.

მირზა.
30 აპრილი, 1944.

თამარაბაზა მალაზფირიმე
ცხარაბარა



8.

დადგა ზაფხული, 25 ივნისს ბელორუსიაში გაიპლდა გიგანტური ბროლო, რომელიც „ბაგრატიონის“ სახელწოდებით იყო კოდირებული. შეტვავზე გადავიდნენ ბალტიისპირეთის პირველი, ბელორუსიის მეორე, მესამე და პირველი ფრონტის ქარები მხედართმთავრების ბაგრატიონის, ჩერნიახოვსკის, ზახაროვისა და როკოსოვსკის სარდლობით.

საბჭოთა შენაერთები უტევდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე მდინარე დასავლეთ დვინიდან — პრიპიატამდე (1000 კილომეტრის რადიუსით). გაარღვიეს მტრის მძლავრი, ღრმად შემოღწერილი თვდაცა და მ დღეში 15მ კილომეტრით წაიწიეს წინ. 25 ივნისისათვის ვიტბესკისა და ბობრუსკის რაიონში ვარშემორტყმულ და განადგურებულ იქნა გერმანელთა 10 დივიზია.

მაგრამ ამ ბრძოლაში მირზა უკვე აღარ მონაწილეობდა.

მისი უკანასკნელი წერილები დებისადმი, რუსულთა და როენსადმი, დთარიღებულთა 44 წლის 19 ივნისით: „დღის წვიმიანი დღეა. ჩვეულებრივი, ბელორუსული წვიმიანი დღე. სტრის განუწყვეტილვ და მე მგონია, ეს ხდება განგებ, აღმინთა გასაბრაზებლად. ასე ხდება ზოგჯერ ადამიანის სულში: დამწყება გადაუღებელი წვიმა, სტრისა სტრის, ჩემს სულში არა არის წვიმა. მხოლოდ ტყენა ჩემს გულში, რომ საქართველოში დაიფიქვს ჩემი სახელი მათ, ვინც შეგონა არასოდეს დამიფიქვებდნენ.

როენსადმი:

„უცხოვრობ ქარისკაცური ცხოვრებით: შთაბეჭდილებებით, იმედით, მომავლით... აი, ასე, მოგონებებში მიდიან დღეები და თუ არაფერი მერევა ამქვეყნად, მხოლოდ იმიტომ, რომ შეუცვლელი ვარ და შეოცნებ, იმედითა და ღონით ხავსე.

ზოგჯერ დავიღლები, დამიღუნდებიან ღონიერი მელავები, გულიც დამეღლება, მაგრამ საკმარისია დავიქირდე — გადავცდე მიქნას ჩვეულებრივს, შევხვდე პოეზიას და სალაშაზეს, ქრება დაღლა და ზღაპრული სიჩქარით შუქი ავსებს ჩემს სულს...“

ტყენა, იმედი, პოეზია... სიცოცხლის ბოლო წუთამდე — ტყენა, იმედი და პოეზია...

„ეძინა ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც ხედავდა სიზმრებს, რომელიც ედგარ პოეს ნოველებს ჰგავდნენ. იმ დღეს ეზმანა: თბილისის ქუჩაში მიმავალს გვანცა შემოსვდა მოულოდნელად. ლურჯოლებიანი, თეთრი, უსახელო კაბა ეცვა. გაუკვირა მირზას მოულოდნელი ნახვა, გახარებული ეხვეოდა, ნახად ჰკოცნიდა. მერმე ერთად წავიდნენ დედაბოძიან, გლეხურ სახლში. დედაბერი დაუხვდათ.

მასაც უხაროდა მირზას დაბრუნება. ალდა, რაღაცის მზადება დაიწყო, თმს ჩიფებდა, დმერთს მადლობას სწირავდა.

მერმე ხის ხონით ხინჯალი მოიტანა ტახალასთან.

— ქართული საკმელია. დასუსტებული ხარ, შვილო, ჰამე, ჰანს შევამატებს.

მირზამ აიღო ხინჯალი, ეცხებდა, ისევ დადო და სული შეუბერა. მოხუცმა ახლა შავი ღვინო მობართვა ხარის რქით,

— ქართული ღვინოა, მამა-პაპის დაუღლეული სისხლით გაჭერებული. დალიე, დაგახვენებს.

ახლავა გაახსენდა მირზას, რომ მართლაც დაღლილი იყო. მან ფეხში გაიარა ათახეული კილომეტრები. ვხაჯვარდინზე ხვედებოდა წარწერები: „ამქმ ბრძოლა, იქითაც — ბრძოლა!“ და ის მიდიოდა ბრძოლაში ამაუ და წარბშეუხრელი, როგორც ბავშვი, რომელსაც მახელი სათამაშო ჰგონია. მას უყვარდა და იგი უყვარდათ, თუმცა უკვლა სიყვარული რატომღაც კრახით მთავრდებოდა. იგი იბრძოდა. მის გვერდით სვდებოდა ასფუთიანი უუმბარები და მისი ხმენა შხუილით განიმსჭვავდა, გული — თოთოღვით თვადები — სისხლიანი სურათებით. მის სულში ჩასახლდნენ გზები, უუმბარების კვამლი და თოვლი. ცივი, საშინელი თოვლი.

ასწია ღვინო და დალია. იგრძნო ურცოლა სისხლში, გახალისდა, მაგრამ გული მაინც დაღლილი იყო, რა მობარჩენდა გულს?!

გვანცა გვერდით მიუჭდა, შეუბლზე გადაუსვა ხელი.

— თნა რა უყავი, მირზა? კარგი თნა ჰქონდა.

— უინვამ გამაყრევინა, გვანცა.

გვანცამ გაშალა ხანწავები და გადაათარა: — აბა, გქონდეს ჩემი თნა.

ისევ მოეხვია, ქამრიდან ფინური დანა ამოიღო, გაიჭრა მეკრდი, ასწია საყუთარი გული და ვაჟს ეუბნებდა:

— შენი გული დაიღალა, მირზა, ეელარ მუშაობს. აბა, გქონდეს ჩემი სპეტაკი გული!“

შეშინებულს გამოეღვიძა. გული ძლიერ უტემა. რა იყო, რას სიმზავდა ეს სიზმარი? ცდილობდა არ ეფიქრა ნაბულზე, დიდ ხანს ტრიალებდა, აღარ მოეხვია ძილი. ირგვლივ ეძინათ დაღლილ-დაქანცულ მებრძოლებს: ზოგჯერ, რომელიმე მთგანი ძილში ჩაიღაპრავებს ან დაიკვნესებს. ადგა, მიწურიდან გამოვიდა, ვარსკვლავებით მოკაბახებულ ზეცას ახვდა, ხარბად შეისუნთქა ღამის გრილი, ნოტიო ჰაერი. მთვარის შუქზე ჩანს სოფელ კრივიწის მარუმე სილუეტები და მდინარე კრივიწისა მქისედ მოლაპლამე ზოლი. იგი ცოტა ქვემოთ, ბორცვის მიღმა, დასავლეთის ღვინის



მძლავრ ტალღებს უერთდება. ისმის პრივი-
 ნების გაუთავებელი კრალნი, რითაც კიდევ
 უფრო საგრძნობია მყუდროება. მირზა მარ-
 ტო, სრულიად მარტო, სძინავთ მებრძოლებს,
 სძინავთ ქვემეხებსა და ტანკებს, სძინავს
 მტერს, რომელიც დღეისა გაღმაა ჩასაფრე-
 ბული. მალეობი უკავით და ზემოდან დას-
 ცქერიან მდინარის ნაპირს. ჩვენს ნაწილებს
 აღბათ ხვალ მოუწევთ დღისა გაღალახვა.
 მამებ ბრძოლა იქნება. და, ვინ იცის, იქნებ
 უკანასკნელიც. უკანასკნელი... რა იოლად
 წარმოიქმნის ეს სიტუვა, ჩინისოდენა აზრი
 კი ჰუავს თავის შიგნით დატყვევებული. უც-
 ებ, ეს ჩინი შეიძლება გამოთავისუფლდეს
 და... უკანასკნელი... უკანასკნელად... რთბი
 წელი ამ საბედისწერო სიტუციით დაღდასმუ-
 ლმა იარა ომის სისხლიან გზებზე მირზამ, მა-
 გრამ «ცეცხლში ბრძოლების ბედი სწავლობ-
 და და სიკვდილს ახელებდა», და ახლა რაღა
 მოხდება და უჩვეულო? ეგვი არ იყოს, მირზა
 შერევა სიკვდილზე ფიქრს და თვით სიკვდილ-
 საც. და ეს იყო ყველაზე დიდი გამარჯვება,
 რაც მან მოიპოვა ხანმოკლე სიცოცხლის მან-
 ძილზე — დაძლია სიკვდილის შიში. აკი წერდა
 კიდევ: «არღაბრუნება არ მეძნელდება, უფრო
 ძნელია თქვენზე წუხილი». წუხილი იმ ადა-
 მინებზე, ვინც დარჩნენ იქ, შორეულ და
 მკარფას საქართველოში და იმ დღეთა რიგ-
 ზე, თითბეშუა ჩანებული ქვეშასავით რომ ჩა-
 იარა და გაქრა. ეს მართლაც ყველაზე ძნელი
 იყო...

მიამიჯებდა უბნში, ეკლებიანი ბალახით და-
 ფარულ ველზე, შემკურნებდა მთვარეს — „მე-
 უფრად, მძლავრად რომ ვიღოდა“ და უნებ-
 ლიეთ თვალწინ უტრიალებდა ნაირნაირი სუ-
 რათები აწ ჩავლილი ცხოვრებისა: ხან თია-
 ნეთში იყო, მშობლიურ სახლში, ხან ივრის
 სათავეში, ხან ჩარგალში, ხან თბილისში მწე-
 რალთა კლუბში ტრიბუნაზე იდგა, ლექსებს
 კითხულობდა, ხან მოგვი — გვანცისთან ერ-
 თად და ხან კიდევ სად... მერმე ის გაახსენ-
 და, ექსკურსიას რომ მოსწუდა და სოფელ
 თოღენქში გადავიდა მარტოდმარტო, შუალა-
 მისას, ძია შაქროსთან. მეროე დღეს დედამ
 მიკითხა ცხენით. მერმე, თიანეთისაკენ მიმა-
 ლებდი, კითხულობდნენ კვირიას სიზმარს „მა-
 ზტარიონიდან“. რამ მოგონა ეს წინასწარმეტ-
 ყველური სიზმარი ახლა? რატომ მოგონდა?
 „გავხედე, მინდვრად მოცურავს შავი ვეშაპი
 ქშენითა, ყოილთან მიწას მამლოკად ცეცხლის
 მბრალღების ენითა. პირითაც ცეცხლი სი-
 ლოდა, საზარელ იყო მტრად. მნახა, გულზევა-
 ვად მომმართა, ვუნდოდი დახაკენებდა. პი-
 რი დალო ვეება, ჩასაყლაპავად მიტია, მაგ-
 რამ მშლითა ვეც, გავუბე თავი როგორც ფი-
 ტაპ“...

რატომ გაახსენდა? რატომ? ნთუ? ნთუ?

„ეწენია ლუბუმს სიზმარი, ცრემლები მოს-
 დის წყვილად.“

— კეთილად ახდეს! — მაინც სთქვა გულ-
 ჩუყებით, რბილად“.

ღამეა. მთვარე ჩახსკვლედა მიდრეკილა,
 საით გავიწევა, მირზა გელოვანო? რატომ
 ასე მძაფრად ჩაკვიდების წინათგრძნობის ავ-
 ბედითი განცდა? ო, რა სულწარედ გწუ-
 რია კვლავ ნახვა საქართველოსი, დაღლილ-
 დაქანცული თავის მშობლების მკერდზე მი-
 ადება, დებოს ალერსი, ივრის ტალღებში ბა-
 ნაობა და ცხრაკარას ციხის ნაკვეთა ქვეშე
 ჯდობა... უბნო არჩდილები ბუნღში ისთქმე-
 ბიან, ყოფილადღე თათო ლოდი სცილდება
 ციხის და მტკიცენულად ოხრავს ცხრაკარა.

საით გავიწევა, მირზა გელოვანო? რა გი-
 ნახავს? გახსოვს, ერთხელ, ერთხელ რომ
 გაიპარე და ელდასავით შემოგეფეთა ფრან-
 სისკო სურბარანის „ჯვარცმა“? მარტოდმარ-
 ტოა მარტოდმარტივად ჯვარზე გაკრული, მარტოდ-
 მარტო ითმენს გოლგოთას. ასეა მარტო ადა-
 მინიც, მარტო იბადება, მარტო ცხოვრობს,
 მარტო კვდება. მაგრამ ზოგი იმით მაინცაა
 ბედნიერი, რომ თავის სამშობლოში კვდება
 და მშობლიური მიწა ეურება გულზე. შენ კი...

რატომ შეუჩინდა ეს ავი წინათგრძნობა?
 რატომ? და კიდევ ერთხელ გამოეცხადა
 ძველთაძველი წინაპარი ბერული ჩოხით მო-
 სილი, უზამური და თმწვერმოსებული, გელო-
 ვანი ანტონ. „კაცი ბრძენი და გონიერი, ვაზარი
 და მდივანთუხუცი“ მეფეთ-მეფე თამარისა.
 ხელს მოჰკიდებს თავის ნაშიერს, დამავალი
 მთვარისაკენ უზამს პირს და ბრძანებით ეტ-
 უვის:

— გვალე!
 მირზა დაემორჩილება მის ბრძანებას, მი-
 წურში დაბრუნდება და სანთლის ნაშვავზე
 დასწერს უკანასკნელ ლექსს: „შენ არ მოდი-
 ხარ, დიდება მცდის, ვითოედი საათებს, ყვი-
 თელ უწყებებს... ჩემი ლექსები, როგორც
 შილოცვა, მათ, ვინც არახდროს არ მივიწუე-
 ბენ! გაზარულ სხივებს, — ამართულ ხელებს,
 საღამოს, დღეში — თრთოლვას, ძიებას, ძვი-
 რფას სახელებს, უცნობ სახელებს ჩემი ლექ-
 სები, ვით პატივბა! შეგობართ ჩრდილებს,
 შეგობართ წყებას, ტრფობას დამალვის, არ
 გამოჩინის, როგორც სიკვდილში არ დავი-
 წუება, არ დავიწუებას ლექსები ჩემი!“

დაწერს ამ უცნაურ ლექსს, სამკუთხედად
 დაკეცავს და ნიავს გაატანს საქართველოსაკენ.
 სამკუთხა, თეთრი ბარათი აფრინდება მაღლა,
 მაღლა, შეითამაშებს თეთრი მტრედით და
 გასწევს შორ გზაზე, რათა უკანასკნელი საღა-
 მის ჩაიტანოს იქ, საქართველოში.

თამარს მალაქმარქში
 ცხრაპარა

სალამი მირზა გელოვანსა.

თვითონ მირზას კი საოცრად ამშვილებს მოკუნტული, მძინარე ვაუტის დანახვა, ფარჯის გაუწიორებს, თვითონაც მიწვება და ხელ მალე კვლავ წმანებათა საუფლოში გადაეშვება.

... მიდის მანქანა მოტრიალებულ გზაზე. საქვითან ვაუტი ზის. მტრის არტილერია ქვას ქვაზე ადუღებს, ბორბლები ღრმად ჩამჯდარან წებოვან ტალახში და ბუღრაობენ. საჭიროა დაიხიო უკან, ან წინ წახვიდე, მაგრამ მანქანა დგას და მუშაობს. ღამის ვახედის ღრიალით სრულ გაზზე მიშვებული ძრავი: მიიბნინა მირზამ და უყვირის ვაუტს — ფეხი აუშვით გასს, ვაუტ კი ვითომც არაფერი, ზის არხინად და ვახვრეტელ პარბოისს უყურებს ჩაცეიბით. მანქანა ღამის აფრინდეს მეთისმეტი ძალდატანებისაგან. რა მოხდა, რა დაემართა? მირზამ კაბინის კარი გამოაღო, ხედავს: ტყვია მოხვედრაა ვაუტს, მოსკვდარა და გაწმორებული ფეხი ექსტელერატორისხათვის მიუქვრია. მოსკვდარა თვალხილული, არც საქვ ვაუშვია ხელიდან. ვეგონება, აი, ახლა გადასწევს სიჩქარეთა ბერკეტს და გზას განაგრძობსო.

— ვაუტ! — ღრიალებს მირზა, — ვაუტ!

4.

კაპიტანი სობოლი მირზას გამოიძახებს:

— შვილო...

გაჩუმდა. ხანგრძლივად უშვრეს. მირზამ კარგად იცის, რასაც ნიშნავს ეს „შვილო“, ან ეს ხანგრძლივი, ჩაცეიბული მწერა. იცის...

ყუშმარები გლეჯენ არემარეს.

— რამდენი კაცი დაგრაიო ოცეულში?

— თორმეტი, ამხანაგო კაპიტანო.

— ჰმ... მოეშინადეთ, მდინარე უნდა გადავლახოთ ბრძანება...

ბატალიონის ნარჩენებს მდინარის გასწვრივ უკავია პოზიცია. გადაღმა მხარეს, ბორცვზე, ფერმის გრძელი შენობაა. სწორედ იქ არიან გამაგრებული ვერმანელები და სულმოყოთქმელად ისვრიან.

მირზა თავისი თორმეტი კაცით ტირიფნარსაა შეფარებული. ელიან ნიშანს, რომ შტურმი დაიწყოს.

ავარდა ცაში შუშუნა, წრე მოხაზა და წაწკაუდა დაქანდა ქვევით.

ჭალიდან გამოდიან მსროლელთა შეშქიდროებული რაზმები. სირბილით მივშურებენ ნაპირს და ნავებს შეატურებენ წყალში.

— აბა, ძმებო, ჩვენი ღროც მოვიდა! — ამბობს მირზა და ხათათაოდ ათვალეირებს თორმეტი ვებრძოლის დაქანულ, გაწამებულ სახეებს და იღიმება: — იმედია, საღამოს უველანი ერთად ვიქნებით. მოწყვეით! თორმეტივე ხტება ნავეზე.

მზე საშინლად აქვრს.

სწრაფად უსვამენ ნიბნებს. მათ გარშემო დულს და ქაფქაფებს წყალი. ისვრიან თვითონაც. მაგრამ ეს უმისამართო სროლაა. მტერი მშვენივრადაა ჩახაფრებული და უხილველია სრულიად.

— სახალაოზე გავავაზავენს, — ტბილების კრეკით ამბობს ვაუტი, — უ, მაგათი დედა!

— ახლოა ნაპირი! — უვირის მირზა, — ვამაგრდი, ვაუტ!

მაგრამ ნაპირი სულაც არაა ახლო. ცეცხლის ნიაღვარი დაუნდობლად ამჩხერებს მათ რიგებს. ვარდება წყალში ერთი, მეორე, მესამე... მეხუთე...

ასეთსავე დღეში არიან სხვა ნავეებზე მოუფენი.

ბოლოს, უწიეს ნაპირს. სამილა არიან ტივზე: მირზა, ვაუტი და ხიზოვი — ვეება, მწითური რუსი. ხტებიან მყერდამდე წყალში რა სიამოვნებით დაუვინთავდნენ ახლა და თავს მისცემდნენ მშვიდად მოდურდურე მდინარის ჩქერებს... დემტოო... ავტომატები თავზემით უქირავთ. გადიან ცეცხლის ურაგანს ახვედრებს მტერი, იძულებული არიან გაქვრან შლაშა და რიყუს.

კაკანებს ტყვიაშურქვევი. ავტომატი. წიფიან ტყვიები.

ხიზოვი წამოხტება, წინ წასვლას ღამობს.

— დაწეი! — ღრიალებს მირზა, მაგრამ გვიანდაა. ძლიერი დარტყმა ჭერ ზევით აავდებს, მერმე ძირს დაანარცხებს ხიზოვს. ფრთხილად შლის სისხლით შეღებულ ხელებს.

— წინ! ვაშა! ისმის ამ ღროს ვიდაცის ჩახლანძული ხმა.

ერთი მუშა ჭარისკაცები, რომლებმაც რის ვავაგლახით გადმოაღწიეს ნაპირზე, ვაშას ბლავილით ვარბიან გამაგრებული მდლობისაკენ. მირზიან ვაუტ და მირზაც. მირზიან... ხიკვდილის შესახვედრად!

და ხედავს მირზა: ვაუტი გულზე ოცეებს ხელებს და პირაღმა, ფრთამოტეხილი ქედანივით ეშვება მიწაზე.

— მომკლეს! — ამბობს ჩუმად, — იი, როგორ არ მინდა...

— ვაუტ! — უვირის მირზა, — ვაუტ, არ გაბედო!

მუსლებზე ეშვება მის წინ, ცდილობს გადმოაბრუნოს და გაოყანოს ცეცხლის ხაზადან. ამ ღროს მოცედავს კიდევ ტყვიაშურქვევის ჭერი.

...რატომ ეჩვენება მირზას, რომ თეატრ ცვენზეა ამხედრებული? კისრისაკენ გადაწოლილა და მიჭკრის, მიჭკრის, დოლის რიბმული, საზეიმო ბაგუნით ხლებული. ქორწილია! ქორწილი! „მოვდეართ, მოგვიხარბან, ბიკებო მოგვეყავს წითელი ხობობი“ — ისმის ფიცხელი მაყრული, რომელსაც ჩურჩული ენაცელებს:



„ო, ბავშვობის დღეებო, არასდროს დამიბრუნდებოდა“.

თვალთა მიაშტერდა მზით გაჩაჩხანებულ ცას. ნელა, ფრთხილად ხუჭავს ლურჯ, ქვიან თვალებს. ხედავს: მზით აფერადებულ თბილისში, ოპერის თეატრთან, დგას შუახნის გლეხკაცი და უზრუნველად იძახის:

— ია... ია... ია...

და სულმა იწყო სხეულის დატოვება. თით-

ქო უგრძობი და უზნელის გვირახი გაუზრუნველდა გამოეყო მას და ერთბაშად განთავისუფლდა უოველგვარი სიმძიმისა და ურვისაგან. აიწია მაღლა, ლაღად გახრიალდა ეთერში და რომ დასედა ქვემოთ გაშლილ სხასკლავოს, კაცთა მიერ მოწყობილს, სამჭერ თქვა:

— უგუნურნო! უგუნურნო! უგუნურნო! თქვა და გაფრინდა, სამუდამოდ შეეცვითა მარადისობას.

ვაილკაი

მირზა გელოვანის დაბრუნება

აქ მისვამს წყარო მთების სერიდან, სიკვდილის შენდეგ აქვე ვიქნები, აქ გაცოცხლდება ჩემი სული და დაუბუქდავი სემი წიგნები.

მირზა

დალი ვთქვით, მხედრებო, დალი, ძნელი არს დალაობით, დალია ბალხურნი

გადაიგრილა ომის მრისხანე ურავანმა. წაღმა-უყულმა გადათხრილმა, უღვთოდ დასახინრებულმა დედამიწამ, როგორც იქნა, სული ამოითქვა: კვლავ აღმოცენდა ბაღაბის, დამწიფდა პური, დაიყვავია ალუბალმა, დაიბადნენ ბაღლები. თავისუფლებისათვის მებრძოლი ჭაირსკაცების დათხეულ წმინდა სისხლზე უაუაროები ამოვარვარდა. უაუაროები, ღამაში მაცნენი უდროოდ დამიწებულნი სიცოცხლისა. რამდენი დედა დათაღმა, რამდენმა მამამ დაწიქა ქედი, დაი, ცოლი და სატრფო მიგულმკვდარდა, შვილი — დაბოლდა... ვინ მოთვლის, ვინ გაიგებს?

ჩაიშლურა გელოვანიათი ოჯახიც. უგზოუკვლოდ დაკარგული ორი შვილის, ორი ვაჟკაცის დათმენილმა, წელში გამწვევებმა მოლოდინმა პირველად მამას, გედოვნს, მოულო ბოლო. მირზას დამ, ქნმა როენამ მიაშხო: უცნაური ამბავი მომხდარა დასაფლავებაზე. მოულოდნელად, ფანჯრიდან ორი ჭრელი ჩიტი შემოფრენილა, არ მორიდებთან მიღეთის ხალხს და მიცვალეზულს პირდაპირ მკერდზე დასხდომიან. დასხდომიან და აბუკიკებულან ხაამოდ. მერმე კვლავ ფანჯრიდან გაფრენილან თურმე, ხალხს გაოცების ზრინვა შეხდგომია. კარგ ნიშნად მიუჩნევიათ — ორივე ვაჟი დაუბრუნდებოთ მამისეულ ფუძეს — არწმუნებდნენ ჰიარისუფლებს, მავრამ წინახწარმეტყველებას მხოლოდ ნაწილობრთ ეწერა ახდომა: ომის გოგობთს თეიმურაზილა გადაურჩა და დიდი, დიდი ხნის შემდეგ, ნაკვეში და გაუიუული, მიეფიცხა მშობლიურ კერაბს.

მირზა კი არ ჩანდა და არა. „მოვა, არ დაიკარგება ჩემი შვილი“, — ამბობდა დედა და

ჭაუტად არ იცვამდა შავს, ცოცხალზე ვის გაუგონია დათაღება? „მოვა, ნამდვილად მოვა!“ — ფიქრობდნენ დები.

გავიდა წლები. მრავალი წელი გავიდა. ღონით თეადები ამოუკანდით დედასა და დებს, თითქო გადაუწყვდათ კიდეც იმედი, მაგრამ დედა იხე წავიდა იმ ქვეყნად, რომ ურყევად ხჭროდა: დღეს თუ არა ზვალ უძველად გაზომინდებოდა შვილი, თავს მკერდზე მიახუტებდა და ეტუოდა: „აჰა, მოვალ, დედი, მცავა და გამოთბე, შვიი და დამაბურე, დალღლი ვარ და მომასვენე“. ხულის გაყრამდე ასე ხჭროდა დედას...

და აი, ერთხელ, უკვე მისი სიკვდილის შემდეგ, თიანთში ბარათი მოვიდა:

„პატივცემულო ევა იოსების ასულო, ამ ბარათს გიგზავნით რეაქციის საშუალო სკოლის პიონერები. ჩვენს ტერიტორიაზე, სოფელ სანიკში, არის სამხედრო სხასფლო, სადაც დაკარბულელია თქვენი შვილი მირზა გელოვანი. ჩვენი სკოლა შეფობას უწყევს მის საფლავს: ყოველი წლის 22 თებერვლისა და 9 მაისის მიგეაქვს ყვავილის გვირგვინები.“

ძალიან გესურს, ძვირფასო ევა იოსების ასულო, თქვენს შვილზე დაწვილებით ვიცოდეთ ყველაფერი. გზობით, გვიასუბოთ, ჩვენს წერილზე და, თუ გაქვთ ფოტოსურათები თქვენი შვილისა და პირდად თქვენიც, ჰქენით სიკეთე და როგორმე გამოგვიგზავნეთ.

პიონერული საღამით

თეიმურაზ მაღლაფანრიძე
ცხრაბარბ



რეაქციის საშუალო სკოლის პიონერებმა წერილი გამოვეყვანეთ შემდეგი მისამართით: ბელორუსიის სსრ, ვიტებსკის ოლქი, ბე-შეკოვიჩის რაიონი, რეაქციის საშუალო სკოლა. ... დგას ძმთა სახაფლაოზე ადევბით შემო-რგული ობრისკი, რომელსაც აწერია: „სამა-რადისო დიდება სამშობლოს თავისუფლებიხა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და-ცემულ ვმირებს. აქ ღაქრძალუნი არიან უფ-როსი ლიტენანტი მირზა გედეონის ძე გელ-ოვანი, სერჟანტი ვაუტ იზმაილოვი და სხვება“...

... და წევს მიიზა გელოვანი განუგრელ თანამებრძოლებთან ერთად ბელორუსიის მი-წაში, მაგრამ რადგანაც მისთვის „ლექსები სულს ფრთები იყო, სწორედ ამ ფრთებით მოადრია ჩვენამდე მიწყნარებულნი გრივალე-ბიდან, თუ მკვდრის მშით განათებული წყვილიადავან“.

ახე დაბრუნდა მირზა გელოვანი. ახე დაი-წყო მისი მეორე ცხოვრება, რომელიც აღა-რახოდეს დასრულდება. „ახე დგას იგი დღეს ჩვენს შორის ცოცხალი, ახალგაზრდა, ამაჟი, ღმილმჩენი, „ლილეხავით“ მძღე და იმედთა მახარობელი, ხოლო მის გვერდით — ახევე ცოცხლად დგანან მისგან დაუშორებელი თა-ნატოლები, მახავით ალალი, მორცხვი, უტები ჰაბუტების ბრწყინვალე თანავარსკვლავედი“. (აქ განსაკუთრებით უნდა მოეხსენიო აგრეთვე ომში დაღუპული ვიორჯი ნაფეტვარიძე, რომ-ლის პროზაულ ფრაგმენტებსა და დღიურულ ჩანაწერებს შე კიდევ დავესხებ ამ წიგნში. მადლობა მის ნათელ სულს!).

მირზამ, როგორც მძაფრი წინათგარმზობა პოეტმა, როგორც დანადებით მეოცნებემ, მა-ღლაშებდმა და ნათელმხედველმა — გვაცნო არა მხოლოდ ის, რაც სიცოცხლეში გადახდა, აჩამედ ისიც, რაც სიკვდილის შემდეგ ელოდა მის სახელსა და მზაურ შთაგონებას.

აკი წერს კიდევ ერთ სოცარ ლექსში: „აქ

მისგან წყარო მთების სურიდან. შემდეგ აქვე ვიქნები, აქ გაცოცხლდება ჩემი სული და დაუბედავი ჩემი წიგნები“. და მართლაც გაცოცხლდა შემუსვრელი სული.

მისი ლექსები წიგნებად შეიქმნუნია, ნელა, მაგრამ ჩიუტად მიიკვლევდნენ ვზას მკითხვე-ლებისაკენ. მირზა თანდათან ეფუძნებოდა და სამუდამოდ მკვიდრდებოდა ჩვენში, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდებოდა.

მერმე მოვიდა საყოველთაო აღიარებაც. გვიან, მაგრამ მაინც მოვიდა: საქართველოს კომკავშირის პრემია და მისი დაბადების 60 წლის თავზე — უმაღლესი ეროვნული ჭილ-ღო, პრემია სულმნათი რუსთაველისა...

პოეტს არ სჭირდება დაუნები! პოეტს ნამ-დელი ლექსები სჭირდება და კიდევ, რამდენიმე ნამდვილი მკითხველი. ომის ხანძრით გა-რუჭულ და ნატყვიარ მირზას ერთი საკმაოდ აქვს და მეორეც უხვად მოეპოვება!

მან იცხოვრა, როგორც კაი უშამ და მოკვდა, როგორც კაი უშა. ხოლო კაი უშის დატირება თუ შეთში დღესაც „დალაობით“ იცინა: „და-ლი ვთქვათ. დალი, მხედრებო, დალი!.. ძნე-ლი არს დალაობაი, დალი!.. ბრალია შენი სიკვდილი მირზაო, დალი!...“

„შენ არ გეკუთვნის სუსტი ტირილი, შე გბტყვი დალაის, მახლობელი ჩემო!“

P. S. წიგნის ამ ბოლო სტრიქონებს ქალაქ „ბორის ძნელაძეში“ ვწერ. ჩემი ოთახის უან-ჭრიდან თითქმის მთლიანად ჩანს პატარა, თე-თრი ქალაქის მომხიბლავი შემოგარენი. აქვე, ახლოს, მირზას ბრინჯაოს ძეგლი დგას. მზა-რამოსხმულს გულზე წიგნი მიუხუტებია, მზა-რზე ატომობაი აქვს გადაკიდული და გამომ-წვევად უტყერის მარადისობას.

აი, ვხედავ: ძეგლთან ორი ქალიშვილი მი-ვიდა. ფრხილად დააწვეეს პოსტამენტზე ვარ-ვარა მიხაყები...

და სხვა რაღა უყვდავება?



გრივოლ ჯულუსიკა

ქალაქის ციდან

ქალაქის ციდან გადაგორდა ზაფხულის მზე — ცეცხლის
გორგალი.

რა გააკვირვებს
ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ ქოთნის ყვავილებს —
მიბრუნებულებს ელექტრონის ნათურებისკენ?
მათ დაივინყეს,
აღარ ახსოვთ მზის არსებობა;
მიხურულია ხსოვნა, ძველი თავისუფლების,
საგულდაგულო დარაბებით და გისოსებით.
მიხაკს თუ იყიდი,
ქალაქში ყოველთვის გაზაფხულია.

ო, დამაბრუნა ნეტავ ახლა
ცხენისწყლის პირას,
ჩხენიშის ტყემლის ყვავილ-თოვლი ისე მათოვდეს
რომ ჩამესმოდეს დედაჩემის გაბმით ძახილი...
ამოდოდეს ტყეებიდან ნამლევა მთვარე —
ჩემი ბაეშვობის მკრთალი პროფილი...
სხვა ყველაფერი, ყველაფერი დამავინყა.

ადიდებულა,
ნაპირები გადაუვლია
ჩემი დუმილით,
მოთმინებით სავსე მდინარეს
უკვე ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ თავიდან
და ვინმემ ახლა სახეში რომ გამიღაწუნოს
მეორე ლოყის მიბრუნება გამიჭირდება...
გამოცდილება თოვლი როდია,
გაძნეს,
გაქარდეს,
გაილიოს უმისამართოდ?
იგი აი, ამ ზამთრის ციდან კი არ მოფრინავს,
იმ, იმ ხელების ლაწუნშია აყვავებული...
სისხლის ნათლიდან და ცრემლიდან მოედინება,
ღამის გორგალში იზადება
და მოდის ასე,
მოგორავს და მოყვლყვლაობს,

გზადაგზა, ტანზე რაც მოყვება მოიყოლიებს
და ერთ ლამაზ დღეს ქვეყნის თვალში აღიმართება.
თოვლი არ არის ინსტიქტი და გამოცდილება,
მას შეუძლია საყვირების ყელის დაგმანვა,
სასახლეების და ტყეების შემობრუნება...

თოვლი არ არის ინსტიქტი და გამოცდილება.

ვიხსენებ ახლა,
სუყველაფერს ჩემთვის ვიხსენებ:
პატარა გულში
წვიმს და მარტოს მცევა ისევე,
დარდის წკარუნნი
დედაჩემის თვალებს მისველებს,
ცხვება და ცხვება,
ალარც ცხვება ოზლის ხმიადი.
მზე ადის ცაზე,
ისევ, ისევ ოქროს მზე ადის,
თოვლი და ჭყაპი თუ წავიდა
ვისთვის წავიდა?
მამობას მაინც რანაირად
გასწევს მამიდა, —
ვკითხულობ ყვითელ და სამკუთხა

წერილს თავიდან.
ბავშვობის მწვანეს დასთვია
თეთრი ზამთარი,
თუ იყო რამე,
გაცვლილია
მჭადზე — ფართალი,
კოჭებში მიმზერს ძილგამტყდარი
მთავარსარდალი,
მარგალიტივით საპოვნელი
გახდა იმედი.
ვიხსენებ ახლა,
სუყველაფერს ჩემთვის ვიხსენებ
და ჩემი სიყრმის
ჩამქრალ კოშკებს
ანვიმს ისევე.

ფრანკის ღიმილი

მიჭირს გამხელა...
ჩემმა ღმერთებმა
სულზე ტალღებად გადიგრიალეს,
ზღვის ნატურჩარი შემრჩა ედემად
და ქვამარილი ცვივა იარებს.
და მეჩვენება, ისევ ტრიალებს
ჩემს ნათონარზე პურის სურნელი,
ვინ მომაშავა მე სხვა ოცნება,
უფრო მართალი და სასურველი.
დროის სახადი ძილად მეყრება,
გამეყრება და დავინისლები,
ამ ლამეებში ასე ბერდება
ეს მაისები და ივნისები.
რაც არასოდეს არ ამისდება,

ისეთს ნურასდრო ნუ დამპირდები...
გობელენების ფრთებს აფრინდება
ტურგაპობილი ვაშლის კვირტები.
რალაც დასრულდა, აი ფინიშიც...
და ეს დღეები ჩემი არც არის...
სანთლით სალოცავ ფრესკის
ღიმილში
აზელილია კახპის ტკარცალი.
მიჭირს გამხელა...
ჩემმა ღმერთებმა
სულზე ტალღებად გადიგრიალეს,
ზღვის ნატურჩარი შემრჩა ედემად
და ქვამარილი ცვივა იარებს.

ვნატრობდი ახალი დღის
დაბადებას
და კვლავ წინა დღე მეორდებოდა.
მიცდია თავის მოტყუება
და გამოგონილ ყვავილნარებში
დაშუშებული ჩემი ცრემლები.
და ისევ, ისე ამ დღეებით
გაოგნებული,
ვერ იქნა,
ნატვრას ველარაფრით გადავეჩვიე.

ნიკო საგადაშვილის გახსენება

მე ჩემი წილი მყოფნიდა სევდა,
მე ჩემი წილი მყოფნიდა დარდი,
სამადაშვილი მესიზმრა, დედა, —
სუფრაზე ერთი ჭიქიდან ვსვამდით.

მოსმენა მსურდა ქაშვეთის ზართა
და მორწმუნეთა გალობა დილის,
შორს იყო ჩემი თბილისის კალთა
და უჩემობა უჭირდა თბილისს.

სუფრასთან ერთი ჭიქიდან ვსვამდით,
ორთავემ დედა მოვისვით გვერდზე, —
ორთავეს ერთი ახრჩობდა დარდი,
ტიროდნენ ერთად პოეტის ბედზე.

ბოლმა და შური ბოგინობს ჯერაც
და ხავსი ჟანგავს იმედებს დაშლილს,
დანტესმა მზეს რომ ესროლა, —
მჯერა —
პოეტის სევდა დაიწყო მაშინ.

ჩვენ ვიხსენებდით ტკივილებს
თრთოლვით
და წინამურთან გაგვინყდა ფიქრი...
გარეთ კი თოვდა
ცისფერი თოვლი
და ვსვამდით,
ვსვამდით ჩვენ ერთი ჭიქით.

ის გახსნილავი...

თავს ხელმეორედ ვერ გასწირავენ, —
ცაში აფრინდნენ ციურ რაშებით...
და უკვდავების გზებზე ბრწყინავენ
სულის ნიღბები და ქარქაშები.

იმ საოცრებებს ჩვენგან ელიან...
(ბევრჯერ განათდა ჟამი ნანატრი)
მაგრამ განწირვა უფრო ძნელია,
ვიდრე საკუთარ თავის ლალატი.

წარსულისაკენ ხელებგანვდილი
ვეყვირი:
შორდება ბაგეს ჩურჩული...

და თვლემს ვულკანზე ჩემი
გზანვრილი
და ქვესკნელიდან იწევს ურჩხული.

ის მახვილები ჩვენს წინ ბრწყინავენ,
ჩვენს წინ ეღვარებს ის ორღესური...
თავს ხელმეორედ ვერ გასწორავენ,
ამ დღეებისთვის ჩვენ ვართ მოსული.

ნიკა აზიაშვილს

ლადოს და მირზას,
მირზას და ლადოს
მე ვხედავ მუდამ ნიკასთან ახლოს...
და ვიცი სამთა ჭაღარა ამ დროს
ცალად დარჩენილ მეგობარს ათოვს.

დაიარება სიბერის ურჩი
ვით ჩვენი ლადო და მირზა ჩვენი...
მირზას სიმკვირცხლით მიყვება

ქუჩას,

ლადოს ტკბილმწარე ქილიკი შვენის.

ვაი, ტრიალებს სანუთრო გულქვა
ვაი, ნიკალას ტკივილი გავთქვი...

არ ცხრება ლადოს სნეული სუნთქვა,
და მირზას ცხელი დამბაჩის ბათქი.

ლადოს და მირზას,
მირზას და ლადოს
მე ვხედავ მუდამ ნიკასთან ახლოს
და ვიცი სამთა ჭაღარა ამ დროს
ცალად დარჩენილ მეგობარს ათოვს.

P. S.

ეს ჩემი ლექსიც იყოს იმისი,
ერთი სიცოცხლე ვინც ვერ იკმარა...
მე მიხარია ვცხოვრობ თბილისში
და ყოველ დღილით ვხედები ნიკალას.



ფუტკრები მიფრინავენ შორს, მღინარის ბაღმა

I

ბამთინიძისას, ის იყო თვალი გავა-
ხილე, რევოლვერი სამჯერ გავარდა,
ტყვიების ზუზუნი გარკვევით გავიგო-
ნე კედელს იქით. რევოლვერის გავარ-
დნა და დედაჩემის კივილი ერთი იყო:

— მოკლა, მოკლა, იმ უსინდისოში!

საწოლზე შეშინებული წამოვჭექე
და დედას მივაპყარ თვალი, ის წამომდ-
გარიყო და სწრაფად იცვამდა. ახლა
კედელს იქიდან ბავშვის გაანჩხლებული
ტირილი ისმოდა. დედამ ჩაიცვა და ის
იყო კარისაკენ გაემართა, რომ დააბრა-
ხუნეს, ბავშვის ტირილმაც ჩვენ კართან
გადმოინაცვლა. ჩემს პატარა დას ვადა-
ვხედე, მას ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა:
სასწრაფოდ ჩამოვხტი საწოლიდან, დე-
დასთან მივირბინე და გვერდით ამო-
ვუდექი.

ოთახში ბიძია ამბერკი შემოვიდა,
სამხედრო ფორმა ეცვა, დედიშობილა
ბავშვი ჰყავდა ატატებული, ხელში რე-
ვოლვერი ეჭირა.

— რა ქენი, რა? შე უსინდისო! —
შესძახა დედამ და ამბერკის აჩაღლე-
ბული ბავშვი ჩამოართვა.

— მოვკალი! — წარმოთქვა ამბერკი,
— უკვე დავრეკე, საცაა მოვლენ, ბავშ-
ვი თქვენთან იყოს!

ბავშვი შეჩვეული იყო დედაჩემს და
უმალ იყუჩა, ყელზე შემოხვია ხელები,

დროდადრო ამოსლუქუნებდა და მა-
მას შეშინებული გახედავდა ხოლმე.

— რატომ, რატომ?! — ამოიოხრა დე-
დამ — რატომ დაიღუპე თავი?

— მეტისმეტად ლამაზი იყო, გესმის?
მეტისმეტად ლამაზი! — ამბერკიმ ამ-
ღვრეული თვალები დედაჩემს მიაპყრო
და ჩუმად დასძინა: — მოდი, ნახე, ახ-
ლაც ლამაზია!

— ამბერკი, ამბერკი, ჭკუაზე აღარ
ხარ! — აქვითინდა დედაჩემი და ბავშვი
გულში ჩაიკრა.

— ასე უკვე საუკუნოდ ჩემი იქნება!
— ამბერკიმ რევოლვერი შემართა, ხე-
ლით რალაც მოძრაობა გააკეთა.

— რას სჩადიხარ, რას?! — იყვირა
დედაჩემმა, — აქ არა, აქ არა!

ამბერკი თითქოს გამოერკვია, ხელი
დაუშვა, თვალი კვლავ დედაჩემს მიაპ-
ყრო და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ახლა მალე მოვლენ, ბავშვი თქვე-
ნთან იყოს!

მართლაც, ეზოში მანქანა დაამუხ-
რუქეს, შავი „ემადინი“ იყო, სამხედ-
როფორმაში ჩაცმული ორი კაცი და
ერთი ქალი სასწრაფოდ ვაღმოვიდნენ
და მალე დერეფანში გამოჩნდნენ. ამ-
ბერკი მათ მიეგება, დაწინაურებულ
ოფიცერს რევოლვერი გაუწოდა და
თავი ჩაჰკიდა. მეორე ოფიცერმა ამბერ-

კის სამხრეები ააგლიჯა და ქაშარი შეხსნა. სროლის ხმაზე დერეფანში მეზობლებიც გამოფენილიყვნენ, ჩურჩულებდნენ, ქალები ქოქოლას აყრიდნენ ამბერკის, კაცები კი ილანძვებოდნენ. ქალი და ერთი ოფიცერი ამბერკის ბინაში შევიდნენ, მეორე ოფიცერმა კი პატიმარი დერეფნიდან გაიყვანა.

დედა აღარ ქვითინებდა, ბავშვს კაბა მოუძებნა და ჩააცვა, მერე ლოგინში ჩაწვინა მოუხდომა, მაგრამ ბავშვი სლუკუნებდა და უფრო მაგრად ეკვროდა. ერთი სული მქონდა, ამბერკის ბინაში შემეხედა და გამეგო, რა ხდებოდა იქ, მაგრამ დედას ვერ ვშორდებოდი.

ღალე ქალი და ოფიცერი დერეფანში გამოვიდნენ და დედაჩემს მოლაზროვნენ.

— ეს ბავშვი ამათია? — იკითხა ოფიცერმა.

— დიას! — გაწელა სიტყვა დედამ.

ქალმა ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა და სხვათაშორის ჩაილაპარაკა:

— მაშინვე გარდაცვლილა, ტყვია მკერდში აქვს მოხვედრილი!

— ოოი, საცოდავი. გადმოცვივდა კურცხალი დედაჩემს: — რა ქალი იყო, რა ქალი!

მეზობლები ისევ ახმაურდნენ და აქოთქოთდნენ.

— უნდა დახვრიტო ასეთი კაცი! — დაიძახა ვიღაცამ, — მტერს ვებრძვით, ვომობთ! ეს კი ქალებს დასდევს...

— მაინც, მეტისმეტს შვრებოდა! — ჩაისისინა მეზობლის ქალმა.

— ბავშვს რა ვუყოთ? — ჰკითხა სამხედრო ქალმა ოფიცერს და ორივენი დედაჩემს და ბავშვს შემოაჩერდნენ, მერე ჩემკენ გამოიხვეს.

— ბავშვი, თუ შეიძლება, ჩემთან იყოს, — ქვითინით თქვა დედამ, — ამის კბილა გოგო მყავს, ერთად თამაშობენ ხოლმე.

— თქვენი გვარი? — იკითხა ოფიცერმა და პლანშეტი მოამზადა, — თქვენი ქმარი სად არის?

— გვარი უგრებელიძე, მეუღლე ფრონტზეა...

— თქვენ პოდპოლკოვნიკ უგრებელიძის ოჯახობა ბრძანდებით? — დაუშვა პლანშეტი ოფიცერმა.

დედამ თავი დაუქნია და ბავშვს ჩააკურდა, მერე ოთახში შევიდა და სამხედროებიც შეიყოლა. ბავშვის ხელები ფრთხილად შემოიცილა კისრიდან და პატარა ლოგინში, ჩემი დის გვერდით ჩააწვინა.

— ჰყავს ვინმე ახლობელი ამ უბედურს? — იკითხა ქალმა და თავი ამბერკის ბინისაკენ გადააქნია.

— მგონი არავინ... უბასუხა დედამ, — პირველი ქმარი ფრონტზე დაეკარგა...

— კარგით, — თქვა ოფიცერმა, — ბავშვი დროებით თქვენთან იყოს, მერე კი, ვნახათ... — ოფიცერმა ისევ მოიმაზრჯვა პლანშეტი და რაღაც ჩაიწერა.

დერეფანში ორი სანიტარი გამოჩნდა, საკაცე მოჰქონდათ, ოფიცერი კარს მიადგა, ხელით რაღაც ანიშნა სანიტრებს და ისევ მობრუნდა. სანიტრები ამბერკის ბინაში შევიდნენ, მათ ქალიც შეჰყვათ. დერეფანში მეზობლები ისევ ფუსფუსებდნენ.

— პირველი ქმარი ვინ იყო? — იკითხა ოთახში შემობრუნებულმა ოფიცერმა.

— ჩემს ქმართან მსახურობდა ნაწილში, — დაიწყო დედამ და თმა შეისწორა, მერე მე მომიბრუნდა: — ჩაიცივი ტანზე! — და კვლავ ოფიცერს მიმართა: — ასეულის უფროსი იყო, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი ელენეს და მალხაზს... იქორწინეს თუ არა, ომიც დაიწყო...

— ბავშვი არ ჰყავდათ?

— არა, არ გაიჩინეს... ჯერ ახალგაზრდები ვართო. — ამოიოხრა დედამ, — მართლაც მალხაზი ალბათ ოცი-ოცდაერთი წლისა იქნებოდა, ხოლო ელენე, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისა. ომი რომ დაიწყო, ჩვენი ნაწილი ფრონტზე გადაისროლეს, ჩემი ქმარი და მალხაზი ერთად წავიდნენ...

— ვიცი, მეც იმ ნაწილში ვმსახურო-



ბდი, — თქვა ოფიცერმა, — მაგრამ მა-
ლხაზი არ მახსოვს...

დედამ თვალი შეავლო და განაგრძო:
— ელენემ ოპერის თეატრში დაიწყო
მუშაობა, გუნდში მღეროდა. ერთხელ,
გახარებული მოვიდა, მთავარი როლი
შემომთავაზეს და უნდა მოვემზადო!
მართლაც დღედამ მუშაობდა, ხმას
ამუშავებდა...

— ყოფაქცევით... როგორი ქალი
იყო? — გაწელა სიტყვა ოფიცერმა.

— ლამაზი ქალი იყო, არ აყენებდ-
ნენ...

— მაშ, ლალატობდა?! — დაასკვნა
ოფიცერმა.

— ვის, ამბერკის?! — კითხვითვე უპა-
სუხა დედამ და დასძინა: — ელენე არა-
ფერს მიმაღავდა, ვიდრე მარტო იყო,
მართლაც ჰყავდა თავანისმცემლები,
გატაცების ქალი იყო, თავისუფლებას
და სიყვარულს ეტრფოდა... მერე, ეს
რომ ჩამოვიდა და დაეპატრონა...

— როგორ? — გაოცდა ოფიცერი.

— ამბერკიც ჩვენ ნაწილში მსახუ-
რობდა, მალხაზის კბილა და მეგობარი
იყო, — დედამ მიძინარე ბავშვს დახედა,
მერე მე შემაველო თვალი და გამიმეო-
რა: — ჩაიცი, რას უღვახარ?

არ გავნძრეულვარ, ტრუსებში და
მისურში ვიყავი, რა მიჭირდა.

— მალხაზი და ამბერკი ერთად წავი-
დნენ ფრონტზე, — განაგრძო დედამ, —
ამბერკი დაჭრილი და კონტუზირებული
დაბრუნდა... სიკვდილს ვეძებდი და არ
მოკვდიო, გაგიყვებით მიყვარხარო,
უთხრა ელენეს... მალხაზი დაიღუპა,
ჩემი ხელით დავასაფლავეო. იმ დღიდან
ერთად ცხოვრობდნენ, მართალია, ელე-
ნეს არ უყვარდა ამბერკი, მაგრამ ასე
იტყოდა ხოლმე: აბა, რა ვქნა, მეც არ-
სებობა მინდა, ჩაცმა-დახურვაო...

გამოღებული კარიდან, დერეფანში
მიმავალი სანიტრები გამოჩნდნენ, მათ
თეთრსუღარაგადაფარებული საკაცე
მიჰქონდათ. დედა აქვითინდა და თვა-
ლებზე ცხვირსახოცი აიფარა, მეც მო-
მერია ცრემლი, დედას წელზე ხელები
მოვხვიე და ავზლუქუნდი. ოფიცერი

კარს მიაღმა, სანიტრებს თვალი გაავლო
ლა, მერე კვლავ დედაჩემს მოუბრუნ-
და, გისმენთ, ქალბატონო. დედამ
ცრემლი მოიწმინდა და ხმადაბლა გა-
ნაგრძო:

— ამბერკი ეჭვიანობდა, სვამდა! ზო-
ლო დროს გიყვივით იყო. ელენე მეტ-
ყოდა ხოლმე, რა ვქნა, სად გადავჯარ-
დე აღარ ვიციო... ხუთიოდე დღის წინ
ყველაფერი დალეწა, ემუქრებოდა, მო-
გვლავო! მოვარდებოდა ხოლმე სამსახუ-
რიდან, განსაკუთრებით ღამით, როცა
ნაწილში მორიგე იყო. მოვარდებოდა
და თუ შინ არ დახვდებოდა ელენე,
გაფრთხილებული, შეშლილივით კითხუ-
ლობდა: „სად არის ელენე, სად არის
ელენე!“ მერე ოპერის თეატრში გარ-
ბოდა.

— არაფერი იღონა? — იკითხა ოფი-
ცერმა, არსად განაცხადა?

— როგორ არა, — ამოიოხრა დედამ
— ნაწილში ცუდი დღე აყარეს ამბერ-
კის, თუ კიდევ გაიმეორებ, ჰაუპტგან-
ტში გიკრავთ თავსო... რამდენიმე დღე
ეყო, მერე ისევ დაიწყო... ძნელია სატა-
ნის მოშორება!

ოთახში სამხედროფორმიანი ქალი
შემოვიდა, ოფიცერს მოახსენა, ყველა-
ფერი დავამთავრეო და დედაჩემს მე-
დალიონი გადასცა, ის მედალაონა გა-
ნუქვრელად ყელზე ეკიდა ელენეს.

— ეს ბავშვს შეუხანებო, — თქვა ქა-
ლმა, — დედის სახსოვრად ჰქონდეს.

— მალხაზის ნაყიდი! — ჩამოართვა
მედალიონი დედამ და ისევ აუჩუყდა
გული: — მე ვაყიდე საკომისიო მალა-
ზიაში ხელის მოწერის დღეს.

— წავედით! — გაიჭიმა ოფიცერი,
დედას ჯერ მხედრულად გამოეთხოვა,
მერე ხელიც ჩამოართვა, — თუ რაიმე
დაგვჭირდება, შეგაწუხებთ.

სამხედროფორმიანი ქალიც გამოეშ-
ვილობა დედაჩემს, მერე თავზე ხელი
გადამისვა, და ოფიცერს მიჰყვა.

კარლო ტაბატაძე
ფუტბალი მიფრინავან ზორს, მდინარის
გაღმა

22

ლალი, ასე ერქვა ელენეს ქალიშვილს, დიდხანს ცხოვრობდა ჩვენთან, დედაჩემი მზრუნველობას არ აკლებდა; უვლიდა, ეფერებოდა. ჩემს დასთან ერთად საბავშვო ბაღში დაჰყავდა. დედა მუშაობდა და მთელი დღე წასული იყო. საღამოს კვლავ ვიყრიდით თავს შინ, მე გოგოებზე გაცილებით უფროსი ვიყავი, მათი მოვლა-პატრონობა მევალებოდა.

ორმოცდახუთში, ომი რომ დამთავრდა, მამა ფრონტიდან დაბრუნდა, დეიდა ელენეს ამბავმა ძალიან დაამწუხრა, მალხაზი დაღუპული არ უნდა იყოსო, თქვა. მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ მალხაზი გამოჩნდა. დილით ადრე მოადგა ჩვენს კარს და დედამ ვაოცებულმა თუ შეძრწუნებულმა შესძახა:

— მალხაზ?!

ის ოთახში კოჭლობით შემოვიდა, ხელში ჯოხი ეჭირა, სკამზე მოსხლეტით დაეშვა და თავი ხელებში ჩარგო, ერთხანს ასე იყო, მერე თვალი დედას მიაპყრო და ყრუდ იკითხა:

— სად არის ელენეს შვილი?

საშინელი შესახედავი იყო მალხაზი. სახის ერთი მხარი დამწვრობის შედეგად დანაოჭებოდა, დაკბილული ნაიარევი წითლად უპრიადლებდა. ცალი თვლით დაბრმავებულ იყო და დამრეტული ფვალის ქუთუთოები, დამწვრობის გამო, ერთმანეთს შეხორცებოდა. მეორე ლოყახეც აჩნდა ნაჭრილობევი, ხოლო მარჯვენა ხელზე ორი თითიღა შერჩენოდა.

დედამ სახე მოარიდა.

— სად არის ბავშვი? — გაიმეორა მალხაზმა.

ოთახში მამა შემოვიდა, სამხედრო ფორმა ეცვა, წვერი გაეპარსა და წასასვლელად გამხადებულ იყო. მალხაზი ფეხზე წამოდგა, მამამ ხელები გაშალა, უნდოდა, ალბათ, ჩვეულებსისამებრ, გადახვეოდა, მაგრამ სიხარული სახეზე შეეყინა; მალხაზი არც განძრეულა, ერთხანს ასე შესცქეროდნენ ერთმანეთს.

მერე მამაჩემი მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და თანაგრძნობის ნიშნად მკლავზე ხელი მოჰკიდა.

დასხდნენ, მამამ საათზე დახედა, მერე დედას ანიშნა, საუხზე გაგვიშვადეო.

— ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა, — დაიწყო მამამ, — ელენე...

— ყველაფერი ვიცი, — შეაწყვეტინა მალხაზმა, — ბავშვი მაჩვენეთ!

— რას აპირებ? — ჰკითხა მამამ, — ბავშვი ჩვენთან იზრდება.

მოულოდნელად ოთახში ჩემი პატარა და და ლალი შემოვიდნენ, მათ დედაჩემი შემოჰყვით, ბავშვები გახეყებულები შეჩერდნენ და შტეო, დასახიარებულ კაცს შეძრწუნებით შეაჩერდნენ, წუთით ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მალხაზმა ხარბად შეავლო თვალი ბავშვებს და ლალის დაამტერდა, მერე ფეხზე წამოდგა, კოჭლობით მიუახლოვდა, ლალიმ ორი ნაბიჯი უკან გადადგა და შეშინებული შეჩერდა, დედაჩემს გახედა. მალხაზი დაიხარა და ბავშვს დააცქერდა.

— ისაა, ელენე! — წარმოთქვა მერე და ფეხზე წამოდგა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა, მალხაზი კვლავ სკამს მიუბრუნდა და დაჯდა, დედამ სუფრა გაშალა და მერე ბავშვები ოთახიდან გაიყვანა.

— რას აპირებ? — გაუმეორა კითხვა მამამ, — როგორც ხედავ, ბავშვი ჩვენთან თავს კარგად გრძნობს...

— როგორ?! — იყვირა უტეხთ მალხაზმა, — ელენე ჩემი კანონიერი ცალი იყო, მისი შვილი, ჩემი შვილიცაა... თქვენ უფლება არა გაქვთ, წამართვათ!

— წართმევა არც გვიფიქრია, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! — შეჰყვირა ისევ მალხაზმა — მე ყველა საბუთს ვაეკეთებ, რომ ბავშვი მომაკუთვნონ.

ყვირილზე ოთახში შეშფოთებული დედა შემოვარდა, მამას შეხედა და მალხაზს წყნარად უთხრა:

— ვიდრე მუშაობას დაიწყებ და ბინას დაიბრუნებ, ბავშვიც შეგეჩვენე...

— ბავშვს ამ კვირაში წავიყვან! —
თქვა გადაჭრით მალხაზმა და ფეხზე
წამოდგა, — მაგის მეტი აღარავინ
მყავს...

II

მივლინების საბუთები რომ გავაფო-
რმეთ, მე და მიშა მთავარ ინჟინერთან
შევედით, დაბარებულები ვიყავით, უნ-
და მოგვეთათბირა. მიშა გადამცემი
ხაზების დამპროექტებელი ინჟინერია,
მე კი სულ მესამე წელია დავამთავრე
ინსტიტუტი და აქ, სოფლელექტრო-
მომარაგებაში, ინჟინრად ვმუშაობ.

— როდის მილიხართ?! — გვკითხა
მთავარმა ინჟინერმა, როგორც კი კა-
ბინეტში შევედით.

— ხვალ დილით გავალთ. — გაშალა
ხელები მიშამ.

— ჰო, მართლა, — მისწვდა ტელე-
ფონს მთავარი ინჟინერი, — მანქანის
საქმე როგორ არის?

მიშა უხმოდ მიაჩერდა ტელეფონს,
მე დივანზე ჩაპოვჯექი და კედელზე
გაქრულ საქართველოს რუკას გავადევ-
ნე თვალი. რუკაზე სხვადასხვაფერის
ხაზებით იყო აღნიშნული გადამცემი
ხაზები — ზოგი უკვე აშენებული, ზო-
გი ახლად დაპროექტებული და ზოგიც
დასაპროექტებელი. — მომავალში ასა-
შენებელი.

მთავარმა ინჟინერმა ნომერი აკრიფა
და ყურმილში ჩასძახა:

— გარაჟი შემაერთე, გარაჟი! — მე-
რე მიშას მოუბრუნდა: — ორ კვირაში
ყველაფერი უნდა დაამთავროთ.

— ორი კვირა არ გვეყოფა, — ვთქვი
ახლა მე, — ლენტეხ-ცაგერის ხაზზე
ერთი თვე დაგვჭირდა.

— თქვენ ნუ მასწავლით! — შემარ-
თა მარჯვენა ხელი მთავარმა ინჟინერ-
მა: — მთელი საქართველო ფეხზე მაქვს
მოვლილი.

— იქ, სადაც მანქანა ვერ მივა?! —
კვლავ ამოვიდგი ენა, — შარშან გომ-
ბორზე დავიტანეთ...

— ქეიფსა და სმას გადაყვებით... —
გაიციანა მთავარმა ინჟინერმა და დაჯდა.

— აი, უყურე ახლა, — ეწყინა მი-
შას, — იმიტომ არაფერი არ უნდა მოყ-
ვე! ერთხელ გვცა იმ კაცმა სამადლოდ
პატივი, დანარჩენ დროს მშვიდრები რომ
ვეყარებით ტყე-ღრეში, ამას არავინ ამ-
ბობს...

— კარგი, კარგი! — შეხედა რუკას
მთავარმა ინჟინერმა. — საქმეზე გადა-
ვიდეთ: — აი, ეს მთიანი ტრასა ოცდა-
ათი-ოცდათხუთმეტი კილომეტრი იქ-
ნება. მე ვყოფილვარ ამ ადგილებში,
ძირითადად ტყიანია.

— აქ, ალბათ, ანძების მისატანად
დაგვეჭირდება დროებითი გზების გაყ-
ვანა, — თქვა მიშამ.

— რა თქმა უნდა, განსაკუთრებით
ამ ადგილებში, — რუკაზე შავი ფანქ-
რით მოხაზა მთავარმა ინჟინერმა, —
მერე იმ გზებს ტყის გამოსატანად გა-
მოიყენებენ... აი, აქ, ამ სოფლამდე ში-
ლის გზა, მართალია, საურმეა, მაგრამ
„კოლხოზნიკი“ ავა, მერე კი ფეხით მო-
გინდებათ სიარული.

— ცხენები რომ ვიჭირაოთ! — გით-
ხე მე.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს-
თან მიდით და ყველაფერში დაგეხმა-
რებათ. — მომავართ თვალი მთავარმა
ინჟინერმა, — მაგრამ, ძირითადად მა-
ინც ფეხით მოგიწევთ სიარული, აქ,
სადაც მეტყვევის ქოხიც უნდა იყოს.

— სიმადლეს არა უშავს, — ვუთხა-
რი მიშას, — მაგრამ უგზო-უკვლო აღ-
გილებია.

— პროსპექტზე სასეირნოდ რომ არ
მილიხართ, კი ვიცი მე! — შემაველო
წუთით თვალი მთავარმა ინჟინერმა. —
შენსავეთ ახალგაზრდა რომ ვიყავი, სა-
დაც მიკრავდნენ თავს, იქით გავებოდი.
გამეცინა. მთავარ ინჟინერს ეგონა,
წასვლა მესარებოდა.

— წავედით! — წამოდგა ფეხზე მი-
შა, — მოსამზადებლები ვართ.

— კარვის და საქილე ტომრების წა-

პარლემონის
მთავარი მიმდინარეობის
განხილვა

ღება არ დაგავიწყდეთ, — ჩამოგვართვა ხელი მთავარმა ინჟინერმა და კარამღე მიგვაცილა.

დერეფანში გავედით, მიშამ მკლავზე ხელი მომიკიდა, ასე მივდიოდით ერთხანს, როცა ჩემი ოთახის კარს მივუახლოვდით, შემაჩერა და მითხრა:

— თუ ძმა ხარ, საწყობში შედი და მძღოლიც მოინახულე.

— დილით რომელ საათზე გავედით?

— რაც ადრე გავალთ, უკეთესია. — მიშას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მომჩერებოდა, მერე მკლავზე ხელი დამკრა და დერეფანს გაჰყვა.

ჩვენს სამუშაო ოთახში შვედი, ყველამ თავი ასწია და შემომაცქერდა. მართალია, ფანჯრები გამოღებულნი იყო, მაგრამ ოთახში მაინც მძიმე ჰაერი იდგა.

— მიდიხარ? — მკითხა ზაირამ, ჩემს გვერდით მაგიდასთან რომ იჯდა, სიგარეტი ვაბოლა და გამიღიმა.

— შენც რომ მოდიოდე, კარგ დროს გავატარებდით! — ვთქვი და ზაირას მივუახლოვდი, — საქმეებს უნდა მიგზნელო, მოვემზადო, — დავიხარე, ზაირას ლოყაზე ვაკოცე, — კარგად იყავით! — გამოვიფხვინე ყველას და წასასვლელად გავეშალე.

— ნეტა ცოლი მოგეყვანა და მოგესვენა, — გამომაყოლა ეთერმა, — ჩვენც მოვისვენებდით.

— მოვიყვან, მოვიყვან! — მივწვდი კარის სახელურს და ეთერს გავუღიმე, — წელს აუცილებლად გაქეიფებთ.

— მეტი არაა ჩემი მტერი! — ცხვირი გვერდზე წაიღო ეთერმა.

— აღარ მობრუნდები? — მკითხა რაილენმა, პროექტის მთავარმა ინჟინერმა.

— რა გნებავთ, ბატონო რაედენ?

— აქ რაღაც არ გამოდის, მინდოდა, გენახა! — წამოდგა რაედენი და შავი სამკლავეები გაისწორა.

მივუახლოვდი და ნახაზს დავხედე, თვალი გაქციევაზე მქონდა, მაგრამ უფროსი კაცი როცა გთხოვს... მით უმეტეს, ისეთი კაცი, რომელიც თან გადაგყვება

თუკი რაიმეს შეეცითხები, ყველაფერს აღამ და ევასაგან დაიწყებს.

— ეს ზესტაფონის ქვესადგურია, — გაისწორა სათვალე რაედენმა, — აქედან შემოდის „ლევი“. ეს ზეთიანი ამომრთველებია... შეიძლება თუ არა, ეს მანძილი მეტრიდან მეტრ-ნახევრით გავადიდოთ? ჩემი გამოცდილებით, ვფიქრობ, შეიძლება, მაგრამ ელექტროინჟინერი შენა ხარ, შენი თანხმობაა საჭირო.

— თუ ამ ზომებს ასე დატოვებთ, უკეთესი იქნება, — ვთქვი და ნახაზს დავაცქერდი, — აქ ჩვენ ტიპურ სქემას ვიყენებთ, საჭირო სალტეებით გადავდივართ ქვესადგურში...

— აა, გასაგებია. — ჩამარცვლა რაედენმა და ნახაზს დაამტერდა.

— აი, ამ ზონების შეცვლა შეგიძლიათ. — გამოვიყვანე მდგომარეობიდან და გამომრთველზე მივუთითე.

— ო, ეს ვიცი! — ჩაიქნია ხელი, — კარგი, გმადლობთ, დათო.

— წავედი, — მოვავლე თვალი ოთახს, — კარგად იყავით, უჩემოდ არ მოიწყინოთ! — ბატონ რაედენს ხელი ჩამოვართვი და კარის სახელურს მივწვდი, — ოთარ! თუ გამოიმყვები და მომეხმარები, კარგი იქნება.

— ჭკუით გველოს! — მომძახა ეთერმა.

ზაირამ ლამაზად შემომკინა და ჰაეროვანი კოცნა დამადევნა. ოთარი სწრაფად წამოდგა ფეხზე და დერეფანში ერთად გავედით.

გარაყის წინ სიციხისგან გახურებული მანქანები იდგა, მძღოლებს პატარა ოთახში მოეყარათ თავი და დომინოს თამაშობდნენ.

— ხვალ რომელი მოდიხართ?

— მე მაქვს ბედნიერება! — წუთით თვალი მომამაკრო ერთ-ერთმა მძღოლმა, — შეიდ საათზე გამოვივლი.

— შენი მანქანა სად არის, რაღაცები უნდა ჩაეაწყო.

— ჰო, ახლავე, დათოჯან! — წამოდგა ფეხზე, თან თვალს არ ამორებდა დომინოს — აი, ესეც ათი! — უკანასკნე-

ლი კენჭი დადო და ოთახიდან გამოვიდა.

საწყობიდან ერთი საველე კარავი, ორი საძილე ტომარა, ორი წყვილი ჩექმა და საწვიმარი ლაბადები გადმოვიტანეთ, მანქანაში ჩავაწყვეთ, მერე ბიჭებს გამოვეთხოვე.

ავტობუსი მგზავრებით იყო სავსე, მორტოს გრიალი გაჰქონდა. სალონში მსუთრი ტრიალეზა და აუტანელი საცხე იდგა. ერთი გაჩერებით აღრე ჩავედი, პარკში შევევარდი და ოდნავ ამოვსუნთქე, აქ შედარებით გრილოდა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. ნელა გავუყვიე წითლად მოხვიწვულ ბილიკს, თან გაზონებს ვათვალეირებდი, სადაც ყვავილები თვლით იყო ალბათ დარგული და აზომილ-აწონილი. მოულოდნელად ქალის ნაცნობი ხმა შემომესმა:

— თამრიკო, დარეჯან, ზეინაბ, მოდი, შვილებო! — გავიხედე, და ჭადრის ჩრდილში, მერხზე, ქალი დავინახე, იქვე იდგა ჩვილი ბავშვის ეტლი, ხოლო მოშორებით პატარა გოგონები თამაშობდნენ, ყველაზე უფროსი ალბათ ექვსი წლისა იქნებოდა. ქალი ზურგშექცევით იჯდა და ვერ მხედავდა, ბილიკიდან გადავუხვიე, მიუახლოვდი, ჩვენი ყოფილი მეზობელი იაშუ იყო.

— ოო, დაათო! — შემომცინა, როცა თავზე დავაღეჭი.

— შენი ხმა ვიცანი. — როგორა ხარ? — ღიმილითვე ეუბასუხე, ლოყაზე ვაკოცე.

— ვარ, როგორ ვიქნები! ჯერ ბავშვებს გავხედე, მერე ეტლში ჩავიხედე და გოცეებით ვკითხე:

— ეს ვილაა?
— ესაა ვინცაა, ირაკლი! — გაიღიმა იაშუმ.

ეტლში ჩვილს ტკბილად ეძინა.
— მეოთხეა!... როდის მოასწარი?
— შენ რომ აქეთ-იქით დადიოდი, მაშინ...

— ისეთი კარგი ქალი ხარ, ერთი ამდენი კიდევ უნდა გყავდეს! — ვიხუმრე ვითომ მე.

— ჰო, ბიჭო, მე დამაკისრე ერის

მომრავლება, შენ რაღას უცდი, დარეჯანდი?! — მკითხა იაშუმ და შემომაცქერდა.

— ვინც კარგები იყვნენ, დათხოვდნენ... — ავარიღე თვალი.

— აბა, ბიჭო, თავს იცლავდი ჩვენთვის, — გადაიკისკისა იაშუმ, — აქ არ ვიყავი, ყოველდღე ერთმანეთს თვალში ვეჩხირებოდით... ზეინაბ, დარეჯან, თამრიკო! — ისევე გასძახა შვილებს იაშუმ და ფეხზე წამოდგა, — მოდი, შინ უნდა წავიდეთ!

— ქმარი საითა გყავს? — ვკითხე და მეც ფეხზე წამოვდეჭი.

— ჩვენი შემყურე შინ ხომ არ დაჯდება, გადავარდნილია საშოვარზე, მადნეულში მუშაობს! — იაშუმ კაბა გაისწორა და ეტლისკენ მიბრუნდა.

ბავშვებმა მოირბინეს, დედას ვარს შემოეხვიენენ, თან გაკვირვებულები შემომცქეროდნენ, დავიხარე და სამივეს სათითაოდ მივეფერე, რა კარგი გოგონები ხართ-მეთქი. მერე პარკიდან ერთად წამოვედი, მე ეტლს მოვაგორებდი. გვერდით იაშუმ და ბავშვები მოძყებოდნენ. უცბად ასათიანის ლეკოს ერთი სტრიქონი ამოტივტივდა ჩემს მესხიერებაში:

— ეს რამხილა წამოზრდილან, მე რომ შარშან ვიწუნებდი!

ბედნიერ მამასავით მივაგორებდა ეტლს, თავში კი გამუდმებით მიტრიალებდა: „მე რომ შარშან ვიწუნებდი, მე რომ შარშან ვიწუნებდი...“ კარი დედამ ვამიღო, შეჰმომცინა და გოცეებით მკითხა:

— ასე აღრე რატომ მოხვედი, შეილო?

— მივიღინებაში მივდივარ, უნდა მოვემზადო, — ეუბასუხე და ოთახიდან გამომავალ ხმას ყური მივეუგდე, მაგნეტოფონი უკრავდა.

ჩემი დის ამხანაგები იყვნენ, პირველი კერსის სტუდენტები, საგაზაფხულო გამოცდებს აბარებდნენ და ჩვენთან

კარლო ბაბაბაძე
ფეხპირები მიხრინავთ ზოგს, მღინაჩის გაღმა



ხშირად იკრიბებოდნენ, მეცადინეობ-
ნენ. კარი შევადე და დამცინავად ვი-
კითხე:

— შემოვიდე? ხელს ხომ არ შევიშ-
ლით?

— მოდი, მოდი დათო! — გაუხარდა
ნანას ჩემი დანახვა, — ვისვენებთ, კარვ
ჩანაწერს მოგასმენინებთ.

— შენ რა, — შემომაჩერდა ჩემი
და, — ავად ხომ არ ხარ, ასე აღრე რამ
მოგიყვანა?

— შევედი, ჯერ ნანას ვაკოცე ლოყა-
ზე, მერე მათას და ნატოს მივეუახლოვედი:
— ნება მომეცით, გეამბოროთ.

ნატომ სათვალე შეისწორა, ხელები
მკერდზე გადაიჭდო და გავკაპასებით
თქვა:

— არ გამიგონია ამდენი კოცნა, სხვა
რომ არაფერი, არაპიგიენური!

— ნუ იქნებით ასეთი მკაცრი, — გა-
ვუღიმე და გამხდარ ლოყაზე მოწიწე-
ბით ვეამბოროე.

ნანამ მაგნიტოფონის კასეტი გამოცვა-
ლა და ხელით მანიშნა, მოუსმინეო.

სავარძელში მოვკალათდი.

— საკუთარი და დაავიწყდა, რო-
გორც ყოველთვის!

ოო, პარდონ-მეთქი და ფეხზე წამოვ-
დექი, ჩემს დას საკოცნელად მივეუახ-
ლოვედი.

— კარგით რა, კარგით, ნუ ხმაუ-
რობთ, — შესძახა ნატომ, ისე, სახის
ნაკვთიც არ შეტოკებია, — მომაწოდე
სიგარეტი!

სიგარეტი გავუწოდე და სანთია ავან-
თე. ჰარი ბელაფონტე მღეროდა, მეც
გავაბოლე. ჩემი და სამხარეულოში გა-
ვიდა, ფინჯნებით ყავა შემოიტანა და
ყველას ჩამოგვირიგა.

— ნახეთ რას მღერის, — თქვა ნა-
ნამ, — რა სიგიჟეა!

ყური მივუგდე, ყავა მოვსვი, ცხელი
იყო. ფინჯანი მაგიდაზე დავდგი და ფეხ-
ზე წამოვდექი.

— ყავას კონიაკი უხდება, — სერ-
ვანდს მივეუახლოვედი, კონიაკის ბოთლი
გამოვიდე. სილამაზის და სიყვარულის
სადღეგრძელო მინდა შემოგათავაზოთ...

— არ არის ორიგინალური სადღეგრძე-
რძელო, — შემომედავა ნატო და სიგა-
რეტი თითის გაწაფული მოძრაობით
შეარხია.

უტბად ელენეს სურათი გამახსენდა,
ფეხზე წამოვდექი, ჩემი ოთახის კარს
მივეუახლოვედი და ვთქვი:

— აი, ჩემი იდეალი, — ოთახში შე-
ვედი და კედლიდან ჩარჩოში ჩასმული
სურათი ჩამოვხსენი.

მაია და ნანა კარს მოადგნენ, ნანა
ისე მომიხსლოვდა, რომ მისი მკერდი
ჩემს მკლავს ეხებოდა, ხოლო ლაწვთან
საამო სუნთქვას ვგრძნობდი.

— რა ლამაზია, ვინ არის? — მკითხა
და შემომხედა.

— ულამაზესი ქალი იყო, სიყვარუ-
ლი იყოდა! — ვთქვი რაღაც სახეიმო
ხმით.

ნატო არ განძრეულა, კვლავ დევანზე
იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. მიყვარ-
და ნატოს გალიზიანება, განგებ წინ და-
ეუდექი და განვაგრძე:

— ეს იყო ნალდი ქალი! ეზოში რომ
შემოვიდოდა, ბავშვები დავებვეოდით
ხოლმე... ჯადოსნური ღიმილი ჰქონდა,
არაჩვეულებრივად მღეროდა! — სურა-
თი მაგიდაზე დავდე, ისე რომ ნატოს
შეძლებოდა მისი დანახვა, — დღესაც
ჩამესმის ხოლმე ის საოცარი ხმა.

მოულოდნელად დედამ შემოიხედა
ოთახში:

— დათო ტელეფონთან! — მითხრა
და კვლავ კარი გაიხურა.

— ლამაზი ქალი არ უნდა დაბერდეს,
— გავემართე კარისკენ. თან უკან ვი-
ხედებოდი: — ვერ წარმომიდგენია,
ჩვენს ეზოში თმაჭალარა და სახედანაო-
ქებული ელენე შემოდიოდეს!

— ვინ იყო? — იკითხა ნანამ და სუ-
რათი აიღო, დააცქერდა.

— ჩვენი მეზობელი იყო, თურმე, —
აუხსნა ჩემმა დამ, — ძალიან ლამაზი
ქალი ყოფილა. ეს სურათი ახლახან
ძველ წიგნებში ამოქექა დათომ, ჩემი
იდეალიაო, დაუჩემებია.

— რა დაემართა? — იკითხა ახლა
მაიამ და ნანას სურათი ჩამოართვა.

— საყვარელმა თუ ქმარმა მოკლა...
დერფანში გავედი და ყურმილი ავი-
დე. ვია მირეკავდა, ჩემი სკოლის მეგო-
ბარი, სამხატვრო აკადემია დაამთავრა
შარშან, ჰონორარი ავიღეო, რესტორან
„საქართველოში“ ვიქნები, აუცილებ-
ლად მოდი, აღვნიშნოთო.

— მიდიხარ სადმე, შვილო? — მკით-
ხა დედამ, როგორც კი ყურმილი დაკდე.

— ჰო, დედა. ორიოდ საათით, გია
მელოდება!

— დაგესვენა, დილით მივლინებაში
მიდიხარ! — შეწუხდა დედა.

— კარგი რა, ნუ იცი ასე, ბავშვი
ხომ არა ვარ! — დედას ჰალარა თმაზე
გადავუსვი ხელი და მოვეფერე.

დერფანის კარს მამაჩემი მოადგა.

— კიდევ საქეიფოდ მიდიხარ? —
მკითხა და დაკვირვებით შემთვალაო.

— რა ამბავი ამიტყნეთ, — ავიქნიე
ხელი გაბრაზებით და ოთახისკენ გავე-
მართე, — აბა, რა ვქნა, დავჯდე ტელე-
ვიზორთან და ვუცქირო, როდის გათენ-
დება, მივლინებაში რომ წავიდე?!

მამაჩემი კარგა ხნის გადამდგარი ოფი-
ცერია, ომის ვეტერანთა საბჭოს წევრი,
ამ ბოლო დროს რაღაცას გამუდმებით
წერს, როგორც ჩანს, მემუარებზე მუ-
შაობს, ხშირად ამა თუ იმ საკითხზე მე-
კამათება ხოლმე, განსაკუთრებით, რო-
ცა რაიმეს დაზუსტება უნდა. ახლაც შე-
ვატყვე, ჩემთან კამათი უნდოდა.

ოთახში გოგონები დივანზე ჩამომს-
ხდარიყვენ და გატრუნულები ფიქრს
მისციემოდნენ. ელენეს სურათი ახლა ნა-
ტოს ეჭირა ხელში, კვლავ სივარეტს აბო-
ლებდა და თვალგამტერბული სივარცეს
გასცქეროდა. რაღაცის თქმა დავაპირე,
მაგრამ გაოცებულმა ხმა ვერ ამოვიღე,
ნატოს თვალთ ცრემლით ჰქონდა სავსე...

ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი გო-
გოებს და ის იყო გაბრუნებას ვაპირებ-
დი, რომ ნატომ შემომხედა და დინჯად
აუღელვებლად მითხრა:

— შენს ადგილზე მოეძებნიდი ელენეს
ქალიშვილს... აი, ვაუკაცობა ეს იქნებო-
და.

საშინლად გაავდარდა, წვიმა ჯერ შვე-
ულად ურტყამდა და მანქანის ბრეზენ-
ტის სახურავზე ტყლაშატყლუში გაჰქონ-
და, მერე ქარმა დაუბერა და თავსხმა
ირიბულად წამოვიდა. მანქანა ღმუილით
შეუყვავ ტალახიან აღმართს, წითელი
აყალო სრიალებდა და გვერდიგვერდს
მივავლევედით გზას.

— ესაა, გამართულია მანქანაო! —
თქვა მიშამ და საწვიმარი ლაბადა შეის-
წორა, კარიდან შემოსხმულ წვიმას რომ
არ დაესველებია. — წინა ხიდს რა და-
ემართა?

— მეორე კვირაა, თქვენთან ვარ, —
მოგვხედა წუთით უშანგმა, — ამ ტყე-
ლრეში მანქანა კი არა, კაცი მოიშლება.

გარეთ გავიხედე, თქეშმა იკლო, გა-
ლუმბულ მიდამოს ნათელი წამოეპარა,
ნაწვიმარი ხეები ყურებჩამოყრილები-
ვით იდგა. ვალმა ფერდობზე მწვანეში
მიმოფანტული ოდა-სახლები მოჩანდა.
მანქანამ ღმუილს უმატა, უკანა ბორბ-
ლებს ჩხუილ-წუილი გაჰქონდა.

— კარგი, კარგი, ნუ აწვალე! —
თქვა მიშამ და თავი გარეთ გაჰყო, —
კანტორამდე ფეხით მივალთ, აქ დაგვე-
ლოლო, ცხენებს ვიშოვნით.

მზემ გამოაჭყიტა, აღარ წვიმდა, მე
და მიშა ატალახებულ ორლობეს და-
ვადექით, მალე კანტორის ეზოც გამოჩ-
ნდა, გლენებს თავი მოეყარათ და ხმა-
მალა ლაპარაკობდნენ, ხელებს იქნე-
დნენ, ეტყობოდათ. წვიმის მოსვლა უხა-
როდათ, ყანები ჰქონდათ გასათოხნი;
ჩვენ რომ დაგვინახეს, გაოცებით შემო-
გვაჩერდნენ.

— გამარჯობათ! — მივესალმეთ გლე-
ხებს. მიშა შეჩერდა და მალალ, ხმელ-
ხმელ კაცს ჰკითხა: — თავმჯდომარე აქ
არის?

— თავმჯდომარე? — გაიხედა კანტო-
რისკენ კაცმა, მერე ხელი გაიშვირა და
დასძინა — იქ არის, ბატონო, ჩვენც ვე-

კარლო ჭაბახაძე

ფოტოგრაფი მიწოდნაში უმოს, მდინარის
გალმა



ლოდებით... ისე ბატონო თუ მინცდა-
მინც საიდუმლო არ არის, ამ თავსხმა-
ში აქეთ რამ მოგიყვანათ?

— თქვენ სოფელზე ელექტროგადამ-
ცემმა ხაზმა უნდა გაიაროს, — აუხსნა
ლიმილით მიშამ, — ჩვენ დამპროექტებ-
ლები ვართ.

გლებები გამოცოცხლდნენ და ახმა-
ურდნენ.

— მაგი ჩვენც გავიგეთ, ბატონო, —
თქვა ისევე იმ კაცმა, — გვეშველება, აბა,
გზასაც გამოიყვანენ ალბათ.

— რა თქმა უნდა! — გაელიმა მიშას
და მე გადმოიხედა. — მშენებლობას
გზა დასჭირდება.

— აგაშენა ღმერთმა! — გაუხარდათ
გლებებს, — იქნებ ჩვენს სოფელსაც
ემშველოს რამე.

— როდისთვის აპირებენ მაგ ხაზის
მშენებლობას? — იკითხა ხალხში ვე-
ლიცამ.

— ორ-სამ წელწადში, სამოცდა-
სამისთვის უეჭველად იქნება! — მიუგო
მიშამ და კანტორისაკენ გაემართა.

კანტორაში შევედი. თავმჯდომარე
რადიკალს წერდა, კარი რომ შევადგო,
თავი ასწია, მერე ფეხზეც წამოდგა.
მობრძანდითო და სკამებზე მიგვითითა,
ხელი ჩამოვართვით და დავსხვდით.

— რით შეგვიძლია, გემსახურთო? —
გვითხრა ბოლოს თავმჯდომარემ, როცა
გავეცანით.

— ერთი ცხენი გვჭირდება, ტვირ-
თისა და იარაღების გადასატანად, —
დაიწყო მიშამ, — ეს ცუდი ამინდიც
დაგვესწრო...

— ვისთვის როგორაა, — გაიცინა თავ-
მჯდომარემ, — ჩვენცენ გვაღებები იყო,
არადა, მორალი მოძალებულა. —
მერე ფეხზე წამოდგა, ფანჯარას მიუახ-
ლოვდა და ეზოში გადასძახა: — კაკუნამ
რომ ამოიაროს, ჩემთან შემოვიდეს უეჭ-
ველად!

დიდხანს ვსაუბრობდით, თავმჯდომა-
რე ჯერ მშენებლობით დაინტერესდა,
ჩვენც ხომ გვეჩნება ელექტროენერჯიაო.
მერე თბილისში, ინსტიტუტში გატარე-
ბული წლები გაიხსენა.

მოულოდნელად კარის მღვრიდან
წვერულვაშმოშვებული კაცი გაეხიდა,
თვალი გორთხად შეგვაგლო და თავმჯ-
დომარეს მიაჩერდა.

— მოდი, მოდი, კაკუნა! — შესძახა
თავმჯდომარემ, მერე ჩვენ მოგვიბრუნ-
და: — მწყემსების ბრიგადირია.

კაკუნა კოჭლობით შემოვიდა, ფეხზე
ჭალამენები ეცვა და გალიფე შარვლის
ტოტები დაზლის თეთრ წინდებში ჰქონ-
და ჩატანებული, შავ ხალათზე კი ფარ-
თო ჯარისკაცური ქაშარი შემოერთყა
და ზედ ხანჯალი ეკიდა.

— გაიცანი, კაკუნა, ინჟინრები არი-
ან! — თქვა თავმჯდომარემ და ჩვენზე
ხელით ანიშნა.

კაკუნამ უხმოდ ჩამოგვართვა ფართო,
დაკოერილი ხელი და შუა ოთახში დად-
გა, დავალებას დაელოდა.

— ცხენები მიგყავს? — ჰკითხა თავ-
მჯდომარემ და ფეხზე წამოდგა. — ესე-
ნიც იქით მოდიან, მეგზურობა უნდა
გაუწიო.

— კი, ბატონო... — დაეთანხმა კაკუ-
ნა, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა: — წამობ-
რძანდით, დრო აღარ ითმენს!

ეზოში ორი ცხენი ბალახობდა, ერთი
უკვე დასაბალანებული იყო.

— სად არის თქვენი ტვირთი? —
იკითხა კაკუნამ და ეზოს თვალი მოაუ-
ლო.

— ქვემოთ არის, — ვუთხარი, — მან-
ქანა ვერ ამოვიდა.

კაკუნამ ჯერ ჩემს საწვიმარ ლაბადას
შეველო თვალი, მერე ტალახიან ჩქ-
მებზე დამხედა.

— წავედით! — თქვა ბოლოს, უფ-
რო ცხენების გასაგონად და ჰიშკრისა-
კენ გაემართა, მას მორჩილად მიჰყვნენ
ცხენები.

უშანგის მანქანიდან ტვირთი გადმო-
ეწყო და ჩვენს მოლოდინში მანქანას
უჩხიკინებდა. წვიმამ სრულებით გადაი-
ლო, ახლა მცხუნვარე მზე ანათებდა,
ირგვლივ ჩიტების ჰიკვიკო ისმოდა.

ცხენ ტვირთი ავკიდეთ და ქვეითად
გავუყვევით ტალახიან გზას. მალე სო-
ფელს გავცდით, უკან მოვიტოვეთ გან-

მარტობით მდგარი სახლიც და აღ-
მართს შეგუყვებით. ჩვენი მეგობარი
სიტყვაძუნწი კაცი აღმოჩნდა, სულ ორი
სიტყვით გვპასუხობდა: „პო“ და „არა“.
უფრო ხშირად ცხენებს უწყებოდა:
„შე სამგლე, გამოადგი ფეხი“, აჩუ,
მიდი“, ხანდახან დაუყვავებდა ხოლმე:
„ეგრე, ჩემო ჟრუნია, ეგრე“. ცხენებიც
ფრუტუნ-ფრუტუნით მისდევდნენ.

შვიდიოდე კილომეტრი გვექნებოდა
გავლილი, რომ მიშა შეჩერდა და გარე-
მოს თვალი მოაელო, მერე პლანშეტი
გაშალა და მითხრა:

— მგონი, ეს ადგილებია!

— კაქუნა ცნობისმოყვარეობით მოგ-
ჩერებოდა.

— აჰ, სადაც, ტყისმცველის სახლა
უნდა იყოს, — ვთქვი და კაქუნას შევ-
ხედე.

— ტყისმცველის?! — მოიქექა ქეჩო
კაქუნამ, მერე ხელი გაიშვია: — ბე-
ჭობს გაღალმა მეფუტკრის სახლია...

— რამდენი კილომეტრი იქნება? —
ჰკითხა მიშამ.

— ერთიც არ იქნება... — ჩამარცვლა
კაქუნამ.

— მაშასადამე, ადგილზე ვართ, —
დაასკენა მიშამ და პლანშეტზე ადგი-
ლი მონიშნა, — ელექტროგადამცემი
ხაზი აი, იმ გორაკს გადმოვიღის და ამ
მიმართულებით წავა...

სიგარეტი ამოვიღე, კაქუნას გავუწო-
დე და ვკითხე:

— მეფუტკრის სახლში ცხოვრობს
ვინმე?

— ცხოვრობს, მარა... — ვაფრძელო
სიტყვა კაქუნამ, ჩემს სანთიაზე სიგა-
რეტს მოუკიდა და შუბლთან თითი მი-
იტანა.

— აფრენს?! — გავიცინე და სიგა-
რეტი გავაბოლე.

— ასე ვთქვათ! — დამეთანხმა კა-
ქუნა.

მიშა პლანშეტზე აღნიშვნებს შორჩა
და მე მომიბრუნდა.

— აჰ დავბანაკდეთ, კარგი ადგილია.
მგონი, სადაც წყაროც უნდა იყოს? —
ჰკითხა მერე კაქუნას.

— ქვევითა! — თხმელნაჩისგან
იშვია ხელი კაქუნამ.

ცხენს ტვირთი ჩამოვხსენით, მერე
კაქუნას გამოვემშვიდობებთ, ხუთი დღის
შემდეგ ჩვენს წასაყვანად ჩამოიარეო,
გთხოვეთ და საქმეს შევუდექით. კარგა
გვარიანად გვშიოდა და უპირველესად
ტყიდან ხმელი ტოტები გამოვზიდეთ,
მერე ერთად ჩავედით ლელეში, წყარო
მოვძებნეთ, არც ისე ძნელი იყო მისი
მოძებნა, გაკვალული ბილიცი ზედ წყა-
როსთან მიდიოდა. ჭერ ხარბად დავეწა-
ფეთ ცივ წყალს, მერე ჩაიდანა ავავსეთ
მართალია, უკვე შუაღლე გადასული
იყო, მზე აცხუნებდა სველ მინდორს და
ტყეს ორთქლი ასდიოდა, მაგრამ მაინც
გრილოდა. მიშამ ცეცხლი დაანთო.
აქეთ-იქეთ შემოვუსხედით, სადილი
მოვაშხადეთ და რომ დავნაყრდით, მე-
რე კარავი დავდგით.

ჩვენს ვარშემო სულ ტყით დაფარუ-
ლი მთები შემოგარლიყო, ქვემოთ სო-
ფელი მოჩანდა. უფრო შორს ისევ მთე-
ბი აღმართულიყო. მე და მიშამ მინდო-
რი გადავიარეთ და ბეჭობზე დავდექით,
ახლა იქით გადავიხედეთ, სადაც მონა-
დარის თუ მეფუტკრის სახლი გვეგულე-
ბოდა.

ქვემოთ, ფერდობზე გაშლილი მინდო-
რი მესრით იყო შემოკავებული, იქვე
ხის პატარა სახლი იდგა, ხოლო სახლის
უკან ჩამწყრივებული სკები მოჩანდა.

— ბიოს! — აღმოხდა მიშას, — ამ
მეფუტკრეს კარგი მთის თაფლი ექნე-
ბა, ნეტა მოგვყიდოს!..

— მეც სიამოვნებით ვიყიდდი. —
კვერი დავუკარი მიშას და ერთხელ კი-
დევე მიმოვიხედე ირგვლივ.

მეფუტკრის სახლს იქით მთები მდო-
ნარეს ჩაეხრამა. მდინარე სოფლისკენ
მიემართებოდა და ქვემოთ მისი რიყია-
ნი ნაპირი მოჩანდა.

— ხვალ მივიდეთ აუცილებლად, —
დამამიმედა მიშამ და კმაყოფილი ღიღი-

კარლო ტაბატაძე

ფუტკრეში მიწრინავენი შორს, მდინარის
გალვა

ნით კარვისაგენ გაემართა: — ახლა დავისვენოთ, დილიდანვე საქმეს უნდა შევუდგეთ.

ჯერ ისევ ნათელი იდგა. ვიდრე ვინჯანშებდით, საძილე ტომრები მინდორში გამოვიტანეთ და შივ ჩავევრით. ჰემინგუელის მოთხრობები მქონდა წამოღებული და კითხვა დავიწყე. სახეს სუფთა ჰაერი მიგრძობდა და კითხვის უინს შიათკეცებდა. მოულოდნელად სიმღერა შემომესმა, ხმა თანდათან ახლოვდებოდა და უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა. კითხვას თავი ვანებე და სმენად ვიქეცი. ვილაც გატაცებით მღეროდა. გატრუნული ვუსმენდი. მოულოდნელად სიმღერა სულ ახლოს, თითქმის ჩემს თავთან შეწყდა და მყუდროება ჩამოვარდა. წიგნი გვერდზე გადავაგდე. საძილე ტომრიდან სწრაფად ამოვძვერი და იმ მხრისკენ გავიხედე, ოციოდე მეტრს იქით, ბუჩქებში ვილაცამ გაიშლივინა. გაფაცოცებით ვათვალისწინებ. მაგრამ კაცისშვილს თვალი ვერ მოვკარი.

— რა მოხდა, დათო? — მკითხა მიშამ, რომელსაც საძილე ტომრიდან ამოვყო თავი.

— ვილაც მღეროდა. — ვუთხარი და გულდაწყვეტილმა დავსძინე: — გაუჩინარდა!

— მღეროდა? — გაოცდა მიშა და თვალი შემაჯლო, მერე ბუჩქებისაკენ გაიხედა: — არაფერი გამიგონია, ალბათ ჩამთვლიმა.

— აქ ჩვენს უკან შეჩერდა...
— იქნებ მოგეყურა?
— ბავშვობისას არაერთხელ მსმენია, — დავიწყე ღიმილით და საძილე ტომრარზე წამოვეწევი. — ტყიურ მოლანდებებზე, ჰინკებსა და ალებზე, რომლებიც თითქოს მღერიან, წივიან, სახეს იცვიან, მაგრამ ეს ნაღდად იყო, ნაღდი მოლანდება იყო!

— შეიძლება, — დამეთანხმა მიშა, რადიომიმღები ჩართო და მერე ტომრიდან ამოძვრა: — მეფუტკრესთან თუ ისვენებს ვინმე.

— საოცარი ის არის, რომ უკვე მისმენია ეს ხმა საღდაც. — თქვენი ფურცლებში წასულმა.

— ყველაფერი შესაძლებელია, — მიშა კოცინს მიუახლოვდა და ცეცხლს ფიჩხი დააყარა, — შეიძლება, ვინმე მომღერალია ჩამოსული...

— თუ ასეა, რატომ ვაქრა! — ფეხზე წამოვდექი და მიშას მივუახლოვდი.

მიშამ გადაიხარხარა, მერე მომიბრუნდა და გაოცებით მკითხა:

— მართლა ხომ არ გგონია, მოლანდება იყო?

კარავში შევეძვერი, ხორცის კონსერვი გამოვიტანე და გახსნას შევუდექი.

— შეიძლება დალი იყო, მონადირეთა ქალღმერთი, — დავიწყე ღიმილით მიშამ, მერე ჩაიდანა აიღო და მკითხა: — წყალს ამოიტან, თუ...

გახსნილი ქილა იქვე დავდგი და ჩაიდანს უხმოდ ჩამოვართვი, მართალია, ჩემზე უფროსი კაცი იყო, მაგრამ თუ ამოვიჩემებდა, კარგ დღეს არ დაგაყრიდა.

— ფრთხილად იყავი! — მომაძახა სითხით, — დალიმ არ მოგიტაცოს!

ხევი ჩავედი და ბილიკს დავდექი. ქვემოთ კარგად ბნელდა, მყუდროებას წყლის რაკრაკი არღვევდა, დროდადრო ფრინველი გაიფაჩუნებდა ხოლმე ხეზე. მივდიოდი სმენაგამახვილებული და ერთიანად დამაბული, გარემოს ვათვალისწინებდი. მერე ერთი ფიქრი ამეკვიტა, მართლაც რომ შემხვედეს ულამაზესი ქალი, თმაგრძელი, ყელმოღერებული, ჩამოქნილი თქო-ფეხებით-მეთქი... გამეცინა. შევეჩერდი და მივიხედ-მოვიხედე — ფოთლებს შორის ოდნავ აღწევდა მკრთალი ნათელი, მიწა და ხეები აქ ჯერ კიდევ სველი იყო, ბილიკი ჩაშავებულ ღელეში მიიკლავებოდა. მოულოდნელად რაღაც ფრინველმა ფრთები შეაფათქუნა და დაივიღა, შეშინებულმა ფეხს ავუჩქარე, ერთხელ კიდევ მიმოვიხედე და სტვენა დავიწყე.

— სტვენა ამხნევეს კაცს, — მითხრა მიშამ, როცა უკან მოვბრუნდი. — რაც მეტს იფიქრებს, მით უფრო შეშინ-

დები. ვივასშემთ, მიშა რალაც-რალაც-ებს მიყვებოდა. გაიხსენა, როგორ დაუბრბია ერთხელ ღათვმა კარავი, როგორ ეგონა დამპალი ხის მორი, ფოსფორულის ნათების გამო, რალაც საოცარი ურჩხული, ქარის სისინი ჭინკების კვილად როგორ მოეყურა და რალაც ამისთანები. ფიქრებში ვიყავი გართული, მიშას არც კი ვუსმენდი, თავს ზრდილობისთვის ვუქნევდი. მერე კარავში შევედი და საძილე ტომრებში ჩავძვერით, მიშა ერთხანს რადიოს უსმენდა. მე კი კვლავ რალაც სისულელეებზე ვფიქრობდი და სულ ერთსა და იგივეს ვეკოთხებოდი ჩემს თავს, ვთქვით, შემხვედროდა მართლაც ულამაზესი ქალი, როგორ მოვიქცევოდი?

ღილით ერთბაშად გამომეღვიძა, რიკრაჟი იყო, ჩიტების ქვივლ-ხივილით შაშვების ჭახჭახით, ჩხიკვების ჩხავილით ტყე ზანზარებდა. მიშამ როგორც კი კარგიდან გავიდა, ხელები გაშალა, ხარბად ჩაისუნთქვა ჰაერი და შესძახა:

— რა ჰაერია, ბიჭო! სიცოცხლეა, სიცოცხლე!

მერე მისური გაიხადა და ასე, წელზევით შიშველი, წყაროსაკენ დღეშვა. მეც მივბაძე.

იმ დღეს შვიდიოდე კილომეტრი გავიარეთ, მივედი იმ პალომდე, საში დღის წინ რომ ჩავასვით და უკანვე წამოვედით, ახლა უკვე საპროექტებელ ელექტროგადამცემი ხაზის ტრასას მივყვებოდით, ანძებისთვის ადგილს ვარჩევდით, პალოს ვასობდით და პლანშეტზე გადაგვქონდა, ანძების მოსატანად დროებითი გზების გაყვანის შესაძლებლობებს ვსაზღვრავდით. ისეთი ადგილები გავიარეთ, სადაც ადრე კაციშვილს ფეხი არ დაედგა, ვკაფავდით ძეძვს, შქერს და ეკალბარდს. ეს ყველაფერი საჭირო იყო იმისათვის, რომ ტომოგრაფებს ანძების დაყენების ადგილები აეგვემათ, ხოლო გეოლოგებს გრუნტის მდგომარეობა გაერკვიათ.

კარავთან როცა მივბრუნდით, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, სულ ასოცამდე ანძის ადგილი შევარჩიეთ და

გვარიანადაც დავილაღეთ. კარავში მივლასლასდით თუ არა, მინდორზე წამოვწყეთ.

— ნეტა ახლა ვინმე საჭმელს მოგვიშხადებდეს, — ინატრა მიშამ, — მორიგეობა უნდა დავაწესოთ!

— კარგი, დღეს მე ვიქნები მორიგე... — წამოვკეცი მინდორზე.

— არა, დღეს ერთად მოვამზადოთ ვახშამი, ხვალიდან კი მორიგეობა დავაწესოთ. — თქვა მიშამ და ისიც უფზე წამოდგა. კარავს რომ მივუახლოვდით, მიშა უეცრად გახევებული შეჩერდა და მე მომაბრუნდა: — მგონი ჩვენს კარავში ვილაც იყო!

— ვილაც?! — ჩავეკითხე და კარვის კარის ზონარებს მივაჩერდი, უცბად წინა ღამის განცდები დამეუფლა.

— ზონარები სხვანაირად შევკარი! — არ იშლიდა მიშა.

კარავში შევეცვრით და გაფაფიცებით მოვაგვლეთ ყველაფერს თვალი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სანოვაგეს და ხელსაწყოებს. ყველაფერი ხელუხლებელი იყო, უცხო ადამიანის კვალი არ ჩანდა.

— მგონი შენც გეწყება მოლანდებები! — გავიციინე, სანოვაგის ყუთი გავხსენი და პარკით „სუპის“ ფხვნილი ამოვიღე.

ვისადილეთ, მერე საძილე ტომრები გამოვათრიეთ კარგიდან და მყუდრო ადგილს, ერთმანეთის გვერდით მინდორზე დავავეთ. კარავში შევბრუნდი, წიგნს წავიკითხავ-მეთქი. მაგრამ იქ, სადაც წიგნი მგულებოდა, არ დამხვდა, კარავში ერთხანს ამაოდ ვეძებდი, გარეთ გამოვედი და საძილე ტომარაში ჩავყავი ხელი, იქ ხომ არ ჩამრჩა-მეთქი. იქაც რომ ვერ ვიპოვე, გოცებისაგან პირი დავაღე და მიშას გავხედე, ის გარინდული უსმენდა რადიოს.

— რას ეძებ? — მკითხა ღიმილით.

— დალი კი არა, მგონი ამ ტყეში ჰუ-

კარლო ტაბატაძე
ფუტარაძე მიფრინაშვილი შორს, მდინარის
გაღმა

მანილები ცხოვრობენ, — ფრთხილად
ხელში საძილე ტომარა. — წიგნი დავ-
კარგე.

— წიგნი? — ჩამეკითხა გაოცებული
მიშა.

საძილე ტომარა თავდაღმა დავიჭირე
და დავბერტყე. ორი ათკაპიანი დავა-
რდა მინდორზე. მიშა ერთხანს მომჩე-
რებოდა, მერე წამოვდა და მოთხრა:

— ხომ ვთქვი, ვილაც იყო-მეთქი!

— ჩავიღეთ მეფუტკრესთან! — და-
ვაგლე საძილე ტომარა, — ვნახოთ, იქ-
ნებ ბავშვები ჰყავთ, იარაღები არ გა-
ზიდონ.

— იარაღებიც და სანოვაგაც... — და-
მეთანხმა მიშა და ფეხზე წამოდგა.

საძილე ტომარები ისევ შევყარეთ კა-
რავში, კარის ზონარები გულდასმით
გაკვივანძეთ და მუქარით მეფუტკრის სა-
ხლისაკენ გავწიეთ. მალე გორაკი გადა-
ვიარეთ და დავიდაღმართეთ, ქვემოთ
კარგად მოჩანდა მეფუტკრის კარმიდა-
მო, ჩამწკრივებული სკები და ხის საბ-
ლო.

— ნახე, ეზოში ვიღაც დადის! —
შესძახა მიშამ და ხელი გაიშვირა.

სკებთან მართლაც დადიოდა ვილაც,
შორიდან კარგად ვერ ვაფარჩიეთ,
მაგრამ რომ შეგვაშინა, ამას მივ-
ხვდით, — შეჩერდა და ერთხანს ჩვენ-
კენ იხედებოდა. ფეხს აფუჩქარეთ, მიშა
წინ გარბოდა... აღმართი დაიწყო და
მეფუტკრის ეზოს ვეღარ ვხედავდით,
მაგრამ მალე ისევ გავივაკეთ და
ღობეს მივადექით. მინდორში გათელი-
ლი ბილიკი ჭიშკარს აღგებოდა, მიშა
ჯიქურ მივარდა ჭიშკარს, მაგრამ ჩარა-
ზული დახვდა, მაშინ ღობეს ჩაველო
ხელი, ფეხის წვერებზე შედგა და გამ-
ყვიანი ხმით დაიძახა:

— მასპინძლო, ჰეი, მასპინძლო!

არავინ გამოგვეპასუხა, ეზოში გადა-
ხედვა ვცადეთ, მაგრამ ღობე მაღალი
იყო, თანაც შექრით კარგად გადაწულ-
ლი. ღობეს გავუყევი, იქნებ მეორე
ჭიშკარიც ჰქონდეს, ან იქნებ გარღვე-
ული ადგილი ვნახო-მეთქი. კარგა
შორს წავედი, მაგრამ უბრალოდ გადა-

სახელიც ვერ ვნახე, ის იყო უკან გაბ-
რუნებას ვაპირებდი, რომ მოულოდნე-
ლად ნავახის გაავებული ყეფა შემომეს-
მა, ვიფიქრე, ვილაც დაგლიჯა-მეთქი,
სირბილით გამოვბრუნდი, წინ მიშა შე-
მეფეთა, ფერდაკარგული იყო.

— წავიღეთ! — თქვა და ბილიკს და-
ადგა. აღშფოთებული რაღაცას ბურ-
ღლუნუნებდა. მივუახლოვდი და გაოცე-
ბით ვკითხე: — რა იყო, რა მოხდა? —
მერე ჭიშკარს შევაველე თვალი და
კვლავ მიშას მივუბრუნდი: — გამოვი-
და ვინმე?

— გამოვიდა ერთი ცალთვალა ხეიბა-
რი... — მომიგო მიშამ და ერთხელ კი-
დეც მიიხედა ჭიშკრისკენ.

— რაო, არ შეგვიპატიეთ?

— შემიპატიეთ?! — შეჩერდა წუთით
მიშა და დაბნეულივით შემომჩაჩერდა, —
შემიპატიეთ კი არა, ლამის იყო, ძაღლს
არ დააგლეჯინა ჩემი თავი, მოწყდი
აქედანო!

; — კაცი იყო? — დავინტერესდი.

— კაცი კი არა, სატანა იყო! — ჩა-
ქინა ხელი მიშამ.

— არ ჰკითხე, ბავშვები...

— ბავშვი და ქალი მაგასთან გაჩერ-
დება?! — შეჩერდა წუთით მიშა და
ცალკებად ჩაიციდა.

დაღმართი ჩავიარეთ, ის იყო მეფუტ-
კრის კარმიდამო თვალს მიეფარა, რომ
მოულოდნელად სიმღერა გაისმა. მე და
მიშა ერთბაშად შევჩერდით და ერთმა-
ნეთს გახევებულეზებით შევჩაჩერდით,
ისევ ის ხალასი ხმა იყო. მიშა უკბათ
გონს მოეგო, არიქაო და წინ ვაქცა,
უკან ავედევნე, ფერდობი ქლოშინით
ავირბინეთ და მეფუტკრის კარ-მიდა-
მოს გადავხედეთ, ხმა იქიდან მოდიოდა.

— ხედავ, ხედავ! — იღუმალი ჩურ-
ჩულით მოთხრა მიშამ და ხელი გაიშვი-
რა, — გოგო მღერის.

სკებს შორის თეთრკაბინი გოგო და-
დიოდა და თან გატაცებით მღეროდა.

— ისაა, თავზე რომ წამომაღა! —
ვთქვი და ათრთოლებულ ბუჩქებს
ამოვეფარე: — დაიცა, არ შეგვაშინოს.

მიშა მომიახლოვდა და კუნთის ბუჩქთან ჩაცუქდა. სმენაგამახვილებულუბი ვაფაციცებით ვადევნებდით თვალს და მთელი არსებით შეძრულვებს, ხმის ამოდება გვიძნელდებოდა. მოულოდნელად სახლის პარამაღზე კაცი გამოჩნდა, ერთხანს იდგა, მერე ეზოში ჩავიდა და ქალიშვილისაკენ კოჭლობით გაემართა, მას ნაგაზი აედევნა. მე და მიშამ უხმოდ გადავხედეთ ერთმანეთს, გული ისე გვიცემდა და ამ მოულოდნელობით ისე ვიყავით შეცბუნებულები, რომ ბურქებს მონდომებით ვეფარებოდით. მიშა ხშირ-ხშირად წყვეტდა ბალახის ღეროს, გაკენებდა და გადაადგებდა ხოლმე. კაცი შუა ეზოში მდგარ ძელქვას მიუახლოვდა, სკამზე დინჯად დაჯდა და ყალიონი გააბოლა, მისი ნაგაზიკ იქვე ჩაცუქდა. მიმწუხრი იდგა, ჩამავალი მზის სხივები ნათელ სვეტებად ეცემოდა მეფუტკრის კარ-მიდამოს და სავანგებოდ მკვეთრად განათებული მოჩანდა. სიმღერა კი საოცარი რეზონანსით იღვრებოდა სმენადქცეულ მთებს შორის.

მაღე მზე მთებს იქით ჩაესვენა, უცბად ჩამოხნელდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოყარდა. ქალიშვილმა სიმღერა შეწყვიტა და ძელქვასთან მჯდარ კაცისაკენ გაემართა.

— საოცარია! — ჩაილაპარაკა მიშამ: — მოლანდებას ჰგავს.

— ხმა არ გამოიცია, კვლავ ისეთი გრძნობა დამეფულა, თითქოს ეს ხმა ერთხელ უკვე მოსმენილი მქონდა.

— ჩვენი კარავი?! — შესძახა უცბათ მიშამ, ხელი კარვისკენ გაიშვირა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

— კარავი?! ჩავევითხე ვაოცებულმა და მიშას გამოვუდექი.

აღმართი სულმოუთქმელად ავირბინეთ და განმარტოებით ჩვენი კარავიც გამოჩნდა. ირგვლივ, ტყესა და ბურქებში, ყუმი სიბნელე იდგა. თუმცა მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით მოქუდილიყო. ამ მყუდროებით სავსე სიბნელეს დელიდან მომავალი წყაროს რაკრაკი არღვევდა.

— რა საოცარია, — გაიცინა მიშამ და ნელა განაგრძო სვლა: — რაც უცნაურად გვეჩვენება, ავგაღვლებს ხოლმე.

— მე მაინც უცნაური მგონია! — ეთქვი ჩაფიქრებულმა და მიშას გვერდით ამოვუდექი, ახლა, ერთი სურვილი მქონდა, მენახა ის გოგო.

— რა არის უცნაური, კაცი, მეფუტკრე, მთაში ცხოვრობს, — განმამართა უბრალოდ მიშამ, — სტუმრად ჩამოვიდა შვილი, ეთქვათ, შეილისშვილი!

— კი, ეს ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ...

— ამ მიყრუებულ კუთხეში ვინმე რომ ცხოვრობდეს, მაშინ ხომ უცნაურად არ მოგეჩვენებოდა, — მიშა კარავში შევიდა და საძილე ტომარაში ჩაძვრა: — ახლა დაეძინოთ, დილით აღრეუნდა ავდგეთ, რაც მეტად აყვები გულისტქმას, მით უარესია, — რადიომიმღები ჩართო და სადგურებს დაუწყო ძებნა.

შეც ჩავეძვარი საძილე ტომარაში და გავიტრუნე, ყურში ისევე ის სიმღერა ჩამესმოდა, თვალწინ კი უღამაზესი გოგო მდგა თმაგაშლილი, ყელმოღვრებულა. რაღაც სულელურ გეგმებს ვაწყობდი; ვითომ მოვიტაცე. ვითომ მამამისი თუ ბაბუამისი გამოვივლიდა, თოფიც მესროლა, მაგრამ ამაცდინა, მსუბუქად დამჭრა, ასე დაჭრილი ჩავედი თბილისში, ის გოგო-ბიჭები გადავვრე... ეს რომელიღაც ფილმს მაგონებს, გამიელვა გულში... უცბად წიგნი გამახსენდა და გატრუნული ერთხანს ვეღარაფერზე ვფიქრობდი, ნეტა გამამაიმუნა თუ წაუგნით დაინტერესდა?!

ამ ფიქრებში როდის-როდის ჩამეძინა. დილით მიშას ძახილმა გამომადგინა, ის უკვე ფეხზე იდგა და ბეჭებმოშიშვლებული ვარჯიშობდა.

— რა ჰაერია, ბუჭო, რა ჰაერი! —

კარლო ბაბაბაძე
ფუტკარი მიფრინავს შორს, მდინარის
ბაღმა

შემომცინა მიშამ და ხელები ღონივრად მოიქნა.

ჩვეულებისამებრ ჩავიბინეთ წყაროზე, მერე ვისაუბრეთ, ჩვენ-ჩვენი ზურგჩანთები ავიკიდეთ და გზას გავუღებთ, ისევ ის გზა უნდა გავვევლო, ერთხელ კიდევ დავრწმუნებულყოფავით შერჩეული ტრასის სისწორეში.

ნაშუადღევს მიშამ შემახსენა, დღეს მორიგე ხარ და კარავში უნდა დაბრუნდე ცხელი კერძის მოსამზადებლადო. მიშა სადაც უნდა ყოფილიყო, სულ ერთი და იგივე ეკერა ენაზე:

— ცხელი კერძი, ცხელი კერძი, როცა კაცი მაგრად მუშაობ, დაკარგული ენერჯია ცხელმა კალორიულმა კერძმა უნდა აღინაზღაუროს, განსაკუთრებით ასეთ სუფთა ჰაერზე.

ჩვენს მიერ გაკვალულ ბილიკს დავადექი, ვჩქარობდი, ხუთი კილომეტრი ისე გავიარე, ერთხელაც არ დამისვენია, დამართზე თავშეუკავებლად ვეშვებოდი, მიეფორთხავდი, ბუჩქებს და ქვებს თავს ვეველებოდი. აღმართზე, პირიქით, ბუჩქებს ვიშველიებდი, ტოტებს ხელით ვეკიდებოდი, ხეთა ფესვებს საფეხურებდა ვიყენებდი. წინათგარძნობა კარვისკენ მიმაქანებდა, გული მოოქვამდა, რაღაც უნდა მომხდარიყო. აქლოშინებული მივადექი მინდორს, სული მოვოთქვი და კარავს გავხედე, ირგვლილ ჩამიჩუმში არ ისმოდა, მუხლმოკვეთილი დავეშვი ბუჩქის ძირას და გავინაბე, მხოლოდ ახლა ვიგრძენი დაღლა. ერთხანს ასე ვიყავი, „შაინც რას ველოდებოდი, რა უნდა მომხდარიყო?“ მიტრიალებდა თავში და კარვისკენ ფეხს ველარ ვდგამდი, არ ვიცი ასე რამდენ ხანს ვიყავი, რომ მოულოდნელად კარვის ახლოს ბუჩქი შეიჩხა და ფოთლებს გოგო გამოეყო, მან ფრთხილად გადმოდგა ნაბიჯი და მიმოიხედა. ღამის იყო, სუნთქვა შემეკრა, სისხლი გამეყინა, გავცქეროდი გარინდებული და ტუჩებს ვიკვებდი. ქალიშვილმა იქაურობას თვალი მოავლო და ჩქარი ნაბიჯით კარვისაკენ გადმართა, გრძელი ნაწნავი წელზე წვდებოდა, ჩამოქნილ ტანზე თხელი თეთრი კაბა ეც-

ვა და ნაკვთები მოხდენულად მოუჩანდა. ხელში ჩემი წიგნი ეჭირა და გულთან ჰქონდა მიკრული, კარავს მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა და წიგნი კარავში ისე შეაგდო, რომ ზონრები არც შეუხსნია.

ახლა წავა, გამიელვა და უცებ ფეხზე წამოვიმართე, ანგარიშმიუცემლად გავაკეთე რამდენიმე ნახტომი, თვალისდახამხამებში მასთან გავჩნდი და ხელი მაჯაში ვტაცე. დაბნეულმა და შეშინებულმა მუდარით მომაპყრო თვალი, უეცრად ჩემი ყურადღება მედალიონმა მიიპყრო, დაეხიარე და გოცეებით დოვატქვრდი. ქალიშვილმა წარბები ანიღა და ოდნავ უკან დაიხია, ხელი გაინთავისუფლა და წაიღულულა:

— გამიშვი, არ გავიქცევი!

თვალედაჭყეტილი შევაცქვრდი, ჩემს წინ ელენე იდგა, ცოცხალი ელენე!

— ელენე! — წარმოვთქვი გახვეებულმა.

ქალიშვილი უფრო შეკრთა, გოცეებისაგან წარბები მუხლზე გაეცვა, მერე თავი შეარხია და ნაწნავი ზურგზე გადაისროლა.

— ელენე დედაშენს ერქვა, — დავიწყე ენის ბორძიკით, მერე უფრო დამაჯერებლად წარმოვსთქვი: — შენ ლალი ხარ, ლალი, ხომ?

ქალიშვილი ერთხანს კვლავ გოცეებული მომჩერებოდა, მერე სახეზე ღიმილი გაუკრთა, ღიმილი ტუჩებთან დაეწყო, მთელი სახე მოიარა და თვალედაში ჩაეღვარა.

— მეც ელენე მქვია! — თქვა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით მკითხა: — შენ დედაჩემს იცნობდი?

— როგორ არ ვიცნობდი, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა... — ვუპასუხე გახარებულმა და დავსძინე, — ის კაცო მალხაზია?

— ჰო, მამაჩემია, — მოეღრუბლა სახე წუთით ელენეს და დასძინა. — ომში იყო...

— ვიცი, — გავუღიმიე გულის გასამხნევებლად, — როცა დაბრუნდა, ჩვენიან შემოიარა... — მინდოდა მეთქვა, შენს

წასაყვანად-მეთქი, მაგრამ, ენას კბილი
დავაჭირე.

ელენემ ისევ გაიღიმა. „ზედმეტი არა-
ფერი წამომცდეს, — გამიელვა თავში,
შეიძლება მაღხაზი უმაღლეს სინამდვი-
ლეს“, საათზე დავიხედე, მერე ელენეს
შევავლე თვალი და შევიცხადე:

— უჰ, რა დრო გასულა, ს:ცაა ჩემი
მეგობარი მობრუნდება, მე „ი სადილი
ჯერ არ მომიზადებია! — ვთქვი და ცე-
ცხლის დანთებას შევუღდექი. ვიცოდი,
რომ ელენე უკვე აღარსად წავიდოდა,
ისე იყო ცნობისმოყვარეობით შეპყრო-
ბილი. ხმელი ტოტები დავამტვრიე, მე-
რე სამფეხი გავმართე და ცეცხლი ავა-
ბრიალე.

— მაშ, მამაჩემსაც იცნობ? — გაუკ-
ვირდა ელენეს.

— ხომ გითხარი, ჩვენს მეზობლად
ცხოვრობდით-მეთქი! — აფუწიე ხმას,
თითქოს გული მომივიდა: — შენ და
ჩემი და სულ ერთად თამაშობდით,
ორივეს დედაჩემი გვივლიდათ ხოლმე...
— მივყარულე საქმეში გართულმა.

— მამას არასოდეს უთქვამს, თუ ჩვენ
ქალაქში ვცხოვრობდით, — შემომესმა
ელენეს ნაღვლიანი ხმა.

იქეთ გავიხედე, ის ჭირკჭე ჩამომჯ-
დარიყო, ოდნავ მხრებმობრუნებული
და ყელმოღერებული, ჩემკენ იხედებო-
და. ვიგრძენი, ტარაბუა მესხმოდა, თა-
ვი გავაჭინე და ფეხზე წამოვდექი, კა-
რავს მივაშურე, შევედი თუ არა, საძაღვე
ტომარაზე გავიშნარათე და გავიტრუ-
ნე, სული მოვიოქვი. ეს რა მემართება,
ნუთუ გრძნობები ვერ უნდა დავიოკო?
ელენემ წარსულის არაფერი იცის, მაღ-
ხაზის ნახვამდე ენას კბილი უნდა დავა-
ჭიროო... წამოვდექი, კარდალას წამოვა-
ვლე ხელი, მერე დანა და საველე სკამი
მოვქებნე და გარეთ გამოვედი. ელენე
ისევ ჭირკჭე იჯდა და აქეთ იხედებოდა,
შეებით ამოვისუნთქე, — არ წასულა-
მეთქი.

— ახლა, სადილი მოვამზადოთ. —
განგებ ხმაშალა ვთქვი, სკამი გავშალე
და დავჯექი: — ცხელი კერძი, როგორც
ბატონი მიშა ამბობს ხოლმე...

— ნუთუ თბილისში ვცხოვრობდით?
— შემომესმა ისევ ელენეს ეჭვით სავსე
ხმა.

ის თვალებდახრილი იჯდა და სახეზე
ისეთი ნათელი ადგა, გაოცებულმა პი-
რი დავალე. იგრძნო ჩემი გამოხედვა,
თავი ასწია და მომაჩერდა. თვალი მო-
ვარიდე, კარტოფილი ავიდე, დანა მო-
ვიმარჯვე:

— ახლა, ამ კარტოფილს გავთლი...
— მომიყვვი რაიმე დედაჩემზე! —
მთხოვა ელენემ და უფრო მოხერხებუ-
ლად დაჯდა.

ჩაიღნიდან წყალი კარდალაში ჩავას-
ხი, კარდალა სამფეხზე შევდგი და და-
ვიწყე:

— ელენე დეიდა ძალიან უყვარდათ
ჩვენი ეზოს ბავშვებს, ისეთი მომხაბე-
ლელი და კეთილი დიმილი ჰქონდა, ახ-
ლაც თვალწინ მიდგას ხოლმე, ეზოში
რომ შემოვიდოდა, ბავშვები შემოვებ-
ვეოდით, ისიც ყველას გვეფერებოდა,
განსაკუთრებით მე! — ელენეს გაგზედე,
მერე დაჭრილი კარტოფილი ჩავყარე
კარდალაში და განვაგრძე: — რამდენ-
ჯერ უკოცნია ჩემთვის, — ქალიშვილს
გაეღიმა და თანაგრძნობის თუ შურის
თვალი მომაპყრო, — რა ხმა ჰქონდა?
არა, შენც კარგად მღერი, მაგრამ ის
სულ სხვა იყო, ოპერაში მღეროდა! შე-
ნი სიმღერა პირველად რომ გავიგონე,
ყურებს არ დავუჭერე, ნუთუ დეიდა
ელენეს ხმაა-მეთქი! — ელენეს შევიცი-
ნე და ფეხზე წამოვდექი: — დედაშენი
შინ რომ მოვიდოდა ხოლმე, ოთახში
გამოიკეტებოდა და მღეროდა, თან
ფორტეპიანოზე უკრავდა. ჩვენ, ბავშ-
ვები, ფანჯარას მიცვივდებოდით, ფან-
ჯარა დაბალზე იყო და ეზოში გამოდი-
ოდა, ჩამოვეყიდებოდით ლითონის გი-
სოსებებს და შიგ ვიკვირებოდით: —
კარავში შევედი, კონსერვის ქილა გა-
მოვიტანე, ქალიშვილისკენ გავიხედე და

კარლო ბაბაბაძე
ფუტარბაი მიუზიკანტი შოკს, მლინარის
ბაღვა

ვთქვი: — ახლა, ხორცი ჩაყაროთ, შენ არ ამზადებ ხოლმე საჭმელს?

ელენემ გაიცინა, თმა შეისწორა და მკითხა:

— როგორი ქალი იყო დედაჩემი?

— ოო, — წარმოვთქვი, გაზვიადებულად და სივრცეს თვალი გავუშტერე, — ულამაზესი ქალი იყო, იდეალური... — სკამს მივუახლოვდი, ის იყო უნდა დავმჯდარიყავი, რომ ჩემი საველე სკამი დაიკეცა და მინდორზე გადავკოტრილდი.

ქალიშვილმა გულლიად, თავშეუკავებლად გადაიკისკისა. შემცბარი წამოვდექი და უმალ ცეცხლს შევხედე, ქვაბა ხომ არ გადავაცირავე-მეთქი, მერე მინდორს მოვავლე მზერა, თვალით მოვძებნე კონსერვის ქილა, რომელიც ჭვემით ბუჩქებისაკენ მიგორავდა. ყველაფერი რიგზე იყო, უხერხულობაში ჩავარდნილმა გავიღიმე და ელენეს გავხედე, ის გაბრწყინებული სახით, ბავშვური სისპეტაკით კისკისებდა.

— იცი რა, — ვთქვი უკვე გაშინაურებულმა, — შენ ძალიან ჰგავხარ დედაშენს, ისიც შესაავით ლამაზი იყო...

ქალიშვილმა სიცილი უცბად შეწყვიტა და მოულოდნელად ფეხზე წამოდგა, გოცეხული შევაჩერდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. ელენემ კოპები კი შეიკრა მაგრამ შევტყვე, წასვლას არ აპირებდა. კონსერვის ქილა ავიღე და ვთქვი:

— შე მაქვს დეიდა ელენეს სურათი. — და ვითომც დიდი არაფერი მითქვამს, ქილის გახსნას შევუდექი.

— სურათი?! — გოცეხა ვერ დაფარა ელენემ და ბავშვივით შეჰყვირა.

— ჰო, სურათი, — გავიმეორე დინჯად, მივხვდი, რომ მიზანში მოვარტყი: — თბილისში რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გაჩვენებ, თუ გინდა, გაჩუქებ კიდევ!

— მაჩუქებ, დედაჩემის სურათს? — ჩამეკითხა შეძრწუნებული, ფიქრნარევი ხმით.

— ჰო, გაჩუქებ! — ხორცი კარდალასი ჩავუძახე და ქილა კოვზით გამოვავ-

სუფთავე. — ახლა, ცოტა ხახვს და ნოთრის ჩავეუმატებ.

კარავში შევედი, ღრმად დარწმუნებული, რომ სადავე ხელში მეჭირა და საითაც მინდოდა, იქით გავაქენებდი ჩემს ფაშატს. ნიორი, ხახვი და ხმელი მწვანილი ფაცაფუცით მოვძებნე და გარეთ გამოვედი, უმალ ელენესაკენ გავიხედე, მაგრამ იქ უკვე აღარაინ იდგა, შემოფოთებული ჭირკისაკენ გავიქეცი და რაც ძალა შემწვევდა, შევძახე:

— ელენე, ელენე!

მხოლოდ მთები გამომეპასუხნენ, გულდაწყვეტილი ჭირკზე ჩამოვკეჩი და თავი ჩავლუნე.

— ვის ეძახდი, დათო? — შემოაყენა მოულოდნელად მიშას ხმა.

მიშა კარვისაკენ მოდიოდა და თან გოცეხული შემომტყეპროდა. წამოვდექი, წელმოთრეული კერიისაკენ გავემართე, ხახვი და ნიორი ისევ ხელში მეჭირა. კარდალას ცეცხლი გამონელებოდა.

— დალი მოვიდა, იმას ვეძახდი! —

ვთქვი და კარდალას ცეცხლი შევუნთე.

— დალი?! — მიიხედ-მოიხედა მიშამ.

— ხეიბრის ქალიშვილი, გუშინ რომ მღეროდა! — განუთმარტე და ხახვის დაჭრას შევუდექი.

— მართლა, დაელაპარაკე?! — გაეხარდა რატომღაც მიშას და დალილა, იქვე მხართეძოზე წამოწვა.

მოკლედ მოვუყევი ელენესა და მალხაზის ამბავი, ის, რაც მახსოვდა და ის, რაც გაგონილი მქონდა, როგორ მოკლა ამბერკიმ ელენე, როგორ წაიყვანა მათი შვილი მალხაზმა. ამასობაში კერძიც მომზადდა და შებინდა კიდევ. ვისადილეთ, მერე მინდორზე წამოვწყვეით ერთმანეთის პირისპირ და კვლავ საუბარი განვაგრძეთ, მიშა ძალიან დაინტერესდა მალხაზისა და ელენეს ამბით, შეკითხვებს მაძლევდა და თავისებურად მარტავდა. მოულოდნელად სიბნელით მოცულ ტყეს კაცი გამოეყო და კოჭლობით ჩვენკენ გამოემართა, მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული და ჩქარი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა, მარჯვენა ფეხს რომ გადმოადგამდა, მარცხენით წაიჩო-

ქება, მარცხენას აიჭნევდა, წინ გადმო-
დგამდა და მარჯვენას შეაშველებდა, მე-
რე ისევ მარჯვენი იწყებდა... გვერდით
ნაგაზი მოპყვებოდა, შორიდანვე მივ-
ხვდი, მალხაზი იყო! მინდორზე წამოვ-
ჯექი და მიშას ვანიშნე, გახედე-მეთქი.
რატომღაც შემეშინდა კიდევ. მიშა ფა-
ცაფუციტ წამოჯდა და იქეთ გაიხედა.
მალხაზი შორიანხლოს უხმოდ შეჩერ-
და და ცალი თვალთ მიშა შეათვალიერ-
ერა, მერე მე დამაშტერდა. თმა გაჭალა-
რავებოდა. მოშვებულ წვერს ნაიარევი
ლოყა დაეფარა.

ნაგაზი მოშორებით ჩაცუცქდა და
თვლები დაიწყო.

— გამარჯობათ, მალხაზ ბიძია! —
ვთქვი უხერხულობის გასაფანტავად და
ფეხზე წამოვდექი.

მალხაზმა უხმოდ შემათვალიერა და
მუქარანარევი ხმით მკითხა:

— გვარი, ვინა ხარ?

— უგრეხელიძე ვარ, პლატონ უგრე-
ხელიძის შვილი! — მივუგე დაბნეულ-
მა და ჩამოსართმევად გაშვერილი ხელი
დაეშვი.

— მომავენით, — ჩილაპარაკა უფრო
თავისთვის მალხაზმა, ერთხელ კიდევ
შემათვალიერა და მიბრძანა: — წამოშ-
ყევი! — შეტრიალდა და წავიდა.

მიშას თვალი შევაელე და მალხაზს
უხმოდ გავყევი. ნაგაზი საქმიანად, დინ-
ჯად წამოდგა და გვერდით ამომიდგა. —
დაიცა, მეც წამოვალ. — წამოხტა მიშა
და ხალათი გაისწორა.

— თქვენ დარჩით! — შეჩერდა წუ-
თით მალხაზი.

დაღმართი უხმოდ ჩამოვიარეთ და გა-
ვივაკეთ, უკვე კარგად ბნელოდა, ცაზე
შავი ღრუბელი გაწოლილიყო და ვარ-
სკვლავები აქა-იქ მოჩანდა, ღელედან
გასაკას კრული ისმოდა და საერთო
მყუდროებას არღვევდა. რა უნდა, რის-
თვის მივყავარ? მიტრიალებდა ეს კი-
თხვები გონებაში და გული მომეტებუ-
ლად მიცემდა. მალხაზი უხმოდ მიდი-
ოდა, უკანაც კი არ იხედებოდა და ეს
უფრო მიფორიაქებდა გონებას. ხშირად
ნაგაზს გადავხედავდი ხოლმე, ის თავ-

დახრილი უხმოდ მომყვებოდა გვერ-
დით. მალე ღობეს მივადექით, მალხაზმა
გაალო თუ არა ჭიშკარი, ნაგაზი პირვე-
ლი შევარდა, და როცა ჩვენ შევედით.
წინ დავგვხვდა. ქვის სამიოდ საფეხურა
ავიარეთ და ლამპის შუქით მკრთალად
ვანათებულ ოთახში შევედით. მალხაზ-
მა თოფი კედელზე ჩამოჰკიდა და მაგი-
დასთან მდგარ სკამზე მიმითითა, დაჯე-
ქით. მოპირდაპირე კარი გამთალო და
სიბნელეში გასძახა:

— ელენე, არაყი შემოგვიტანე! —
მობრუნდა და პირისპირ დამიჯდა, ერთ-
ხანს თავდახრილი იყო, მერე თვალი მო-
მაპყრო: — თხუთმეტი წელია ნაცნო-
ბებს გაუტრბოდი, ცხოვრებას თავისი
გააქვს, ბედს ვერსად წახვალ...

— ჩვენ, გადამცეუ ხაზს...

— ვიცი, — შემაწყვეტინა მალხაზ-
მა, — ერთ დროს მეც ვოცნებობდი
ჩვენი სოფლების ელექტროფიკაცია-
ზე, — ჩაიცინა, — ყველაფერი ამოვება
ყოფილა!

— ბატონო მალხაზ! — ვცადე ხმის
ამოღება, — ჩვენებს ძალიან გაუხარ-
დებთ თქვენი პოვნა.

— პოვნა?! — გაიმეორა, მალხაზმა
და შევატყვე, არ ესიამოვნა ჩემი გამო-
თქმა, — მე ჩემთვის წყნარად ვცხოვ-
რობდი აქ.

მოულოდნელად კარი ჭრიალით გა-
იღო და ზღურბლზე ელენე გამოჩნდა,
ხელში ხონჩა ეჭირა. ოთახში შემოვიდა
და კართან შეჩერდა, ლამპის შუქზე
ფერმკრთალი გამოიყურებოდა და მისი
სახე სანთლით ნაძერწს ჰგავდა. ვახევე-
ბული შევაჩერდი, მალხაზმა ჯერ ელე-
ნეს შეავლო თვალი, მერე მე დამაშტერ-
და და ჩაახველა. გამოვერკვიე, გულზე-
დაც მომეშვა. ელენე უხმოდ მოგვიან-
ლოვდა, ხონჩა დადო, და გრაფინი, სირ-
ჩები, ცივი მჭადი და თაფლით სავსე
თასი მავიდაზე გადმოალაგა. მერე შე-
ტრიალდა და უხმოდ გამართა კარისკენ.

კარლო ტაბატაძე
ფუტკარივი მიფინინავენ შოუს, მდინარის
გალბა

არ წახვიდე, არ წახვიდე, ოო, ღმერთო! გავიფიქრე გუნებაში. მაგრამ ელენემ კარი გამოაღო და ოთახიდან ისე გავიდა, უკან არც მოუხედავს.

— დიახ, — შემომესმა მაღბაზის ხმა, — ელენე ძალიან ჰგავს დედამისს — გრაფინს მისწვდა და არაყი ჩამოასხა.

— საოცარია, ასეთი მსგავსება! — დღევთახმე მაღბაზს.

— გახსოვს ელენე? — მომაპყრო თვალი.

— როგორ არ მახსოვს, — ვთქვი გულუბრყვილოდ. — მაღბაზი კვლავ თვალმოუშორებლად მომჩერებოდა. დავიბენი, პოზიციის გასამაგრებლად დავსძინე: ჩვენ დეიდა ელენეს სურათი გვაქვს-მეთქი, — და მაღბაზს ღიმილით მივაჩერდი, მაგრამ მიგხვდი, მისა გამოხედვა განმარტებას მოითხოვდა: — სურათი თქვენს წიგნებში აღმოვაჩინე... წიგნები ჩვენს საკუჭნაოში ინახებოდა დიდხანს.

— დავლიოთ! — თქვა მაღბაზმა და სირჩა აიღო.

— შესანიშნავი წიგნები გქონიათ, ბატონო მაღბაზ! — სირჩას მივწვდი, მერე მაღბაზს თვალი შევავლე და დავსძინე: — ვაფასებ თქვენს გემოვნებას.

— წიგნები! — მოპრუწა ტუჩები მაღბაზმა, — დიახ, მქონდა წიგნები, მყავდა ლამაზი მეუღლე და...

— თქვენი წიგნება ჩეჩს ბიბლიოთეკაში ინახება...

მაღბაზმა არაყი გადაჰკრა, სირჩა მაგიდაზე დადგა, ისევე მომაჩერდა და ხმადაბლა დაიწყო, თითქოს ეშინოდა, არავინ გაიგონოსო:

— ამასაც უყვარს წიგნები, — თკვის გადაქნევით მიმოითთა კარისაკენ, საიდანაც ელენე გავიდა, — მაგრამ კოთხის უფლებას არ ვაძლევ, არა და არც მივეცემ! — შეჰყვირა უცბად ისე რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ლამპის შუქმა ციმციმი დაიწყო. — ზოგიერთებისათვის ჩემი და ელენეს ამბავი ტკბილად მოსაგონარი რომანტიკაა, ჩემ-

თვის კი აბურღულია, გაწამებულნი ვართ!

გატრუნული მივჩერებოდი მაღბაზს და არ ვიცოდი, რა მეთქვა, როგორ მოეკეთულიყავი, თუმცა სათქმელიც არაფერი მქონდა.

— იცო, რა ვუქენი ერთ მასწავლებელს, — გადმოიხარა ჩემკენ მაღბაზი და იდუმალი ხმით დასძინა: — ვცემე, სულ აგერ, ახლახანს ასე, შენსავით ახალგაზრდა ყმაწვილია, წიგნებს აწვდოდა ელენეს, ერთხანს თვალს ვარიდებდი, ჩემს თავს ვებრძოდი — წუთისოფელს ვერ აღვუდგები-მეთქი, მაგრამ ერთ დღეს ელენე ბოკაჩოს კითხულობდა. მაშინ კი ამეცხო მოთმინების ფიქალი! — ჩაიციხა მაღბაზმა და თვალი ბოროტად დააბრიალა. — მივეჭრა იმ რეგენს და ყველას თვალწინ ვცემე, მაგრამ რა ვცემე! — მაღბაზი ფეხზე წამოიჭრა, — აი, ასე, აი, ასე! — ხელებს გაშმაგებით იქნევდა და სახეს ნერვულად მანჭავდა. — ვიღრე მაგრაღ არ დაგზილენ, არ მოვეშვა.

„სატანა, სატანა!“ — ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, მაღბაზი სკამზე დაეშვა, საყულო მოიღლიტა და აქლოშინდა. ფეხზე წამოვვარდი, კარს ვეცო, გამოვალე და რაც ძალი და ღონე მქონდა დავიძახე:

— ელენე, წყალი, წყალი, ელენე! მაღბაზს ყელზე ჰქონდა ხელი წავლუბული, მთელი ტანით ცახცახებდა და ბორგავდა. მალე ოთახში შემფოთებულ ელენე შემოვარდა, ხელში დოჭი ეჭირა. მაღბაზთან მიიბრინა, წყალი ხელზე დაისხა და სახეზე აკურა, მერე ჰქვა აესო, პირთან მიუტანა:

— მამა, მოსვი ცოტ! — წყალი დააღვეინა, თავზე ხელი ვადაუქვა და დააცქერდა.

მაღბაზმა თვალი გაახილა, ერთხანს უაზროდ შეაჩერდა ქალიშვილს, ბოლოს მაჰაზე ხელი წაავლო და შესძახა:

— ელენე, ელენე!

— ჰო, მამა, მე ვარ! მაღბაზი ერთხანს ასე გაოგნებულნი მისჩერებოდა, თვალში თანდათან ახ-

ნი ჩაუდგა, შემათავლიერა, მერე იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და თავი დახარა.

მე და ელენემ ერთმანეთს თვალი შევავლეთ, ჩემს გვერდით სულ ახლოს იდგა და მის სუნთქვას, სითბოს ვგრძნობდი. ერთხანს ასე ვიდრეკით, ელენემ მალხაზს ერთხელ კიდევ გადაუსვა ჭიკაძე თაგზე ხელი და რომ დარწმუნდა, აღარაფერი უქირსო, დოქი მაგიდაზე დადგა და კარს მიიშურა, ზღურბლს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, უხმოდ შეგვევლო თვალი, ოთახიდან გავიდა და კარა გაიხურა.

— ჩემი სამყარო მინდოდა შემეჭმენა, — თავი ასწია მალხაზმა, ჯიბიდან ქისა ამოიღო და ყალიონის გაწყობას შეუდგა.

უმალ „პრიმა“ გავუწოდე, კოლოფს თვალი შევლო, თავი გააქნია, არ მინდოდა და კვლავ ყალიონს მიუბრუნდა. ერთი სივარეტი ამოვიღე და გავაბოლე. მან ყალიონი პირში ჩაიდო და თვალი მომაპყრო:

— თბილისიდან რომ წამოვედი, ამ მიყრუებულ სოფელში ერთი პატარა სახლი ვიყიდე და განმარტოებული ცხოვრება დავიწყე, — ქისიდან კვესაბედის ამოიღო, ცოტაოდენი აბედი მოწიწება, კაუზე დადო და კვესი გაჰკრა, მალე ოთახში დამწვარი აბედის სასიამოვნო სუნს დატრიალდა, მალხაზმა ყალიონი გააჩაღა და გააბოლა. — მაგრამ, მალე ბავშვი ავად გაიხდა, ისევ დამჭირდნენ მეზობლები... დატბანჯე ბავშვი... — მალხაზმა წუთით თვალი მომაპყრო, ყალიონი ღრმად მოქაჩა, არაჟი დაისხა და მითხრა: — დალიე, თაფლის არაყია!

სირჩა ავიღე, გაგვიარჯოს-მეთქი და ცოტა მოესვი, თაფლის სასიამოვნო გემო ჰქონდა, დავლიე, სირჩა მაგიდაზე დავდგი, მკაფი მოვტებე, თაფლში ამოვუსვი და დაეაყოლე.

— გაზაფხულის თაფლია, მინდვრის ყვავილებიდან — განმიმარტა მალხაზმა და განაგრძო: — ელენე რომ წამოიზარდა, სოფლის სკოლაში მივამარტე, წერა-

კითხვას ისწავლის-მეთქი, სკოლაში კლასი ათი-თორმეტი ბავშვი დადიოდა. ელენეს სწავლის შესანიშნავი ნიჭი აღმოაჩნდა, ამას დედის ხმაც დაერთო, — მალხაზმა ყალიონს მოუბლაკუნა და ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა: — ოთხწლელი რომ დამთავრა, აღარც ვაპირებდი სწავლა განევრძო, მაგრამ არ დამაყენეს, ბავშვიც შემეცოდა... რვაწლელი მეორე სოფელშია, იქ დადიოდა, მეშვიდე კლასში რომ გადავიდა, თაყვანისმცემლები გაუჩნდნენ — პატარა ბიჭუბუკები... რაიონიდანაც მომაკითხეს ვილაკებმა: — თქვენს შვილს შესანიშნავი ხმა აქვს, ინტერნატში ჩავრიცხავეთ და ჩვენ გამოვზრდითო, ყველანი დაეფიქრინე, დედა ვუტარიე ყველას! — ჩაიციხა, ყალიონი გააბოლა, გვერდზე გააწიბა და განაგრძო: — მერე იყო და, ის რეგვენი მასწავლებელი გამოტყვრა... — მალხაზს ნერვულობისაგან ისევ დაებერა შუბლზე ძარღვები, ტუჩები მოიკენიბა და სახე დამანჭა.

— რვა კლასი არ დაუმთავრებია? — კვითხე.

— საჭიროდ არ ჩავთვალე! — ჩამარცვლა მალხაზმა, ერთხანს უხმოდ იჯდა და ყალიონს უბლაკუნებდა. — ეს მეორე წელია, აღარ სწავლობს. სოფელსაც გამოვექეცი და აქ დავსახლდი... — მალხაზს ყალიონი გამოუჩნდდა, ხელის გულზე დაიბერტყა, საღი თვალი მომაპყრო და განაგრძო: — ხშირად სინანული შემიპყრობს, ბავშვს საკუთარი ცხოვრება წავართვი, დატბანჯე...

— აწივ არაა გვიან, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება! — ვთქვი და თვალი გავუხსწორე.

— შეიძლება?! — დღინეთ გაიღმა მალხაზმა და ვაღიზიანებულმა დასძინა: — ელენეს ვერაგინ წამართმევს! გოცებისაგან პირი დავაღე, უხერხულად შევიშმუშნე და სივარეტს დავუწყე წვალება. მალხაზი კვლავ ყალიონის

კარლ ტაბატაძე
ფოტოგრაფი მიხეილ ანდრეას შიშოვი, მდინარის
ხალა

გაწყობას შეუდგა და თან რაღაც საზე-
იმო განწყობილებით დაიწყო:

— ელენე, ჩემი ცოლი, თავისუფალი
და ქედუხრელი ქალი იყო, გართობა და
ნაცმა-დახურვა უყვარდა... არც ვუშლი-
დი. თეატრის, ოპერის და ბალეტის პრე-
მიერა უჩვენოდა არ ჩაივლიდა, ყველგან
ნაცნობ-მეგობრები გვყავდა... — ყალი-
ონი გააწყობ, კვლავ აკიაფდა ნაბერწყა-
ლი აბედზე: — საღამოებზე პირველი
ცეკვა ელენესი იყო, ჩვენი ნაწილის
ოფიცრები მასთან ცეკვაზე ოცნებობ-
დნენ! — მოგონებებში წასულა: ყალი-
ონი ხარბად მოქაჩა, ამოიოხრა და დას-
ძინა: — სიმღერით ხომ ყველას აჯადო-
ვდა...

— მეც მახსოვს მისი სიმღერა! —
ვთქვი თანაგრძნობით, რაღაც მელან-
ქოლიური განცდა დამეუფლა და გაბ-
რუებული, გამორეტრეტებული ვიჯექი.

— ის სხივი ბრწყინავს ვლენეს თვა-
ლშიაც! — არ მიაქცია ჩემს ნათქვამს
ყურადღება მალხაზმა, — რაც დრო გუ-
დის, სხივი მით უფრო მძლავრობს.

მალხაზი არყით სავსე სირჩას მის-
წვდა. მოულოდნელად ნაგაზმა დაიყე-
ფა, მასპინძელმა მიაყურა, მერე მე შე-
მომხედა.

— დათო, დათო! — გაისმა გარედან
მიშას ძახილი, ძალღმა კვლავ დაიყეფა.

— ჩემი მეგობარია. — ვთქვი, ფეხ-
ზე წამოვდექი და საათზე დავიხედე,
კარგა დიდი დრო გასულიყო.

— მეგობარი?! — ჩამარცვლი მალ-
ხაზმა, — მეც მყავდა ერთ დროს მეგო-
ბარი...

სახლის კიბეზე რომ ჩამოვდოდი,
მალხაზი წინ დამიდგა, შემაჩერა, ყალი-
ონი ღრმად მოქაჩა და ჩურჩულით,
თითქმის მუდარით მითხრა:

— მე ელენეს მამა ვარ, მამა! —
დაჯინებით დამაქცერდა, თითქოს მეუბ-
ნებოდა, მიმიხვდი თუ არა, სათქმელსო.
მერე გზა მიტია და დასძინა: — დედა-
მისი, ელენე, ტიფით გარდაიცვალა
ორმოცდარში.

გაოცებულმა შევხედე მალხაზს, ის
ყალიონს უპლაკუნებდა და ისევ დაჟი-

ნებით მოშჩერებოდა, მერე ძალღს მი-
უახლოვდა და გაიმეორა:

— ტიფით!
კიშკარს გავცდი თუ არა, მიშა ბუნლ-
უნით შემომეგება, დაფიტანჯე კაცი ლო-
დინითო. ისე ვიყავი ფიქრით დამძიმე-
ბული, ხმა არ გამიცია, მხოლოდ გავუ-
ღიმე და ბილიკს გავყვივი, მიშა გვერ-
დით ამომიდგა...

მთებივით ზვიადი სიმშვიდე იდგა,
უპირავი ვარსკვლავი მიმოფანტულიყო
კრიალა ცაზე, ტყე თვლემდა, გარინდულ
ხეთა ჩრდილები მინდორსა და ბილიკ-
ზე დაფენილიყო.

ერთხანს ასე უხმოდ მივდიოდი, ბო-
ლოს მიშამ რომ აღარ დამაყენა, „რა
იყო, რა მოხდაო?“ დაწვრილებით მო-
ვეუყვივი, რაც ვნახე და განვიცადე. მი-
შა ყურადღებით მისმენდა, ხანდახან შე-
მაწვეტიტინებდა და შეკითხვას მაძლევდა,
ასე ავიარეთ აღმართი და ჩვენს კარავს
მივადექით.

— აღმაშფოთებელია! — თქვა ბო-
ლოს მიშამ, — ეს ყველაფერი ხდება
ჩვენს დროში. ეს კაცი ავადმყოფი, მა-
ნიაკი და ეგვისტია, — დაასკვნა ბოლოს
და დასძინა: — როგორმე ამ ვოგოს უნ-
და ვუშველოთ, ვიდრე ტრაგედია არ
დატრიალებულა!

— როგორ, რით დავებმართო? —
ვკითხე ფიქრნარევი ხმით, ერთი აზრი
მქონდა აკვიატებული და ტვინს მიღრ-
ღნიდა.

— აქედან ჩასვლისას თავმჯდომარე-
სთან შევალ, ვეტყვი, რაიმე იღონოს
სოფელში მათ დასაბრუნებლად. —
თქვა მიშამ, მაგრამ მიხვდა, ეს საკმარისი
არ იქნებოდა და დასძინა: — თუ სა-
ჭირო იქნება, რაიკომის მდივანთანაც
შეველო!

— არაფერი არ არის საჭირო! —
მოკლედ მოვუჭერი და კარავში შევედი,
ჩემი საძილე ტომარა გარეთ გამოვიტა-
ნე: — ამაღამ ჰაერზე დავიძინებ!

— შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, არ
იცი, — დაიყინა მიშამ: — თუ სათანადო
ორგანოები არ ჩაერია...

საძილე ტომარაში ჩავძვერი, თვალე-

ბი მივლულე და თუმცა, გული აფორი-
აქებული მქონდა, მიშას დინჯად ვუთ-
ხარი:

— მე ეს გოგო შემიყვარდა, თუ არ
გამატანს, მოვტაცებ!

— შეგიყვარდა?! — გაოცდა მიშა და
დაიხარა, ლამის იყო, ცხვირი ცხვირზე
მომადო: — გესმის, რას ამოვ, გინდა
მშობლები გადარიო?

სული ისე მეხუთებოდა, ლაპარაკს
თავი არ მქონდა. მიშა ერთხანს ბობოქ-
რობდა, ხან მამაჩემს ახსენებდა, ხან დე-
დაჩემს, თბილისელ ნაცნობ გოგოებს
მიქებდა, ეს ითხოვე, ის ითხოვეო. ხმა
რომ არ გავეცი, დაწყენარდა და კარავში
შევიდა.

გაუნძრევლად ვიწეკი, არ ვიცი, რამ-
დენ ხანს მეძინა, და მეძინა თუ არა,
საერთოდ. მამლის თავგამოდებული ყო-
ვილი შემომესმა, მალხაზის მამალი
ყოფდა, თვალი გავახილე, მთათა მწვერ-
ვლებს დღის ნათელი გვირგვინებით
ადგა, საამო ნიავი უბერავდა, ტყე
ფრთოსანთა ჭიკჭიკს მოეცვა. სასწრა-
ფოდ ამოქვეყნი სიძილე ტომრიდან და
წყაროსკენ დავეშვი, დიდხანს ვიზილაფ-
დი კუნთებს ცივი წყლით, თან აქეთ-
იქით ვიხედებოდი, იქნებ ელენე გამოჩ-
ნდეს-მეთქი. ზევით რომ ამოვედი, უკვე
ნათელი იდგა, მიშა კარვიდან გამოსუ-
ლიყო და ვარჯიშობდა.

იმ დღეს დიდი გზა გვქონდა ვასაფ-
ლეული, ახლა საწინააღმდეგო მიმართუ-
ლებით უნდა გავვეკვალა ტრასა და
უკან დაებრუნებულიყავით. მიშას შორ-
სმზომი ეჭირა ხელში, მე კი — საგანგე-
ბოდ გამოჭრილი ჭოკი. ერთი ანძის
ადგილს რომ მოვნიშნავდით, იქ მიშა
ჩიებოდა, მე კი მომდევნო ანძის აღ-
რილს ვეძებდი, როცა მოექმბნდი, მიშა
შორსმზომით ამოწმებდა ტრასის სიზუ-
სტეს, ასე მივიკვლევდი გზას. მზის
გადახრამდე არ დავვისენია, შუადღი-
სას ვისაუზმეთ და კვლავ საქმეს შევეუ-
დექით. საღამო მოახლოვდა, მაგრამ
მიშა სამუშაოს დამთავრებას არ აპირებ-
და, განგებ აჟიანურებდა, არც მორიგე-
ობა გახსენებია, ასე საველე პირობეაშა

ვიგახშმეთ და როდის-როდის მოვბრუ-
ნდით. შებინდებული იყო, მეფუტკრის
კარმიდამო რომ გამოჩნდა.

— მოკალათებულა ფერმერებით! —
თქვა მიშამ მუქარით და წუთით შეჩერ-
და: — მე მაგას ვუჩვენებ საკუთარ სამ-
ყაროს! — მერე მე მომბირუნდა და
ჭკუის დარიგება დამიწყო: — ახლა,
ძმაო, მეოცე საუკუნეა, ქალმაც უნდა
იმუშაოს, განათლებული უნდა იყოს.
რად გინდა ლამაზი ცოლი? მე შენ გე-
ტყვი, ყოველდღე ბალ-მასკარადზე ივ-
ლით, — მიშას თავისივე აზრი მოეწონა
და ჩაიხიბითთა: — მეფის, ან რომელიმე
თავადის კარზე... გაუშვებ სამსახურში
და გაუჩნდება თავყანისმცემლები, ცხო-
ვრება მოშხამული გექნება...

მთელი გზა ისე გამოვიარეთ, ხმა არ
გამიღია, მიშა კმაყოფილი იყო, რადგან
არ ვეკამათებოდი ჩემი სჯერაო, ფი-
ქრობდა, კარავს რომ მივეუახლოვდით,
შევჩერდი და ვთქვი:

— ის, იქ დაგვხვდება!

— ვინ? — დაიბნა უტბად მიშა, მერე
გადაიხარხარა და დასძინა: — რატომ
ხარ ასე დაჯერებული? — ჩაფიქრდა,
შემომამჩერდა და მუქარით მითხრა: —
რომც დაგვხვდეს, თუ არ გავაგდო, უსი-
ნდისო კაცი ვიყო.

კარვად ვიცოდი მიშას ხასიათი, რაც
უფრო შევედავებოდი, მით უფრო გა-
ჩიქლებოდა, ამიტომ ხმა არ გამიღია.
მაგრამ კარავს რომ მივეუახლოვდით,
საკმაოზე მეტად ავღელდი, ძალიან მი-
ნდოდა ელენე იქ დაგვხვედროდა.

ვთქვით, მართლა დაგვხვდა, ვფიქრო-
ბდი, დაგვხვდა და დაგვახვედრა ცხელი
კერძი, ნეტა მაშინ რას იტყვის მიშა?!

ჩვენი კარავიც გამოჩნდა, როგორც
კი მინდორზე შევდგი ფეხი, უმალ შე-
მოგარენს მოვავლე თვალი. იმ ჭირკ-
საც გავხედე, გუშინ ელენე რომ იჯდა,
კერისაც, ცეცხლი ხომ არ ანთია და
ქვაბი ხომ არ თუხთუხებს-მეთქი, მაგ-
რამ კაცის ხელი არაფერს ეტყობოდა.

პარლმ ბაბაბაძე
ფუტარავი მიფრინავან შორს, მდინარის
გაღმა



— სად არის შენი მზეთუნახავი? — ჩაიღიმა მიშამ და ზურგჩანთა კარვის წინ დადო.

— მოვა! — არ გავიტეხე გული, — თუ არ მოვა, მე ჩავალ და ვნახავ.

— კარგი რა, დათო! — ეწყინა მიშას. — ამოგდებ თავიდან ეგ სისულელე, რად გინდა ნახევრად ველური ქალი?

ისეთ ცუდ გუნებაზე დავედექი, დანა პირს არ მიხსნიდა, ჩემს ზურგჩანთაზე მივდებ თავი, მინდორზე გავიშოტე და მზერა ბინდმორეულ ზეცას მივაყარ.

მიშა ფუსფუსებდა, მიმოდიოდა, მოულოდნელად ღიღინი შეწყვიტა და ჩემს წინ შეჩერდა, წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე მიშამ ფეხი წამკრა მკლავზე და რალაც მანიშნა. გაოცებული შევაჩერდი; მიშას სასაყილოდ გაბრწყინებული სახე ჰქონდა, ხელში ჩაკბეჩილი კიტრი ეჭირა, ლოყა ლუკმისაგან გამობერეოდა. იქით გავიხედე, საითაც მიშა იხედებოდა, ჭირკზე თავდახრილი და გარინდული იჭდა ელენე და მე მელოდებოდა. არც გული შემლონებია და არც არაფერი მიფიქრია, ფეხზე წამოვდექი, მივუახლოვდი და მის წინ მუხლი მოვიყარე.

— ელენე, — წავიბურღლუნე ჩემდაუნებურად. — ჩემო ანგელოზო! — დი მის ხელს წავეპოტინე.

შეცბუნებულმა ელენემ ხელი იქეთ გასწია და აიბუზა, მაგრამ კვლავ თავდახრილი და ჩამუხლული რომ ვიყავი, გადაიკისკისა.

მეც გამეცინა, ფეხზე წამოვდექი და შარვლის ტოტი ჩამოვიბერტყე.

— სად იყავით ამდენ ხანს, რატომ დაიგვიანეთ? — მკითხა თვალმოლიმარმა ელენემ შინაურულად.

— ბევრი საქმე გვქონდა, ხეტიალისაგან ფეხები მტკიოვა, — შევაცოდე თავი და მოუხრიდებლად გვერდით მივუჭყექი, მაგრამ გული ისე ამიჩქარდა, ხმას ვუღარ ვიღებდი.

ელენე ისეე აიბუზა, მაგრამ არ წამომდგარა, ასე, გატრუნული იჭდა.

— ძალიან მომენატრა თბილისი, — ეტყჱვ რომ დავმშვიდებულყავი და

მიშას გავხედე, ის საძილე ზურგჩანთა წამომჭდარიყო და ზურგი ჩვენთვის მოექცია.

— თბილისი?! — გაიკვირვა ელენემ და ნაღვლიანად დასძინა: — მეც ძალიან მაინტერესებს თბილისის ნახვა.

— წაიყვან! — ვთქვი ანგარიშმიუცემლად, — როგორც კი საქმეს მოვრჩებით, წავალთ, შენც წამოდი, ჩვენთან იცხოვრებ, ჩემი და ხომ შენი კბილა!

— მაშა არ გამომიშვებს! — ამოიხრა ელენემ.

— რას ჰქვია, არ გამოგიშვებს! — წამოვდექი ფეხზე. — შენ უკვე სრულწლოვანი და უფლებამოსილი ხარ, სადაც გინდა, იქ წახვალ, ნუთუ ამდენი არ ესმის მალხაზს?!

— მაშაჩემი ძალიან კეთილი კაცია! — თვალი მომაპყრო ელენემ და დასძინა: — მეცოდება, ბევრი წვალება აქვს გამოვლილი... მომიარა, გამზარდა, ახლა თვითონაა მისახედი, ხშირად ავადმყოფობს...

— კარგი გოგო ხარ! — ვუთხარი თანაგრძობით. — მაშის ამაგი უნდა დაათასო, მაგრამ ქალაქი მინც უნდა ნახო.

— ქალაქი? მინახავს ქალაქი! — გაუბრწყინდა თვალი ელენეს, მერე მთას გახედა, რომელიც თავს დაგვეცქეროდა.

— გინახავს?! — გამოიკვირდა მე, — ყოფილხარ რომელიმე ქალაქში?

— არა, არ ვყოფილვარ, მაგრამ მინახავს... — წამოვდგა ფეხზე ელენე, — წამომყევი, გაჩვენებ!

ელენე ბუჩქებს შეერია და ქურციკით გავარდა, გამოვუდექი, მალე აღმართს შევუდექით. ელენე მსუბუქად გარბოდა და ეკალბარდებს ადვილად არიდებდა თავს. დაღლილი ვახლდით და ისე შარდად ვერ გავრბოდი, თუმცა ელენეს ფეხდაფეხ მივდედდი, რამდენჯერმე მომხედა, გადაიკისკისა და, მომყევით, გადმომძახა. მალე მთას თხემზე მოვექეციით, შებინდებული იყო, ცახე ვარსკვლავები მკრთალად კიაფობდნენ. მიმოვიხედე, აქ ქალაქს რა უნდა-მეთქი მინდოდა მეთქვა, რომ ელენემ ხელი გაიშვირა და შესძახა:



— ქალაქი, ხედავ, აი, ქალაქი, ქვე-
მოთ!

ელენეს გვერდით ამოვუდგე და
იქეთ ვავიხედე: შორს, დაბლობში, იქ,
სადაც მთათა ფერდობები თავდებოდა
და მდინარე მიიკლაკნებოდა, მოჩანდა
ნათურებით გაჩირალდებული ქალაქი.
გარეუბანში ცეცხლის ენები ვიზვიზებ-
და, მეტალურგიული ქარხნის მიღები-
დან შავი კვამლი განუწყვეტელ ნაკადად
ამოდიოდა და მთელ ქალაქს თავზე ჩა-
ქუფრულ ღრუბლებად ადგა, მართლაც
საოცარი სანახავი იყო!

— ხედავ, მატარებელი ქალაქში შე-
დის, ყური მიუგდე!

ჯერ ელენეს შევხედე, მერე კვლავ
ქვევით ვავიხედე. — ჩემს სმენას მართ-
ლაც მოსწვდა ელმავლის კივილი — ნა-
ვთობით გათხუპნილი ცისტერნები მიი-
კლაკნებოდა.

ერთხანს გახევებული ვიდექი და ჩემს
წინ გადაშლილ ნაცნობ სურათს გავც-
ქეროდი, მერე ელენეს მივუბრუნდი.

— მართო ეს არ არის ქალაქი!

— ვიცი! — თქვა ნაღვლიანად ელე-
ნემ, თან თვალმოუწყვეტლივ გასცქე-
როდა ჩირალდნებს.

— ელენე! — მხარზე ხელი მოვიდე
და ჩემკენ შემოვატრიალე: — წამოდი
თბილისში... ერთად ვივლით თეატრში,
მოვუსმენთ ოპერას, ვნახავთ კინოფილ-
მებს... გავაცნობ ჩემს მეგობრებს...

ელენემ ტუჩზე თითები ამაფარა და
გაბუტულივით შემომაცქერდა, ჩვენ
მარტომმარტო ვიდექით მთის მწვერვა-
ლზე. ირგვლივ სამარისებური მყუდრო-
ება და სიბნელე გამეფებულიყო, მხო-
ლოდ შორეული ჩირალდნები ანათებდ-
ნენ ქალაქს, უფრო შორეული ვარსკე-
ლავები კი კრიალა ცაზე ციმციმებდ-
ნენ...

IV

ქუჩა გადავჭერი და ის იყო, სასტუმ-
რო „აფხაზეთთან“ უნდა გამხვდია, რომ
მალაზიის ვიტრინის წინ ნაცნობ ქალს
მოვკარი თვალი, მანაც შემნიშნა და შო-
რიდანვე გამიღიმა.

— გამარჯობა, ნუნუ! — ჩამოვვარდნი-
თვი ხელი და ლოყაზე ვაკოცე, — რო-
გორა ხარ, ასე უნდა მეგობრის დაგიწყე-
ბა?!

— მე დაგივიწყე? — გამიღიმა ნუნუმ.

— წამოდი, კაფეში შევიდეთ, მელო-
დებიან. — გამოვდე ხელკავი ნუნუს: —
წავიდეთ, ძველი გავისხენოთ, ჩემს ამ-
ბავს მოგიყვები...

— არა, დათო, — გაინთავისუფლა
მკლავი ნუნუმ: — ვერ წამოვალ, არ გე-
წყინოს, ერთ კაცს ვუცდი, გამოჭირი-
ლი მყავს, შეიძლება გავთხოვდე კიდევ!
— გინდა, მაწყენიო?..

— არა, დათო, არც მიფიქრია! — გა-
მიღიმა ნუნუმ. — ჩვენ ძალიან კარგად
დავშორდით ერთმანეთს... ახლა უნდა
გამიგო!

ნუნუ შევათვალეირე, ოდნავ გასუქე-
ბულიყო და დაქალბუღლიყო, მაგრამ
ძველებური ემზი და გამოსხედვა მაინც
შერჩენოდა.

— მომწყინდა მარტობა, — შემომ-
ჩივლა ნუნუმ. — შვილი მაინც მყავ-
დეს... შენ რას შერება, ხომ დაოჯახდი?

— არა, ჯერ არა, — დანაშავესავით
გავუღიმე ნუნუს, — რა მეჩქარება?

— ოცდათხუთმეტი წლისა ხომ
ხარ... — დამაბერა ნუნუმ და ქოჩორზე
შემავლო თვალი, — თმა გაგთხვლებია.

— ჯერ ოცდაათისაც არა ვარ, — გა-
დავისვი თმაზე ხელი.

— მერე? — გაოცდა ნუნუ — მოას-
წარი, ვიდრე თმა შეგჩენია!

კობხად გამოწყობილი, ორმოც წელს
გადაცილებული კაცი მოგვიახლოვდა,
ნუნუს მიესალმა და მე შემათვალეირა.
ნუნუმ შალვა გამაცნო, მერე მათ გამო-
ვეთხოვე და სასტუმროს მივაშურე.

რესტორანში ყველა მაგიდა უკვე და-
კავებული იყო.

ჩემს მეგობრებს დარბაზში მყუდრო
ადგილი შეერჩიათ და სუფრას შემო-

კარლო ბაბაძე
ფუტკარი მიფრინავს უოკს, მდინარის
ბაღა

სსდმოდნენ, ვია ფეხზე იდგა და ხელს მიქნედა.

— გოგოები არ წამოვიდნენ? — ვკითხვით მიახლოებისას და ბიჭებს ხელი ჩამოვართვი.

— ყველანი აქ არიან, ახლავე მოვლენ! — გამოიღმა ვიამ, — პურ-მაროლიც შეკვეთილია.

დარბაზში გოგოები გამოჩნდნენ, წინ ზაირა მოდიოდა, მკვრივ ტანზე შემოტმასნილი შარვალი და მოკლე სახელოებიანი ზედაწელი ეცვა.

— ძალიან მავარი ხარ! — ვუთხარი მოლიმარ ზაირას და გვერდით მოვისვი.

ოფიციალტებმა, როგორც კი სუფრა გააწყეს, დანა-ჩანგალი ავხამაურეთ, რესტორანში სამსახურიდან მოვედით და ყველას ძალიან გვშიოდა. სამი სადღეგრძელოც არ გვეჭონდა დაღეული, რომ დარბაზში ნუნუ და შალვა შემოვიდნენ და შორიახლოს დახსდნენ.

დიდხანს ვიღხენდით: ყოველი ახალი სადღეგრძელოს თქმისას ფეხზე წამოვდგებოდი, თვალს ნუნუსკენ გავაპარებდი და სადღეგრძელოს რიხით ვამბობდი. მალე ორკესტრმა დაუკრა და დარბაზი ჩამობნულა. ჩემი თანამესუფრენი საცეკვაოდ წამოიშალნენ. უნებურად ნუნუს დაჟინებული მხერა დავიჭირე, ფეხზე წამოვდექი და მათ მივუახლოვდი.

ნუნუ მსუბუქად და ლამაზად ცეკვავდა. ნახევრად ჩამობნელებული დარბაზი ორკესტრის გამაღიზიანებელი, მყვირალა ხმებით იყო ავისილი.

— შენს სიახლოვეს ვერ ვიტან! — ვუთხარი ნუნუს.

— მე მგონი, თქვენ გოგოებთანაც კარგად გრძნობ თავს! — ეშმაკურად გამოიღმა ნუნუმ და თვალით მაგიდისაკენ მანიშნა.

— ეჭვიანობა სიყვარულს ნიშნავს... — ნუნუს მარჯვენა წელზე მოვხვიე და მის გახურებულ ლოყას ლოყა მივადე. — დღეს მე და შენ ვერავითარი ძალა ვერ დაგვაშორებს.

— თვითდაჯერებული ხარ! — ვასწია ლოყა ნუნუმ.

მალე ისევ ჩვენ-ჩვენ მატრულმს და ვუბრუნდით.

— ამ სასმისით, — ავიღე საფეე ჭიქა და წამოვდექი, — მინდა სიყვარულის სადღეგრძელო შევსვა...

— ოო, კარგია, — დამეთანხმა ვია და ჭიქა მოიმარჯვა, — სიყვარულს ვაუმარჯოს!

— ამ ორიოდღე წლის წინათ, ერთ-ერთ მიყრუებულ სოფლის განაპირაზე შეგხვდი უმშვენიერეს არსებას! — განვაგრძე მე.

— ვლენეს! — თქვა ვიამ. — ეს ამბავი მეც ვიცო! — შესძახა ზაირამ.

— ჩემმა მეგობრებმა ყველამ იცით ეს ამბავი, — წუთით ჭიქა მაგიდაზე დადგი და თვალი ნუნუსკენ გავაპარე, — ელენე ბუნების შვილი იყო!

— ნეთუ ასეე გიყვარს?! — იკითხა ზაირამ.

— ორი წელი გავიდა, — განვაგრძე ნაღვლიანად. ხვალ კვლავ მივდივარ იქ მივლინებით, ვადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყეს... ვღელავ! როგორ შემხვდება ელენე...

— ხვალ მეც წამოვალ, — აიღო ჭიქა ვიამ. — ერთად წავიდეთ!..




მანქანა აღმართს შეუწყვა, გარეთ შემოდგომის თბილი დღე იდგა, გრილი ნიავი უბერავდა და აჩეხილი ჩალისა და ბალახის სურნელი მოჭქონდა. მძღოლის გვერდით ვიჯექი და ჩაფიქრებული ხმას არ ვიღებდი. უკანა სავარძელზე ვია და მშენებელი ინჟინერი ისხდნენ. ვია გაფაციცებით იხედებოდა გარეთ და ყველაფერს მხატვრის თვლით აკვირდებოდა. ორღობეები გავიარეთ და მალე კანტორის ხის შენობა გამოჩნდა, ეზოში გლენებს მოეყარათ თავი. მძღოლმა სვლა შეანელა, უკან მიიხედა:

— ვიკითხოთ, გზა არის თუ არა?

— არის, არის! — უბასუხა მშენებელმა ინჟინერმა, — ერთი კვირის წინ ვიყავი, კუთხურ ანსამდე მიყვანილი, პირდაპირ იარე!

ნანა მახშიძე

~~~~~











# მცინარა ტერულაძე













შლოლმა პედალს ფეხი დააქირა და მანქანამ სიჩქარეს უმატა, გლუხებში თვალი გამოგვაცოლეს. მალე სოფელს გავცდით, განმარტოებით მდგარ ოდასახლს ჩავუარეთ და კვლავ აღმართს შევუყვებით.

— მიყრუებული სოფელი კი არა, მშვენიერი გზა ყოფილა! — ამოიღგა ენა გიამ.

— ეს გზა, სულ რაღაც ორი თვეა გაიყვანეს, — აუხსნა მშენებელმა ინჟინერმა, — აქ ურემიც კი ვერ გაივლიდა.

მანქანამ მოუხვია და ტყეში გაჭრილ გზაზე გაივია, საამო გრილმა ნიავემა დაუბერა.

— უუ, რა კარგია! — თქვა გიამ. — სულ მუხნარია, აქ გარეული ღორიც იქნება.

— ღორი არ ვიცი, — გაიღიმა ინჟინერმა, — დათვი კი არის, შარშან შემოდგომაზე მოკლეს ერთ სოფელთან.

მოულოდნელად წინ, აღმართზე, დიდი სატვირთო ავტომანქანა გამოჩნდა, ლითონის ანძის სექციით იყო დატვირთული. სასაცილოდ მოჩანდა ვიწრო გზაზე, ლითონის გამოშვრილი ნაწილები ხის ტოტებს ეხახუნებოდა და ფოთლებს აყრევინებდა. სატვირთომ, როგორც იქნა, აღმართი აიარა, ახლა ჩვენმა მანქანამ მოიკრიბა ძალ-ღონე, აღმართი აირბინა, მერე მიწდორზე გადაუხვია. რაც უფრო ვუახლოვდებოდით იმ ადგილს, კარავი რომ გვექონდა გაშლილი, მით უფრო მიმძიმდებოდა გული და ფიქრი მიათკეცდებოდა: როგორ შემხვდება ელენე, რა მოხდა მას შემდეგ, მე რომ წავიდი, ისევ აქ არიან თუ არა?

მანქანამ მიწდორზე გადაუხვია, ჩვენი კარვის ადგილას ახლა, ერთი საცხოვრებელი ავტომისაბმელო იდგა. შორი-ახლოს კი, გადასახედთან, მუშები მუშაობდნენ, ნიჩბები ჰქონდათ მომარჯვებული და ბეტონს ურევდნენ.

„კოლხონიკმა“ მოუხვია და ავტომისაბმელთან გაჩერდა, დამძიმებული გადმოვედი მანქანიდან:

— ბიკოს, რა ადგილია! — აღტაცებულმა ვიამ და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

— ადგილი და ჰაერი ღმერთმა მოგცეს! — დაუდასტურა მშენებელმა ინჟინერმა და წინ გავვიძღვა.

მივდიოდი და ფეხები მეკვეთებოდა: ვიცოდი, იმ მუშებს რომ მიგუახლოვდებოდი და ორიოდ ნაბიჯსაც გადავდგამდი, ქვემოთ მეფუტკრის კარ-მიდამო გამოჩნდებოდა.

— ან ის, ქველა, 75-ე ანძა უნდა გადავადგილოთ, — ამბობდა ინჟინერი და ხელს შლიდა, ვიაც დამპროექტებული ეგონა, — ან, ეს კუთხური ანძა უნდა შევებარუნოთ ათ გრადუსამდე.

მუშებს მიგუახლოვდით, ისინი წუთით შეჩერდნენ, სალამზე გვიპასუხეს და კვლავ მუშაობა განაგრძეს. ერთ-ერთში კაკუნა შევიცანი, ჩვენ რომ მეგზურობა გავვიწია, როგორც ჩანს, მანაც მიცნო, ერთხანს მომჩერებოდა.

— თქვენ კაკუნა არა ხართ? — მივმართე, რატომღაც გახარებულმა. — მიცანი?

— როგორ ვერ გიცანი! — გაელემა კაკუნას, მერე წვერი მოიქექა და ნიჩაბი მოიმარჯვა.

— მწყემსობას თავი დაანებეთ? — ეკითხე, სულ სხვა რამე კი მიწდოდა მეკითხა.

— არა, აქ ხომ ყოველდღე არ არის სამუშაო.

ერთხანს ნიჩბის მოძრაობას თვალს ვადევნებდი, თან მშენებელ ინჟინერს ვუსმენდი, ის გაცხარებით ლაპარაკობდა და დამპროექტებულების შეცდომათ იმეორებდა. მე კი ელენესა და მალხაზზე ვფიქრობდი, საკმარისი იყო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, რომ ქვემოთ მათი კარმიდამო გამოჩენილიყო. ვიას გავხედე, ის იქით მიდიოდა, მივიდა კიდევ და ქვემოთ გადაიხედა. მეგონა,

კარლეს ტაბატაძე  
ფუტკრები მიწდინავენი შორს, მღინარის  
გაღმა





იყვირებდა: რა სილამაზეა! რა მშვენიერი კარმიდამოა, ფუტკრის სკები, ალბათ მალხაზისააო, მაგრამ ხმა არ გაუღია, მხოლოდ ხელები გაშალა და გამომხედა. გრძობებს ვძლიე და გიას მიეუახლოვდი. გაოცებულმა ქვევით გაშლილ ტაფობს თვალი გავუშტერე და გახევებული შეეჩერდი, იქ აღარც სკები იყო ჩამწკრივებული და აღარც სახლი იდგა, ალაგ-ალაგ ვერ კიდე ჩანდა ღობის ნარჩენები, სახლის ადგილას კი გარუჯული ქვითკირი დარჩენილიყო. ერთხანს ხმა ვერ ამოვიღე, აფორიაქებულ გულს ძლივს ვიოკებდი, ნამოსახლარს რამდენჯერმე მოვაველე თვალი, მერე მოვტრიალდი და ანგარიშმიუცემლად ვიღირიალე:

— კაკუნა! — ხელი დავუქნიე, აქ მოდი-მეთქი.

კაკუნამ ნიჩაბი დაადგო და ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა, გია ვაკვირვებულნი მომჩერებოდა.

— კაკუნა, — მიემართე და ხელი ქვევით გავიშვირე, — რა მოხდა, სად წავიდნენ?

კაკუნამ ქვევით გადაიხედა. მერე თვალი ეჭვით შემავლო და აუღელვებლად დაიწყო:

— შარშანწინ ზამთრის პირას დაიწვა ეს სახლი, რომ ამოვედით, ნაცარი გავქექეთ და მალხაზის დამწვარი ძვლები ვნახეთ, იქვე ეგდო მისი თოფის ნარჩენებიც. — კაკუნამ ჩაახველა, მერე წვერი მოიქექა და დასძინა: — როგორც ჩანს, სახლი ცეცხლს მისცა და თავი მოიკლა.

— ელენე! — შევევირე გაოცებულმა.

— ელენეს რა უჭირს, — გაელიმა კაკუნას. — მასაც იცნობდი, ხომ კი? — ერთ ჩვენ სოფელს ბიქს ვაპყუა ცოლად, იმ შემოდგომაზე, თქვენ რომ იყავით აქ!

— მოიტაცა?!

— არა, — გადააქნია თავი ღრეჯით კაკუნამ, — ერთად სწავლობდნენ, უყვარდათ თურმე ერთმანეთი, მაგრამ

მალხაზი ანლონაც არ იყარებდა, — გიას განოწყვდილი კოლოფიდან ერთხანს გიას რეტი ამოიღო და განაგრძო: — მერე ის ბიჭი ზესტაფონში წავადა და ფეროში მუშაობდა, იმ შემოდგომაზე თურმე, სახლის წინ შეეფეთნენ ერთმანეთს მალხაზი და ჩვენი მანაველი. — ძალიან შეშინებული იყო მანაველი, მალხაზი იმ ხანობაზე გადარეულივით დადიოდა... დათეს შეეფეთა პირისპირ მართოდმართო, მთელი სოფელი გაოცებულნი იყვნენ, ამხელა დათვი როგორ მოკლავდა და ცალფეხა კაცმაო. ჰოდა, ასეთ კაცს შეზვდა ჩვენი მანაველი... მალხაზს შინ შეუწვევია, მანაველს უფიქრია, რაც იქნება-იქნებაო და შეჭყოლია... რაღა ბევრი გავაგრძელო, — ქალიშვილი ჩაუბარებია და გზაც დაულოცნია მათთვის...

მოულოდნელად ჩვენს უკან მუშებმა ძალს დაუცაცხანეს, იქით გავიხედეთ, დიდი ნაგაზი კუდამოძლებული გამორბოდა, მუშები კი იცინოდნენ და ხელებს იქნევდნენ. ნაგაზმა თვალი შეგვევლო, შედგა და შემოგვაჩერდა. იქვე დაგდებულ კუნძზე ჩამოვკექი და თავი ხელებში ჩავრგე, კაკუნა გახევებული შემომცქეროდა და აღარ იცოდა, რა ექნა, წასულიყო თუ დარჩენილიყო, მერე გიას შეხედა.

— სკები რაღა იქნა? — იკითხა გიამ.

— სკები? — შეკითხვივით უპასუხა კაკუნამ და დასძინა: — მოუვლელივით ზამთარში ზოგი გაქრა, ზოგიც გადარჩა და სოფელში ჩავიტანეთ...

ნაგაზი შორიახლოს ჩაცუცქდა, დრუნჩი ზეაღმართა და შეღმუვლა, კაკუნა დაფაცურდა, დაიხარა, ქვა აიღო და ძალს ესროლა.

— დიკარგე აქედან, შე უპატრონო!..

თავი ავწიე და იქით გავიხედე. ნაგაზი კუდამოძლებული გარბოდა.

სკები? გამიელვა უცხად და ელენეს ნათქვამი სიტყვები გამახსენდა: — ფუტკრები მიფრინავენ შორს, მდინარის გაღმა...

ლო დ ი ნ ი

დამუნჯებული ვწევარ  
შენი ქალიშვილობის ოთახში  
თანდათან ვემსგავსები  
ლაბადაწაფარებულ მეველეს,  
ღია ცისქვეშ დარჩენილს,  
მუხლებზე რომ უდევს  
ორლულიანი თოფი და იცდის —  
დატაროვებული ყანისკენ იმზირება.  
ისევ წამოუშინა წვიმამ,  
უბაგუნებს ბრეზენტის მოსასხამზე.  
ველარ გამართულა,  
წუხანდელ ყვავს გაუთელია  
ტანაყრილი ძურწა ბალახი.  
არ ჩანხარ. ბოლოს მიღებს —

ჭკუიდან გადამყვანი დუმილი.  
დამლალა ფიქრმა: —  
იქნებ შემოგიცდეს ფეხი,  
კარი მოგიხურო იქნებ  
თავად გაგეპარო სადმე  
და აქ დაგტოვო სამუდამოდ.  
გონებაში იცის, დაწყველილმა,  
არა და არ მოხდება ეს.  
სხვა ჭირია ჩემს თავს,  
სხვა ჭრილობა პირმოუკრავი,  
ასეთი რა კედელი ამოშენდა.  
შენ ხომ ყველაფრიდან,  
თითქმის ყველაფრიდან ნახავდი  
გამოსავალს.

რა ენამ გითხრა, იქცე მიწადო,  
ჩემი სუნთქვის და ბედის ზიარო,  
რომ მე — სულწასულს — შენ  
მომიტადო,  
წინ მომეგებო და მომიარო.

ანგელოსური ფერის თვალებით,  
მავ სიამაყით, ზღვა სიუხვეით,  
ასე მოწყვეტით და გამაღებით  
სად გაექანე, ვის მიუხვედი.

მეც მალე ვიტყვი: აჰა, ჩავედი,  
დაპირებული ვიცან შავეთი.  
დაგინყებ ძებნას, გზას გავანათებ —  
სახით, ხელებით დამნაშავეთი.

თავს ვიტყუებდი, ვიცოდი ადრე,  
რომ განწირული ურჩხულს შევები.  
აქ ყოფნას ცეცხლში გახვევას ვადრი  
ცოდვილი, შენგან მისაბტეები.

ღმერთს კაცი დაუწყევლია:  
იყავ თვალაუხეღელი,  
ვერ დაგენასოს ცოცხალი  
მაცოცხლებელი, მშველელი.

უთქვამს, თითებსაც იჭამდე  
და თავით მიწა გენავოს,

ვინც გწამდა, გეფიცებოდა,  
ვერა და ვერ დაგენახოს...

ამიხდა დანაქადები,  
თვალეში სისხლმა იალა,  
ჩამქრალა შენი სიცოცხლი, —  
არყოფნის ზარი წკრიალა.

ამ შხამის, მოთქრიალენი,  
ვერ შევსვა ვერც ნახევარი,  
ამ ლამის, გაუთვევლის,  
ვიქნები თეთრად მთევარი.

რა ჩემი ნათლიდედა,  
რას დამინდობდა სოფელი, —  
თავალებული მიდიხარ —  
შენ — ჩემგან შეუცნობელი.

## გოლო დღე

გაქრა, სულეთში გაყვევი ვისაც,  
სიკვდილი — შენი და და მენილე,  
ეგდო, ამოდ მთხოვნელი ცისა,  
მიხაკი, მუხლში გადაღენილი.

იქცა საყანე ლელად და შამბად...  
ვიცოდე მაინც — ვისად გიგულო,

დაუჯერებელს ვინ მეტყვის ამბავს,  
ვის მივაგებო სამოციქულო.

თუ მიწერია შეხვედრა შენთან,  
მიწაში ცოცხლად არ ვიზოგები,  
გზა მომასწავლე, უთხარი, მენდონ  
შენი მფარველი ანგელოსები.

ვინ წამართვა შენი თავი  
მე — დაცემულს, უფხოს, ლაჩარს,  
წელში გახრილს, გაუხარელს,  
ხეს დამეხილს, გადანაჭარს...

ვაი ბრუნვას წუთისოფლის,  
ჩქეფას, წურვას ჭირის ოფლის,  
ყელზე საბლად მახვევია  
ბედი შენი ორი ობლის.

ღვარად დამდის, რამ დააშროს  
კვალი შენი ორი ცრემლის,

სატანაა, დასწვი ძირი  
ჩემი ხატზე გამამცემლის.

მარტოს გამათავებს ჯავრი,  
ცოდვის გზაზე მარტო ვივლი,  
ისევ შენთან დავიჩივლებ,  
რაც მექნება დასაჩივლი.

მიუწვდომელ სიმაღლეზე  
იტრიალებს შენი სული,  
არა მგონი, ვინმე იყოს  
ჩემნაირად განძარცული.

## მეორე წელიწადი

ატყდილი რკინის კარი,  
შენ რომ სამუდამოდ დახშე.  
ერთმა ვიცი — რა მტანჯველი  
დუმილია შენს ოთახში.

ლანდი შავი, უსახური,  
ყელში რკინის ხელებს მიჭერს,  
არხად ჩანხარ და ყოველდღე  
სხვადასხვანაირად მიჭირს.

დამშრობოდა მწყურვალს წყარო,  
არ ამელო მშიერს ხემსი;

ჯავრი მოუნელებელი  
რა ტკივილად ცოცხლობ ჩემში.

არ ამშორდა რისხვა მისი,  
ბედი თუა, იყოს ასე.  
მოვიძულე ეს სოფელი, —  
გადასული წართმევაზე.

მოიწყინა, იცის, ხედება —  
ამაოა ეს ჩალიჩი...  
არ გახსენებს და კედელზეც  
თვალს გარიდებს შენი ბიჭი.

მისი ნებაა ბრუნვა ჩვენი — წასვლა და მოსვლა,  
საიდან საით გვერეკება სულთა მლაღავი.  
რამდენს უმტყუნა და რამდენი უკვალოდ მოსრა,  
დაკარგულია ანგარიში და სათვალავი.

დადის კედლებზე გაყინული, ჩამქრალი მზერა,  
ვერ დაემალო, თუნდ გადაიქცეს ქვეყანა საფრად...  
დანა, ნაღველში ალესილი, ზურგიდან მსერაეს,  
დაიძრა ტანში და ყვითელი შედება ზაფრა.

ჯერ ისევ ფეთქავ ფერგადასულ სიტყვაში „შარშან“,  
იცლება ფილტვი, ჩასტეხია შუშის ეკლები...  
იქ, სამუდამოდ გამოკეტილ ოთახში დარჩა  
სარკე, რომელშიც არახსოვდეს აირეკლები.

მოირღვა ქვრივ, ხენაკში დაცხა,  
მოევლო ფიქრებს შავი არშია...  
მან რა იღონოს, მიეცეს რა წყალს,  
ვინც დღედაღამე ამ სიზმარშია.

რა უნდა მითხრას ნუგეშმა სხვისმა,  
რაა ამასთან თოკი და ტყვიანობა:  
დავდივარ, ვხედავ, ვიძახი, ვისმენ...  
ამ ყოფნას ცოცხლად დარჩენა ქვია.

მოდის მჭლე კაცი — მონა ადათის  
და ისვრის აღმურს თონე მხურვალე  
და ბრუნავს თავზე, აღარ გადადის  
შავი დღე, ჩემი ცის დამხურველი.

ამაოდ ვაშრე ცრემლები მუჭით  
და გულშიც ბოღმა ამაოდ ვკალი —  
აქ, ბაზალეთის დამრეცი ქუჩით,  
აღარ ჩაივლის მაღალი ქალი.

### მარმარილოს ლოდები მთხარის შუაზე

ალაყაფი ჭრიალა  
ვინ დატოვა ღია,  
მთვარე შენი სამარის  
გულში ჩამტეხია.

დადგა ღამე წამების  
და სიცივე საკნის.

მანანწალა ძაღლები  
ყეფენ, გამახვლებს...  
გავს ლაპლაბა მარმარილო  
მონანწკარე ღელეს.

რა შელოცვა მიშველის  
ან რომელი ჯადო,  
ცოდვებისგან განწმენდილი  
უნდა განვეშაადო.

საფლავებზე ლიკლიკებს  
ღელე, კუდს რომ კლაკნის,

ცა რა უშნოდ მაფარია,  
დროა გადავიძრო,  
დამრჩა ხიდი გასავლელი  
და გვირაბი ვინრო.





## სიღრმეან ნარიმანიძე

### გედების გაღაფრება

გადაიფრინეს თეთრმა გედებმა,  
თვალს მიეფარნენ თეთრი

გედები,

ლაყვარდს შეაწყდა მათი სიმღერა,  
მათი ირაო და იმედები.

საით წასულხართ, თეთრო გედებო —  
მომინბულელნო და მოიმედენო,

ბალო, მშვენობდი, მათი მშვენებით, —  
რატომ შემოგწყრენ, ჩემო

ედემო?

გადაიფრინეს...

მომნატრებიან,

საით წასულან თეთრი გედები?..

შორს ლაყვარდებში შთანთქმულან,  
მე კი,

იქით, ამაოდ კვლავ ვიხედები!..

მომრავლდა სევდა ოჯახების:

შეთხელდა მათი გრძელი რიგები

და მეგობარნიც, ვხედავ, ნელინელ  
თვალს ეფარვიან,

ზეცას სწყდებიან ვარსკვლავებით  
და სივრცეებში იკარგებიან...

ღრმა მყუდროება განფენილა,

სანერ მაგიდებს

თქვენი ნაბიჯიც აღარ ესმით,

აღარც თქვენი ხმა,

შავით მოსილან დედები და ცოლები  
თქვენი,

თქვენი დაკარგვა იყო მათთვის  
დაკვრა მეხისა.

რა გაიარეთ,

რა იგრძენით დიდი ცხოვრების,

ჩვეულებრივი ხვედრი გრგებიათ, —  
მხოლოდ ბრძოლები?!..

იყო ღრო, როცა აღტაცებებით,

თრობით, სიმღერით, ყმანვილური  
გატაცებებით,

ლაღად ვხარობდით;

გაზაფხულის მსურვალე მზეში,  
ათას რაღაცას ვიქადნიდით

დაიმედებით,  
ახალგაზრდებო, თქვენ დაფრინავთ

ახლა ამ ფრთებით...  
იფრინეთ, რადგან სულ სხვაგვარი

შეგხვდათ აფრები...  
მწარე დღეებსაც ხშირად შევბმივართ

გახსოვთ?

გაღამფრენ, თეთრ გედებს გზებში,

გავყოლივართ და მერე ისევ

დავვიწყებთ...

გაკვირვებულნი

მიატოვეთ თქვენი მოძმენი,

მკაცრ ქარიშხალში თავშესაფარს

სად მოძებნიან,

და წინ განვდილი მათი ხელები,

გაგვახსენებენ, ვინც, ჯერ მთლად არ  
დაგვიწყებია...

კვლავ დაუნყებენ თქვენს სახელებს  
უმწეოდ ძახილს,

მაგრამ თქვენ უკვე პასუხისთვის

აღარ გეცლებათ,

დაეპატრონეთ საუკუნო კაცთა

სამყოფელს:

სიჩუმეს, თმენას, შეურიგდით ზედს

და განგებას...

რა ადრინად, ჩემო დებო,

ჩაიცვით შავი,

რა ადრინად თქვენი ღრენა იქცა

ზღაპრებად,

თქვენ ისიც იცით, ეს ნუხილი არ

გათავდება,

და ხსოვნაც მათი არასოდეს აღარ  
გაქრება.

მძიმე უღელი დაგწოლიათ  
ცხოვრების ტვირთად,  
და სევდა დიდი გაგჩენიათ,  
განა დღეების?  
უფრორეს მათი დიდ საქმეთა  
დამახსოვრების!..

ეს იყო გუშინ,  
გაზაფხულის მოსვლას  
ველოდით,  
ბალში ვისხედით, გრძელ სკამებზე,  
რას არ ვარჩევდით,  
ათასგვარ ფიქრში წინაპართა  
აჩრდილებს ვხმობდით,  
ბრძოლის სურვილით, იმედებით და  
გატაცებით.

გადაგვივლია ათასგვარი  
მთაგრეხილები  
და ბილიკები დაშრეტილები...  
და როცა უკან მოვიხედეთ,  
სიშორე გზისა,  
გავდა დაპყრობილ სივრცეებს  
მზისას.

რით განუგეშოთ; ახლა მე თქვენ,  
როგორ უეცრად  
აღტაცებები დასრულდა თქვენი,  
რა შვებას მოგვცემთ დღეს უაზრო  
აურზაური,

ან მოლოდინი უმიზეზო, თუ ვინმეს  
ელი  
თქვენს მდუმარებას უთვალთვალებს  
ცრემლით, ტანჯვებით,  
ვინც კიდევ ნაღდად დარჩნენ  
კაცებად,  
და თაობაოა მომდგარ ყიყინას,  
თითქოს თან ახლავს განახლების  
სხვა აღტაცება!..

გნამდათ გამირულად გზები  
გავლილი,  
ხომ გახსოვთ როგორ ვინწყობდით  
ჩვენ, —  
ურმის კოფოდან,

არც ერთ ეპოქის არ რგებია სვედრო  
ნამდვილი, —

ჩვენი განცდები  
ათ თაობას ხომ ეყოფოდა!  
ვერაინ იტყვის ცუდად განვლეთ  
მცირე სანუთრო,  
ვერ იტყვის თითქოს,  
უკან ვიხედით,  
დროშა, რომელიც აიტაცეს ძველებმა  
დიდგორს,

რომ გადავაგდეთ  
და ღობეებს ტკეპნით  
მივდეგდით....  
ვერ იტყვის თითქოს, არ გაგვანდა  
ფიქრი დიადი,  
რომ უფრო ხშირად,  
ყველაფერში ჩვენს თავს  
ვხედავდით,  
ჩვენში ასეთი, ათას კაცში ერთი თუ  
არის,

უფრო მეტია, ღირსეული და  
გამბედავი,  
ნურაინ იტყვის, ცუდად განვლეთ  
გრძელი სანუთრო,  
საუკუნეთა მცირე სიმბოლო,  
ყველა დღეთაგან დიდ დღეთაგან  
ბოლოს და ბოლოს,  
ბრძოლის ერთი დღე,  
როგორც ჯილდო  
დაგვრჩება მხოლოდ!

გრგვინვა — ქარიშხლით, ომით,  
სიმშლით,  
გამოვიარეთ ათეული წლები  
სირბილით,  
ოკეანეთა ტალღებს ვაპობდით,  
არ ვისვენებდით,  
ხუთწლედების სვლით  
ვამაყობდით!

ჭაობში, სუსხში,  
მზესა ვგრძნობდით  
ძილისპირულზე,  
და ჭაბუკურად მეტსადგურებს  
ვშლიდით ყინულზე.  
ხან მთიდან — მთაზე  
ფარებს ძღვეით დავატარებდით,

და ვითენებდით სადმე მდელიოზე,  
ვსვამდით, ვგვიფობდით, ვერთობოდით  
და ვხარხარებდით,  
ფეხზე ვდგებოდით საპატიო  
სადღეგრძელოზე.

ისიც ვიცოდით, —  
ყველა ხრიკი  
ვიცოდით მტრისა,  
გარჩევაც კარგად,  
რა თქმა უნდა,  
მტერში, — მოყვრისა!..

გადაუვლია შემოდგომის ფერთა  
სინაზეს,  
სდუმს აკაცის დიდი ტევრი,  
სადაც ოდესღაც  
შეფოთლილ გირჩებს წალდით  
კაფავდნენ,  
იქვე შავ-შავი კამეჩები იწვნენ  
ტალახში,  
გატრუნულები, ისე, თითქოს სულსა  
ლაფავდნენ,  
იმ დღეებიდან ბევრი შემრჩა,  
ვიტყვი ზრდილობით,  
ისევ მახსოვხართ, თბილო ქოხებო,  
ომით, რკინებით, მრავალ  
ჭრილობით,  
გული სავსე გაქვს ჩემო სოფელო!  
მოკლედ რომ მოვჭრა დროთა  
განცდებით,  
თუ გიცხოვრიათ,  
ამგვარ ტკივილს ვერსად  
ასცდებით.  
რიყეზე მიდის ბიჭების ჯგუფი,  
ერთი წინ მიდის ყველას  
მომრევი,  
ფეხშიშველები შევეჩვიეთ ტყეში  
ხეტიალს,  
იქვე ტყის პირას, მდინარეა, დიდი  
მორევით, —  
ეს ყველაფერი, ყველაფერზე უფრო  
მეტია.

●  
ო, რა უეცრად გაიპარა ეს  
შემოდგომა,  
საით გაფრინდნენ, თეთრი გედები,  
ახლა ზამთარი კარებს ახლის  
და ბუხრის კვამლმა  
შემურა ტყეთა ყველა ხედები.  
მიშქრიან დღენი უთვალავი  
საკვირველებით: —  
ფერები მკვეთრი მზის ამოსვლის  
და ჩასვენების,  
დიდი ხანია რთველიც ჩათავდა.  
ყანაც, მომიკა, დაითესა  
კვლავ დათავთავდა.  
და ყველაფერი მომასკდება გულზე  
ხანდახან,  
უფრო კი, ის რომ,  
ჩვენ ვიარეთ, ერთად, მხარდამხარ!  
ახლა მდუმარნი  
ზეცისაკენ კვლავ ვიხედებით,  
საით წავიდნენ, სად გაფრინდნენ  
თეთრი გედები...

●  
ო, მეგობრებო, რა ნელ-ნელა  
გაიფანტენით,  
თქვენი ხორხოცი უფრო მეტად  
მიჩუმდა, დაცხრა  
და ყველაფერი იმეორებს, თქვენს  
სახელს ისევ,  
ის დღე, ის წუთი, ის საათიც  
სულ ცოცხლობს რადგან...  
ჩვენც გვიღებენია,  
თუ კი სადმე მართლაც ღებნაა,  
არც ვიმათხოვრეთ,  
არც შენდობა ვთხოვეთ ზენაარს,  
და მე ვატარებ თქვენს სიყვარულს  
გაუბზარავად,  
სანამდე ვარ და  
სანამ ჯერაც მიწა არა ვარ!



# ღმრთი მსახურება

## მ ა რ ი ნ ა

ბურამმა ფრთხილად გამოიხურა ბინის კარი და კიბეზე სწრაფად დაეშვა. ეშინოდა, ცოლი არ გამოჰკიდებოდა და არ ეკითხა, სად მიდიხარო. პირველ სართულზე გულე უკვე ამომჯდარი ჰქონდა. ეხლა რომ დამიძახოს, არ ვუპასუხებ, ვითომ სადარბაზოდან გავვდიო, გაიფიქრა, მაგრამ თავისუფლად მხოლოდ ქუჩაში ამოისუნთქა. ასიოდე მეტრი მთვარეულივით გაიარა. მერე შენობებს შორის შემოჭრილ განაფხულის მხეს ზურგი შეუშვია. კარგა ხანს იდგა ასე. ნელ-ნელა გათბა და ნაბახუსევს მოეჩვენა, რომ თავის ტკივილმა ცოტა უკლო. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ოპერის ბაღში ნაცნობები გააჩნია — ხელის აწევით მიესალმა. ზანტად და უაზროდ დაუწყო ხალხს თვალყურება.

გურამის წინ ერთი უცნაური არსება იდგა და უტიფრად თვალეზში მისჩერებოდა. ეს ქალიშვილი ზომაზე მეტად მოკლე და მკერდზე ღრმად ამოჭრილ მწვანე კაბას (თითქოს ეშინოდა, ნაჭრის ეს პატარა ნაგლეჯიც არ დამეკარგოსო), სხეულის გასწვრივ გვერდებზე

მკიდროდ მიკრული ხელებით იმაგრებდა. მოკლედ შეჭრილი, ყალყზე დამღარი და ერთმანეთში გადახლართული იასამნისფერი, საყვებლებთან გაწითლებული თმა, ყურებამდე გახეული ტუჩები და ზევით აპრუხილი, ბრტყელი ცხვირი ჰქონდა და გურამმა იგი რატომღაც დაუბანულ ბატის ქუქს მიახსენა. ქალიშვილს ლოყებზე ბარაქიანად დაედო ვარდისფერი ტონი და ლურჯად შეღებილი დიდი, წყლიანი თვალებით. გურამს აღტაცებით შესცქეროდა. ფეხებზე შავი აუტურული ბადე-წინდები და წითელი, ნეკა თითებთან მრგვალად ამოჭრილი ნაჭრის ფეხსაცმელები იცვო. გიყვები მაკლია მეო, ზურგი შეაქცია გურამმა, მაგრამ ქალიშვილმა ირგვლივ შემოუღარა, კვლავ წინ დაუდგა და სახეში შესცინა.

— რა გნებავთ? — უხეშად ჰკითხა გურამმა.

— მე თქვენ გიცნობთ! — ტუჩების კანკალით უთხრა ქალიშვილმა.

„რაიონიდან არის ჩამოსული“, დაასკვნა გურამმა.





— თქვენ ზოგეტი არა ხართ?  
გურამს თავი კვლავ ასტკივდა.

— პოეზიის საღამოზე გნახეთ უნი-  
ვერსიტეტში!

— ეხლა ქუჩაშიც მნახე, კარგია?!

— ძალიან. — გულწრფელად უთხრა  
ქალიშვილმა, — ვფიქრობდი, ქუჩაში  
რომ შეგხვდეს, რაღაც მომივა-მეთქი  
და... არაფერიც არ მომსვლია.

გურამმა ამაზე ველარაფერი უპასუხა.  
ქალიშვილმა ყურებამდე გაიღიმა.

— შენც პოეტია ხომ არა ხარ? — ბო-  
ლოს შეეკითხა გურამი.

— არა, ლექსები არ მიყვარს! — და-  
მანჭა ტუჩები ქალიშვილმა.

გურამს გაეცინა.

— ხელეზე რა მოგივიდა?

ქალიშვილმა ხელები გვერდებზე  
უფრო მჭიდროდ მიიკრა, დასერიოზუ-  
ლდა, მაგრამ იმწამსვე სახე კვლავ გაუ-  
ნათდა და სიცილით თქვა.

— დღეს პაემანზე მივდივარ და თმა  
მელნით დავიბანე...

— მერე?

— რა მერე? მერე მელანი ხელის  
გულუბიდან ვედარ მოვიშორე.

— შეეყვარებულა ხარ? — გაიცინა  
გურამმა.

— დიას! — ურცხვად უპასუხა ქა-  
ლიშვილმა.

„ეს, რა თქმა უნდა, უნიკალური შემ-  
თხვევაა, მაგრამ უკვე საკმარისია“,  
გაიფიქრა გურამმა.

— აბა, კარგად იყავი!

გურამი ქუჩას გაუყვა. ქალიშვილი  
გამოეკიდა. „არა, ნამდვილად ვიყილა!“  
გურამი შეჩერდა.

— წავიდეთ სადმე? — შესცინა ქა-  
ლიშვილმა.

გურამს თავშეუკავებელი სიცილი  
აუტყდა.

— მერე, შენი პაემანი?

— ჯერ აღრეა!

— წამოდი! — ნამთვრალეზე იო-  
ლად გადაიწყვიტა გურამმა.

გურამი წინ წავიდა. სახეგაბადრული  
ქალიშვილი უკან მიჰყვა.

რესტორანში გურამმა ნაცნობ ოფი-

ციანტს წელით ანიონა, რომელსაც  
დასხდებოდნენ.

კუბეში ქალიშვილს სკამი გამოუწია.

— გამადლობთ!

ქალიშვილი სკამსა და მაგიდას შორის  
გაძვრა და მეორეზე მოკალათდა. გურა-  
მი თავის გამოწვეულ სკამზე დაჯდა.

თავზე ოფიციალტი დაადგა. გურამმა  
ქალიშვილს გადახედა.

— უთხარი, რაც გინდა!

— პივა.

გურამმა ოფიციალტს ღიმილით შეხე-  
და. ოფიციალტმაც გაუღიმა.

— შამპანური მოგვითანე და რამე  
საუზმე!

— კი, ბატონო.

— ხიზილადაც!

— ახლავე, ბატონო.

ოფიციალტი გავიდა.

— მე გურამი ვარ! — გაეცნო გურა-  
მი და ხმაში დაცინვა გაურია.

— ვიცე! — გულლიად გაიცინა ქა-  
ლიშვილმა.

— კი, იცი, მაგრამ შენ რა გქვია?

— მარინე!

ქალიშვილი ფეხზე წამოდგა და ხელი  
ჩამოართვა. „მაგარი ტიპია“, გაიფიქრა  
გურამმა.

— დაჯექი!

მარინემ კაბა დაქაჩა და დაჯდა. ოფი-  
ციანტმა საუზმე მოიტანა.

— მე რესტორანში პირველად კი არ  
ვარ! — თქვა მარინემ.

„კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა  
იყოს პირველად?!“

— მართლა?! — გაკვირვებით ჰკითხა.

— პირველად ერთმა კაცმა მომიყ-  
ვანა.

— მერე?

ოფიციალტმა შამპანური გახსნა და  
ჭიქებში ჩამოასხა.

— ბავშვობაში მიყვარდა ის კაცი! —  
ტუჩების კანკალით გაიღიმა მარინემ.

გურამმა პირთან მიტანილი შამპანუ-  
რით სავსე ჭიქა შეაჩერა.

— აჰა! — თქვა.

— მე, საერთოდ, ბავშვობიდან ძა-  
ლიან ლამაზი ვიყავი. ეხლაც ბევრი

დამდევს, მაგრამ სრულებით არ მინდა, ვინმეს სილამაზისათვის ვუყვარდე. თოჯინა ხომ არა ვარ, არა?!

— რასაკვირველია! — სერიოზულად დაეთანხმა გურამი.

— ამიტომ ყოველთვის თავს ვიზოტ-რავ ხოლმე... ნოლზე! — დაამატა მარინემ.

„კარგად რომ დააკვირდე, რაღაც სექსუალური არის ამ გოგოში, თორემ რესტორანში რატომ წამოვიყვანდი?!“ გაანალიზა გურამმა.

— სულ ჩემი სახლის წინ ვიჯექი ხის სკამზე და ველოდებოდი, სამსახურიდან როდის დაბრუნდებოდა.

— ვინ დაბრუნდებოდა? — დაიბნა გურამი.

— ის კაცი, ბავშვობაში რომ მიყვარდა.

— აჰა, ჰო!

მარინემ შამპანური მოსვა.

— ფუჰ, ეუჰ! არ მიყვარს შამპანური... ჰოდა, ველოდებოდი. მოვიდოდა, თავში წამომარტყამდა, კიდეც აქ ზიხარ, კრეტინო? მეტყოდა და წავიდოდა! — მარინემ გადაიხარხარა, — მაშინ ბავშვი ვიყავი, თორემ მერე თვითონაც შევეუყვარდი. ეტყობა, სადმე თამამშვებული მნახა... ძალიან ლამაზი ფერის თმა მაქვს — ცეცხლისფერი!

გურამმა მარინეს ბუსუსები ეჭვით შეათვალიერა.

— რესტორანშიც მპატიებდა, მაგრამ მე აღარ მიყვარდა!

ოფიციალტი პირდაღებულ უსმენდა. გურამმა გამშრალი ყელი ერთი ყლუპი შამპანურით ჩაისველა, მერე გოგნებულ ოფიციალტი შეამჩნია და კითხვით ახედა. ოფიციალტი დაიბნა, კარისკენ შებრუნდა, კვლავ მოტრიალდა და იკითხა.

— კიდეც რამეს ხომ არ ინებებთ?

— პივა მინდა მე! — თქვა მარინამ.

— ერთი ლუდი მოიტანე.

— ჰო, ლუდი, პივა რა, — შეასწორა თავისი სიტყვები მარინემ. ოფიციალტი გავიდა.

— ალბათ ფიქრობთ, ვინ არის ეს სულელი, რას გადამეკიდაო?!

— არა, რატომ?!

— იფიქრეთ, ნუ გეშინიათ. ჩემზე ყველა ასე ფიქრობს, — გაიცინა მარინემ.

ოფიციალტიმ ლუდი შემოიტანა და მარინეს დაუსხა. მარინემ ჭიქა სულმოუთქმევლად დასცალა.

— იფ, კარგია!

მერე ბოთლის ეთიკეტს დაუწყო თვალიერება.

— როდინდელი ჩამოსხმა? — საქმიანად იკითხა.

— გუშინდელი, ბატონო! — უპასუხა ოფიციალტი.

— არა უშავს! — თქვა მარინემ.

გურამს „დეგუსტატორის“ სერიოზულ მოქმედებაზე გაეცინა. „არა, ნამდვილად რაღაც მიმზიდველი, გულუბრყვილო და ბავშვური აქვს ამ გოგოს“.

— ჰოდა, რას ვამბობდი? — ტუჩები მოილოკა მარინემ.

გურამმა თვალეები ჭერს მიაპყრო. ოფიციალტი მარინეს პირში მისჩერებოდა. მარინემაც, გურამის მსგავსად, ოფიციალტს მრავალმნიშვნელოვნად, კითხვით შეხედა. ოფიციალტი კვლავ დაიბნა.

— ლუდი კიდეც მოვიტანო? — იკითხა.

— ლოთი კი არა ვარ! — მწყრალად მოუქრა მარინემ, — წაბრძანდით და, როცა საჭირო იქნება, დაგიძახებთ!

ოფიციალტი კუპედან გავიდა.

— ვინ არის ეს სულელი?! — თვალი გააყოლა მარინემ.

გურამმა გადაიხარხარა.

— არა, რატომ, ძალიან სასიამოვნო კაცია. ყოველთვის კარგად მემსახურება.

— ბავშვობაშიც წერდით ალბათ ლექსებს?! — სური არ დაუგლო მარინემ.

რამაზ გიორგოზიანი  
მოთხრობები



— ბავშვობაში...

— თუმცა ბავშვობაში ლექსებს ყველა წერს, მაგრამ ყველა პოეტი ხომ არ გამოდის?!

— რა თქმა უნდა, ყველას არა აქვს ამის ნიჭი!

— თქვენ ნიჭიერი ხართ?

— შენ როგორ ფიქრობ? — გაეცინა გურამს.

— მე ვფიქრობ რომ, არა!

— აჰა! — სახტად დარჩა გურამი, — ესე იგი ჩემი ლექსები არ მოგეწონა?!

— არა! აი, მეც უნებო ვარ, მაგრამ ლექსებს კი არ ვწერ! რომელი საათია?

— რა არის? — ვერ გაიგო გოცემბულმა გურამმა.

— რომელი საათია-მეთქი! დაყრუვდით?!

გურამმა საათზე შექანდაკურად დაიხედა.

— თორმეტის ნახევარია.

— მე წავედი. ნახვამდის, ვმადლობა.

მარინე ფეხზე წამოდგა. გურამიც უნებურად ადგა. მარინე გურამსა და მაგიდას შორის სხარტად გაძვრა და ოთახიდან გავიდა. გოგონებულ გურამს სკამზე ნელა დაეშვა. „აი, აი. ნამდვილად გიყავ!“ ზეორე წამს უკვე ქუჩაში იყო და თვალებს აჭეთ-იჭით აციცებდა. სასტუმროს კუთხემდეც მიიბრუნა, მერე ქვის სკამზე შედგა, მაგრამ მარინე ვერსად დალანდა.

მარინე კი ამ დროს ზემელზე, საათთან, ვანოს ელოდებოდა. აი, ვანოც გამოჩნდა. იგი გამველებზე თითქმის ორი თავით მაღალი იყო. სპეცტანსაცმელი მთლიანად (განსაკუთრებით მუხლებზე) ტალახში ჰქონდა ამოსვრილი. ვეება სხეულთან შედარებით საოცრად პატარა, ქორიანი თავი გრძელ, გუდით გაღუნულ კისერზე უცნაურად უყარულა.

ვანომ მარინე დაინახა. გახარებულმა გაიკრიჭა და მერხნერ კბილებში ბუმბუტკები გამოუშვა.

— სად ხარ, ბიჭო, აქამდე? — წყენით შეეკითხა მარინე.

ვანომ მორცხვად გაიღიმა.

— საქმე იყო... რევავ ივანჩიკა... ვერსტეტთან ახალი გაზონი გაგვაკეთებინა.

— შენ თუ საქმე გაქვს, მე რა, უსაქმური ვარ?

მარინე მიტრიალდა და წავიდა.

— მარინე! — გამოევიდა ვანო.

— თავი დამანებე, თუ კაცი ხარ, პიკას რომ სვამ, იმის ბრაღია ყველაფერი!

— ლიმონათს დავლევ, — ჩუმად თქვა ვანომ და თავი დახარა.

— კიდევ დაიხარე! ამსიგრძე კაცი ხარ და დორბლი ვერ მოგიწმინდა!

მარინემ საკუთარი ცხვირსაღოცით მორჩილად წელში მოხრილ ვანოს პირი მოწმინდა, მერე ცოტა გვერდზე გადაგა და თავით-ფეხამდე აათვალ-ჩათვალიერა.

— რა არის, ბიჭო, რა?! რა გაზინტულლი დადიხარ? თმას ვერ დაივარცხნი? წესიერი ქალი ოჯახშიც ვერ მიგიყვანს, ფუჰ!!!

მარინემ უკმაყოფილოდ მიიხედ-მოიხედა. მერე ვანოს მკლავი გამოსდო და უთხრა:

— კარგი, წამოდი, ვნახოთ ის შენი გაზონი!

მეორე დღეს გურამი თავის კაბინეტში მაგიდასთან ჩაფიქრებული იჯდა. მისდა სამარცხვინოდ, გუშინ უგონოდ დათვრა. რუსთაველზე სხვადასხვა ეზოებში იბოდილა და მარინეს უძახდა; მარჯვენა ფეხის ფეხსაცმელი დაკარგა, რატომღაც ოპერის ბილში ვძემა დიდხანს, მაგრამ ვერ იპოვა. ახლა ყველაფერ ამის გახსენებაზე, გურამი წითლდებოდა და ტუჩებს იკენეტდა — ეს რა დამემართა, რა პატარა ბიჭივით ვიქცეოდი, ვინმე ნაცნობს რომ დავენახე, ვაი სირცხვილო, რას იტყოდა ჩემზეო.

ოთახში ცოლმა შემოიხედა.

— ტელეფონთან გეძახიან. სახლში ხარ?!

— არა!

გურამმა ისეთი ვალიზიანებით უბა-

სუნხა, რომ შეშინებულმა მეუღლემ  
საღამომდე საცემელოც ვერ შესთავაზა,  
ალბათ ახალ რამეს წვრსო.  
„ამ შაბათს უსპორტლოტოში“ თუ

მოვიგე, ყოველ ახალ ლექსზე დიდხანს  
ვიმუშავებ, ბარათაშვილივით ცოტას  
დავწერ, მაგრამ ყველაფერს გენია-  
ლურს“, ფიქრობდა გურამი.

## ბ ე ლ უ რ ა

ძნელად ტკბილ ძილს თავი დააღ-  
წიო, როცა სიზმარი ცხადს ვირჩევნია.  
— ბელურა, სკოლაში გავკვიანდება.

— უპუ, — თვალს ვერ ახელს ბელუ-  
რა.

— გესმის?

— უპუ

— იდექი, შენი ჰირიმე.

დედამ თავი დაანება. ბელურამ ცოტაც  
წაინებებრა, მერე ხენეშით გადმოყაბა  
გამხდარი ფეხები ლოგინიდან, კეფაზე  
თმა აიწეწა, თვალები დაისრისა და  
სარკეში თავის ორეულს შეხედა. მარ-  
თალია, ნამძინარევი თვალებით ფოკუ-  
სი ვერ გასწორა, მაგრამ საერთო შთა-  
ბეჭდილება, როგორც ყოველთვის, ერ-  
თი იყო — ბელურა, — თქვა მან. ასე  
შეარქვეს სკოლაში, შემდეგ ახლობლე-  
ბსაც დაავიწყდათ ნამდვილი სახელი,  
ნელ-ნელა თვითონაც შეეჩვია, მაგრამ  
წყენა მაინც დარჩა მის პატარა, ბოლ-  
მით გასივებულ გულში.

აღვა, პირი დაიბანა, ჩაიცვა, დიდხანს  
ინეჩავდა თმას დაბრტყელებულ კეფა-  
ზე. ეხლა მამის ოთახიდან თავისი ყელ-  
სახვევი ისე უნდა გამოეტანა, რომ ია-  
ტაკს არ გაეპრიალებინა. თითის წვერგ-  
ბზე შევიდა დარაბებდასურულ ოთახ-  
ში. მამამ თვალები გაახილა და უსიამ-  
ოდ შეხედა ოჩოფეხებზე შემდგარ  
პატარა, მრგვალ სხეულს.

— რას ჭრაჟუნებ, ხომ ხედავ, მძი-  
ნავს!

— ყელსახვევი მინდოდა.

— რა უნდა ჩემთან შენს ყელსა-  
ხვევს? — უყვირა მამამ.

მამამ უდერად იცოდა გარტყმა —  
ბელურა ვერასოდეს ვერ ასწრებდა მო-  
გერიებას. ამჯერად მხოლოდ თვალები  
დაუბრიალეს.

— რა გაქვს დღეს?

— ზოოლოგია.

ბელურამ ის საგანი დაუსახელა, რო-  
მელიც ნასწავლი ჰქონდა. მამა ყოველ-  
თვის ერთით კმაყოფილდებოდა.

— ისწავლე?

— ვისწავლე.

— შენი ტყუილებით აქამდე ვარ, ა!  
— მამამ აჩვენა სანამდე იყო, — ორიანი  
არ მომიტანო, თორემ კოლონიაში გაგგ-  
ზავნი, ხომ იცი, ტყუილად არაფერს  
გპირდები!

„მშობელია, რა ქნას!“ გაიფიქრა ბე-  
ლურამ. სწრაფად ისაუბრა, კომბოს-  
ტოს ერთი თავი დაიიღლიავა, ჩანთას  
ხელი დაავლო, წაგვიდო, დედას გასძა-  
ხა სამზარეულოში და ქუჩაში გავარდა.  
გაკვეთილზე რომც დააკვირდეს, მას-  
წავლებელს ეტყვის, კურდღლებს კომ-  
ბოსტო მივუტანე და შეგყოვნდით.

ბელურამ ვერ შეამჩნია, როგორ  
მიეპარა სახეზე გაზეთაფარებული წი-  
თური მამაკაცი. კაცმა გაზეთი მოისრო-  
ლა და ყურში სტაცა ხელი.

— ჰაიტ, შე მამაძალო, დაგიურიე  
თუ არა?!

წითურმა შუბლიდან ცბერისახოციით  
ოფლი მოიწმინდა.

— რა მარბენინა ამ ვირიშვილმა!

— რა იყო, ბიძია, რა? — იყვირა  
ტივილისაგან გამწარებულმა ბელურამ.

— კარგია სხვისი მოტოროლერის  
წვალემა, არა?

— რა მოტოროლერის, ბიძია?!

— ბიჭო, რომ გადახტები ღობეზე და  
იქიდან მაგინებ...

რამაზ გიორგობიანი  
მოსთრობაბი



— როგორ გაგინებთ, როცა არც გიცნობთ...

— არ გიცნობთ, ბიჭო, რა აფერის-ტია! წამოეთრე, შე ნაბიჭვართ!

— სად წამოვიდე, ბიძია, გამიშვით, სკოლაში მაგვიანდება.

— არ იცი, არა?! ღობეზე რომ გადახტები და... — კვლავ აღშფოთდა მამაკაცი და ბელურას თავში წამოარტყა, — რომ მაგინებ, შე მაიმუნო!... ეგ კომბოსტო სად მოიპარე?

— სახლში ავიღე, არ მომიპარავს.

— სად მოიპარე-მეთქი, შე ქურდო!

— უყვირა წითურმა.

ბელურამ ფეხები გააჩივინა და მულდარით დაუწყო ლაპარაკი:

— ბიძია, დედას გეფიცებით, არაფერი ვიცი, ამინსენათ, რა გქენი, გეხვეწებით, მითხარით, მე თვითონ წამოვალ. არსად გავიქცევი!

— სად გაიქცევი, ბიჭო, სად?!

— ბიძია, შენი ქირიმე!

წითური ამ ხვეწნამ ცოტათი მოაღბო.

— ბიჭო, ყოველდღე რომ ძვრები საბავშვო ბაღში და სახელმწიფო მოტოროლერს დაქროლებ... კაი, ეგ არაფერი, ღობის იქიდან რაღას მაგინებ?

— გეფიცებით, ბიძია, არც საბავშვო ბაღი ვიცი... მოტოროლერის ტარება, საერთოდ, არ ვიცი.

— მაშ მე ბრუციანი ვარ?!

— გამიშვო, ბიძია! დედას გეფიცებით, მე თვითონ წამოვალ, მე თვითონ მაინტერესებს, ყველას გეფიცებით, არ გავიქცევი, დედას გეფიცებით, დედას ტყუილად არ დავიფიცებ, აი, რა დავიფიცოთ?

ბელურას სიტყვებში იმდენი სიმაბრთლე გამოსჭვიოდა, რომ წითურმა ცოტა ჰოკმანის შემდეგ, ხელი შეუშვა.

— საით წავიდე?

— პირდაპირ.

ბელურა წინ წავიდა, — კაცი უკან მიჰყვა.

„რა უბედურება!“ ფიქრობდა ბელურა, ეს რა იდიოტური სახე მაქვს, ყველა დამნაშავეს მე როგორ ვგავარ. სკოლაშიც ასე არ არის? ზუსტად იმ გავე-

თილზე მიმახებენ, რომელიც გარშემოვლია“. მან კაცს მოხედა. გაქცევა აღვილი იყო, მარტივი ფინტებით დაუძვრებოდა ხელიდან და მერე ეძებნა, სადაც მოუნდებოდა. „უფროსია, უხერხულია, ისედაც ბევრი ურბენია. მივალთ აღვილზე და ყველაფერი გაირკვევა“.

ბელურა გაჩვენებულზე შეჩერდა.

— საით წავიდე?

წითურს სახე შეცვლოდა, ბოროტად იყურებოდა, თითქოს ხვდებოდა, რომ ბელურა გაქცევაზე ფიქრობდა.

— ვითომ არ იცი, მანდ არ დაძვრებოდი?! — კბილებში გამოსცრა მან.

ცოტა ხანში საბავშვო ბაღის ჰიშკარს მიადგნენ. ბელურამ მამაკაცს კითხვით მოხედა და ეზოში შევიდა. ბაღის ეზოში შესვლისთანავე წითური ბელურას ყვირლით ჩააფრინდა.

— დავიჭირე, დავიჭირე ეს მამაძალი! ქალბატონო ნათელა, ქალბატონო ნათელა!

ეზოში თეთრხალათიანი ქალები გამოცვივდნენ.

— ვინ არის, კოლია, ეს?

— მოტოროლერი ვინც დაგვიმტვრიო.

— არა, კაცო, ის უფრო პატარა იყო.

— მასწავლეთ ახლა თქვენ! სად არის ნათელა?

— კაბინეტშია.

კაბინეტში მაგიდასთან ლამაზი ქალი იჯდა და რაღაცას წერდა.

— რა მოხდა? — თავაუღებლად იკითხა.

— დავიჭირე ეს საძაგელი, ქალბატონო ნათელა. კიდევ კარგი, მოვიფიქრე და სახეზე გაზეთი ავიფარე, თორემ ისევ გამიშვებოდა. ეხლა ამას ვაჩვენებ სერის! სახლშიც ასე იგინებ, ბიჭო? — უყვირა მან ბელურას.

— მოიცა! — შეაწყვეტინა ნათელამ,

— დადევით ეგ კომბოსტო, ბიჭიკო, და მოდი აქ!

— ეგ კომბოსტოც მოპარული აქვს.

— გააგრაქლა კოლიამ.

— მე ქურდი არა ვარ!

— ხულიგანი ხომ ხარ!

— მოიცადე, ნიკოლოზ! — ნათელამ ბელურას ხელი მოჰკიდა, თავით-ფეხამდე შეათვალეირა და გაედიმა, — ნიკოლოზ, სხვა დაგიქერია, ის უფრო პატარა და მსუქანი იყო. რა გქვია, ბიჭიკო, შენ? — დაუყვავა ბელურას.

ბელურამ არ იცოდა, ნამდვილი თუ ზედმეტი სახელი ეთქვა, ერთი კენესით ამოისუნთქა, ყბა აუკანკალდა, თვალეზიდან ცრემლი წასკდა და ხმამაღლა ატირდა. „რას შერები, უკვე დიდი ხარ, ვეუკაცი არა ხარ? გამაგრდი!“ ეუბნებოდა თავს, მაგრამ ვერაფერმა უშველა. სახე მთლად დაუსველდა, ცხვირი გაუწითლდა და მუხლებამდე ჩამოუგრძელდა, თვალეზი ბეჭემოთივით დაუსივდა. ალბათ საშინელი შესახედავი ვარო, ფიქრობდა.

იგი წელა მიდიოდა სკოლისკენ, არ უნდოდა ნამტირალევი შეემჩნიათ. „არ იყო ცუდი კაცი ის კოლია, უბრალოდ, შეეშალა, მერე შერცხვა კიდეც... თუ მოტოროლერი დაუმტვრიეს და თან აგინებდნენ... ყველა ასე მოიქცეოდა მის ადგილას“.

ზოოლოგის გაკვეთილი ჯერ არ დამთავრებულიყო, ბელურამ მორიდებით შეალო საკლასო ოთახის კარი:

— შეიძლება, მასწო?!

მასწავლებელმა გაკვირვებით შეხედა.

— სად ხარ, ბელურა, ამდენ ხანს?

— კომბოსტოს მოსატანად წავედი.

— მერე, რა უყავი კომბოსტო?

ბელურამ ხელეზზე დაიხედა და ეხლც შეამჩნია, რომ კომბოსტო არ ჰქონდა.

— სახლში დამრჩა.

— კომბოსტოსთვის წახვედი და შინ დატოვე?

ბავშვებმა გულიანად გაიცინეს.

— არა, იცით რა, მასწო...

— არაფერი არ ვიცი.

— საბავშვო ბაღში დამრჩა.

ბავშვები უფრო გამიზიარულდნენ.

— ბელურა! — მასწავლებელმა წყრო-

მით შეხედა.

— დედას გეფიცებით! მოტოროლერი მოიპარეო, დამიჭირეს და იქ დამრჩა.

— რაეზს იტყუები, ბიჭო?! — გაბრაზდა მასწავლებელი.

— მე არ მომიპარავენ, მასწო!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოიტანე აქ დღიური, ვიცი, მე შენი კომბოსტოები!

„კინოშიც სწორედ ასეა, — გაიფიქრა ბელურამ, — ერთმა რომ ახსნას, რა მონდა, ყველაფერი ნათელი გახდება, მაგრამ მეორე არ უსმენს და გაუგებრობის გამო უნდა ინერვიულო“.

— ნასწავლი მაქვს, მასწო!

— მოიტანე დღიური, რომ გელაპარაკები! — მასწავლებელმა მაგიდას დაარტყა ხელი.

„ბევრი უნდა მოვყვე, რომ რამე გაიგოს,“ ბელურამ ზღაპრით ამოიღო ჩანთიდან დღიური.

საღამოს, მამა რომ სამსახურიდან დაბრუნდა, ჯერ კარგად დანაყრდა, მერე გაზეთს გადაავლო თვალი და ზოლოს შეიღოს შეეკოხა.

— ზოოლოგიაში რა მიიღე?

— ორიანი.

ბელურამ თავის გაწევა ვერ მოასწრო, მამის კოჭრიანი ხელი მწარედ მოხვდა კინკრისოში.

— ისედაც დაბრტყელებული მაქვს!

— ჩაიბურტყუნა ბელურამ.

„რეაქცია არ მივარგა, უნდა ვივარჯიშო“, გაიფიქრა მერე.

— ბიჭო! — უნდა ისწავლო, ტვინი გაგებრდება და თავიც დაგიმრგვალდება.

სამზარეულოდან დედამ გამოიხედა.

— დღეს ჩვენი მეზობელი რომ არის, კატუშა, ის შემხვდა — ასე მითხრა, რა საცოდავია თქვენი შვილი, რომ ვხედავ, სულ გული მეკუშმუშაო. ისე საწყლად დახრის თავს და, სალამს მეტყვისო, — მამა ვითომ გაბრაზდა.

— მართალია, ბიჭო, რასაც დედაშენი ამბობს?

ბელურას გაეცინა.

— არა, ძმაო, ნამდვილად კოლონიაში უნდა გაგზავნო, ეგების ცოტათი ჯიბგირს დაემსგავსო! — თქვა მამამ.

**ვიქტორ კახნიაშვილი**

**ერთხელაც იქნება**

(1985 წლის განწყობილებით)

კინოფილმ „უკანასკნელი ნაპირის“  
ნახვისას აღძრული ფიქრები

ავზნე და ქედმაღალი,  
ბედასლი და წუპაკი,  
ამპარტავენი და გულდრძო,  
ყოყოჩა და უგერგილო,  
უსეირო და გონებაჩლუნგი,  
გულქვა და მრისხანე,  
სასტიკი და სისხლისმწოველი,  
ჯალათი და გააფთრებული,  
მკაცრი და გულფიცხი,  
უნმინდური და მყვლეფეველი,  
ბილწი და უუნარო,  
უნიჭო და ტლანქი,  
გაქნილი და ფარისეველი,  
ტრაბახა და მამამებელი  
ბელადების,  
მეფეების,  
გვირგვინოსნების,  
იმპერატორების,  
კეისრების,  
სულთნების,  
ხონთქრების,  
ხანების,  
ხაკანების,  
ყაენების,  
შაჰებისა და შაჰინშაჰების,  
პრემიერ-მინისტრების,  
კანცლერების,  
უთავო დიდკაცებისა  
და ბაქიბუქა წინამძღოლების  
ცბიერებითა და სიცრუით  
ყოყოყნებული

ერთხელაც იქნება  
თავისას მიუზღავს მათ,  
ხალხის სახელით რომ „იღწვიან“,  
ლაპარაკობენ, ფუჭსიტყვაობენ და  
საუკუნეების მანძილზე უმოწყალოდ  
დვრიან  
უდანაშაულო ადამიანთა სისხლს.

რადგან მადლის და ქველობის  
ჩაგონება ამოო გამოდგა  
და ამდენი ბორიტება ხდება  
დედამინაზე,  
აღამის შვილთა გადაგვარებით  
განბილებულ-განრისხებული  
ყო ვ ლ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ი  
ერთხელაც იქნება  
თავიდან დაიწყებს სამყაროს  
შექმნას.

ეს წინათგრძნობა ისეთია,  
როგორც ჟამ-ჟამად ახდენილი  
საზარელი სიზმარი.

და ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით  
ტიუტჩევის ამონაკვეთს ასი წლის  
წინათ:

Когда пробьет последний час  
природы  
Состав частей разрушится земных:  
Все зримое опять покроют воды,  
И божий лик изобразится в них!

და რომ ბოროტმა კეთილს არ  
ხდლიოს:

სანამ უკულმა დატრიალდება  
ხალხთა ბედი და მიწის სახმილი  
მთელ პლანეტაზე აბდღვრიალდება,  
რომ გადუღებოს წითლად ცას პირი,

ვიდრე ქვეყანა გატიალდება,  
ჰე, შეისმინეთ ჩემი ძახილი, —  
ხალხო ძლიერო კვლავაც აღსდექ და  
ურჩხულს შიგ გულში ჩაეც მახვილი!

### NIXON MÖRDER

დარმშტადტი —  
მხატვართა და „თავისუფალ სულთა“  
სამყოფელი.

იქაურებს ასე სწამთ და სჯერათ:  
ვისაც გამჭრიახი გონი და  
უკიდევანო ფანტაზია აქვს,  
ის შეჰხაროდეს მომავალსო.

ლუიზენბლატცის შუაგულში  
აღმართული

„გრძელი ლუდვიგის“ ძეგლი  
ვილაცას დაუუშნობია:

NIXON MÖRDER  
ნიქსონი — მკვლელი!

ერთი „თავისუფალი სული“  
მბასუნობს:

იმ კაცმა შური ამგვარად იძია,  
თითქოს ფუნჯი ვიეტნამელთა  
სისხლში ამოუვლიაო.

წაშლა ან გადაღებვა იოლია,  
საღებავი პფენინგები ღირს,  
მაგრამ დღეს მაგისტვის ვილან  
სცალია,

არ გინდა გაიმეტო  
ყველაზე ძვირფასი —  
მართლმსაჯული და მოუსრველი,  
მკაცრი და უღმობელი,  
დაუდგრომელ-დაუზოგველი  
და მოუსყიდავ-მოუქრთამავი  
დ რ ო!

დარმშტადტი, 1973





## სერგო ფაცაცია

---

### მარქვით, რამდენი წლის არის

დაქროლეთ, გადამაქროლეთ, სიზმარეულო წამებო —  
ორი ათასი წლის იქით მეგულვის პონტოს სამეფო...

გაცურდა ჩემი ოცნება, მიატკაცუნებს წინ აღრებს,  
აღექით, გამომეცხადეთ! — ჩემი თაყვანი წინაპრებს.

ეს მე ვარ, ჭეი, კოლხებო, ვინც ჭამი გაიმისხლივა,  
ეს მე ვარ, თქვენი ღვიძლი ვარ, თქვენი ხორცი და სისხლი ვარ!

აღექით, გამომეცხადეთ, — მაშ, ამიშალეთ მუზა რად?  
მოსინიკებო, ვემთხვევი თქვენი ფოლადის მუზარადს.

ჩემი ამბორი იბერთა, ჩემი ამბორი მაკრონებს,  
ვინც მოხართა ურდონი დაიფრინეთ და აქროლეთ,

გეხვევით, ტიბარენებო — დაღამებულო დიღებო,  
ეს მე ვარ, თქვენი პირმშო ვარ, ხალიბებო და დრიღებო.

დევებო, გოლიათებო, — ჩემი თაყვანი ტაოხებს,  
ვინც მოხართა ურდონი დაიფრინეთ და აოხრეთ!...

მოსხიკის მთების ქარია, თუ პომპეუსი ქეითინებს? —  
რომაელების ლახვარსა — ჩემი სალამი შკეითინებს!

წამოიშალეთ, ყიჟინა დასჭექეთ, მომახმიანეთ,  
თქვენი ალალი ქართულით გიმღერით ომაზიანებს.

ფარ-შუბიანო შოშიტა, ალკაპიანო ქიტცსა,  
მაჩვენა — თქვენი მარჯვენა დუშმანს ჰურიგით მკიდესა.

მაა იყო თქვენი სავანე, გრიგალი — თქვენი სამეფო,  
ორი ათასი წლის წინათ დაბადებულო მამებო!...

ვინ იყო თქვენი მშობელი, ღმერთი იყო თუ მისანი? —  
და ჩვენი საქართველო, მარქვით, რამდენი წლის არის?!



## ზურაბ ქართლელი

### ბედნიერება

ვით მუსიკოსი უსინათლო,  
მოხეტიალე,  
ვიოლინოზე უკრავს სათნო  
და ზღაპრულ ჰანგებს,  
ისე პოეტი —  
განუკურნელს ირჩენს იარებს,  
არაფრისაგან —  
სასახლეებს როდესაც აგებს!..  
როცა ოცნება —  
ყოვლის შემძლე ხუროთმოძღვარი,  
ტაძრის გუმბათებს დაამშვენებს  
სამრეკლოებით:  
და საოცარი ჰარმონია —  
ბაგის მომწყდარი,  
ალიმართება როგორც ძეგლი —  
ძეგლი პოეტის!

ალიმართება  
მარმარილოდ ქცეულ ბგერებად,  
ცაში ანვდილი,  
უანგარო, წრფელი მკლავებით!..  
დღისით მზე არის,  
აქ მოკვდევთა ბედნიერება,  
დღისით მზე არის!  
ღამით — მთვარე და ვარსკვლავები!  
და სიყვარულით ანთებული  
ყველა სანთელი,  
ინვის იმედით დიდებული —  
გაუმკლავდება!..  
როს დაადგება მარადიულ  
ხსოვნის ნათელი —  
მოვა ხელმწიფე — ხელმწიფეთა —  
თვით უკვდავება!

### თ ო 3 ლ ი

ცეცხლს ეფიცებდა  
როცა ქვეყანა  
და ზამთარია  
გარეთ ბებერი,  
მინას ქალწული  
თოვლი შეჰფერის,  
ვით გალაკტიონს  
ჭალარა წვერი...  
როგორც მთანმინდას  
შეჰფერის მთვარე,  
ვით ოცნების ტბას  
გედი შეჰფერის!..  
თეთრ-იისფერად

ელვარებს მხარე,  
სადღაც უცნობი  
ფრინველი მღერის...  
ანგელოზები  
რეკავენ ზარებს —  
ზეცას აჩნდება  
ყინულის ფერი.  
მზე მარიამი  
იშვილებს მთვარეს...  
და თოვლი,  
თოვლი...  
ოქროსფრად მღერის!..



## ნაზი სპირიტუ

ზემოაღწერილი ნაზი სპირიტის ლექსებზე ახას წინათ თხოილისში  
გაგართულ ხალხური ჰოუზიის საღამოზე მოწონება დაიმსახურა.  
შემდეგ — გაზეთ „კომუნისტში“ ჯანსუღ ჩარკვიანის გულთბილი  
წინათქმით დიკავიჭდა მისი შემოქმედების რაოდენივე ნიშნში.  
ახლა „სისქარი“ თავის მკითხველს ნაზი სპირიტის ორ ლექს  
სთავაზობს.

ა ლ მ ნ ე

არ იცი, ნუთუ ვერ წვდები,  
რომ შენი სიტბო გულისა,  
გადამრევს, გამაჯეილებს,  
მომრჩენი არი წყლულისა.

მე სხვაგვარ მხიბლავს ღიმილი,  
სურნელი შენი ტანისა,  
ეს — შენ იქნები მიზეზი  
დარდების გადატანისა.

სად დავიკარგნეთ, მითხარი,  
როს დრო დადგება ამისა,

ვარდინ ფურცლობის ნიშანი,  
დრო ჩვენის პაემანისა.

დარდის და ლხინის ერთურთთან  
ჩაზიარების ჭამისა,  
სიცოცხლეს გაგვიდიადებს  
ნახვის იმედი ხვალისა.

აღარ ვიქნები ცალბადა  
გადმონასროლი ქარისა,  
სალხენად გადმაქცეველო  
ცრემლის და ლექსის ღვარისა.

მთას იყავ, მაღალ ქედაზე  
ნუთუ არ გაგონდებოდი,  
საღამოს ბინდზე, ბიჭაუ,  
ნადველით აივსებოდი.

მანდ გავჩნდებოდი, ვიტყოდი  
რაც დიდხანს სევდად ვატარე,  
დღეს კი მარტო ვარ ბარადა,  
დარდ ნიავს გამოვატანე.

ჰოდა, იცოდე მარადჭამს,  
დანაბარები მზიანი:  
რო მოგვეფროს სახეზე  
კორდით მქროლავი ნიავი,

ჩემი ჩურჩული იქნება,  
ჩემი ალერსი გვიანი.

თასი შარბათით სავსეი  
თუ მაგ ტუჩებმა იგემა,  
იღუმალ გულში ნახვევი,  
ჩემი ტრფიალი იქნება.

არ გამიჯავრდე, იყურე,  
დაგეძებ კარით კარადა,  
თვალი დაგეძებს, არ გამცე,  
მთა გადმოლახე ჩქარადა,  
გახსოვდეს ყველაზე თბილი  
გულ გელოდება ბარადა.



## ზურაბ ლორთქიფანიძე

სწოგილ ქართულ პოეტს ზურაბ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. „სინკრის“ რედაქცია თავისი მრავალათასიანი გკითხველის სახელით, ულოცავს პოეტს ამ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებას.

### პირ მოგაფარა

ვერ მოგეფერე, ვით საჭიროა  
ჩემო მთა-ბარო და ეკალ-ვარდო.  
არა და ისე ისეთი დროა.  
დრომ ჩემზე თოფი აიღო ვატყობ.  
დრო მონადირე ყოფილაო მართლა  
ნამდვილი,  
(ხელთა აქვს ახლა ჩემს შესახებ  
სასტიკი ვიზა),  
ქედებო თქვენზე ოცნებებით  
გადამატარე,  
ეს რა ჭრელ-ჭრელი ყვავილები  
შემოგახიზნა.  
გადავაყოლო გული ჯიხვთ  
ჭიდილს,  
ვერ ვიგრძნო დღეთა — ავი  
მღვერები.  
თუმც ისე მოდის და ისე მიდის  
მტრისას დრო-ჟამის გადამტერება.  
მეშენებინა მომხიბლავი დიდი  
ტყეები,  
გატყვევებოდა ამოდენა ტერიტორია.  
გამეშვა ბევრი ბევრნაირი ხეთა  
ტყუპები  
შიგ ნაკადული და ბინული  
დამეტანია.  
მომიგონებდა მუხების მადლი,  
თეთრი ძელქვების სიამაყენი.  
გაიხარებდნენ რა ჰანგებს ვადრი,  
მზემდე სარკმელი ვისით გავხსენი.  
მათ ქვეშ ოცნების ტახტი  
დამეგო დღით და ღამით.  
ნორჩ ვარსკვლავეთის ტოტი  
ჩამომენონა ღამის.

შემომჩვეოდა ფრინველების  
სახეობანი.  
მომღიმარენი, მოლაღენი,  
მოჭიკჭიკენი  
შაშვი, კაჭკაჭი მოენე და  
შემამკობარი,  
შავი კოდალა ხის მატლებში  
ნისკარტ-ფიცხელი.  
ბოლო ქანქარა, ციცქნა, ნამღვევი,  
ცაში ცბიერად ქორი მცურავი.  
ხომ იქნებოდა გადასარევი  
არწივს ეყივლა ტყიდან „ზურაბი“.  
ხშირი კაკების ჯოგში  
გამთენებოდა დილა.  
თოთო ფოთლები, თოთო  
იმედით დამეთრთვილა.  
შემომხიზნოდა უთვალავი  
კავკასიური  
კლდეთ მორკინალი, მეომარი  
ჯიხვები რქებით.  
შავი მელეები ქალის მკერდზე  
ასხივებული,  
ირმები ტყეში შემოჭრილი რქების  
ტყეებით.  
გაიელვებდა მგლის შიშის ზარი  
ფოცხვერთ ნახტომი ბასრი და  
მჭრელი.  
და ჩემს ხელებში გულმომშიშარი  
თავს ჩამალავდა ტყის ხატი-შველი.  
შენც განდებოდი ალბათ  
შველის სინაზის მცველი.



აენტობოდა ქალათ  
მთელი ქვეყანა ჩემი.  
ეჰა, ეს ასე ყოფილიყო, ესაა ლტოლვა  
ჩემო მთაბარო, ჩემო ტრფობავ და

ჩემო დარდო.  
არა და ისე უმკაცრესი ისეთი დარჩა  
დრომ ჩემზე თოფი მოაღირა ღვთის  
რისხვით ვატყობ.

### მოდო, მომხვიე ხელაზის თრთოლვა...

მოდო, მომხვიე ხელების თრთოლვა,  
ლამე მოდის და ნათელს ვყვრები.  
მთვარის სინაზე ჩამომათოვე,  
და შეაჩერე ელვა-მეხები.

მე ვდგევარ, ვდგევარ შენს ფერხთ  
სინაშე  
გაბრუებული თოშით და სეტყვით.  
თუ რამედ მთვლიდი, თუ რად  
მიგანდი  
ამის შესახებ ვერაფერს გეტყვი.

გეტყოდი იმას; მიშველის ეშხი,  
შენი სითბო და ჰანგების რხევა.  
მიშველის შენი უელვარესი  
უსათნოესი სულის შეხება.

მოძიე შენში თუ არის ღმერთი  
ან ანგელოზი, წმინდანის ხატი,  
ხიდის ყურეში დამდგარს შემხედე  
და ხურდასავით მესროლე ხათრი.

უშველე, შეელა უნდა გზა  
გამწყრალს,  
მიშველე აი, ესა ვარ, რაც ვარ.  
ჩემი აჩრდილი დავკარგე სადღაც,  
შენი აჩრდილით ქუჩაში დავალ.

შენი მშვენების ცხელი ღაღარი  
შემომავარე. რაც იყოს, იყოს.

ეგ მოშოლტილი მოქნილი ტანი  
მჭირდება ჩემი ოცნების ჭიგოთ.

შენი წარბები აღმოსავლეთის  
ციცაბობის მოდის მშვენება.  
შენი თვალები ღრმა სიღრმეების  
ამოტანაში მომეშველება.

შენი ტუჩები მასწავლის კოცნას  
გადავიწყებულ კოცნის სიმძაფრეს  
და შენი სუნთქვა დამინთებს კოცონს.

ხალიბურ რკინით გავიჭედები  
ამიჯანყდება რკინის სხეული.  
კავკასიური ცარცის კედლები  
აღარ მეჩვენოს შუაღამური.

თუ ასე არა, რა ცას შევენთო,  
რა ქარიშხალეზს, რა ჯანლებს  
შევრჩე.  
გამოვწნა შენი თმის ღერი ერთი  
დავეკიდო და გავთავდე შენში.

ასეც თუ არა,  
სად დავატიო,  
ეს ტრაგედია.

მოდო, მომხვიე ხელების თრთოლვა,  
ჩამომათოვე მთვარის სინაზე  
ცის ყვავილები ჩამომათოვე.

### შესაძლო იყოს მივუბრუნდები

ისე ვაფასებ უშეორებელ  
ადამიანის ქვეყნად გაჩენას,  
შესაძლო იყოს მივუბრუნდები  
იმ ჩემს ციმციმა დაბადების დღეს.

იმ გზა-ბილიკზე ვირბენდი დღისით,  
ღამით იმ მთვარეს დავინახავდი,  
რომელმაც ერთხელ მე შემაშინა  
შემოპარულმა ჩუმად მუხსაზე.

არაფერს გზად არ შევისწორებდი,  
მხოლოდდამხოლოდ გარდა ერთისა;  
თუ რამ საქმეში ვიყავი ანჩხლი  
მთელი სიმკაცრით ავიკრძალავდი.

და ვისმეს წყენას ავირიდებდი,  
რაც უნდა ბრალი ჰქონოდა ჩემზე.  
ჰოი, რამდენის მსდევს სილუეტი  
გამოხვეული დარდის ბურუსში.

თუ მქონდა ოდეს ამოვიძრკვავდი  
და რკინის მძიმე ჯვარს დავუსვამდი,  
ყოყლოჩინობის ფუყე ბუნებას  
სადმე შემთხვევით თუნდ  
გამჟღავნებულს.

რაც მიწერია, ცოტან დავწერდი  
შევიცოდებდი ქალაქს—ცოცხალ ხეს.  
და ორ ფორმამდე ძლივსძლივობითა  
ჩემი ლექსები გამოვიდოდა.

ოდეს ამ საქმეს მოვათავებდი  
მე ნავიდოდი კმაყოფილებით.  
ნეტარ არიან ვისაც ამისთვის  
ალარ სჭირდება სიცოცხლის თხოვნა.

მე სხვა მხრივ არაფერს არ  
შევასწორებდი  
მოგება-წაგების პოეტურ არიას,  
ნეტავ შემახვედრა, ვინაც შემხვედრია  
მთლად გავიხარებდი.



# ზანგასვიკიანი

## მოთხრობა

გურამ კაკანაძე

### ოქროს ღილაკი

ფირდოზში გაწოლილი გზა ეკალ-  
ბარდებს დაეფარა. ხრამის პირას გაბ-  
ნეული ჭუჭა ხეები პირქუშად გამოი-  
ყურებოდნენ. მხოლოდ, ერთი უზარმა-  
ზარი ხე ამართულიყო მათ შორის.

ეს გზა დიდი ხნის წინათ მიატოვეს.  
ძლივს მიიწევდა წინ. უხეში, მომწვანო  
ბალახი მუხლებამდე წვდებოდა.

რატომ აკითხავდა ამ მიგდებულ კუ-  
თხეს, ამ ნარვალებს, ამ კაბეტ მიწას,  
ან რად იზიდავდა ეს ტლანქი, ცაში  
ამართული ხე? უკვირდა, რადგან აქ  
განსაკუთრებულს არაფერს ხედავდა,  
და მაინც თითქმის ყოველდღე მოდიო-  
და...

ახლაც დიდი ხის შორიახლო შედგა.  
აღმოსავლეთს მთა ფარავდა, ხოლო  
მთის იქით ტრიალი მინდორი იწყებო-  
და. სულ იქით კი, ტყის პირას, დიდი  
ქალაქი სუნთქავდა. «დიდი, დაავადე-  
ბული ქალაქი». გაუფლვა გონებაში.

შემდეგ ხევს მიაღდა და ჩაიხედა. ნა-  
ცნობი, ახლობელი თვალუწვდენელი  
სიღრმე და სიწყინარე იყო, უწინ ზოგ-  
ჯერ ეჩვენებოდა, რომ იქ, ქვევით, ერთ  
რიგში იდგა საუკუნეები, გარდასულ

ჟამთა შეუმჩნეველი ნაკვალევი, საი-  
ღუმლოებანი, ზღაპრები. შემდეგ მიხვ-  
და, რომ ესეც ჩვეულებრივი ადგილი  
იყო, როგორც ადამიანები და ცაში გაბ-  
ნეული პლანეტები.

თეთრი თმა მოკლედ ჰქონდა შეკრე-  
ჭილი. შემდეგ ძველი, სულ ძველი დრო  
გაახსენდა, როცა დამნაშავეს ცისქვეშ  
ასამართლებდნენ და მაშინვე ან რამდენ-  
იმე დღის განმავლობაში ჯვარზე აცვა-  
მდნენ, ახრჩობდნენ, ნავთს ასხამდნენ,  
ცეცხლს უკიდებდნენ, თავს კვეთდნენ,  
ვაზით წამლავდნენ, დენს უერთებდნენ,  
ხელშეკრულს ნიანგთან მიიყვანდნენ...

როდესაც გამოერკვა, აღმართს აპყ-  
ვა, ბექობს შემოუარა და ბილიკს დაა-  
დგა. კლდესთან სავარძელში ჩაჯდა და  
მალა აფრინდა. თანდათან გამოჩნდნენ  
მრავალსართულიანი სახლები, ლარი-  
ვით სწორი გზები და მოედნები. სახე-  
ში სასიამოვნოდ სცემდა ცივი ჰაერის  
მკვეთი ნაკადი.

უცებ სახლის ნანგრევებს მოჰკრა  
თვალი. უზარმაზარი, გაბზარული, ჩამ-  
ტრეული კედლების მთა იყო. როდის

დანიგრა? შეიძლება კინოსურათს იღებდნენ? მაგრამ მისმა გამჭირახმა მხერამ სწრაფად აღიქვა სინამდვილე.

მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია. იმ ჯიხურის გამოგონების შემდეგ, სადაც პლანეტის მკვიდრს განძის საფასურად, სიცოცხლის გახანგრძლივება შეეძლო, ბევრი რამ შეიცვალა, პლანეტის მკვიდრი კიდევ უფრო ეჭვიანი და ხარბი გახდა. ქონების მოხვეჭის გარდა, ყველაფერი დაივიწყა. თვითონაც ხშირად უთენებია ღამეები განძის მოსაპოვებლად, ყოველგვარი რიდისა და სინდისის ქენჯნის გარეშე მდიდრდებოდა. სიცოცხლე ნამუსის ფასად ღირდა. თუმცა...

ფიქრების გამომრთველ ოქროს ღილაკს დააჭირა თითი. ახლა აღარაფერი შეაწუხებდა. ესეც უებრო გამოგონება გახლდათ. მთელი სხეული, მთელი ტვინი კი არა, მხოლოდ ფიქრი იყინებოდა. მაგრამ ადამიანი აზროვნების უნარს არ ჰკარგავდა, ყველაფერზე ფიქრი შეეძლო. ოღონდ ისინი თავისთავად არ მოზღვავდებოდნენ. ამ ღილაკთან ერთად მოსამართლემ თითქმის მთელი ცხოვრება განვლო, მყუდრო, უშფოთველი და წყნარი. მას შემდეგ ასწელზე მეტი იქნებოდა, რაც აღარ შეუწუხებია კითხვებს: რანი ვართ, საიდან მოვდივართ, რა გვინდა ან რატომ ვიყრით მუხლს მორჩილად ვილაცის წინაშე?... ოქროს ღილაკი საიმედოდ იცავდა.

ოცსართულიანი პატარა სახლის წინ ფრენა შეანელა და ძირს დაეშვა. სავარძელი ეზოში დატოვა, დერეფანი გაიარა და კარს მსუბუქად ჰკრა ხელი. მის მაგიდასთან შეგვერემანი ქალი იდგა. მოსამართლემ თავი დააუკრა, ქურთუკი გაიძრო და ვერცხლისფერ თმაზე ხელი გადაისვა. ხოლო როცა მდივანი ქალი ოთახიდან გავიდა, ფანჯარა მიხურა და მაგიდას მიუჯდა. დღეს მხოლოდ ერთ საქმეს გაარჩევდა. ნელ-ნელა შლიდა ფურცლებს და აქა-იქ კითხულობდა.

როდესაც ტკივილი შეეპარა მხარში,

დავთარი გვერდზე გადადო. ოღნავ უკან გააჩოჩა სავარძელი და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარ სახლს შეაელო თვალი. ხელის ტკივილი ღია ფანჯარას დაუკავშირა. გაიფიქრა, რომ მდივანი განზრახ ახვედრებდა ღია სარკმელს, რომ ამ შეუხედავი ქალისათვის ეს ერთადერთი ვართობა, სიამოვნება გახლდათ აქ.

შემდეგ თავს ძალა დაატანა და ისევ ჩაიხედა დავთარში, მაგრამ საქმე არ იტაცებდა. გაუგებარი იყო არქიტექტორის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივი. უაზროდ შლიდა ფურცლებს და ვერაფრით ვერ ჩაწევდა საქმის არსს.

სასამართლო დარბაზში ფანჯრებზე მუქი ფერის ფარდები ეკიდა. ბოლო დროს მოსამართლეს მუქი აღიზიანებდა. მან თვალი მოავლო ცარიელ დარბაზს. კუთხეში ტუხალი და მცველი იდგნენ. სავარძელში გასწორდა და როდესაც დამნაშავესათვის გვარი და სახელი უნდა ეკითხა, რაღაც სუნთ იგრძნო. ერთი წუთით გაიჩინდა და შეეცადა გარკვეულიყო, თუ რა აღიზიანებდა მისი ყნოსვის ორგანოს. ოღნავ მიაბრუნა თავი მარცხნივ. მდივანი ფურცელზე შიშველ მამაკაცს ხატავდა. „ამ შემთხვევაში ჩვენი მარგალიტი უმანკოა“, გაიფიქრა მოსამართლემ. პატიმარი და მცველი შორს იდგნენ. მაშინ მარჯვნივ შემოტრიალდა.

ქათათა პერანგი და ქალაქის საუკეთესო თერძთან შეკერილი კოსტიუმი ეცვა მოადგილეს. ხოლო წამწამები გრძელს, მოსქო ტუჩები და შეღებული თმა გულმოდგინედ გადავარცხნილი ჰქონდა. დააკვირდა. „აი, ზის და ერთი შეხედვით ვერც კი მიხვდები, რომ ფუტუროს უყურებ... კაცი, რომელიც ამდენ დროს ხარჯავს გარეგნობაზე, მსაჯულს, რომელსაც პატიმრები ეჯავრება, არ შეიძლება ბედნიერი არ იყოს... ეს სიბრძნე და შენი სა-

შუამოკვეთილება  
მოთხოვნები





ქმის სიყვარულია ჭმუნვისა და ნაღველის წყარო“.

მოსამართლემ ჭიქიდან წყალი მოსვა და ბრალდებულს ჰკითხა:

- ვინ ხარ? — და ჭიქურ შეხედა.
- არქიტექტორი.
- გვარს გვეითხები.

ტუსალმა, რომელსაც ყბა ყბაში გასდიოდა, უპასუხა. შორიდან ყმაწვილს ჰგავდა.

- რამდენი წლის ხარ?
- ორმოცდაათის.
- რამდენი ხანია, რაც ამ ქალაქში ცხოვრობ?

— აქ დავიბადე, — უპასუხა არქიტექტორმა, — მამაჩემიც აქაურია.

— არაფერი მესმის, ახლოს მოიწიე და, შეგიძლია დაჯდე.

— გმადლობთ, — რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ.

მცველი აჩრდილივით მიჰყვა უკან. ისიც გამხდარი, ჩია ტანის იყო. „რამდენს უხდიან ან რა სიამოვნებას ანიჭებს კაცს სხვისი ტკივილი, ცრემლი და სისუსტე?“

— რა საინტერესო იქნებოდა ყველა დროის დიდი და პატარა ჯალათის ერთად შეკრება და ამხანაგური შეჭიბრის მოწყობა, ვთქვათ, პინგპონგში ან მხატვრულ ტანვარჯიშში, — თქვა მოსამართლემ.

მოადგილემ გაუღიმა და თავი დაუქრა.

- ახლა მითხარი, რაც ჩაიღინე, არქიტექტორო.
- კეთილი, — უპასუხა დამნაშავემ.
- ოღონდ მანამდის შენი ოქროს ლილაკი მაჩვენე.

— არასოდეს არ მიხმარია. ბავშვებსაც ასე ვზრდი.

— ვინც ლილაკს არ ხმარობს, სასტიკად უნდა ისჯებოდეს, — უთხრა მოსამართლეს მოადგილემ, — რატომ არ არსებობს ასეთი კანონი?

— სამდენი შვილი გყავს?

— ხუთი.

ისევ ყრუ, მღრღნელი ტკივილი იგრძნო მოსამართლემ მარცხენა მხარში. ტკივილის ერთი ტალღა ხელს ვაჰყვა, მეორე მეგრდისკენ გაცურდა. „ვინ გვასწავლის როგორ მოვიქცეთ, როცა რვაფეხა გიზის სხეულში, როდესაც გვერდით მჭდომი გალიზიანებს და როცა განწირულ სუსტსა და უშკუოს უსმენ?“

- ვინ დაგვრთო ნება ამდენი შვილის ყოლისა? — კვლავ მოსვა წყალი.
- ქალაქის თავმა. მხედველობაში მიიღო ჩვენი ოჯახის დამსახურება სახელმწიფოს წინაშე. ხომ ვახსოვთ, რა სახელით სარგებლობდა მამაჩემი.

- არ გამივიცა.
- ისიც არქიტექტორი იყო.
- რა ლამაზად, მოხდენილად გადაუხადეთ სამაგიერო.

არქიტექტორმა გაიღიმა.  
— დრო ნგრევისა და დრო აშენებისა, — თქვა მან.

- რამდენსართულიანი სახლი იყო?
- ორასსართულიანი.
- მერე?

არქიტექტორმა გულუბრყვილო, ღია ყავისფერი თვალები შეანათა მოსამართლეს.

— თქვენ არ გაშინებთ ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ეს სიცარიელე? — პატიმარმა თვალი მოავლო დარბაზს, — ადამიანი ოქროს ლილაკის გამოგონებამდისაც ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ფიქრები, სინამდვილე, უძლურება და სისასტიკე. მაგრამ მაინც ჩაფიქრდებოდა, მაინც იმარჯვებდა საკეთე

- რა ჭკვიანი ხარ.
- ადამიანებს ყველაზე მეტად სომართლის ეშინიათ, და თავისუფლების.

ამბობენ, ოდესღაც ჩვენს პლანეტაზე ერთგვარი ცხოველები — ცხვრები ყოფილა... ისინი მოსპეს, მათი ადგილი ადამიანებს რომ დაეკავებინათ.

— ცდები, — გააწყვეტინა მოსამართლემ, — ისინი თავს ბედნიერად გრძობენ... ხომ ასეა, მაგდალინა? ხომ ყველაფერი გაქვს — ტანსაცმელი, საკმელი, სასმელი? იდეებითაც საკმაოდ გამარავებენ... ხომ ხარ კმაყოფილი? მდივანმა კბილები უჩვენა.

— არც ცხვრები, ბატები და ბითურები ყოფილან უბედურები, — თქვა ტუსალმა.

— ყური მივღე, მაინც რატომ ჩაიღინე ეს მკრეხელობა?

უცებ რაღაც ნაღველი იგრძნო მოსამართლემ, ჩუმი და დაუნახავი. შეებრალა ეს ტუსალიც, მაგდალინაც, უკუდო მგელზე მკდომი მოადგილაც. მაშინ ოქროს დილაკს დაჰქირა თითი, ხოლო მანამდის გაიფიქრა, რომ არქიტექტორი, გარეგნულად სუსტი და შეუხედავი, მაინც საშიში ადამიანი იყო.

არქიტექტორმა იკითხა:

— დამიჯერებთ, სიმართლე რომ ვითხრათ?

— თქვი.

— შეეცდი, — წაილულლულა ტუსალმა.

მოსამართლემ თავი დაღუნა. ბოლოს და ბოლოს ამ დარბაზში ყველა აღიარებს დანაშაულს, ადრე თუ გვიან ყველა ფუჭდება.

— განაგრძე.

— მოსამართლე, ისევ ცხოველებად ხომ არ ვიქეცი?

მოსამართლემ ოქროს დილაკი ჩართო. მაშინვე გაიფიქრა, რომ უზარმაზარი ხე, რომელსაც ბოლო დროს აკითხავდა, და ეს არქიტექტორი რაღაცით ჰგავდნენ ერთმანეთს. შემდეგ მოისაზრა, რომ ორივენი განწირულნი იყვნენ.

— თავიდან დაიწყე მოყოლა, — უთხრა პატიმარს.

— კეთილი.

ხუთი თვე იმუშავა განმარტოებით. ოთახში, სადაც ხაზავდა, ანგარიშობდა, თვლიდა, არავის უშევებდა. გამოცდილი ინჟინრების შეცდომამში შეყვანა ვაძინებდებოდა... ხუთი თვე ნამდვილი სიცოცხლით იყო სავსე. იგი ხუთას ჩვეუ-

ლებრივ წელზე მეტია. ოთახი ნახევრით, ფიქრებითა და ოცნებით იყო გაჭედილი. ბოლოს და ბოლოს ცხვირება ხომ მაშინ წარმოგადგება თავის მრავალფეროვანი სახით, როცა დიდი ხნით განმარტოვდები.

— არჩვეულებრივი დრო იყო, — თქვა არქიტექტორმა.

— შემდეგ რა მოხდა?

— ვიცოდი, როდესაც დაინგრეოდა სახლი: საღამოს რვა საათზე, როცა შენობაში აღარავინ იყო, ეს მოხდა... როგორ ველოდი ამ წუთს, მათ კი ვერაფერი შეამჩნიეს... მეგონა, ქალაქის შუაგულში გამოყვანდნენ და გამასამართლებდნენ, მეგონა, ტვეა არ იქნებოდა ქუჩებში, მოაწყდებოდნენ და, როგორც ძველად ველურები, ჩემს დაწვას ან დაგლეჯას მოითხოვდნენ: ხოლო მე ავუსხნიდი, რატომ მოვიქეცი ასე. ვეტყვოდი, რომ საშინელებაა ოქროს დილაკი, რომ ეს იგივე მონობაა, ეს ცდაა, ისევ ცხოველებად გვაქციონ, ნამდვილ პირუტყვებად, რომ ერთხელ ვცხოვრობთ და ამიტომ ეს სიცოცხლე ლამაზად უნდა გავატაროთ.

— რას გულისხმობ ლამაზ ცხოვრებაში?

— თავისუფლებას, აზროვნებას და სიკეთისათვის თავდადებას. რამდენი ხანია აღარ შემხვედრია მოაზროვნე ადამიანი!

— თუკი პლანეტის მკვიდრი შრძოლას უღელსა და ოქროს დილაკს ამჯობინებს?

— თქვენც ვერ გამოიგეთ?

— ბევრს, ძალიან ბევრს მოითხოვ ადამიანისგან.

ისევ მოუვიდა აზრი მოსამართლეს. ორი კვირის წინ იმ სახლთან რომ მდგარიყო, არაფერი შეიცვლებოდა, ყვავები შავს ჩაიცვამდნენ, მის სიკვდილს უბედურ შემთხვევას მიაწერდნენ, და მხოლოდ მოადგილე გაიხარებდა. სხეული დაუბრუნდებოდა მიწას —

გურამ კაკაბაძე  
მონთაგროპიანი



ჩვენს მარადიულ დედას, სხეულთან ერთად — სიძულვილი, სიყვარული, შური და სხვა პაწია გატაცებანი. რომ არაფერი დაკარგულიყო, რომ შემდეგ სხვა ფორმით, სხვა სხეულში აღმოცენებულიყო ისევე. ისევე და ისევე განმეორებულიყო ერთი და იგივე.

მოსამართლემ ოქროს ღილაკი გამოართო, სახე მოისრისა და დამნაშავეს გადახედა. იგრძნო, რომ გულდაწყვეტით მოაწერდა ხელს ამ ჭიუტი კაცის სასიკვდილო განაჩენზე.

ოთხ საათზე მოვარდისფრო ოთახში შევიდა. მოცალოების ჟამს ზოგჯერ ამითაც ერთობოდა. კარი მიხურა და კედელზე მიმაგრებული მრიცხველი აამუშავა. ახლა მხოლოდ ნათურის ანთება დასჭირდებოდა ყოველგვარი სახანაობის თუ წადილის ასრულებისათვის.

აქ უნახავს დანგრეული, მიწაში ჩაფლული ქალაქები, უსაუბროა უძველესი დროის მსაჯულებთან. მათგან შეუტყვია, რომ სიმართლე უმეტეს შემთხვევაში ისევე ზედმეტია, როგორც თოვლი სამხრეთში. აქ უღალატნია რჯულისთვის, აქ გაულახია თავისი მოადგილე. გაულამაზებია მაგდალინა. ამ ოთახში დარწმუნებულა, რომ სიცოცხლე შეიძლება კომედია, სიზმარი, ნისლი იყოს, მაგრამ კომედია, მოჩვენება, კვამლი ვერასოდეს ვერ იქცევა დიდ სიცოცხლედ. ლალატს, ფლიდობას — სიყვარულსა და მოწყალებას უპირისპირებდა. აქ გაუნდვია საიდუმლოება, რომ მსაჯულობა ბოლო დროს მოსაწყენი გახდა, რომ მობეზრდა სხვის სულში ხელის ფათურა, რომ სიამოვნებით გამოირდებოდა აქაურობას, სამუდამოდ დასახლდებოდა მიყრუებულ კუთხეში...

განვიღო წლებზე თვალის გადავლება გადაწყვიტა. ნელ-ნელა წამოიწია სავარძლიდან და ნათურა ჩართო. ამოძრავდნენ წუთები, კადრი კადრს დაედევნა. თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც სინამდვილეში, თითქოს არაფერი ყოფილიყოს მოჩვენებითი. აი, გულუბრყვილო, ჩემი, უდარდელი ბიჭი, მაგრამ

უკვე იგრძნობოდა ფარულად ჩნებულად შეურთებლობა, სითამამე. ღილაკი მცურავდა სიყმიწვილე. სასიამოვნო ხმაურით აწყდებოდა პატარა ტალღები ცხოვრების ნაპირს. შემდეგ სიყვარული, ბეთლემის ვარსკვლავი, თავდავიწყება და დიონისეს რაზმი, სასამართლოს დარბაზი და პირველ ხანებში მხოლოდ კლემენცია და ლმობიერება... შემდეგ რისხვა და ისევ შეწყალება. ცბიერი, კეთილი, ძლიერი, სუსტი, ფლიდი სახეები, დამნაშავენი, შემცდარნი, მოტყუებულნი და უბედურნი. და ერთი კადრი წყლის წვეთივით ჰგავდა მეორეს.

„როდესაც ზმანება, ოცნება სინამდვილესავით მოსაწყენი ხდება, მაშინ ხომ არ ტყდება ტაბიკი?“ — გაიფიქრა მოსამართლემ და ნათურა გამორთო. შემდეგ შენობიდან გამოვიდა და ქუჩას გაჰყვა. ყველას სადღაც მიეჩქარებოდა ის მიდიოდა, მიდიოდა და მოლოდინში, რომ ერთ უდარდელ კაცს მაინც მოჰკრავდა თვალს, სევდა იპყრობდა. მხოლოდ ერთხელ უზარმაზარს სახლას კუთხეში წამით თვალი შეავლო მოლიმარ პატარა გოგონას. გოგონა გაკვირვებულნი მიამტერდა მოსეირნე უცნობს. მერე მალსა აფრინდა და თანდათან წერტილად გადაიქცა.

დიდ ხესთან მოსამართლე შედგა. ისევ დააქირა ოქროს ღილაკს თითი. მაგრამ ფიქრები უცებ არ მოზღვავებულან. მან იცოდა, რომ ის, ვინც ოქროს ღილაკის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მკვდარი იქნებოდა უკვე, ვერც კი იგრძნობდა ტკივილს, ისე გაქრებოდა და თან წაიღებდა იმ საიდუმლოებას, წადილს, რისთვისაც საშინელი მკრეხეხელობა ჩაიდინა. ვერავენ გაუგო. არავინ მოუსმინა. საბრალო მწყერიფრენია.

— რა უცნაურია, ერთი დღე შეორეს ჰგავდა. — ძლივს გასაგონად თქვა მოსამართლემ.

შემდეგ უნებურად ოქროს ღილაკისაკენ გაეპარა თვალი. უწინ სულ ჩართული ჰქონდა და ალბათ ბედნიერიც

იყო. ახლა რას ბორგავდა ან რა დაემართა ამ ბოლო დროს?.. მოგზავნილი ხომ არ იყო არქიტექტორი?.. შეიძლება კიდევ არიან თანამოაზრენი?.. შეეშვას?.. მაგრამ ვილაკამ ხომ უნდა გამოაფხიზლოს, უმკუერნალოს დიდ, დაავადებულ ქალაქს, ერთხელ ხომ მაინც უნდა გაბედოს ვილაკამ არქიტექტორის დაკვა?! თუ ისევ ოქროს ღილაკს მიმართოს?..

დიდხანს იდგა მეგობარ ხესთან. უცდიდა წუთს, როდესაც უკანასკნელი სანთლის სხვიც გაქრებოდა ცაზე და მოვიდოდა ღამე. იცოდა, რომ იმ პა-

ტარა ბიჭიდან, რომელიც წელანსა, „საოცარ ოთახში“, კიდევ შემორჩა რალაც ნაწილი სასიცოცხლო ენერჯის, სისუფთავის და ალბათ გამბედაობისაც. ღამის ჩამოწოლას მაინც დაელოდა. შემდეგ კი მაგრად მოქაჩა ოქროს ღილი და როცა ხელში შერჩა, შორს გასტყორცნა. ბავშვივით გაიღიმა და გაიფიქრა რომ არქიტექტორმა ტყუილუბრალოდ არ ჩაიდინა მკრეხელობა, რომ იგი მამაკცი, დიდი პიროვნება იყო, რომ ოდესმე ადამიანები უძველეს წესს გაიხსენებდნენ და მის საფლავზე მიხაეგბა და ვარდებს მიიტანდნენ.

## მინოს ყივილი

ისინი მრავალი წლის წინ მოფრინდნენ მარსზე და დედამიწა თითქმის აღარ ახსოვდათ.

ცხოვრობდნენ ქალაქიდან შორს, პატარა ტბის ნაპირთან. ტბის ერთ მხარეს ორსართულიანი სახლი იდგა. მოპირდაპირე მხარეს კი კლდე იყო აღმართული. მკრთალად შეღებილი სახლი ქალაქიდან არ ჩანდა.

ხშირად ტბის ტალღების ნაზი ტყლაშუნი ესმოდათ. მალლა დღისით ნათელი ცა ჩანდა, ღამლამობით კი — პატარა ვარსკვლავები.

მარსზე ვაჟიშვილი შეეცინათ. სახლის უკან თვალუწვდენელი მინდორი იწყებოდა. მიწა მოყვითალო ბალახით იყო დაფარული და როდესაც მზე ამოდიოდა, მინდორი ოქროსფრად ბზინავდა.

ბინდებოდა. ოთახში მაგიდის გარდა, რამდენიმე სავარძელი და დივანი იდგა, ფანჯრიდან ქურდულად შემოდიოდა სიბნელე და ტბის წყლის სასიამოვნო სუნი. მამაკაცმა დამძიმებული თავი მალლა აიღო და გაიხედა.

ყველა ღონე იხმარეს, დედამიწიდან ჩამოტანილ ზოგიერთ ნერვს რომ გაეხარა. მაგრამ ხეები არ გაიზარდნენ.

მარგარიტა ტბიდან ამოდიოდა. გამ-

ჭვირვალე ვარდისფერი საცურაო კოსტიუმი ეცვა. ხოლო ყელზე ზურმუხტი-სფერი ყელსაბამი ეკეთა, რომელსაც იშვიათად თუ იშორებდა. ყელსაბამი მისი ავგაროზი იყო. ნელ-ნელა ამოდიოდა წყლიდან. მამაკაცი კი თვალს არ ამორებდა.

ქაეც უყვარდა ცურვა, გაიფიქრა. — მარგარიტა!

მეუღლემ ამოხედა და გაუღიმა. თმა მხრებზე ჰქონდა ჩამოშლილი და ჩამოწოლილ სიბნელეში ფერები თანდათან ჰკარგავდნენ სიმძაფრეს. ერთი წამით მარგარიტა შედგა. ტბა კი ოდნავ ღელავდა. ალბათ ტბაც გრძნობდა მის სწორ ფეხებს, თხელ, ნაზ კანს, დიდრონ ცისფერ თვალებს, ქალურ სიმსუბუქეს, მოუსვენრობას და დაუშრეტელ ლტოლვას რალაცისადმი. ტბაც შეყვარებულია ამ ქალზე, ფიქრობდა მამაკაცი.

მარგარიტამ თმა გაისწორა და ისევ გაიღიმა. გამოუჩნდა თეთრი ქათქათა ილიები და მწკრივად ჩაწყობილი კბილები. პატარა ზვირთები აწყდებოდა ნაპირს და უკან ბრუნდებოდა.

გურამ კაკანაძე  
მოთხრობები





„მრავალი წელი გაივლის და ტბას მაინც ესხომება ეს სხეული... ხომ არ ვეჭვიანობ?“ — მამაკაცმა გაიცინა.

ხოლო რაც შეხება ამ სხეულს, უფრო სწორად, ვინც ახლოს იცნობდა ამ სხეულს, სამუდამოდ მორჩილი, ტყვე ხდებოდა მისი. დედამიწაზე ამ მამაკაცამდე კიდევ ორი ფლობდა მას. ერთ მათგანს ყბები მოამტვრია მან. მეორეს კი, რომელიც ასი ათასი მანეთის გაფლანგვის თაობაზე იჯდა ციხეში, განიავებულ ფულზე ორჯერ მეტი შესთავაზა. პირველი მამაკაცი, რომელსაც ყბა მოუქცია, მარგარიტას მეორე ქმარი იყო. გამფლანგველი კი, პირველი ქმარი, რვა წელი იჯდა ციხეში. ყბამოტეხილი კიდევ მთელი წელი დაძუნძულებდა ძალიან მათი სახლის გარშემო. მაგრამ კიშკრის ზღურბლს იქით ფეხის გადადგმას ვერ ბედავდა. სხვა დროს, სხვა შემთხვევაში, არც ამ სითამამეს აპატიებდა მამაკაცი. ხოლო რაც შეეხება გამფლანგველს, რვა წლის შემდეგ, როდესაც ციხიდან გამოვიდა, თავისი კანონიერი უფლებების აღდგენა მოითხოვა. ორასი ათასი მანეთი გადაუხადეს. ერთი თვის შემდეგ გამფლანგველი, პირველი ქმარი, მამაკაცს გზაზე დახვდა და უკან დაუბრუნა ფული. მაშინ ყველაფერს მიხვდა. მაგრამ მაინც შესთავაზა ისევ ორჯერ მეტი. მარგარიტა ვერ შეფასდებოდა, უთხრა პირველმა ქმარმა, ისევე, როგორც ძველი ბერძნული ქანდაკებებია შეუფასებელი. რადგან ამ ქალში, ჩემს ყოფილ მეუღლეში, დედამიწის საუკეთესო ქალების თვისებებია გაერთიანებული: ეთერის, ნესტანის, მერის, ასპაზიას, ელენის და კიდევ სხვა მრავალის...

თავის-ტყვილი არ უცხრებოდა მამაკაცს.

— ვიღრე გიორგი დაბრუნდება, რაღაც უნდა გითხრა, — დაუძახა მეუღლემ.

— კეთილი, ოღონდ დროზე მოშორდი მაგ ტბას, — თქვა და ისევ გაიცინა. უკვე ციმციმებდნენ ვარსკვლავები

წყალში და კლდის შავი სიღრმეებში ემსგავსებოდა. დგებოდა გრძელი, ჩუმი ლამე.

ასე, მხოლოდ საცურაო კოსტიუმში, თითქმის შიშველი, პირველად შემოდიოდა ამ ოთახში მარგარიტა. ესე იგი, რაღაც საგანგებო მოხდა, რაღაცამ შეაშფოთა.

იატაკზე კვალი დატოვა. ჯერ ისევ სველი იყო.

— მე არ დავჯდები, — თქვა მან.

— პირსახოცი ხომ არ მოგაწოდო?

— გმადლობ.

— მოღვენთილი თვალები გაქვს. ამ მწუხარებას აქვს მიზეზი?

— მეშინია.

— რისი ძვირფასო?

წყლის სუნს ასდიოდა და მან მაგრად მიიზიდა ქალი.

— მეტიკინა.

მაშინ მოშორდა და კითხვა გაუმეთრა.

— არ ვიცი — უპასუხა ქალმა.

— გაწყენინა, დააშავა რაიმე?

— ნუთუ ვერაფერს ამჩნევ?

— მაინც რას, ძვირფასო, — თავზე გადაუსვა ხელი, — რას?

— მის ცვლილებას.

თავი დედამიწაზეც სტიკოდა. მაგრამ ახლა წამლებიც ვერ შველოდნენ, და დღეები თავთან და ტკივილთან უაზრო ბრძოლაში გადიოდა.

— მომიახლოვდი, მარგარიტა, მომიახლოვდი... აი, აქ მომიჭირე ხელი... უფრო მაგრად, აი, ასე.

— ჩემი საბრალო ქმარი...:

— აი, ასე... თითქმის გამოიარა.

მისი ხელები და შთაგონება ზოგჯერ მართლაც შველოდა.

— დაგიცხრა?

— თითქმის.

— მეც თითქმის გავსრი.

— მომისმინე, მაინც რა მოხდა, რა გაწუხებს ასე?

ოთახიდან გავიდნენ, დერეფანი განათეს და კიბეზე ჩავიდნენ.

— იი, აქ, — თქვა მარგარიტამ და გიორგის ოთახის წინ შეჩერდა.



ამ ოთახში პირველად მოხვდა მამაკაცი. ოთახი თითქმის საცხე იყო საგნებითა და წიგნებით. წიგნები ყველგან ეყარა — მაგიდაზე, სავარძელში, იატაკზე, აულაგებელ ლოკინზე. თავისი ძველი ოთახი მოაგონდა დედამიწას.

— რაში დაქორდა დედამიწის რუკა ან ეს ცნობარები? — ეკითხებოდა მარგარიტა.

როდესაც მარსზე მოფრინდნენ, პირობა დადეს, რომ დედამიწას სამუდამოდ დაივიწყებდნენ. შეთანხმდნენ, რომ დედამიწა უდაბნოს ჰგავდა. გამომშრალ, გადატრუსულ უდაბნოს.

— გაფრინდება და ველარასოდეს ვიხილავთ. ხოლო ჩვენ ისევე მიჯაჭვულნი აღმოვჩნდებით დედამიწასთან.

— არაფერი მესმის, — თქვა მამაკაცმა, — აქ თითოეული საგანი დედამიწას მაგონებს.

— ყური მიგდევ, არ შეიძლება კიდევ უფრო შორს რომ გავფრინდეთ? — სად?

— შორს, ძალიან შორს.

— მაინც ვერ გავექცევით წარსულს.

— რატომ?.. რატომ, თუ ეს აქამდე შესაძლებელი იყო?

— გეჩვენებოდა.

— ჩვენ არ ვგავართ სხვა ადამიანებს.

— ესეც მოჩვენებითია...

უხერხულად გრძობდა თავს ამ ოთახში. ეს საგნები, წიგნები, აშლილი ლოკინი, ნაწერები, დაკუჭული ქაღალდეტი, თამბაქოს სუნი, მტვერი — სხვა ადამიანის სამყარო იყო. ეს მამაკაცი, რომელიც ყბებს უმტვრევდა მოწინააღმდეგეებს, ვაჟიშვილის ოთახში დარცხვენილი იდგა, თითქოს რაღაც მკრეხელობა ჩაედინოს.

— წავიდეთ, — თქვა მან.

მიხურეს კარი და ზევით ავიდნენ. დარბაზში ელოდებოდნენ. ქალაქიდან გვიან ღამით დაბრუნდა გიორგი.

— სალამო მშვიდობისა, დედა, — თქვა მან, — სალამო მშვიდობისა, მამა.

— სალამო მშვიდობისა, — უთხრა მამაკაცმა.

გაქს ნაღვლიანი თვალები, ქერა თმა

და ძალზე ფერმერთალი სახე ჰქონდა. ზოგჯერ ელიმებოდა და მასინ თეთრი კბილები მოუჩანდა.

— სად იყავი? — ჰკითხა მამამ.

— ქალაქში.

ხოლო ერთი თვის შემდეგ განაცხადა, რომ დილით მიფრინავდა. მასინ მამაკაცმა უთხრა:

— მომისმინე, გიორგი, შენს ასაკში ზშირად არასწორ გზას ადგებიან. იქ, საითყენაც მიიჩქარი, არაფერია საინტერესო. იქიდან გატეხილი კაცი დაბრუნდები. მოგებზრდება ყველაფერი და შეეჩვევი ფუჭ ოცნებას

— მე მომწონს დედამიწის მაეხოვრებლები.

— მათ არ იცნობ, გიორგი. წიგნებში კი, საიდანაც ისინი გაიცანი, მხოლოდ საინტერესო ადამიანებზეა ლაპარაკი, საინტერესო ადამიანების ცხოვრების საინტერესო წამებზე. ადამიანები კი ერთმანეთის მსგავსნი და უინტერესონი არიან. იქ დღეებიც ერთფეროვანი და მოსაწყენია. ღმერთმანი, ვერაფერს ნახავ ამაღლეგებელს.

ვაემა გაიმეორა, რომ დილაადრიან გაფრინდებოდა. მამაკაცმა მარგარიტას გადახედა.

— სისულელეა, — თქვა ქალმა, — მე არ დაეუშვებ ამას.

ვაემა მხოლოდ თავი გააქნია და გაიღიმა.

ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, გაიფიქრა მამაკაცმა. ვერ დავივიწყეთ წარსული. ეს ჩვენ გადავეციით ალბათ ვაქს ჩუმი, ფარული, დაუშრეტელი ლტოლვა ძველი, ნაცნობი ადგილებისკენ. ვერ დავივიწყეთ ის ქალაქი, ქუჩა და სახლი, სადაც ცხოვრების ნახევარზე მეტი განველეთ. ვერ ჩავიკალით სევდა-ხოლო მანძილს არავითარი როლი არ უთამაშია მშობლიური მიწის დავიწყებაში. შეიძლება, პირიქითაც მოხდა. შეიძლება, ამ სიმორემ გაათყეცა კიდევ სევდა. ძველი, ნაცნობი ადგილე-

გურამ აბაბაძე  
მოთხრობები



ბი — ქუჩები და ნახლები, ბაღები და ხეები. ძველი მეტეხის ციხე და ნაი-  
ყალა, მღვრიე ლისის ტბა და მახათას  
მათა თვალწინ გვიდგას ახლაც. ეს ყმა-  
წვილი კი ჩვენი სურვილის ნაყოფი გა-  
ხლავთ. ჩემი და მარგარიტას ნაწილი  
მიიღტვის დედამიწისკენ. ლამბი, სუ-  
სტი, დაუცველი ნაწილი. ოლონდ ამაში  
არცერთ ჩვენგანს არ სურს გამოტყ-  
დეს.“

— ყველაფერი მყუდროებას შევწი-  
რეთ და ახლა უფლება არ გვაქვს ასე  
იოლად დაეთმოთ მოპოვებულო, —  
თქვა მარგარიტამ, როცა ოთახში მარ-  
ტონი დარჩნენ.

მაგრამ მამაკაცს ბრძოლა წაგებუ-  
ლად მიაჩნდა.

მარგარიტა ოთახიდან გავიდა. მან კი  
სინათლე ჩააქრო და დიდხანს იჯდა  
თავჩაქინდრული. შუბლი ნაოქებს დე-  
ლარა. შავ თვალებს გრძელი წამწამები  
ფარავდა. დედამიწაზე ბევრ ქალს მო-  
სწონდა იგი. ისიც პასუხობდა. მაგრამ  
ამ ქალთა შორის მხოლოდ ერთი უყ-  
ვარდა, მხოლოდ ერთის მორჩილი გა-  
ხლდათ, როდესაც მარგარიტას პირვე-  
ლმა ქმარმა, გამფლანგველმა, ნაციხარ-  
მა. უკან დაუბრუნა ფული, მიხვდა,  
რომ საქმე უბრძოლველად არ დამთა-  
ვრდებოდა. მაშინ მანქანაში ჩასხდნენ  
და ქალაქკარეთ გავიდნენ. ხევთან მა-  
ნქანა გააჩერეს. შემდეგ მამაკაცმა მო-  
ულოდნელად დანა ჩასცა პირველ  
ქმარს ზურგში. აკი ამბობდა, რომ მა-  
რგარიტას გულისთვის ყველაფერს  
იკადრებდა. ყველაფერს კადრულობ-  
დნენ მამაკაცები მის დასაპყრობად.  
პირველმა ქმარმა ფული გაფლანგა. მე-  
ორე ქმარი ძალღივით დარბოდა სახ-  
ლის გარშემო. მესამემ კი სისხლში გა-  
ისვარა ხელი. „დაეჭერი“, თქვა შინ და-  
ბრუნებულმა. „რატომ არ მოჰკალი?“  
მეორე დღეს კი მარსზე ფაფრინდნენ.  
მაგრამ თუ რატომ შეიჯავრა მარგარი-  
ტამ დედამიწა ასე, მისთვის გამოუტყ-  
ნობი დარჩა...

განთიადზე ქალის კვიცილი შემოესმა.  
უცებ შეიპყრო საშინელმა აზრმა. „მო-

პკლო.“ — ზეზე წამოიჭრა და წყურბლ  
მიუფლო.

— მარგარიტა!

საიდან შემოესმა კვიცილი? კიბე ჩაი-  
რბინა და ვიორგის ოთახისკენ გაიქცა.  
ოთახის კარი ღია დახვდა, მაგრამ შიგ  
არაფერი იყო. მაშინ სკამზე ჩამოჯდა მა-  
გრამ ჯერ დანებებას არ აპირებდა. თავ-  
დაცვა იცოდა, შეიძლება სხვებზე უკე-  
თესადაც იცოდა. მთელი სიცოცხლე ხომ  
მისი კანონების შესწავლას მთავრობდა.  
მთელი სიცოცხლე იგერიებდა ვნებებს,  
ადამიანებს, უძილო ღამეებს, მარტო-  
ბას, უმიზეზო სევდასა და ტკივილს.  
მაგრამ უაზრობა ყოველთვის აშინე-  
ნებდა. ამიტომ შეისვენა ახლა რამდენ-  
ნიმე წუთით.

ინათა, ვარსკვლავები გაქრნენ.

მარგარიტა ლოდზე ჩამომჯდარი ნა-  
ხა. წყნარი, ჩუმი, უმოძრაო იყო ტბა.  
თითქოს ეძინა. ქალი კი მოკუნტული  
იჯდა. „მოასწრო“ გაუელვა კაცს თავში.

შავი ზღვა მოიგონა. ოცი წლის იქ-  
ნებოდა. შუა ზაფხული იდგა და ზღვა  
ღელავდა. ურჩიეს მორიდებოდა წყალს.  
მაგრამ ყური არ ათხოვა ამხანაგებს და  
შეცურა. შემდეგ ველარ გაარჩია, სად  
ყოცა და სად ტაოლები. ხოლო მიწა,  
ნაპირთან მდგარ ქიანჭველისხელა ტრი-  
ა-ლივდა. მაინც მოისახრა, რომ ნაბიჯი,  
რომელიც წელიწადი გადადგა, უგუნური,  
უაზრო და უმიხნო იყო. მაგრამ ახლა  
უნდა ებრძოლა. უაზრობა რამდენიმე  
წამის შემდეგ გარკვეულმა, ჩამოყა-  
ლიბებულმა, ჯანმრთელმა მიზანმა შე-  
ცვალა. შემდეგ, როდესაც ნაპირზე გა-  
ვიდა, იცოდა, რომ ეს გამარჯვება  
არ იყო ბრწყინვალე. რადგან იგი უა-  
ზრობამ შობა. მაგრამ სილაზე გავო-  
ლილ კაცს მოწიწებით უყურებდნენ.  
პატივს სცემდნენ მის დაუმორჩილებ-  
ლობას, სიმამაცეს, ამტანობას, ყველა-  
ფერ იმას, რაც თვითონ არ გააჩნდათ...  
სხვა წლებიც მოიგონა... ახლი ერთი  
მიზანი ჰქონდა, რომ ნებისყოფას არ  
ელაღატა. ამიტომ იგონებდა წარსულს,  
ეპიზოდებს, ადამიანებს, ნაცნობ ადგი-

ლებს. იგონებდა. იგონებდა, მაგრამ  
ნერე შერცხვა და იკითხა:

— სად არის?

ქალმა ახედა. გათანგული, სევდით  
მოცული თვალები უყურებდნენ მამა-  
კაცს.

— წავიდა.

— თუ მოკალი?...

— სამუდამოდ წავიდა, -- გაიმეორა  
ქალმა.

მაშინ უცებ მოეშვა მამაკაცი. აუ-  
ცახტახტა ნიკაპი და სახე დაემანჭა.  
უცებ დაემსგავსა უნებისყოფო. სუსტ  
ადამიანს. და რასაც წლების განმავლო-  
ბაში ამტკიცებდა, ერთ წამში გადაუსვა  
ხაზი.

გავიდა წლები. ახლა ისინი ხშირად  
ისხდნენ კიბის საფეხურებზე და იყუ-  
რებოდნენ მალლა.

თითქმის არ შეცვლილან. მხოლოდ  
ოდნავ გაჭალარავდნენ და მარგარიტას  
ავგაროზი აღარ ეკიდა ყელზე.

მარსზე მუდმივი გაზაფხული იდგა.  
მაგრამ ნელ-ნელა მინც ყველაფერი  
იცვლებოდა. მძაფრ ტკივილს ყრუ ტკი-

ვილი ცვლიდა. ნებისყოფა, რომელიც  
ასე ამყობდნენ ოდესღაც, აღარა-  
ვის სჭირდებოდა და წარსული შორე-  
ული წლებიც მოჩვენებას, სისმარს და-  
მსგავსებოდა. მამაკაცი ზოგჯერ გაი-  
ფიქრებდა, რომ არასოდეს ყოლიათ  
შეილი, რომ ისიც ისეთივე რეალური  
იყო, როგორც დედამიწა, ვარსკვლავე-  
ბი, მზე და მათი სიცოცხლე. მათ მო-  
იგონეს გიორგი, ჰკვიდნენ რომ არ შე-  
შლილიყვნენ. მათვე გააფრინეს იგი  
დედამიწის საძებნელად, ერთხელ და  
სამუდამოდ დაკარგული კუთხის სანა-  
ხავად, დასაბრუნებლად, ოღონდ ამ  
საიდუმლოებას მარგარიტას არ უმხე-  
ლდა.

წარსულიდან მხოლოდ ერთი მძაფ-  
რი გრძნობა შემორჩენოდათ, რომელიც  
არ სუსტდებოდა, რომელიც სასიამოვ-  
ნოდ მტკივნეული ხდებოდა თანდათან.

— შეიძლება გიორგიც იყურება ახ-  
ლა ჩვენკენ, -- ამბობდნენ ისინი.

ისევ სხდებოდნენ საფეხურზე და მა-  
ღლა აპყრობდნენ თვალებს.





## ო ტ ე ლ ო

ღარულად ადრე ორქუჩიანი დაბა გახ-  
 ლდათ. მაშინ ხაშეთი ერქვა. ყველა ხა-  
 შეთელს სიზმარ-ცხადში ქალაქელად  
 გახდომა ელანდებოდა და, თუმცა, და-  
 ბას ქუჩა არც მერე მომატებია, აქაურე-  
 ბი დაირაზმნენ, ორქუჩიანი პირი შეჰკ-  
 რეს და ერთობლივად დაიწყეს დაბის გა-  
 ქალაქებაზე ზრუნვა. მერედა, იცით, არ-  
 გუმენტად რა წამოაყენეს? ამ სოფელ-  
 ქვეყანაში ყველას ქალაქში გაქცევაზე  
 უჭირავს თვალი და თუ ჩვენს სახელო-  
 ვან დაბას ქალაქი დაერქმევა, ამ მხა-  
 რის სოფლებიდან ხალხი სხვა, დიდ  
 ქალაქებში აღარ გაიქცევაო. მავანი  
 და მავანი გაიძახის, ამ უტყუარმა არ-  
 გუმენტმა გაჭრაო. სხვებს კი ამ გულუ-  
 ბრყვილობაზე ეცინებათ — ეს მნი-  
 შვნელოვანი არგუმენტი დიდ ქრთამში  
 რომ არ ყოფილიყო გახვეული, ასეთ  
 რამეს ყურს ვინ დაუგდებდაო. ხაშეთ-  
 ლებმა ბევრი იჩაღიჩეს, არც მოსაკი-  
 თხად მონათლული ქრთამი დაიშურეს,  
 არც ზეპირი და წერილობითი ხვეწნა-  
 მუდარა, არც აღზევებული ძალ-ღონე,  
 მერე დაბის ერთობ მკლე და თხელი  
 მოსახლეობა ხელოვნურად გაზარდეს  
 და სადაც საჭირო იყო, ხაშეთი ქალა-  
 ქად აკურთხებინეს. ხოლო ცინცხალ  
 ქალაქს ძველი დაბის სახელი აღარ  
 აკადრეს და უმალვე გადაარქვეს — ღა-  
 რულად მონათლეს, ღარულა სახელად  
 დიდი ჯობია ხაშეთს, ციდან ღმერთს

რომ ჩამოვიდეს, იმასაც გაუჭირდება  
 გარკვევა, მაგრამ ამას რა მნიშვნელო-  
 ბა აქვს, მთავარია, რომ თვითონ ღარ-  
 ულულებს ეს ამბავი ფრიად მნიშვნე-  
 ლოვნად მიაჩნიათ და თუ ვინმეს ღმერ-  
 თი გაუწყრა და რამე საწინააღმდეგო  
 წამოსცდა, ალბათ, ჩაქოლვა არ ასცდება.

ვფიქრობ, იკითხავთ, ამ სახელის  
 გადარქმევით რა შეიცვალაო? თვითონ  
 ამტიციებენ, რომ ბევრი რამ. აი, თუნ-  
 დაც ის, რომ სასადილოს რესტორანი  
 ეწოდა, სასადილოს გამგე იაგელოს კი  
 — დირექტორი.

ჰო, მართლა! ფასებიც შეიცვალა აქ,  
 თუმცა კერძები კვლავინდებურად  
 ძველ სამზარეულოში, ძველ ქვაბებში  
 იხარშება, მწვადები ძველ შამფურებზე  
 იწვება და ძველი თეფშებიც ძველ მა-  
 გიდებზე ლაგდება. ღვინოსაც ძველ ბო-  
 თლებში ასხამენ ძველებურად და გე-  
 მოც ყველაფერს ადრინდელი აქვს.  
 ფასების შეცვლაზე საყვედურს აქ არა-  
 ვინ ამბობს, რადგან წინანდებურად  
 სასადილოში კი არ ქეიფობენ, არამედ  
 რესტორანში. ეს კი პატარა ამბავი არ  
 არის!

დაბის ქალაქად მონათვლამ ის სიკე-  
 თეც მოიტანა, რომ მისი ორივე ქუჩა  
 გაგრძელდა უამრავი ახალი დაწესებუ-  
 ლების გაჩენის ხარჯზე. ყველა ახალი  
 დაწესებულება რომ ჩამოეთვალო, ერ-  
 თობ გრძელი სია გამოიძვება და რა ქალ-



აღლზე დაეტიო. მოკლედ ვიტყვი: ახლა აქ იმაზე მეტი დაწესებულებაა, ვიდრე ღარულას მთაბარიან რაიონში მიწის მუშა და მეთოხარია. სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, მიწაზე უშუალოდ მომუშავე ერთ კაცზე მოდის ოცდაჩვიდმეტნახევარი ამა თუ იმ დაწესებულებაში მოფუსფუსე მეთვალყურე. ეს რიცხვი თანდათან იზრდება, რადგან ზოგი დაწესებულება, მოქიშვე ცოლქმრის ოჯახივით, შუაზე იყოფა ხოლმე და ახალ-ახალ თანამშრომლებს იკრებს.

ყველას კი უნდა, რადგან ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს და რასაც უნდა აკეთებდეს ან არ აკეთებდეს, კუჭი აქვს, კუჭის დანიშნულება კი, მოგვხსენებდათ, რაც არის.

ბოდიში, ეს იქნებ ჩვენს ამბავს უშუალოდ არც სჭირდებოდეს, სიტყვამ მოიტანა და... წამომცდა.

როგორც ყველგან, ღარულაშიც არის მილიცია. მილიციას კი აქვს ქურდობასთან, ხულიგნობასთან, ზომა-წონაში დარღვევებთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ერთთვიური, კვარტალური და წლიური გეგმები, რა თქმა უნდა, წინასწარ განგარიშებულ-შედგენილი. ამისთვისვე დგას ძველისძველი ციხე-სატუსალო. ციხეც მილიციის გამკვებლობაშია აქ, მილიციას კი ჰყავს უფროსი — არისტო კორჩიოტაძე.

არისტო რა წრეშიც უნდა მოხვდეს, გზაზე ვინც უნდა შემოეყაროს, მილიციელი იქნება თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, ყველას სამხედრო სალამს აძლევს, მარჯვენა ხელს საფეთქელთან აისვრის და გაქიშავს უმაღლე. მიაჩნია, რომ ეს უფრო დიდი პატივისცემაა საკუთარი თავისაც და სხვისაც, თანაც ამ მისალმებაში მეტი სიმკაცრე, მეტი დისციპლინა და მოვალეობის ერთგულების გრძნობაა.

უფროსის წინაშე დგას არისტო თუ ხელქვეითებს ტუქსავს, წამდაუწყუმ ენაზე აკერია: „ნაჩალნიკ პრიკაზნივეტ, პაღჩინიონი ვაიოლნიავეტ!“ და ამის შესრულებას მოითხოვს სხვისგანაც და საკუთარ თავისგანაც.

ნაოჭებიანი სქელი კისერი ხშირად უოფლიანდება. ხელში ჭადრაკულ დაფის იერიანი დიდი ცხვირსახოცი უჭირავს, კისერს ჭიმავს და მაღიმალიწმენდს ოფლს, მაგრამ მოლიანად მოშორებას ვერ ახერხებს, ამას ნაკლად ნუ ჩავუთვლით. რას ვიზამთ, ძნელია ასეთი კისრის ისე დაჭიმვა, ყველა ნაოჭი გასწორდეს და, საერთოდ, კისრის დაჭიმვა ყოველთვის ვერ შეგლის ადამიანს.

არისტო რასაც ქართულად იტყვის, უმაღლე რუსულადაც მოაყოლებს, განსაკუთრებით განკარგულების გაცემისას. არ იფიქროთ, ამას ვინმეს მოსაჩვენებლად აკეთებდეს, აქაოდა, რუსული ვიციო, ჯარში ოფიცრად მსახურობდა და იმდროინდელი ჩვევები ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ალბათ, ისიც ჰგონია, თუ ქართულ სიტყვას რუსულსაც დაეუმატებ, ნათქვამს მეტ სიმტკიცეს მივანიჭებო.

არისტოს გამკვებლობაში მყოფი ციხე-სატუსალო ღარულას სხვა შენობებისაგან იმითაც გამოირჩევა, რომ ნაცრისფრადაა შეღებილი და ქალაქის განაპირას დგას. ცალკე და რკინის რიკულებიანი პატარ-პატარა სარკლები უჩანს მაღალ კედელში გამოჭრილი. ამ შენობაზე არც ერთი მეტრცხალი ბუდე არ იკეთებს. რა არის მიზეზი, დღემდე ვერაფერს ვაივო.

დაბა ხაშეთის ქალაქ ღარულად კურთხევა მიტროფანე გვიმრამის დროს მოხდა, ამიტომ იგი აქაურების თვალში უმაღლე ამაღლდა, ზოგს ღმერთადაც კი მიაჩნია. მიტროფანე გახლავთ ღარულას რაიონის „ხაზეინი“ და მის დაუკითხავად თითს ვერაფერს გაანძრევს, მით უმეტეს, არისტო.

მიტროფანე კლასიონის ძე რაიონის სახელი და დიდებდა, მაგრამ ღარულა ამ ადამიანზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ იცნობს ოტელოსაც...

ოტელოს მიტროფანესავეთ მამის

აქაკი გიჭამი  
მამალო



სახელით ვერ მოვიხსენიებთ, იმიტომ კი არა, რომ არ გვინდა, არ ვიცით. არც მამის სახელი ვიცით, არც დედის. ნათესავი, მოყვარე ან მირონი თუ ჰყავს სადმე, ესეც უცნობია ჯერ-ჯერობით და არა მგონია, საერთოდ, ვინმემ გაიგოს.

მთლად ბავშვი ყოფილა საიდანლაც ავტობუსს რომ ჩამოჰყოლია ღარულაში და დარჩენილა აქ. მისი ძეხნით თავი არავის შეუწყუხებია, ძეხორციელს ყასილადაც არ ჩამოუკითხავს.

მოგეხსენებათ, თითქმის ყველა სოფელს, დაბასა თუ პატარა ქალაქს ჰყავს ერთი ან ორი ამოჩემებული, თავიდანვე დებილად ან სულელად რომ ნათლავს, თუმცა, შესაძლოა, იგი ჰქუათხელი სულაც არ იყოს. ასე შეეგუა ოტელოც თავის ბედს, რადგან ეს ხელს აძლევდა თვითონაც. დებილის უპირატესობა ის არის, რომ ლუკმა არასდროს ელევა და ყველაფრის თქმის უფლება აქვს, როგორც მეფის მასხარას ძველ პიესებში.

აი, რა უღელში შეაბა ღარულამ უთვისტომო უცხო ბიჭი.

ოტელოა აქაურების ყველაზე მზიარული კინო, წარმოდგენა და ცირკი, თანაც — უფასო.

ეს თავისიკბილება, ცალბეჭქამოგდებული კოჭლი ბიჭი ისე დადის, გეგონებათ, ერთი ფეხით ბარავს, მეორეს კი ფარგალივით იქნევსო, თან რღაცას ჩრფნიფებს, და ეს ჩრფნიფი თვითონ სიმღერა ჰგონია:

— აბა, დელია დელია. დელია, ჰოთ! აბა, დელია დელია, ჰოთ!..

მეტი არ იცის.

ოტელო რავს ვერ ამბობს, ამიტომ გეჩვენებთ, ჩვილი მელაპარაკებო.

ზამთარ-ზაფხულ გრძელი შარვალი აცვია და განიერ ტოტებს ქუჩაში ისე მოაფართხუნებს, იფიქრებთ, ცოცხად ხმარობსო.

მისი საქმე მხოლოდ ღარულაში ფართხუნით სიარული და დილინია. როცა მოწივდება, დაბა ხაშეთის ქალაქ ღარულად გადაკეთებასთან დაკავშირებით რესტორნად მონათლულ სასადილოში

„აბადელიას“ დილინით შევაკარეღარულაში ცარიელ სკამს დაინახავს, გუნებირად ჩამოსკუპდება. სამადლოდ ხან ვინ უმასპინძლდება, ხან — ვინ. მშვიერი ოტელო ჯერ არავის უნახავს.

რა თქმა უნდა, ოტელო შერქმეული სახელია. ღარულაში გამოჩენის პირველსავე დღეს წამოუჩლიფინებია: დეზდემონა მიყვალს და თუ აღ წამომყვა, კატასავით დაეახლოვბო. ღმერთმა უწყის, ეს ვინმეს წაბაძვით წამოსცდა თუ თვითონ მოუფრთხილდა თავში. მაშინ რესტორნის დირექტორმა იაგელომ უთხრა თურმე: შენ, გეტყობა, ოტელო ხარო. ჰოდა, იმ დღიდან დაენათლა ვენეციელი მავრის სახელი, მისი ნამდვილი სახელი კი — არავის უკითხავს. პასპორტიც არა აქვს, რომ ვინმემ ჩაიხედოს შიგ და გაიგოს, ნამდვილად რა ჰქვია ან ვისი ნაშიერია. არაფრისთვის არ სჭირდება პასპორტი, ისედაც ამკარად ეტყობა ვინცაა. თანაც ქალაქ ღარულას თავისი ოტელო რომ ჰყავს, ესეც ხომ დიდებული ამბავია, სააბაყო და სასახელო! ჰოდა, უთვისტომო ბიჭს ვენეციელი მავრის სახელი მოუშორებელ გვიოკვინად დაედგა თმაგინჩილ თავზე. მართალია, მავანსა და მავანს ზოგჯერ ეშლება და ოტელოს მაგივრად ჰამლეტას ეძახის, ამით თითქმის არაფერი იცვლება. ღარულას შემოხიზნულ ოტელს შეუძლია შეიმშვენოს ყველა სახელი. რაიც ქვეყნიერების ზურგზე მოიძებნება...

ოტელოს კოჭლობა ისე თვალში საცემი არაა, როგორც მისი პირისახე. მარჯვენა მხარე მთლიანად ნატყირპალს დაუფარავს. საზღვარი ზედ ცხვირის კეხს ჩამოუყვება მრგვალი ნიკაპის შუა იმორტუნულ ფოსომდე. ცალი ნესტოც კი ნატყირპალისფერისაა, ნუქწითელი. მარცხენა მხარეს თოვლისფერი კანი გადაჰკვრია.

ბიჭს განგებ ეკითხებიან ხოლმე:

— ბატონო ოტელო, ასეთი პირისახე რატომ გამოგყვა? ერთდროულად სხვადასხვაფერის ორი კაცის შვილი ხომ არ ხარ?

### ოტელოსაც პასუხი მზად აქვს!

— ეგ თქვენი ოტელო ნაღდი თეატრალური ნიღაბია — ერთ სახედ წარმოსახული სიცილისა და ტირილის ხატი. — შენიშნა ლარულაში საგასტროლოდ ჩამოსულმა ესტრადის ერთმა მსახიობმა.

— პირისახით მართლაც, თეატრალურ ნიღაბს გვაგონებს — ცალი მხარე უტირის, მეორე უცინის, — გაეპასუხა მსახიობს ისტორიის მასწავლებელი, მოფილოსოფოსო აბიათარ მუხურელი, — ბედით კი, არსად გამამბილთ და, ბედით სიმართლეს ჰგავს. უსახლკაროა, ყველგან არის და არსად არ არის, უთვისტომოს რაკი ერთი პატრონი არ ჰყავს, ყველა ებატონება და სწორედ ამიტომ არის სრულიად უპატრონოდ და ისიც ერთდროულად იცინის და ტირის.

ოტელოს პირისახისა თუ ბედ-იღბლის გამო სხვებიც მსჯელობენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ყველას ყურის დასაგდებად სად გვცალია.

ასეა თუ ისე, ოტელოს პირისახის მარჯვენა მხარე — ნატყირპალი — თითქოს მუდამ უცინოდა, თეთრი მხარე — უტიროდა, ნატყირპალისკენ დიდი მრგვალი თვალი მკვახე ქლიავისფრად უელავს, თეთრი პირისახისაკენ ნახშირისფერი ვიწრო გუგა უჩანს, თითქოს თვალმოკუჭრული იყურებო. დაღვლარჩნილი, მრუდვ ტუჩები აქეთ-იქით გაურბ-გამოურბის და კუთხეებთან უხტის ხოლმე, გეგონებათ, კურდღელივით რალაცას ცუცნისო.

ოტელო ნამდვილად იშვიათად იცინის, ხოლო თუ განგებამ ინება და, გულიანად გაეცინა რამეზე, მუდამ ვაცივებული მხარე წუთით აუტირდება და მტირალა — სიცილს იწყებს.

ოტელოს ღიღინშიც უფრო ხშირად ტირილი ისმის.

აბიათარ მუხურელმა ერთხელ ამის გამოც წაიფილოსოფოსა:

— ყური დაუგდეთ, დაუგდეთ ყური! ოტელო უდარდელი ადამიანი ნუ გგონიათ. ეტყობა, როცა ეტირება, სწორედ

მაშინ ტირის ნალველის გასაქმებულად. ღიღინია მაგ უბედურის ჭირ-ვარამის ერთადერთი ნუგეში. ეს საცოდავი უპატრონო ბიჭი რალაცნაირად ჩვენს ცხოვრებასაც მავონებს — ხშირად ჩვენ სიცილში ტირილი იმალება და სიცილი თავს ტირილს აფარებსო.

თითქოს აბიათარის აზრთა დასტურად, ერთ მშვენიერ დღეს ლარულელმა ასეთი რამ ნახეს: ორფერა პირისახიანი ბიჭი ქუჩაში მიფართუხნობდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, და რალაცას ბურღლუნებდა: ყური მიუგდეს, ითვლიდა, თანაც რუსულად.

- ლას, დეა, ტლი, ცეტილი, პატ...
- ბატონო ოტელო, რას ანგარიშობ? — ჰკითხეს დიდი ცაცხვის ჩრდილში თავმოყრილმა ბიჭებმა.
- ლას და ჩემ ნაბიჯებს.
- რა ნაბიჯებს, ბიჭო?
- ვზომავ.
- რას ზომავ?
- ლამდენი ნაბიჯია ციხიდან სახინკლემდე.

- რატომ ზომავ?
- ლა ვიცი მე... ვზომავ. მაინტელესებს და ვზომავ... მინდა და ვითვლი.
- მერე ჰკითხეს, რამდენი გამოვიდაო.
- ხუთი ასი ნაბიჯი, კილო თელთმეტი ნაბიჯი, სამი მტკაველი და ხუთი გოჯა.

მეავნა და მეავნა ოტელოს ეს საქმიანობა რომ გაიგო, უთხრა:

- აბა, ახლა ციხიდან სასადილომდე რამდენი ნაბიჯია, ეგეც დააზუსტეო.
- არ დაზარდა ოტელო, მაშინვე გაზომა.

იმ მეავნა ჩუმად შეამოწმა დებილის გაზომილ-ნაანგარიშვევი, ზუსტად იმდენი გამოდგა, ოტელომ რომ თქვა.

ბევრს მოეწონა ორფერა ბიჭის ახალი გატაცება და ზოგმა მისი საქმიანობა მარტო გასართობად კი არა, ვიღაცებთან თავისებური ანგარიშის გასასწორებლად გამოიყენა, სხვა რამედაც...

აბაიი გეგამი  
ოტელი





ასე გააზომინეს ოტელოს მანძილი ციხის კიბიდან თითქმის ყველა დაწესებულების კარამდე. იცინოდნენ, ოტელო ქუჩაში განსაკუთრებულად რომ მიაბიჯებდა, მერე აჭებდნენ, დაწესებულების უფროსთანაც შედი და მოახსენე ციხიდან მის კაბინეტამდე რამდენი ნაბიჯიაო. პირველად დაწესებულებათა უფროსები ამ ამბავს თვითონაც სიცილით ხედეზოდნენ, მერე კი ბევრმა წარბი შეიკრა — ეს უკვე ხუმრობა აღარ არისო...

ოტელო კი მინც ზომავს ნაბიჯებს ციხის კარიბჭიდან დაწესებულების კარამდე. რუსულის ინჩიბინჩი არ გაეგება, ნაბიჯებს კი უფრო ხშირად რუსულად ითვლის:

— ლას, დვა, ტლი, ცეტილიო...

თუ ვინმე შეაშლევინებს თვლას, იმაც რუსულად შეუკურთხებს... გულაღრენილი გაბრუნდება, ციხის ცხრასაფხურიან კიბეზე ჩამოსივინებს წუთით და იწყებს ისევ:

— ლას, დვა, ტლიო...

— ბატონო ოტელო, რამდენი ნაბიჯია ციხიდან უნივერსიტეტამდე?

— ელთი ასი, მივუმატოთ სამი ოცი, მეღე მივუმატოთ შეიდი ნაბიჯი, სამა მტკაველი და ოლი გოჯა. ხეიშტი ალც მოემატება, ალც მოაკლდება... თუ ვინდა, შენ გაზომე.

მაგრამ სხვას ამისთვის საღ სცალია და კიდევ რომ ეცალოს, ვინ გაბედავს?

— ოტელო, ციხიდან სასამართლომდე გაგეზომა მანძილი!

— ეგ დიდი ხანია გავზომე... ციხიდან მოსამალთლის სახლამდეც გავზომე... თუ დამავიწყდა, კიდევ გავზომე.

და იზომება ოტელოს მბუქნავი ნაბიჯების არშინით მანძილი ციხიდან თითქმის ყველა დაწესებულებამდე და ზოგჯერ დაწესებულებათა უფროსების სახლამდეც, იზომება ზამთარსა და ზაფხულში, დარსა და ავდარში. თუ ცხელი ზაფხულია, თხლად დაგებული ასფალტი მალე მთლიანად რბილდება და ოტელოს ძველი ჯარისკაცური ბათინკების ქუსლებსა და წვერებზე დაკ-

რული ნალების ნაკვალევი ზედ ოტელო ბოკროდ აჩნდება.

— ლას, დვა, ტლი... ათი, თელთმე, თოლმე... — ითვლის და ითვლის ბურღულუნით ოტელო თავის ნაბიჯებს შზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

ერთადერთი ადგილი, ოტელო რომ სათოფეზე არ ეკარება და მუდამ გვერდს უვლის, არის ქალაქად მონათლული დაბის ორი ქუჩის გზაჯვარედინთან მიკუნჭული კულმოკვეცილი მოედანი. ამ მოედანთან დგას მაღალსვეტებიანი კულტურის სახლი. სვეტებზე ამოჩქურთამებულია მსხვილი მტევნებით დახუნძლული ვაზები. ჩუქურთამებში მტვერია ჩამჯდარა. მთელი შენობის გასწვრივ გაკიშული ცემენტის კიბე გულღიად ეპატიეება სტუმრებს, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იქით არავინ იყურება.

— ოტელო, რატომ კულტურის სახლის კარამდე არ ზომავ მანძილს? — ეკითხებიან ხოლმე.

— აჰ, მანდ ლა ჭილი მინდა. ფანჯლებს ლომ ალებენ, შიგნიდან ზამთალზაფხულ იმისთანა სიცივე უბელავს, ვითომები.

სამაგიეროდ კულტსახლის დირექტორს სილოვან ხიხაძეს კი ხშირად უზომავს გზას, როცა იგი შინისკენ მიეშურება ან რაიადამსკომისაკენ მიზოხინობს.

ჰო, მართლა, სილოვან ხიხაძე აქამდე არც გავაცახით.

სილოვანი თურმე წინათ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. საქმეს თავი ვერ მოაბა და მოხსნეს. მოგეხსენებათ, არც ერთი მოხსნილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოლმეურნეობაში სამუშაოდ არ რჩება და სილოვანმაც ქალაქ ღარულას მოაშურა, რადგან აქ თავისი კაცი ჰყავდა. ერთხანს უსაქმურად იხეტიალა და მერე, რაკი სხვა ადგილი ვერსად გამოუნახეს, კულტსახლის დირექტორად დანიშნეს. უპირველეს ყოვლისა, იგი, რა თქმა უნდა, კულტურის სახლში შევიდა და სცინაც მოინახულა.



— ეს რას ჰგავს? — იყვირა გულმო-  
სულად.

— რაზე ბრძანებთ, ბატონო? — ჰკი-  
თხა ერთმა თანამშრომელმა.

— ამაზე გეკითხებით, ამაზე, — პი-  
ანინოსკენ გაიშვირა ხელი სილოვანმა.

— ეს... ეს, ბატონო, პიანინოა! —  
გაკვირვებით შეხედა გუნდის ხელ-  
მძღვანელმა.

— პიანინო რომ არის, მეც ვხედავ,  
ბრმა კი არა ვარ. ვინ ჩამტვრია პიანი-  
ნოს კბილები?

თანამშრომლებმა მხრები აიწურეს  
და გახედდნენ, რადგან პიანინო ახალთ-  
ახალი იყო და არც ერთი კბილი არ  
აკლდა.

— შეაკეთებინეთ დაუყოვნებლივ!  
— ბრძანა რიზიანად სილოვანმა და თა-  
ვის კაბინეტს მიაშურა.

ახალა მიხედნენ თანამშრომლები,  
რატომაც შემოსწყრათ ახალი დირექ-  
ტორი. მას თავახდელი პიანინო არას-  
დროს ენახა და შავ-თეთრი კლავიშების  
დანახვისას მიიჩნია, ზოგი კბილი ამო-  
ტეხილი აქვსო. ყველამ პირზე მიიფარა  
ხელი, ახალმა დირექტორმა ჩვენი სი-  
ცილი არ გაიგონოს, თორემ შავ დღეს  
დაგვყარისო.

მეორე დღეს სილოვანმა ბიბლიოთე-  
კა დაათვალიერა

შესჩვილეს: ზოლას „ხაფანგი“ ვერ-  
სად ვიშოვეთ და იქნებ გამოგვიწერო-  
თო.

— ზოლას ხაფანგი?! ეს რა, ახალი  
გამოგონებაა, თუ?! საერთოდ კი, რად  
გინდათ ხაფანგი, დავიჭერო, ბიბლიო-  
თეკაშიც ჩნდებიან თავგები? ისიც იმ-  
დენი, რომ...

— კი, ბატონო, ბიბლიოთეკაშიც  
ჩნდებიან თავგები... კარგ წიგნებს ეტა-  
ნებიან — მიუვო ბიბლიოთეკარმა. შე-  
შინდა, სიმატლევ რომ ვუთხრა, ვაითუ  
ეწყინოს და მომხსნასო.

აი, სწორედ ამ სილოვანმა ერთხელ  
შეამჩნია, ოტელო კვალდაკვალ დამ-  
ყვებოთ, მიუბრუნდა და დაუცაცხანა:

რას დამდეგ, შე ბედნიერო?

— შენ ვინ დაგდეგს... მე ვზომავ?

— რას ზომავ?

— შენს ნაბიჯებს.

— ჩემს ნაბიჯებს რად უნდა გაზომვა,  
ბედნიერო?

— ლა ვიცი... მინდა და ვზომავ.

— აი, შენი! — ორფერიათი პირისახის  
ბიკს ნესტორამ მწვანე სამანეთიანი  
გადაუფრიალა. — წადი, ბედნიერო, და  
იქეიფე შენი ძმაბიჭებიანად!

ოტელოს ვინ მიაქვავა ძმა-ბიჭები და  
კიდევ რომ ჰყავდეს, გაქუცული სამმა-  
ნეთიანი ეყოფა საქეიფოდ?

მაინც სიტყვის შეუბრუნებლად დაე-  
თანხმა სილოვანს და ჩამოშორდა.

ორივე კმაყოფილი დარჩა: ერთმა  
სამი მანეთი იშოვა უშრომლად, მეო-  
რემ, როგორც იქნა, აბეზარი მდევარი  
მოიშორა.

ღარულაში ოტელოს ფართხუნი მო-  
სწყინდა ზოგს და ურჩია:

— ბიჭო, სულ აქ რომ დათხარაკობ,  
უფრო შორსაც გაზომე.

— სად შორს?

— ჯერ ქუთაისში ჩაირბინე, მერე  
თბილისი მოინახულე. დაწესებულებე-  
ბი იქ არის, თუ არის.

— ალ მინდა! შოლს ალ მინდა! შოლს  
სხვამ გაზომოს.

— შენ რა, მეტი თვლა არ იცი?

— საიმათო თვლა ალ ვიცი. ქუთეი-  
სსაც და თბილისსაც თავისი სატუსალო  
აქვს, იქიდან გაზომონ სხვებმა. — ამას  
რომ ამბობს, თან იკრიპება, თავვივით  
წვრილ კბილებს აჩენს, მტარალა პი-  
რისახის მხარე უცინის, მცინარე უტი-  
რის.

კარგა ხანს თავისუფლად იფართხუნა  
ასე ოტელომ და ერთ მშვენიერ დღეს  
მიტროფანეს ზედ თავისი კბინეტის  
ლინოლეუმგადაკრულ კართან შეეჯახა  
მოულოდნელად და კინადამ წააქცია.

ანაზღად შეშინდა მიტროფანე, თავს  
ხომ არავინ დამესხათ, მერე ოტელო

აააიი გუჟამი  
ობათლი



ჭიანი კბილი კინლამ შემოეფშვნა. —  
კაი, გასწი ახლა, ენად ნუ გაიკრიფე! აქ  
მეორედ გავლილი აღარ ვნახო! წადი-  
მეთქი, აფრაკო!

— ლატომ მიწყლები? დაბღველილი  
ლატომ მიყულებ? ღმერთო კი მომკა-  
ლი, აღ ვიცოდი, თუ გეწყინებოდა,  
თვალა... ლატომ ოლივე ფეხი აღ მომ-  
წყდა... ვაი, ლა ცუდია დებილობა! ბო-  
დიში, ბოდიში! — ოტელო უკან სვლით  
და თავის კანტურით გამოორდა შავ ლი-  
ნოლუემგადაკრულ კაბინეტის კარს. მი-  
ხვდა მიტროფანე. ზოგ-ზოგი არა მა-  
რტო ერთობოდა, ოტელოს ასეთ ეშმა-  
კურ ამბებსაც ავალებდა. დებილად მო-  
ნათლულ ბიჰს მისი აეტორიტეტის შე-  
სალახავადაც კა იყენებდა. პირველად  
იხტიბარი არ გაიტეხა: ისლა მაკლია,  
სულელს და მის ჰკუთის დამრიგებლებს  
ავყვე, ამით ვითომ რას დამაკლებენო,  
საჩოთირო ამბავს ხელიც კი ჩაუქნია,  
მერე დაფიქრდა, ვაითუ ეს ამბავი ხალ-  
ხმა სალაპარაკოდ გაიხადოსო, თანდათან  
მოეშხამა გუნება, პირისახეზე ჰადრა-  
კის დაფსიერიანი ცხვირსახოცი მოის-  
ვა და მილიციის უფროსს დაურკვა:

— არისტო, ესაა შენი დაქადილი,  
რაიონის ფხიზელი თვალი ვართ?

— კი მაგრამ, ეს თქვენც ბევრჯერ  
გითქვამთ ჩემთვის.

— მაშასადამე, შეემცდარება.

— რა დავაშავე, ჩემ პრაეინილსია  
ბერედ ვამი ია?

— ოტელოა თუ ვიდაც ჯოჯოხეთის  
მაშხალა, შენი ციხის კარიდან დაწესე-  
ბულებების კარამდე მანძილს რომ უზ-  
ომავს ხალხს, აქამდე ვერ გაიგე?

— ეგ ვინ არ იცის?

— მერე?

— რაღაცას უჭკუო ბიჭი ისულე-  
ლებს, ყველაფერი თუ სერიოზულ ამ-  
ბებად მივიჩნით...

— ნუ აფუჩიჩებ. ტყუილად გგონია  
ეს ამბავი უბრალო სისულელე, ოტე-  
ლო ნიღბია მხოლოდ, მის ზურგსუკან  
შავზრახვიანი იდუმალი ხალხის ჯგუფი  
დგას, მისი წამქეზებელ-მასწავლებელი.

იმ ხალხს უნდა მიაგრო უეჭველად დ-  
გესმის?

— ესტ! არის! ამხანაგო უფროსო!  
ნაჩაღნიკ პრიკაზივავეტ, პადჩინიონი  
ვიპოლნიავეტ! დღესვე დავიწყებ ძებნას,  
სევოდნიავე ნაჩნუ ისკატ!

არისტომ გულში გაივლო, მგონი,  
როგორც იქნა, თავის გამოჩენის საშუ-  
ალება მომეცაო, „ხაზენის“ ცხვირსა-  
ხოცისნაირი კუბოკრული ცხვირსახო-  
ცი ჯერ პირისახეზე მოისვა, მერე გარ-  
მონივით დანაოკებულ კისერზე, ქუჩას  
მიამურა, ოტელო ფოჩიანი კამფეტებოთ  
თავის კაბინეტში შეიტყუა, კარი გასა-  
ღებოთ ჩაექტა და სტუმარს აღერსია-  
ნად ჰკითხა:

— ხომ ხარ კარგი ბიჭი, ოტელო?

— ვალ, აბა, აღა ვალ?

— გახსოვს, ერთხელ რომ მოხოვე,  
ოლონდ შენი ფრენი მარუქე და რასაც  
დამავალე, ცხრაჯერ გაგივეთებო?

— კი, შეგეხვეწე... მე ყოველთვის  
მალთალს ვამბობ და აღ მაიწყყდება.

— ჰოდა, ის ფრენი კი არ გადამიგ-  
დია, არც ვინმესთვის მიჩუქნია, შენთ-  
ვის შევიჩახე. ამ სალამოსვე მოგცემ,  
ოლონდ მითხარი, ციხიდან დაწესებუ-  
ლებამდე მანძილის გაზომვა ვინ გასწა-  
ვლა?

— ო, ეგ აღა, ეგ აღა! იილ! — შეუ-  
ღრინა ოტელომ მილიციის უფროსს.  
— ლას, ჩამაცივდიო? ვთქვი, აღ ვიცი,  
აღ ვიცი... მოლხა! მეტი აღაფელი აღ  
ვიცი...

— იცი, ოტელო, იცი და ნუ ჯიუ-  
ტობ!

— აღ ვიცი, ქლისტიანო, აღ ვიცი!  
მითხლეს, აღ გაგვამხილოო და აღ  
ვიცი, აბა! ვიცი, ბლა აღ ვიცი...

— აჰ, ასე გითხრეს, არ გაგვამხი-  
ლოო? ვინ გითხრა?

— ლა ვიცი მე, აღც ელთის სახელი  
აღ ვიცი... აღ ვიცნობ. მე დებილი ვალ  
და ყველას კი აღ ვიცნობ... ველც ვი-  
მასხოვლებ, აბა! — ოტელოს გაცინე-

აბაჰი გეჰაჰი  
ოტელო



ბული პირისახის მწარე აუტირდა და  
ატირებულის მხარეზე ღიმილი გამო-  
ეხატა.

არისტომ ხან იქიდან შემოუარა ოტ-  
ელოს, ხან აქედან, საქარო საიდუმლო  
ვერაფრით დასტყუა და მიტროფანეს  
ასე მოახსენა:

— იქნება ჯობდეს, ამ ამბავს სულაც  
გავუჩუმდეთ, თორემ, ვაითუ ვინმეს ეკ-  
ონოს, ღარულაში რაღაც სერიოზული  
ღიდი შეთქმულება მზადდებოდა კარგა  
ხანია, ყურს კი არაეინ აპარტუქუნებდა  
და სათანადო ზომებს არ იღებდა მის  
აღმოსაჩენად და საქმე გაართულესო.  
ჰოდა, ყველაფერი ეს ეგების ჩვენი  
ერთობლივი მუშაობის ნაკლადაც კი  
მიიჩინონ და, მტრისას იყოს, მოგვხსნან  
კიდევ. ჩემგან არ გესწავლებათ, ზოგ  
რამეს თვალი განგებ უნდა მოუხუტუკოთ.  
და, ტაქ!

— ეგაა შენი ფხიზელი თვალი? კაცი  
რომ ასე პატარა ამბავს ვერ მოაგვა-  
რებს...

— აი, მიჩიეთ, ბატონო, მასწავ-  
ლეთ, რა ვიღონო ამ კონკრეტულ შემ-  
თხვევაში და ისე მოვიქცევი! პოსოვე-  
ტიტიე ვი პაღჩინიონომუ!

— შტერო, ყველაფერი მე გასწავ-  
ლო? მაგ დებილის ფართხუნი აღარ  
ენახო ჩვენს ქალაქში, თორემ არც  
ერთს არ... გესმის!

— ესტ! არის! ნაჩალნიკ პრიკაზივა-  
ეტ, პაღჩინიონი ვიპოლნიავეტ!

—მესამე დღეს ოტელო  
ქალაქში აღარ გამოჩენილა. მეცხრე  
დღეს ღარულადან შევიდიოდე კილომე-  
ტრის დაშორებით, ორგულას ხეობაში  
მთიბავმა ბერეკაცმა იპოვა მისი ცხედა-  
რი. ორფერა პირისახიანი ბიჭის გვამი  
შამბნარში ეგდო და ბუზები ეხვია.

არავის უკითხავს, საიდან გაჩნდა აქ  
ოტელო, რომელიც ღარულას არასო-  
დეს შორდებოდა. არც ის უკითხავს ვი-  
ნმეს, ეს საცოდავი უთვისტომო ბიჭი  
თავისით მოკვდა თუ მოკლეს. ცხედარი  
ობოლი ცრემლითაც არავის დაუნამავს,  
კუბოს გაცეთებაც არავის უფიქრია,  
ოთხი ფიცარიც კი დაენანათ ადამიანი-  
სთვის. იქვე, სახელდახელოდ გაუჭრეს  
უკურთხებელი მიწა, ჩაავდეს შიგ და  
მიაყარეს ბალახიანი ბელტები, აქაოდა,  
გვამი ძაღლებმა შარა-შარა არ ათრი-  
ონო და სოფელ-ქვეყანას რაიმე ჰირი  
არ გაუჩინონო. იმ საფლავზე არც წარ-  
წერიანი ლოდი დაუდევთ, არც უწარ-  
წერო რიყის ქვა, არც სხვა რაიმეთი  
მოუნიშნავთ.

ეს ამბავი ათი წლის წინათ მოხდა.  
დღეს ოტელოს საფლავის მიგნებაც კი  
შეუძლებელია. კარგა ხანია იმ საფლავ-  
ზე ბალახმა გადაიარა, დაეიწყების ბა-  
ლახმა.

უკვალოდ გაქრა ადამიანი და მისი  
სიკვდილის ამბავიც მასთან ერთად და-  
იმარხა სამუდამოდ.

ღმერთო, თუ სადმე ხარ!..



# სახსენება



## შუქრი მირცხულავა

არათუ ლექსებს ამ კეთილშობილი კაცისას, — მის სულიერ სამყაროს, მის ადამიანურ ინგერესებსაც კი, თურმე, ნაკლებად ვიცნობდით. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მუშაკს, ქართული მხატვრული ლიტერატურის გამოცდილ რედაქტორს, — შუქრი მირცხულავას, — ერთხელ მაინც შეეძლო დაესვა საკითხი მისი ლექსების გამოცემის შესახებ. გადიოდა წლები, იცემოდა აურაცხელი წიგნი, რედაქტორობდა ათობით წიგნს პირადად, საკუთარ წიგნზე კი არაფერს ამბობდა ეს ჩუმი და თავმდაბალი, უპრეტენზიო და მორიდებული ადამიანი.

და მხოლოდ სიკვდილმა — უდროო და მოულოდნელმა სიკვდილმა გაგვახსენა ჩვენ შუქრი მირცხულავას ლექსები. გულდასმით ვეცნობი პოეტის არქივს, თვალს ვავლებ შუქრი მირცხულავას განვილილ გზას და ყველაფერი ნათელია ჩემთვის: პოეტი არ ჩქარობდა, მუშაობდა და წიგნის გამოცემის ოცნებას ხვალის დღისათვის ინანავდა. რა იყო ეს თუ არა მაღალი გემოვნება და პასუხისმგებლობის გრძნობა კაცისა, რომელმაც (ესცვ ითქვას!) კარგად იცოდა თუ რა გაადვილებულია, სამწუხაროდ, ჩვენს პირობებში წიგნის გამოცემა.

ჩემ მიერ ფურნალ „ციცქრისათვის“ შერჩეული ლექსები კი ნათლად მეგყველებენ ნიჭზე. გულწრფელობისა და გრძნობიერების მეოხებით, — პოეტის გარდაცვალების წლისთავზე აქ წარმოდგენილი ლექსები უდავოდ გულს ეცხებინან; ჩაგვაფიქრებენ ისინი სიყვარულზე და ადამიანობაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე და არსებობის აზრზე. წუთით გავეიცოცხლებენ და თვალწინ დაგვიყენებენ ჩვენს ჩრდილში მყოფსა და თავმდაბალ თანამედროვეს, ჩვენს სათნო და კეთილშობილ ამხანაგს — შუქრი მირცხულავას.

ამ მცირე მოსაგონარს ისლა მინდა დავსძინო, რომ მსგავს პუბლიკაციებს არათუ არ უნდა ვერიდებოდეთ, არამედ მოვალეობად უნდა ვთვლიდეთ მრავალი მიზნითა და მოსაზრებით; პირველ ყოვლის იმისათვის, რომ შთამომავლობას გაეუადვილოთ ჩვენი ლიტერატურის კულისებში ჩამოხედვა და თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში უკეთ გარკვევა.

მურმან ლეჟანიძე

შუალამისას მთვარის შუქზე შევკაზმე რაში —  
ჩემი ჯიუტი და თეთრი ცხენი —  
და, დედაჩემო, გაჭენებულ ფლოქვების ხმაში  
მე გულისცემა ვიცანი შენი...

მე ბევრს ვუყვარდი და ასე მწამს, მრავალთა შორის  
შენ, შენ გიყვარდი ყველაზე უფრო;  
მოგენატრება შენი შვილის წელი ამბორი  
და ჩაგიდგება თვალებში მწუხრი.

რა იყო მაინც უცნობი ეს ჩემი წასვლა! —  
არ გეშვებიან ფიქრები ჩემზე;  
შენ გავინწყდება, დედაჩემო, რომ ვარ მიწაზე  
და გადაკარგულს ღრუბლებში მეძებ...

მე მამაჩემთან ვწევარ ახლა და როგორც ჩვევა  
ჩვენ ერთმანეთზე ვწუხვართ სამნივე;  
არ გავინწყდება არასოდეს სამარე ჩვენი  
და მორწყვა თეთრი იასამნების...

მოდინარ ჩვენთან და სამარეს ცრემლით გვისვებ —  
ეს დღეც გაფრინდა სველი თვალებით —  
და ჩვენც, ჩვენც ვწუხვართ, ამ ჯურღმულში ველარ ვეტივით  
და დიან, დიან დღენი წვალებით...

და ვწევარ ახლა მამაჩემთან და არა მიშავს  
და სამარის ცას ჩვენ ერთად ვუძებერთ,  
შენ კი ეცადე, ჩვენი ხსოვნის უბრალო ნიშნად,  
იასამნები აგვინთო გულზე.

ცახცახებს სულში იდუმალი თქვენი ხატება...  
ხართ მარად თვალნინ და ძილშიაც აღარ მშორდებით;  
დამწველი ხორცის და სულისა აღმაშფოთები —  
ცახცახებს სულში იდუმალი თქვენი ხატება.

გნახავთ და... ნახვის კვლავ სურვილი მომემატება,  
ვარ თქვენის ნახვით: საბრალო და ჭმუნვის მთოვარე;  
მარად უმანკო და ცასავით მიუწვდომარე —  
ცახცახებს სულში იდუმალი თქვენი ხატება.

ნათებათ შორის უნათლესი თქვენი ნათება  
აბრმავებს თვალებს, თქვენს ნათელში ვარ დამწყვდეული;  
ვით ვერცხლისწყალი ხელისგულზე მრავლად მსხვრეული —  
ცახცახებს სულში იდუმალი თქვენი ხატება.

ქალი, ნაბადში გახვეული, კვნესის და ტირის  
და ოხვრას მისას ჰფარავს ლურჯას ფლოქვთა თქარუნი...  
ქროლვა სწრაფია... ქალი ისევ კვნესის და ტირის  
და მკვრივ სხეულში ეპარება სითბო ფარული...  
— „აქ ტყე იწყება... რიყრაჟამდე აქ დავრჩეთ ბარემ“...  
ქალი იძინებს იქვე გაშლილ მწვანე მდელოში...  
ქალი, ნაბადში გახვეული, კვლავ წუხს და ტირის...  
ასე ხდებოდა  
ეს ჩემს ლამაზ სამეგრელოში .

შენ სამეგრელოს მთებიდან ჩამოირბინე და ჩემთან შეჩერდი  
არ მოგყოლია ქარი და წვიმა...  
მზითა და ვარდებით ბრწყინავდი თოლიგე,  
და გვირილები გერხეოდა საყვარელ თმებში...  
თვალეში მღვიმეები მეგონა,  
ხანძარმოკიდებული მღვიმეები...  
რომლებიც მათობოზენ და მინათებენ მუდამ...  
...შენ სამეგრელოს მთებიდან ჩამოირბინე და ჩემთან  
შეჩერდი  
და ყველაფერი დამავიწყე, თოლიგე...

სილამაზისთვის მადლოზა ხეებს!  
აპრილის მზეში ხეები დგანან...  
მე მინისაკენ გავინვდი ხელებს:  
— იებო, ჩემთან! იებო, ჩქარა!  
ეს გაზაფხული მოსულა თეთრად  
და დღეს უთუოდ დავტოვებ ქალაქს;

მე მარტო ვარ და მე მინდა თქვენთან,  
— იებო, ჩემთან! იებო, ჩქარა!

ჩემშია მზე და ჩემშია დარი  
თავბრუნდამხვევი და საოცნებო;  
— იებო, ჩემთან! იებო, ჩქარა,  
იებო, ჩემო საბრალო დებო!

ჩვენ სამნი ვართ —  
მე, ოთახი და დიდი სინათლე.  
ოთახში მეფეა მრგვალი მაგიდა.  
მაგიდაზე აწყვია ძველი წიგნები,  
წიგნებს აყრია წითელი შტკერა.  
მაქვს სურვილი —  
მსუბუქი, მსუბუქი, როგორც  
ლრუბელი.  
და... მოდის ქალიშვილი —

მსუბუქი, მსუბუქი თეთრი  
ლრუბელივით.  
ჩვენ ახლა ოთხნი ვართ:  
მე, ქალიშვილი,  
ოთახი და დიდი სინათლე.  
გარეთ ქარია და შემოდგომა,  
ქუჩებში ყრია წითელი ფოთლები,  
ქალიშვილს აცვია წითელი კაბა  
და ვუყვარვართ:  
მე, ოთახი და დიდი სინათლე.



ჩემი დღე უფრო მძიმე ყოფილა,  
ვიდრე ცოცხლების, რომლებიც ახლა  
მე მიგონებენ მსუბუქი ჭმუნვით;  
მცირეა ზეცა ჩემი სამარის,  
ხოლო წყვდიადში შემართულ  
თვალებს  
არ შეუძლიათ შემჩნევა რამის;  
წვიმა, რომელიც ჩემამდე მოდის,

ჭუჭყია მხოლოდ და მიწისფერი,  
და ჩემი თითის დაშლილ ფალანგებს  
ან სოფელ გოგოს ცეცხლი და თივა  
ალარასოდეს წაეკიდება...  
მაგრამ მე მაინც არ ვკარგავ იმედს:  
თუკი ყველაფერს აქვს დასასრული,  
ჩემი არყოფნაც  
მორჩება, ალბათ.

შენ ჰაერივით გახდი მსუბუქი,  
ამ ცოდვილ მიწას არც კი ესები...  
და მე გეხვევი, როგორც სიცოცხლეს  
როგორც სიკვდილი ისე გეხვევი.  
შენ მართლა უნდა იყო ირემა,  
ღურჯვი იების თეთრი დობილი,

შენ მართლა უნდა იყო ირემა,  
მე მონადირე კეთილშობილი;  
მე არ ვივინყებ ნაქცეულ დღეებს,  
მე მიყვარს შენი მზერა ირბი;  
ნე მოვდივარ და ჩემ დაღლილ ხელებს  
ისე გთავაზობ როგორც გვირილებს.

შენ გეძინება, ძვირფასო ჩემო?  
მეც ასე... უნდა წავიდე მალე,  
სად ნაოჭიან ღრუბლების ზემო  
ვეღარ ვიხილავ შენს ჭკვიან თვალებს...  
შენ გეძინება, ძვირფასო ჩემო?  
მეც ასე... უნდა წავიდე, მარი,

სად ძაძებიან ღრუბლების ზემო  
არ არის წვიმა, არ არის ქარი...  
შენ გეძინება ძვირფასო ჩემო?  
მეც ასე... უნდა წავიდე მწირი,  
სად ლაღადია ღრუბლების ზემო,  
სადაც ზარების რეკვაა ხშირი...

**ახალი წელი**

დღე იყო ცივი, ბუხარი ცხელი,  
ქარი და თოვა იდგა კარავთან...  
თოვა და ქარი ტოტებს რკალავდა —  
შემოდოდა ახალი წელი.  
მე ვიდექ ცისქვეშ, მე ვიდექ სველი,  
თოვდა, და გულში ენთო ლამპარი...  
შემოდოდა ახალი წელი

და ვიზრდებოდი როგორც ზღაპარი...  
როგორ!... ის ძველი გაფრინდა განა!  
თოვლის სისველე, მზეზე გაშრობა!..  
იმ წლებს, იმ დღეებს,  
იმ მეგრულ ნანას  
შემოინახავს ჩემი ბავშვობა.

მე მოვედი და ვიგრძენი ისევ:  
თეთრია სივრცე, თეთრია სული  
როგორც კავკასის თეთრ და უმაღლეს  
მკერდს მინდობილი ქალწული  
თოვლი..

ნახვამდის! მივალ, რომ შევეურთდე  
ქალაქის მღვრიე, ნერვიულ ქუჩებს;  
და მჯერა, — ჩემთან იქნები დიდხანს,  
დავრჩები შენთან ცხადში და ძილში..  
ო, სამეგრელოვ, როგორ მიყვარდა  
მე ხეტიალი დაფნების ჩრდილში!

# ქრონიკა საზოგადოებრივი

დღიობრივი იოვავილი

## „სქლიმ სიხარბესა შენსა“

საზოგადოებრივის მორალურ-ეთიკური აღმოს-  
ფეროს გაჯანსაღება შეადგენს ჩვენი რესპუბ-  
ლიკის ამჟამინდელი ცხოვრების განვითარების  
ძირითად პათოსს. თქმა არ უნდა, რომ ამასთან  
დაკავშირებულ მთელ საქმიანობაში, უწინ და-  
შვებულნი შევდომებას აღმოსაფხვრელ ბრძო-  
ლაში, ხალხთან და მის ავანგარდში მყოფ ძა-  
ლებთან ერთად, ქმედითად მონაწილეობს მწერ-  
ლობა. იწერება და იბეჭდება ნაწარმოებები,  
რომლებიც მკითხველს მოუწოდებენ ქადაკებ-  
სა და სოფლებში ხანძარში წესრიგის დამკვიდ-  
რებისაკენ, დანაშაულებათა აღკვეთისა და ლიკ-  
ვიდაციისაკენ... ბოლო ხანს ასეთი ნაწარმოე-  
ბების რიცხვს შეემატა კიდევ ერთი ვრცელი  
მოთხრობა — გიორგი ციციშვილის „სქლიმ სი-  
ხარბესა შენსა“.

სათაურშივე მუდავსდება, რომ მწერლის მი-  
ზანია გვიამბოს, გვესაუბროს მომხვეჭელობის,  
გამომძაღველობის ხენთი შებოქმდ აღამიანებ-  
ზე; სხვათაშორის აღნიშნავთ, რომ ანალიგიური  
მოტივების მხატვრული გაშუქება წინათაც გან-  
საკუთრებული ძალით იზიდავდა განსაზღვრული  
თხზულების ავტორს. გულიხსნიერ მკითხველს  
ახლაც არ დაიწყებია მისი კრიტიკული წერი-  
ლები მეოთხედი საუკუნის წინათ გამოცემულ  
ოთარ ჩბიძის რომანებზე, რომლებმაც უმადვე  
გაითქვენ სახელი საზოგადოებრივ ნაკლოვანე-  
ბათა მხილებით.

მოთხრობის „სქლიმ სიხარბესა შენსა“ იდე-  
ური შენარჩის, რომლის გამო მას მკითხველი  
გაძლიერებული წყურვილით დაეჭაფა, თავისე-  
ბურად, ჩვენ ვიტყვით, მეტაფორული ხერ-  
ხით არის ხაზგასმული ნაწარმოების ექსპოზი-

ციურ ნაწილში. ამა გაიხსენეთ, რით და როგორ  
იწყებს მწერალი თხრობას! ხომ სწორია, რომ  
აქ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია  
თრიალეთის ქედის კალთებზე შედგენილი სო-  
ფელი სამება. ჩვენი ინტერესების სფეროებში  
მოქცეულია სოფლის ისეთი ხანაზები, როგორი-  
ცაა შორეულ წარსულში ყინილობათა თავდას-  
ხმების შედეგად გატიალებული მიწდორი, ახ-  
ლა რომ „სპარსთა ველს“ ეძახიან, ან „ეშმაკე-  
ბიანთ წყარო“... ეს ადგილები თითქოს საგან-  
გებოდ იხნაბენ ქართლის ამოხრებელთა წარ-  
მოუდგენელ სიკვებას... სპარსთა ველზე არაფერი  
ხარობს, ეშმაკებიანთ წყარო არ ისმება. ამ ად-  
გილებიდან სარგებლობა არ აქვს კაცს... და აი,  
თავისი უსარგებლობით და ხიმწრით განთქმულ  
აღნიშნულ ველზე ოციოდე წლის წინათ მოა-  
წყვეს „ლესტროტორგის“ ბაზა. აღნიშნულ შე-  
ნთხევასთან დაკავშირებით, ყველაფერი ისე  
გამოვიდა, რომ, რამდენადაც სპარსთა ველი  
იყო სამებნელოთვის უსარგებლო, იმდენად  
„ლესტროტორგის“ ბაზას არ მოუტანია ხარ-  
გებლობა არავისთვის, გარდა კომინატორ-გა-  
მომძაღველობისა, რომლებიც უმადვე დაუბატ-  
რონენ დასახლებულ ბაზას, სწორედ ამ აზრით  
გამბობს, რომ მოთხრობაში „სქლიმ სიხარბესა  
შენსა“ მეტაფორულად არის ხაზგასმული სიხარ-  
ბის დაგმობის მნიშვნელობა: ჩვენი დროის  
კაცთა სიხარბე და მომხვეჭელობა იმდენადვე  
საზიანოა დღეს, რამდენადაც აუტანელი და გა-  
უსაძლიის იყო ყინილობათა შემოსევები წინათ.

რა თქმა უნდა, „სპარსთა ველისა“ და „ეშმა-  
კებიანთ წყაროს“ მეტაფორული ფუნქცია ის  
რომ სამების დესახელებული ადგილები ვერ-



მართებიან მართებულად გაცივით და გავაზიაროთ ახლანდელი „ლექსტროტორგის“ ბაზის არსი, იმდენად ბუნებრივი არაა, როგორც ამის მკითხველი ჩვეულებრივად მოითხოვს მეტაფორული ტროპის გამოყენებისას. ჩვენ მიერ შენარჩუნებული შეთხვევაში ეს ტროპი უადრესად პირობით ჩარჩობაშია წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, სპარსთა ველიხა და ემშაქებთან წყაროს მეტაფორა ერთობ მეკერძოტყველი და მხვედგონიერულია. თითქოს „ლექსტროტორგის“ ბაზა უნაყოფო „სპარსთა ველზე“ დარგული ის ნერგია, რომელსაც საშუადაშემოდ გაპარტახებულ მიწაზე გახარება და ნაყოფის მოტანა არ უწერია; თითქოს „ლექსტროტორგის“ ბაზა ისევე დაწყვეტილი, შერეული დაწყვეტილია, როგორც ის ველი, სადაც ის მოთხულებულია, დაწყვეტილია, რომელიც ნაშუაან ქართლებს კი არა, ხარბ და უკუღმართ ქურდებს, მეკრთამებებს წყალობს, მათ გაუკუღმართებას უწყობს ხელს.

სარტყელი ნაწარმოების ავტორს შეიძლება მართებულად ვუკეთ „სძლიე სიხარბესა შენსა“ პერსონაჟების, კერძოდ, ყველაზე წაყვანილი გოდერძი ზენკლიშვილის შინაარსიანი გამოხატვა. უწინარეს ყოვლისა, ხაზი შეიძლება გაესვას, რომ გოდერძი ზენკლიშვილი ერთი ყველაზე თვალაჩინო ძალაა, რომლის მეშვეობით მწერალი უმთავრეს თავის სათქმელს გვამოცნობს, სიხარბესთან კაცის დამოკიდებულებას განახიერებს, სიხარბისა და მომხვეჭელობის არსის გაცნობიერებას ცდილობს.

თუ ვიტყვი, რომ განსახილველ მოთხრობაში გაშუქებული თემბაკიის ძროხად რგოლს სიხარბე და მისი სიავის ჩვენება — ილუსტრაცია შეადგენს, მაშინ ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს რგოლი ყველაზე არსებითად დაკავშირებულია გოდერძი ზენკლიშვილის მხატვრულ ფიგურასთან, რომ გოდერძის სახე სიხარბის პირობაში ჩნდება და არა სხვაანარად.

ნამდვილია, რომ გოდერძის სახე სიხარბის საზოგადოებრივი არსის გაცნობიერების კვლევაზე წარმოდგინება. ამის გამო გამოიციხებული არაა, რომ წინამდებარე სტრიქონების რომელიმე წამოთხვევლა — იმთავან: ვინც „სძლიე სიხარბესა შენსა“ ცნობს, გოდერძი იმად მიიჩნეოს, ვისაც სიხარბე ყველაზე მეტად მიეწერება. კაცმა რომ თქვას, ასეთი ვარაუდი არც თუ უსაფუძვლოა. ხომ ნამდვილია, რომ გოდერძი ზენკლიშვილს ყველაზე მეტი წილი გაქონდა „ლექსტროტორგის“ ბაზის ხელუკუღმართად მიღებული შემოხავიდან. ის მილიონერი გახდა, სახანდე აიშენა და დიდძალი ფული აქვს გადაიხალ-გადახალული. მიუხედავად ამისა, სრული საფუძველი მოგეპოვება ვთქვათ, რომ თავად ზენკლიშვილი არ არის სიხარბის განახიერება, სიხარბე არ არის პერსონალიზირებული გოდერძის სახით, პირიქით, გ.

ციციშვილის წიგნში ზენკლიშვილი წარმოჩენილია, — როგორც სიხარბის მხვედრალი, ამ უკანასკნელის მიერ შეპყრობილი და დამორჩილებული ძალა.

საქმე ის არის, რომ სიხარბე და მომხვეჭელობისაკენ მიდრეკილება არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო გოდერძის, როგორც პიროვნების, თანდაყოლილი თუ მიშვიდრეობით მიღებული თვისება... ეს მიდრეკილება სხვათა წახედულობით, თუ სხვათა წაქეზებით გამოიშვავდა მასში.

ზემოაღნიშნული სულიერი პროცესის შესაბამისად თუ გავითვალისწინებთ, გოდერძი ზენკლიშვილის სახე, მისი ზენობრივ-ეთიკური გარდაქმნის გამოწყვეტ, თუ განმაპირობებელ ორ დამატრიალურად განსხვავებულ გარემოებას, ორ ეტაპს მოიცავს. თავისთავად იგულისხმება, რომ პირველი ეტაპი ანუ გარეცობა გასლავთ ის, როცა შეძლებულმა გლეხმა, მგლისანად წოდებულმა კაკოლა შედათუაშვილმა სასიძოდ აირჩია და გამდიდრებისაკენ წააქეზა გოდერძი ეს იყო დასაწყისი, პირველი ბიჭვი სიხარბისაკენ; პირველი ბიჭვება, რაც შედარებით უწინაშეგნო და უმტკივნეულოდ გადასტანი აღმოჩნდა ზენკლიანთ ბიჭვისათვის.

სხვაგვარად შეიძლება ვიმხელოთ, თუ სიხარბისაკენ სწრაფვის იმ შემთხვევას გავითვალისწინებთ, რაც „ლექსტროტორგის“ ბაზის დირექტორად მისი დაწინაურების შემდეგ გოდერძი ზენკლიშვილმა მიიღო უკუღმართულ აღბენიცილობაში ხელგაწაფული ისაკა დონდლიშვილისაგან. ეს მეორეგვარი ბიჭვება იყო ეპიზოდური, რომლებიც სარტყელი მოთხრობაში აღნიშნულ ბიჭვებას და მისთ აღძრულ რეაქციებს, ზენკლიანთ ბიჭვის უტყარა გულახიფოთვას წარმოგვიჩვენს, მართლაც, რომ განსაკუთრებით საინტერესო და გამოხარევი ადგილებია გ. ციციშვილის თხზულები. თითქოს რაღაც გაუცნობიერებელი გუმანით იჭრინა გოდერძი ზენკლიშვილმა, რომ ისაკის მიერ ჩავენები გზით წასვლა თავდაყირა დააყენებდა მის ცხოვრებას, რადიკალურად შეცვლიდა მისი ყოფის წახე უფროსის გოდერძი ასეთი ცვლილების საშიშროებას. დააყრდით და დაინახავთ, თუ რაღომ ბეკის ყოყმანობს, ორჭოფობს, შიშობს ისაკის ქუჩით იაროს, გრძნობს, რომ ამ გზით წასვლა სიყვითეს არ უქადის. არ ძალუქს დათმოს ის ცხოვრება, რასაც შეწყვეტია, უძნელდება შეგოვოს ისეთ ყოფის. რომლის შინაარსში ის, რა თქმა უნდა, წინასწარ გარკვეული არ არის.

ფულთან დაკავშირებული ეშმაკი და არაწმინდა მიანც ერევა აღმოჩანს, არაწმინდა ფულთ მოქმედებს, ერთობ ძლიერია და ამ ძალას გოდერძი ზენკლიშვილის მიმართაც თავისი გააქვს. ისაკის ცდუნება იმარჯვებს და ამიერიდან „სძლიე სიხარბესა შენსა“ სიურეტში თავს

ინგნ გოდერძი ზენკლიშვილი, არა უბრალო სამეხელი ყმაწვილი, რომელიც განთქმულია თავისი უფლის სიმების წარმტაცი ფლერადობით, მტკიცის ტალღებზე დაცურებული ტივის ხელმარტავ მართვით; კაკოლა შევდათუაშვილის ასულის სიყვარულით... ამიერიდან მკითხველს გოდერძის სახით წარმოუდგება სხვა კაცი, ფულის კაცი, ხარბი, რომელიც თავადაც ადვილად ირგებს არამ ლუკმას და თავის მხრითაც სინდისის ქვენის გარეშე უწილავს სხვას...

მას, შემდეგ, რაც გოდერძი ზენკლიშვილმა ერთხელ წარსდგა ისაკა დონდლიშვილის წაბიძგებით გამოწვეული ნაბჯი, მას ღღხანს აღარ უფიქრია უტხრა საჯალზე უკან დახევა, ან შეჩერება მაინც.

გ. ციციშვილის მოთხრობის თავისებურება ის არის, რომ იგი სიხარბით შეპყრობილი ადამიანების ილუსტრირების კვალობაზე თვით სიხარბის არსის ზედმიწევნით ზუსტ დახასიათებასაც გვთავაზობს; კერძოდ, ცხადყოფს, თუ როგორ მოაქცევს, რაღონ იმორჩილებს და თავის იარაღად აქცევს იგი კაცს. ამ თვალსაზრისით არის საყურადღებო განსახილველი თხზულების მთელი შიგა ნაწილი.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „სმლავ სიხარბება შენსა“, აღნიშნულ ნაწილში, გოდერძი ზენკლიშვილი, როგორც პიროვნება, ერთობ სუსტი და უღონოა. მანამდე შედარებით თავისთავადი, დამოუკიდებელი ძალით ჩვენს წინაშე მოვლენილი, იგი ამიერიდან თითქმის აღარ მგავს, აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს. აღარ ჩანს მისი თვითყოფილის დამადასტურებელი ნიშნები; თითქოს მარტო ერთი — სიხარბე, მოქმედებს მის მაგიერ და მისი საბედლით, რაც დახაწუსში არ უნდოდა და რასაც თავიდან თითქოს ვერ ეთვისებოდა ზენკლიშვილი და რამაც ამტკრად მთელი თავისი არსებით შეიპყრო, დაავიწყა მას საკუთარი თავი. ეს სიხარბე ყოველივეს განმსაზღვრელი და ბატონპატრონი გახდა, პირველ ყოვლისა, გოდერძის პიროვნებაში, შემდეგ მის ოჯახში, სახლკარში; სიხარბე აქ შეეღაფრია — თითოეული წამოწყების მოთავე და წარმმართველი — სიხარბის ზემოქმედებით ეწედა გოდერძი ზენკლიშვილს სახლი ღიღრინი სახლი და ცოტა ხანში ასეთი სახლი კიდევ ააგო, ძვირფასზე ძვირფასი ავეჯი შეიძინა.

გ. ციციშვილის მოთხრობაში სიხარბის წინით შეპყრობილ არცერთ ადამიანს არა აქვს არჩმალური უოფა. აქ ყველა რაღაცნაირად არის აფორიაქებული, შეღონებული, სიმშვიდას მღვომრობიდან გამოსული ან იმიტრბი, რომ საკუთარი სიხარბე არ ასვენებს, ან კიდევ იმის გამო, რომ ხარბი კაცები არიან გარემოცულნი და ნიადაგ განიცდიან ან მოუწილის მათგან თავდასხმის საფრთხეს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ „სმლავ სიხარბება შენსას“ სიუჟეტის არა-

ერთი ღებტალია. გავიხსენოთ, თუ ვნებთ, რომ სიხარბის წინა პლანზე განლაგებული სახეებში — ეს ისაკა, სერგო და ბაგრატიო, ვახტანგ პეტროვინი და ხანდრიკო — არსად, არცერთი მათგანის უოფაში ნამდვილი სიმშვიდე და ბედნიერება არ სუფევს. ყველას ან უკვე ისე ენგრევა ცხოვრება, როგორც გოდერძი ზენკლიშვილს, ან სამერძისოდ უნდა მოელოდეს არასასიამოვნო უკეთუბრებას. ნივთიერი შესაძლებლობის თვალსაზრისით, მაგალითად, სრულებით არაფერი აქვს საწუწუნო ვახტანგ პეტროვინს. მიუხედავად ამისა იგი მაინც მუდამ არის შეპყრობილი უმშობლობის გრძნობით; რაც დაუგროვებია, ორი იმდენად რომ მოუტანოს ვინმემ — მღღმავზე უარს არ იტყვის. გარდა ამისა, ვახტანგ პეტროვინის ოჯახური ბედნიერება ოდნავაც არ არის მისი ქონებრივი შესაძლებლობის პროპორციული და ტოლბადალი, მის ოჯახში ყოველივე ავადმყოფურია, ყველაფერი უკუღმართულად არის მოწყობილი, არაფერი არაა ნორმალური — თავად ვახტანგ პეტროვინი დანაშაულებათა წუმსეშია, მეუღლე საექმო გემოვნების ქალია, ქალიშვილი, რომლის დაოჯახებისათვის ეგზომ ბევრს თავცემობენ მისი მშობლები, ამკარად იზიარებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალის ბედს... მოთავარი დამნაშავე ამ შემთხვევაშიც ისევ და ისევ სიხარბეა. სიხარბისაგან და მის შედეგად არის, რომ თვითონ ვახტანგ პეტროვინი მოლიპულ გზაზე მოიბიჭებს და, როგორც მკითხველმა იცის, მას უკვე საბედისწეროდ დაუტურდა ფეხი ამ გზაზე... ახლა ხანდრიკა ედიშერაშვილს აღარ აკთხავთ? ისიც ხომ თავისებური ვახტანგ პეტროვინია, ხარბი და ღიღრინი ბელეღივით მოუპირაფია. გოდერძიმ მის წინაშე იხსნა სახლკარი მსუბუქი დამო ჩემი ურგებია და დმერთმა უქნა მთავარმართო, — უთხრა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ედიშერაშვილი მოთმინებიდან გამოვიდა, გაცეცხლდა, ეს როგორ ჩაიღინე, მძახლო, ამდენი ქონება დამოზე, დალაგებული კაცი არ უოფილხარო. ასეა; გოდერძის მსუბუქედ სანდრიკას უფრო აეწვა გული მძახლის ქონების დაკარგვაზე, ვიდრე თავად ზენკლიშვილს.

ხარბ კაც თანამდებობა და საზოგადოებრივი პატივი რად უნდა? — თანამდებობა საშუალებებაა, რომ ასეთმა კაცმა გასაქანი მისცეს თავის სიხარბეს, სიხარბის უნინ დაიცხროს. ხანდრიკაც ასეთი კაცია. მას მაღალი მდგომარეობისთვის მიუღწევია და სასიძოდ ამორჩეულ მაღლა ზენკლიშვილსაც ასეთ კიბეზე აუენებს, რათა შევიდს და შეიღოშვილასც არ მოუშალოს თავისი სიხარბით გამომუშავებული პირის გემო და ისინიც თავისებურად უზრუნველყოფილი და უკლისად ამყოფოს მომავალში. ხანდრიკა ჩვენ ვახტანგ პეტროვინს გაუტოვალეთ — ედიშერაშვილი იმგავსიველი

„სმლავ სიხარბება შენსა“





რავილიც პეტროვიჩის კვლობაზე მიუყვება ცხოვრებას-მეტეი და, მათალიცა, აქი ვახტანგოც ისევე ამზადებდა მალხაზ ზენკლიშვილს სასიძოდ, როგორც ეს ხანდრიკამ მოახერხა. თანამდებობას და საზოგადოებრივ პატივს ორივე ისე იყენებს, როგორც ფარს, რათა თავის სიხარბეს მეტი ვახაქანი მისცეს.

\* \* \*

თავის შინაარსით „სძლიე სიხარბესა შენსას“ ერთადერთი და ძირითადი თემა სიხარბე მთელი ძალით ექასუებდა ზენობრივ-ეთიკური პრობლემათკაცის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა, თუ გნებავთ, მამებისა და შვილების ურთიერთობა, ან კიდევ ოჯახური ურთიერთდამოკიდებულება და ა. შ.

საქორაა შეინიშნოს, რომ მამაშვილური ურთიერთობის მოტივის გაშუქებას მწერალი შინაარსით თავისი თითქმის ყველა სამებელი პერსონაჟის ცხოვრების მაგალითზე, რაღა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ხანდრიკას დამოკიდებულება მის ქალიშვილთან, ვახტანგ პეტროვიჩის ამოც დებში ვიოლას ოჯახური ცხოვრების მოხაწვობად... ე. ი. მამაშვილური დამოკიდებულების მოტივი მწერალს რამდენიმე პერსონაჟთან მიმართებით აქვს გახსნილი. აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული მოტივით გ. ციციშვილი არა სხვათაშორის, არამედ განსაკუთრებით არის დაინტერესებული.

ყველაზე ხაზგასმულად და აქცენტით მამაშვილური ურთიერთობა აიხსნება მოთხრობის იმ ადგილებში, რომლებშიც გოდერძი ზენკლიშვილს და მის ოჯახს შეეხება.

უკვე ვთქვით, რომ ისევე, როგორც მორალური ურთიერთობის ზოგი სხვა ფორმები (მაგალითად, ერთი მხრივ, გოდერძის და ისაკას, მეორე მხრივ, გოდერძის და ვახტანგ პეტროვიჩის „მეგობრობა“ და სხვ.) მამა-შვილური ურთიერთობაც, კერძოდ, გოდერძისა და მალხაზის დამოკიდებულებაც გ. ციციშვილის მოთხრობის მიხედვით სიხარბე-მომხვევეულობის ასპექტში შუქდება მართალია, ეს თემა ერთადერთი არაა, მაგრამ მთავარი და წამყვანი მაინცაა და ყველა დანარჩენი „სძლიე სიხარბესა შენსასში“ მისი დაქვემდებარებით ნათდება. ისე, რომ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად აქ არაფერია არ სახიერდება, არავისი ურთიერთობა არ ირყევა (აღნიშნულთან მიმართებით თავისებურ გამოწვევის შეადგენს მარგალიტას და მალალოს სახეები, მათი დამოკიდებულება ხანდრიკასთან და გოდერძისთან, როგორც შეუღლებთან, ყველაფერი ანგარების გარეშეა. ქმრების სიხარბეს ისინი არ განიცდიან: ვაჟის-სენით თუნდაც, რომ, როცა გოდერძიმ გადაწყვიტა ზელი აუღო თავის სიმდიდრეზე, განიზრახა გარიღებოდა საყუთარ სიხარბეს, მალალომ უმაღვე მხარი აუბა მას), უფრო კონკრეტულად

ლად რომ ვთქვათ, მაგალითად, მალხაზი ზედმიწევნით ორგანულად არის დაკავშირებული იმ მანკიერებასთან, რაც მამამის სიხარბითა სტერს. მამის მიერ შექმნილ ქონებას რომ ჰხედავს, მალხაზი დაცინვით ამბობს — ასეთი უშინშენილო რამ გიკვირთ — ალბათ არ იცით — ხალხი რას იქნეს და რას უძღულობს — იმათ ზღვასთან თქვენი მოწამოვარი წვეთად არ გამოჩნდებოდა... გასაგებია: მალხაზს გაცილებით მეტი უნდა, ვინემ მამამისს.

მამა-შვილი ზენკლიშვილების იმ დამოკიდებულებულად, რომელსაც განსახილველი ნაწარმოებში ასახავს, კიდევ ერთი მომენტიც უნდა აღინიშნოს. აქ კიდევ ერთხელ ჩანს, რომ სიხარბე მამამისზე უარესად სჭირს მალხაზს... როგორც მამა, ოჯახის პატრონი, გოდერძი თითქმის სამაგალითოა, თავს დებს ცოლშვილისათვის, უველაფერს აკეთებს მათ სახიკეთოდ. სიხარბე ხელს არ უშლის გოდერძი ზენკლიშვილს, რომ კარგი ოჯახის თავი იყოს. ამ მხრივ ის აშკარად ერევა თავის მანკიერ სენს, არ ეშორჩილება თავის სიხარბეს. მიუხედავად იმისა, რომ მამასთან შედარებით მეტ ინტელექტს ფლობს, თავისი სიხარბით მალხაზი ბევრად უფრო შეზოქილი და შეზღუდულია, ვინემ გოდერძი. ჭერ მართო ის გავისხენით, რომ მალხაზს ღელა და მამა სერულებით არაფრად ეპრანება, ვერ ახერხებს ჯეროდნად უპასუხის მათ მოშობლიურ პატივისცემასა და სიყვარულს. სიხარბის გამო მალხაზს აშკარად აუღაგანავს თავისი ზენობა. ნამუშაინი და მართალი სიტყვის კაციაო, მასზე ვერ იტყვიან. მოვიგონოთ, როგორ აღუთქვა მან ვახტანგ პეტროვიჩის სიძეობა, აღუთქვა იმ ანგარიშით, რომ მომავალი სასიამაოროს შემწეობით სამსახურში დაწინაურებულიყო. შემდეგ კი რა მოზდა: როცა მალხაზმა შენიშნა, რომ თვითონ პეტროვიჩს ვაგაზაბად წაუვიდა საქმე, როცა შენიშნა, რომ საშემის რაიკუმის ახლა უკვე უყოფილი პირველი მდივანი მასზე (მომავალ სახიძოზე) დახმარებას ველარ შეძლებდა, მალხაზმა უარი თქვა ვახტანგ პეტროვიჩის სიძეობაზე, მიზი ქალიშვილის შერთავზე.

გოდერძი ისევე, როგორც ვახტანგ პეტროვიჩი, ისეთი ქურდია, რომელიც დაიპირებს მას სახელი გაუტყდა. ამიტომ მისი მამობა ისევე როგორც ვახტანგ პეტროვიჩის სიძეობის შესაძლებლობა საერთეს უქმნის მალხაზს, რომელიც ერთ-ერთი დიდი კაცია სამებაში. ასეთი მსჭიდლობით არის გამართლებული მალხაზის ნაბიჯი — დამორღეს გალანძღულ მოშობლებს, კავშირი გაწყვიტოს ასევე გალანძღულ ვახტანგ პეტროვიჩთან და მიეკედლოს ხანდრიკა ელიშერაშვილს, რომელსაც ჭერ კიდევ აუგს არ ამბობენ არა იმიტომ, თითქმის ის ხარბი და ქურდი არაა, არამედ იმიტომ რომ ხანდრიკა ისეთი ქურდია, რომელიც ჭერ კიდევ არ წაუსწრიათ. დანაშაულზე, არ დაუბერიათ.

განა აღმაშფოთებელი არაა რომ სანდრიაკო ედიშერაშვილი შრომის გმირობის პატივსაც, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის უფლებებსაც მხოლოდ იმ მიზნით იყენებს, რომ საკუთარი სიხარბის უნის დაკმაყოფილოს, იქურდოს, ყმასავით მოინახუროს შეწოებული კოლმეურნეები. დიას, მართალია, რომ სანდრიაკო, როგორც დამნაშავე და ქურდი, ჭერ კიდევ არ დაუჭერიათ, მაგრამ შემცდარია გოდერძის ეაფიშვილი, რომელსაც, ერთობა, ჰგონია, რომ ქურდი არაა ის, ვინც არ დაუჭერიათ. ,

სავსებით ბუნებრივია, რომ გოდერძისა და ვახტანგის დღევანდელი მდგომარეობა (დაქერილი ქურდის მდგომარეობა) სანდრიაკო ედიშერაშვილის ზვალისწინაა დღეა.

დაკვირდით იმ სურათს, რომელიც თანდათან იზღვება გ. ციციშვილის მოთხრობაში უმაღლეს დანახავთ, როგორ უხასველო კატასტროფამდე მიჰყავს კაცი მისხავე სიხარბეს. კერძოდ, როგორ და რა გზით იწვევს იგი გადაგვარებას მამაშვილურ დამოკიდებულებაშიც კი. ერთობ დიდი ცოლუა არაა, რომ გოდერძი ზენკლიშვილს სიხარბე სჭირს. გაცილებით სამწუხაროა, რომ ეს ძნელად გადასატანი სენი ზენკლიშვილთა ერთადერთ ვაჟს მალხაზსაც გადაუღლო და თანაც უფრო ძალუმიად. ძირის ძირამდე ჩაწვდილი და ყოველივე ეს იმით დასტურდება, რომ თუ მამის სიხარბე ნივთიერ სფეროში ვლინდება, მალხაზი სიხარბის გამო ზენოხასაც ჰყარავს. კერძოდ, ჰყარავს მშობლებისადმი პატივისცემას. მაშინ, როცა უკვე ხანდაწმულ გოდერძის ყველაზე მეტად დასჭირდა შვეთა და თავისიანის მხარდაჭერა, მალხაზმა ხელი არ შეაშველა, ზურგი შეაქცია მოხუც მშობელს და დღისი ანაზღა უშწროდ მიატოვა იგი.

გ. ციციშვილის მოთხრობის დამამბარებელი ნაწილი, ფინალი ერთდროულად მიუგებს კითხვებს. თუ რატომ უნდა ებრძოლოს და როგორ უნდა ებრძოლოს კაცი საერთოდ სიხარბეს და კერძოდ საკუთარ სიხარბეს.

როგორც განსახილველი მასალის შინაარსიდან ჩანს, მთავარი და ძირითადი ის როდია, რომ სიხარბით შეპყრობილი, სიხარბის სენით დაავადებული ადამიანი თავისი გაუმართლობის გამო სხვების წინაშე აშვეებს, უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, სხვების წილ-ხვედრს ითიხებს, სხვებს ქურდავს და თავად მდიდრდება; არამედ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი არღვევს ადამიანთა თანაცხოვრების საყოველთაოდ აღიარებულ წესს, დგება კანონით გათვალისწინებულ ფარგლებს გარეთ. „სძლიე სიხარბესა შენას“ ამ კონტექსტში იწყება გოდერძი ზენკლიშვილის პიროვნების კიდევ ერთი გარდაქმნა: უფრო მართებული იქნება ვთქვათ, რომ იწყება მისი ხელახლა დაბრუნება საკუ-

თარ თავთან, ე. ი. იწყება უარყოფა იმხანაშიც, თაც და რომლის სანაცვლოდ გოდერძი ზენკლიშვილმა თავისი თავი უარყო და ალაღმართა-ლი ზენკლიანთ ბიჟის გულხარბი და მომხვე-ქელი კაცი გახდა.

ამერიკიდან სამებულ ზენკლიშვილში იღვიძებენ ის ძალები, რომელთა ზემოქმედებით ერთ დროს ის თავს არიდებდა მის წინააღმდეგ სა-შიში ცდუნებით მოლაშქრე ისაკას; ძალები, რომელთა გამო ერთხანობას მას არამედარამც არ სურდა ისაკას და ვახტანგ პეტროვიჩს შო-რის შეშამავლობა...

აღნიშნულის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველაზე უფრო გოდერძი ზენკლიშვილი ზენოხრივმა სატყეარმა (მალხაზის განშორებაში) შეაღონა, ამ სატყეარმა დაარწმუნა, რომ მისივე სიხარბით იგი არა მარტო სხვებს ავ-ღებდა ზარალში, არამედ საკუთარ თავსაც მო-ურჩენელ ჭრილობებს აყენებდა, და გოდერძამ გადაწყვიტა, ზურგი შეეცვია საკუთარი სიხარ-ბისათვის (ზენკლიშვილმა უკან დააბრუნა ყვე-ლაფერი, რაც სიხარბით მიიღო).

„სძლიე სიხარბეს შენას“ — ეს მოწოდება გოდერძი ზენკლიშვილმა მაინცდამაინც მაშინ შეისმინა, როცა მან, ჭერ ერთი, თავისი სწეუ-ლების გამო საკმაოდ ბევრი სიხავე მოიმოქმე-და, და მეორედ, გადასდო თავისი სიხარბე სხვებს, კერძოდ მექვიდრეობისათვის დაბრუო-ვა ის საკუთარ შვილს. გოდერძი იმ დროს ცდი-ლობს ბოლო მოუღოს საკუთარ სიხარბეს, რო-ცა მალხაზი საკმაოდ განვითარებული ფორმით უკვე საკუთარ თავში ატარებს აღნიშნულ ავა-დმყოფობას.

„სძლიე სიხარბესა შენას“, რა თქმა უნდა, ამ მოწოდებით ავტორი გოდერძი ზენკლიშვილს არ მიმართავს, რამეთუ ის, რაც აღნიშნულ მოწო-ნებაში იგულისხმება, გოდერძის ადარ ეება — ის ცოცხლებში აღარაა.

ყველაზე საგულისხმო და მინანქრთებულთა, რომ სანაღირო მოთხრობის სათაურში გათვა-ლისწინებული მოწოდების ადრესატად მივიჩ-ნიოთ მალხაზ ზენკლიშვილი, საერთოდ, მისი ტოლი ახალგაზრდობა. ამის დასტური „სძლიე სიხარბესა შენასში“ შეინიშნება: მოთხრობა, რომლის შესწავლისა და განხილვის ცდაც ჩვენ მივმართავთ, თუ არ ვცდებით, ყველაზე უპირატესად ახალგაზრდობისადმი კრიტიკას წარმოადგენს. ეს არის მართალი სიტყვა ახალგა-ზრდობაზე, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენე-ლია მოთხრობის გმირი მალხაზი... ახალგაზრ-დობას კი იმისათვის, რომ ის ნენი ცხოვრების დირსეული მეგვიდრე იყოს, მომეტებულად, ესაჭიროება გულახდილი და მართალი სიტყვა მისივე ყოფის შესახებ.

### იური ზინსარი, ბრატს ნაზიპრიძე

## საქართველო ბასკის თვალთ

ბასული წლის 20 მაისიდან 25 ივლისამდე საქართველოში იმყოფებოდა ბასკი სტუმარი, აკადემიკოსი შაბიარ კინტანა. იგი ჩვენში მოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ქართული ენის შესწავლის მიზნით. აკადემიკოს კინტანას შეხვედრები ჰქონდა ქართველ ენათმეცნიერებთან, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ხალხთან, გამოდიოდა ლექციებით ბასკური ენისა და, საერთოდ, ბასკეთის შესახებ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან გამოაქვეყნა წერილები საქართველოზე, რომლებიც გაზეთ „იგინში“ დაიბეჭდა. ამ წერილებში აკად. კინტანა გამოთქვამს თავის გულწრფელ აღტაცებას ქართველი ხალხითა და მისი კულტურით. ვფიქრობ, ქართველი მეცნიერებისათვის საინტერესო იქნება ბასკი მეცნიერის, საქართველოზე გულწრფელად შეუვარებული აღაშინის, აკად. კინტანას თვალსაზრისი ჩვენს ქვეყანაზე, ქართველ ხალხსა და მის კულტურაზე.

„თბილისში — წერს შ. კინტანა, — ჩავდივარ 20 მაისს ღამით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით, მთელი ორი თვით. ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. ჩასვლისთანავე მომიწყვეს განსაკუთრებულად კარგი მიღება. როგორც ცნობილია, ალექსანდრე დოუმაც აღტაცებული იკონებდა ქართულ სტუმართმოყვარეობას, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, რომ თუ დასავლეთთან შედარებას მოვხატავთ, ეს სტუმართმოყვარეობა, როგორც მე მერჩვენება, უფრო კარგად შეიძლება დაფასდეს ბასკური, ვიდრე ფრანგული თვალსაზრისით. ჩემი პირველი შთაბეჭდილება თბილისში ყოფნისას იყო ის, რომ თითქოს სახლში ჩავდივარ. ჩემს ხულში ზღვებოდა ისეთი რაღაც, რასაც, როგორც ჩანს, განიცდიან ოკეანისგაღმედი ბასკები (ვისი წინაპრებაც ოდესღაც ამერიკაში წავიდნენ) იმ მომენტში, როდესაც ისინი (ეს ბასკები), პირველად ჩამოდიან ბასკეთში. და ეს შთაბეჭდილება „სახლში ყოფნისა“ გამოწვეული იყო, როგორც მერჩვენება, ძირითადად იმით, რომ ჩემს ირგვლივ მყოფ ქართველებში ვამჩ-

ნევდი მსგავსებას ყველაზე უფრო ტიპური ბასკის ფიზიკურ ტიპთან. ჩემს ირგვლივ, ყოველ ნახაზე ვხედავდი იმავე სახეებს, რომლებიც ასე ჩვეულებრივია ჩვენში, შთიან ნავარასა და გიპუსკოანიის გოიერში“.

მთავარი მიზანი შ. კინტანას ვიზიტისა საქართველოში იყო ქართული ენის შესწავლა, მისი შემდგომი შედარება ბასკურთან, ამ ორ ენას შორის შესაძლებელი კავშირებისა და სიახლოვის გამოვლინება. თბილისში მას, როგორც თვითონ აღნიშნავს, ყველა პირობა შეუქმნეს ამ მიზნის განსახორციელებლად.

„მე იქ ვსარგებლობდი სრული თავისუფლებით — აღნიშნავს შ. კინტანა, — ვინმეს შეუძლია იფიქროს, რომ ჩემი ცხოვრება საქართველოში კონტროლდებოდა, ვთქვათ, პოლიციის მიერ, მაგრამ ეს წმინდა წყლის ბლევია. სადაც მიწოდდა, იქ დავდიოდი, თუ სურვილი მქონდა, მარტოც კი, თბილისის გარდა ვიყავი საქართველოს მრავალ საინტერესო ადგილას — კოლხიდიდან, რომელიც დასავლეთშია, კახეთამდე (აღმოსავლეთ საქართველო), ვიყავი ვორში (სტალინის სამშობლო), ფოთში, ქუთაისში, მცხეთაში (საქართველოს ძველი დედაქალაქი), ყვარელში, სიღნაღში, გელათში, ბორჯომში, თელავში, ვარძიასა და სხვა ადგილებშიც, სადაც მე, როგორც ბასკ მძას, ყველგან მიწყობდნენ გასაოცარ მიღებებს.“

ხშირად რომელიმე ქალაქში ჩასვლისთანავე, როგორც კი გავრცელებოდა ხმა ჩემი ჩამოსვლის შესახებ, მიხდებოდა სიტყვით გამოსვლა. ამასთან, ქართულ ენაზე მოკლე შესავალი სიტყვის თქმის შემდეგ ჩემი მოხსენების ძირითად ნაწილს ვკითხულობდი ბასკურად, ხოლო ჩემი უახლოესი, ყველაზე ძვირფასი მეგობარი პროფ. ილია ტაბაღუა, რომელიც სარგებლობდა ჩემ მიერ წინასწარ მიცემული ფრანგული ტექსტით, თარგმნიდა ჩემს ბასკურ სიტყვას ქართულად. ვინმემ შეიძლება გამეციხოს იმისათვის, რომ მე საქართველოში ბასკურად გამოვიდიოდი, მაგრამ მე მას ვერ დავეთანხმები. საბედნიეროდ, ეს ბასკურ „უნივერსალიზმს“ ჯერ კიდევ არ ჩაუღ-



წევია საქართველოში და მე რომ ქართველებთან არ შელაპარაკა ბასკურად, სწორედ ამას ვერ გაგებდნენ ისინი“.

„ჩემი გამოცვლების დროს და განსაკუთრებით გამოცვლების შემდეგ, — აღნიშნავს შ. კინტანა — მაშვედნენ თასობით შეკითხვას ჩვენი ქვეყნის შესახებ. რამდენი ვართ ჩვენ, რამდენი კაცი ღამპარაკობს ბასკურად, როგორია თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, რამდენი დიალექტი აქვს ბასკურს და სხვა.

„როდესაც მათ მოვუხირობდი იმის შესახებ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ნამდვილი ავტონომია, რომ ესპანეთში (ქრძოდ და განსაკუთრებით) ოფიციალურად არაა განსხვავება ეროვნებასა და მოქალაქეობას შორის და ეს განსხვავება არ აისახება პასპორტებზე და პირადობის მოწმობებში, რომ სკოლებში ჩვენი ბავშვების მშობლიურ ენაზე განათლებასათვის თვითონ ჩვენ უნდა გადავიხადოთ ქირა (ე. ი., რომ ჩვენში მშობლიურ ენაზე სწავლება მხოლოდ ერთი სკოლაში ხდება), უველაფერი ეს ჩემს ქართველ მსმენლებს გასაოცრად და სპეციფიკურად კი ეჩვენებოდათ. პირიქით, მრავალრიცხოვან დემონსტრაციებს, მიძღვნილს სამშობლოს დღისადმი, (აბერა ეგუანა) და ჩვენი დროშების (იკურარინა) უველგან გავრცელებას დღეისათვის ისინი აღიქვამდნენ აშკარა სიზარულთ, როგორც იმის დასაბუთებას, რომ ბასკური პატრიოტიზმი ცოცხლობს, რომ ჩვენ კვლავ ვრჩებით ჩვენი სამშობლოს შეილებად“.

„აგროგრაფები მოხვედნენ ყოველთვის — განაგრძობს შ. კინტანა, — და როდესაც ქართულად უწერდი, ეს იწვევდა განსაკუთრებულ სულიერ მღელვარებას. თვალკრემლიანი მოხუცები მოდიოდნენ ჩემთან, მიხვდოდნენ და მუშობდნენ: „შენ ჩვენი ხარ“. ყვავილები, პალონისმეტეები და მეგობრობის სხვა გამოვლინებები — ეს ყველაფერი იმდენი იყო საქართველოში, რამდენიც მე ჯერ არასოდეს არ შენახა აქამდე და, ალბათ, ვერც ვნახავ მთელ ჩემს სიცოცხლეში. ყველაზე შეხანიშნავი მაინც ის იყო, რომ ყველაფერი ეს მიგრებოდა მე, ბასკს, რომ ჩემი სახით ქართული საზოგადოება ამგვარად მიხვალმებოდა ყველა თავის პირინელ ძმას, ყველას გადასცემდა თავის გულითად სალამს. ის, რომ ქართველი ხალხი აუტომატურად მე, სწორედ როგორც ბასკს, უფრო მნიშვნელოვანი და აღმფრთვანებელი იყო თვითონ ჩემთვისაც, რადგანაც ამ შეთხვევაში მთელი ხალხი გამოხატავდა ჩემდამი თავის დიდ სიყვარულს სწორედ იმისათვის, რაც ჩემს პასპორტშიც კი არ არის ასახული“.

შ. კინტანას აზრით, ბასკებისადმი ასეთ დიდ სიყვარულს საქართველოში აქვს თავისი ფიქიოლოგიური გამართლება. ქართველები, ისევე როგორც ბასკები, არ წარმოადგენენ ინდო-

ევროპელებს და იმ ენებში, რომლებზეც მათსავე გარს არტყია, ვერ შეუძლებენ იმას, რაც მათსავე ფუძველს მისცემდა ვიქტორთ აშკარა ნათესაობაზე ამა თუ იმ ხალხთან. ასეთი იზოლირებული მდგომარეობა ლოგიკურად წარმოქმნის თავისებური „ისტორიული ობლობის“ გრძნობას. ხოლო ბასკურთან შესაძლებელი ნათესაობის აზრი კი, პირიქით, წარმოშობს იმედს და, შეიძლება ითქვას, ოცნებასაც. იმის შესახებ, რომ ასეთი „ობლობა“ მომავალში აღარ იქნება, „მე გულწრფელად ვფიქრობ, — დაასკვნის შ. კინტანა, — რომ თუ ჩვენ კარგად გავცნობით ქართველებს, ჩვეც ამავე მიზნის გამო ვიხურებდით დაგვენახა მათში (ქართველებში) ჩვენი ნათესავები“.

„ისტორიული ობლობის“ გრძნობა, შ. კინტანას აზრით, ქართველებს ადრეც აწუხებდათ, ჯერ კიდევ იონან მთაწმინდელი XI ს-ში აპირებდა ბასკეთში წასვლას იმ მიზნით, რომ მოეწინააღმდეგებინა თავისი შორეული ძმები.

„ადღეს კი საქართველოში ყველამ, ქალაქელმა თუ მწყემსმა, იცის, რომ პირინის ნახევარკუნძულზე არიან ბასკები, რომლებიც, შეხადლო, კავასიიდან იყვნენ წასული და წარმოადგენდნენ ქართველების მონათესავე ხალხს. მაგრამ არის სხვა თვალსაზრისიც, სახელდობრ კი ის, რომ სათანადო გადასახლებას ადგილი ჰქონდა პირინიდან კავასიაში.

ბევრი ლინგვისტი (მუმბოლდტი, შუზარდტი, ტრომბტი, შიმპარიოვი, მარი, ჩიჭოვა, ბრაუნი, ზიცარი და სხვ.) და მათ შორის ბასკური ენის აკადემიკოსებიც (ლაფონი, ტოვარი, ბოუდა, ალიერი, მირელინა) თვლიდნენ და თვლიან შესაძლებლად ამა თუ იმ ნათესაურ კავშირს ქართულ და ბასკურ ენებს შორის. საქართველოს მეცნიერებთა აკადემიამ და ბასკური ენის აკადემიამ გასულ წელს მიიღეს რიგი კონკრეტული გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მიზნად ისახვენ ამ პრობლემის გადაჭრას.

ამჟამად საქართველოში არსებობს ბასკების ქვეყანასთან მეგობრობის საზოგადოება, რომლის სათავეშიც დგანან აკად. შოთა ძიძიგური, პროფ. ილია ტაბაღა და ბასკური ენის მსწავლებელი გრეტა ჩანტლაძე. ამ საზოგადოების ამოყანა ბასკების შესახებ ინფორმაციის გავრცელება პრესის, ლექციებისა და სხვა საშუალებებით. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დოკუმენტური ფილმი „ბასკეთი“, რომელშიც ეკრანის ენით საინტერესოაა მოხსრობილი ჩვენი ქვეყნის შესახებ. ორი წლის წინ თბილისის სახ. უნივერსიტეტში შემოიღეს ბასკური ენის სავალდებულო სწავლება და ეს კურსი დაავალდებული აქვთ ი. ზიცარსა და გ. ჩანტლაძეს, რომლებიც

ი. ზინბარი, ბ. ნებეირიძე  
საპარტამენტო ბასკის თბილისი





უკვე დიდ ბანია ბასკური ენის ენთუზიასტები არიან“.

ჩვენი ცხოვრების ირანია, რომ ის, რასაც ჩვენ დღეს ბასკეთში მხოლოდ ვესწრავით და მთელ ძალ-ღონეს ვანაზრთ, იქ, საქართველოში, უკვე არსებობს. უკვე ხამი წელია, რაც შემოდგომულია ბასკური ენის სწავლება; თანაც არსებობს ოფიციალური, პროგრამული კურსი ლექციებისა ბასკურ ენაზე. ბასკური ენის პირველი მასწავლებელია ქალბატონი გრეტა ჩანტლაძე, რომელსაც შემდეგ შეუერთდა იური ზეცარი, ასევე ძველი ენთუზიასტი ამ ენისა. მოწადებები, რომელთა რიცხვი დაახლოებით თორმეტია, არიან ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები და ასპირანტები და უკვე ათვისებულნი აქვთ საკმაოდ დიდი მასალა.

მასწავლებლები მიწვევით, შაბათობით ვკითხულობდი ლექციების კურსს ბასკური ენის შესახებ.

გარდა ამ წმინდა სასწავლო ლექციებისა, მე გამოვედი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექციით ბასკების ენის შესახებ თბილისის სახ. უნივერსიტეტში, მისი რექტორის სპეციალური თხოვნით. ეს გამოსვლა შედგა და წარამართა განსაკუთრებული აქტობისა და ყურადღების ფორაბეაში, თანაც მსმენელთა ნაწილი ლექციის შემდეგ შემომეჭარა, მაძლევედნენ მრავალ შეკითხვას, გამოთქვანდნენ თავიანთ აზრებსაც, მიუხედავად იმისა, რომ განცხადება ამ ლექციის შესახებ მხოლოდ ჩემი გამოსვლის წინადადით იქნა გაკეთებული, მას ესწრებოდა 500 კაცზე მეტი და ამიტომ მოვაპრო საექტო დარბაზი უნივერსიტეტისა სავსე იყო“.

იმავე დღეს ლიტერატურის ინსტიტუტში შ. კინტანას მეგობარ ქალბ. ვაუკეთობით „იკურჩრინა“ და საღამოს იგი საზეიმოდ აღმშარათე სასტუმრო „ივერიაში“.

„მაგრამ ეს არ იყო პირველი შემთხვევა ჩვენი დროის აღმართვისა საქართველოში, — წერს შ. კინტანა, — ორი წლის წინ მე გრეტა ჩანტლაძეს, ბასკური ენის მასწავლებელს, — განაგრძობს იგი — გავეუზნევე იკურჩრინა და ენა დროსა ჩემი გამოსვლების დროს ყოველთვის აღმართებოდა ხოლმე ჩემი მაგიდის ან კათედრის წინ“.

შემდეგ შ. კინტანა ეხება საქართველოს რესპუბლიკის ნაციონალური შემადგენლობის საკითხს, აღნიშნავს, რომ თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ იგრძნობა ქართული ენის საყოველთაო გავრცელების გამო, რომ საქართველოში ქართველები მოსახლეობის 70% შეადგენენ და ქართული ენა სავალდებულოა არაქართულ სკოლებშიც, ხოლო უნივერსიტეტში ლექციები იკითხება ქართულ ენაზე (პარალელურად რუსულ ენაზეც).

შ. კინტანა აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ ვა-

წეუბი და ძურწალები საქართველოში გამოდის ქართული და რუსულ ენებზე და რადიოგადამცემები წარმოებს ნაციონალურ უმცირესობათა ენებზეც. აღნიშნავს იმასაც, რომ თბილისში ნაციონალური ქართული თეატრების გარდა, სადაც შეიძლება ვხსოვო ბ. ბრეტის „კაკასიური ცარცის წრეც“ კი, არსებობს შესანიშნავი რუსული თეატრიც.

„ქართველები, — წერს შ. კინტანა — მხარული და ტემპერამენტიახი ხალხია, ძალიან უყვართ ყოველგვარი დღესასწაულები და სტუმრების მიღებისას ფულს არ ზოგავენ. მათი სტუმართოყვარებობა თითქმის ზღაპრულია“.

„ქართველებს ძალიან უყვართ გუნდური, მრავალმხანი სიმღერები, მღერაინ ვოკალური ხელოვნების უმაღლეს დონეზე. მათი ცეკვები როგორც გლეხური, საქარწინო, ისე სალაშქრო მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ტემპერამენტის, დახვეწილობისა და კოლორიტის წყალობით“.

საქართველოში ყოფნისას შ. კინტანა შეხვდა აკად. არნ. ჩიქოვაძეს და აკად. აკ. შანიძეს. იგი დაწვრილებით აღწერს ქართველ ენათმეცნიერთან შეხვედრებს და აღნიშნავს, რომ არნ. ჩიქოვაძე დადებითად ეკიდება ქართველური ენების ბასკურთან ნათესაობის საკითხს, მაგრამ მას ნიანჩას, რომ ბასკური მონათესავა არა მარტო ქართველური ენების, არამედ საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენებისა. იგი აქვე დასძენს, რომ თანამედროვე ქართველი ლინგვისტების უმრავლესობა არ იზარებს ამ თვალსაზრისს, რადგანაც, ამ ენათმეცნიერთა აზრით, ქართველური ენები შესაძლოა მონათესავი იყოს მხოლოდ აფხაზურ-ადიღური ენებისა და არა ყველა იმ ენისა, რომლებსაც იბერიულ-კავკასიურ ენებში აერთიანებენ. შემდეგ შ. კინტანა აღწერს აკ. შანიძესთან შეხვედრას. აღნიშნავს, რომ აკ. შანიძე არის პირველი ატორი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკისა, უკვე დრმად მოხუცმა დაწერა ძველი ქართული ენის გრამატიკაც: „როდესაც მან ამიხსნა რამდენიმე ქართული სიტყვის ეტიმოლოგიაო, — დასძენს იგი, — მე შევეფიქსე შემეფასებინა, თუ რამდენად ზეგასური მესხიერება აქვს ამ 92 წლის მეცნიერსო“.

საინტერესოა შ. კინტანას აზრი შოთა ზვედილიძესთან შეხვედრის შესახებ. „ორი წლის წინ, — წერს შ. კინტანა — გავრცელდა ცნობა, რომელიც იმ წლის სენსაციად იქცა: ქართული ენის მეშვეობით გაიშიფრა ტექსტი ბრუნვის ფორფიტაზე, რომელიც თავის დროზე აღმოჩენილ იქნა ბოტორიტაში (სარავოსა). ამავე ცნობის მიხედვით, ჩვენი ბასკებს, ჩვენი თავი უნდა მიგვეჩინა ქართველების შთამომავლებად, საქართველოდან ჩამოსულებად პირინეის ნახევარკუნძულზე სამი ათასი წლის წინათ.“

შოთა ზვედილიძის სახელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ხსენებული წარწერის გა-

შეფარზე, სწრაფად გახდა ცნობილი ყველგან, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში უოფნისას შესაძლებლობა მომეტა გავცნობოდი ამ კაცს, რადგანაც პარველ ივლიანს მან მიმიწვია სადღესე თავის სახელში. ზღვედლომე აღმოჩნდა სტუმართმოყვარე და გულლია ადამიანი. მთელი მისი ინტერესი შემოიფარგლებოდა იმით, რომ მე შენახა მისი წერილისპირებები თუ პარალელბები ზოტორიტას წარწერის ნიშნებხა და ძველი ქართული ანბანის ასოებს შორის.

ცნობილია (და ეს ჩემთვისაც იყო ცნობილი), რომ ეს კაცი უნივის სათანადო დარგების ქართულ სპეციალისტიკას, რომლებიც პროფესიული მოუწადებლობის გამო ყურადღებხს ამ აქცივედ მის საქმიანობხს, რადგნაც გავცანი მისი კვლევის შედეგებს. ვუთხარი, რომ ზოგიერთი რამ მისი აღფაეტური შეპირისპირებებდან, შესაძლოა, არ იყოს ანსურადელი, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ იბეროელი ტიპის დამწერლობა გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთიდან პირინეის ნახევარკუნძულამდე. ამიტომ სრულიდაც არაა ვახსკირი ისტორიული მსგავსება იბეროელი დამწერლობის ზოგიერთი ნიშნების ქართული ანბანის ამა თუ იმ ასოსთან (რაც, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არაფერს გვუბნებდა თვითონ ენების შესახებ).

მეორე მხრივ, მე პირდაპირ ვუთხარი ზვედლომეს, რომ არ შეიძლება დაღუშვით რაიმე შესაძლებლობა იბეროული წარწერების განმარტების ქართული ენის მეშვეობით. ანბანი სხვა საქმეა, ხოლო ენა, რომელიც ამ ანბანის საშუალებით ფიქსირდება — სრულიად სხვა. სწორად ასეთი მდგომარეობა გვაქვს, ასეთი განსხვავება გვაქვს ზოტორიტას წარწერის შემთხვევაში, რომელშიც, როგორც ეს ჩვენში, ბასკეთში, დადგენილია. მხოლოდ ანბანი იბეროული, ენა კი, რა თქმა უნდა, ელტიბეროულია და შესაბამისად ინდეკავოკული. ამიტომაც თვითონ ცდა ამ წარწერის გავრების ქართულ ენის საშუალებით აბსურდულია“.

შ. კინტანა მეტად საინტერესოდ აღწერს ერთ ფოტოგრაფიან შეხვედრახაც. „ერთხელ, — აღნიშნავს იგი, — გრეტა ჩანტლაქემ წამოიყვანა ფოტოაკტილეში, რათა გადაეკეო სამახსოვრო სურათი. რუსთაველის ქუჩაზე ჩვენ შევედით ერთ ატელიეში. გადავიღეთ სურათი და ვკითხე ქართულად ფოტოგრაფს, თუ რა ელიტობოდა სურათები. ამაზე მან მიპასუხა: „ჩახკებისათვის არაფერი“. მე ძალზე გამიკვირდა და დავიბენი, რადგანაც ეს კაცი აღერ არახსოვს შენახა „მე მიცნობთ, ბატონო?“ — ვკითხე მას. „კი, მეგობარო, ტელევიზიით“.

შემდეგ, როდესაც ჩვენ მადლობა გადავუხადეთ, ამ კაცმა მინამო გრეტა და შეეკითხა, ხომ არ გვიონდა სურვილი გაგვესიტინა და ერთი ბოლოდ ღვიოც დაგველია? საქართველოში

შნელია ასეთ შემთხვევაში უარის თქმა თქმა ხაქმე ეხებოდა ქართულ ღვიონს, რომელიც მთელ მსოფლიოშია განთქმული. რა თქმა უნდა, მე დავეთანხმე და ერთად გავწიეთ ხასიეროლ. უზაზე მან მოგვითხრო, რომ ერთი ღღის წინ მნახა ტელევიზიით და იგი აღფროვანებული იყო იმით, რომ მე, ბასკი, ბასკი ძმა, ვლამარაკობდი ქართულად.

შემდეგ ჩვენ შევედით ერთ რესტორანში რუსთაველის ქუჩაზე, სადაც ჩვენ გავტოვამხინძლდენ სადღილით. აქ იყო როგორც ხიზილადა და კალმახი, ისე შემწვარი ცხვრის ხორციც, საქვარღვიონო და შამანური. ვარდა ამისა, ფოტოგრაფს ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს ამის შესახებ, იგი მთელა ხაწურტები საქართველოს მოსახორბად, მაგრამ ხაწურტები, რომლებიც მე მხს შეეთავაზე სამევიტოლ და ჩვენი მეგობრობის ნიშნად, მან კატეგორიულად უარყო. სხვათა შორის, ასეთი ამაღლებული, პირდაპირი გრძობები საქართველოში წინდაღ იანბნბა. ამიტომაც, როგორც ჩანს, ბასკურ ენაზე ასე კარგად ითარგმნბა რუსთაველი.

ასეთი შემთხვევები არაშეიათი იყო, რადგნაც ქართველიც ყოველგვარად ცდილობდა გამოაღწინოს ეს ცხოველი ინტერესი და სიმზათიები. რომლებიც მათ აქვთ ბასკების მიმართ“.

29 მაისს თბილისში შ. კინტანა დასწრებია ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს, რომლის შემდეგაც იგი მოუწვევით ვაშამზე, სადაც საქართველოს სსრ უფმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პავლე გილაშვილს მისი სადღეგრძელო შეუხვამს. „მან მომილოცა საქართველოში ჩამოსვლა და ქართველი ხალხს სასილით წარმოთქვა სადღეგრძელო ჩვენი ერთ ერის ძმობახა და მეგობრობაზე“, — წერს ბასკი სტუმარი.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი მოუწვევია საქართველოს კულტურის მინისტრს ოთარ თაქთაქიშვილს. „მე მას გადაეცეო წერილი, — წერს შ. კინტანა, — რომელიც გამომტანა ბასკეთის გენერალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მატურანამ. ეს წერილი შეიცავდა წინადადებებს კულტურის სფეროში ჩვენს ხალხებს შორის კავშირების განვითარებისა და განმტკიცების შესახებ. ო. თაქთაქიშვილი დადებითად გამოეხმებოდა იმ აზრს, რომ საქირთა წელზე გადადგმულ იქნას ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები“.

ანალოგიური წერილი შ. კინტანას გადაუცეო თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორ პროფ. დავით ჩხიკიშვილისათვის, რომელიც მისთვის გამოუტანებია სან-სებასტიანის უნივერსიტეტის რექტორს მარტინ მათეოს. „ქართველების მხრიდან, — აღნიშნავს შ. კინტანა, — გამოთქ-

ი. ზინბარძი, შ. ნებარძიძე  
საქართველო ბასკის თხალთი

მული იქნა აზრი, რომ ჩვენს ორ უნივერსიტეტს შორის კავშირების განვითარების მიზნით აუცილებელია თითოეულ მათგანში განხორციელდეს პროგრამა საქართველოსა და ბასქეთის კულტურის გასაცნობად, ასევე საქირაო სათანადო კვალიფიკაციის პროფესორებისა და მასწავლებლების გაყვლა იმ ანგარიშით, რომ მომავალში შეხამდებულე გახდეს მონოგრაფიული ხასიათის შრომების შექმნა.

„მე საქართველოში გავეცანი მხატვრებს, სკულპტორებს, მწერლებს, — წერს შ. კინტანა, — და მათგან ყველაზე ახლო მეგობრობა დავამყარე ვასტონ ბუაჩიძესთან, მისი დედა ფრანგია და თვითონაც ძალიან კარგად იცის ფრანგული. ვასტონმა მეტად რიტმული ლექსით თარგმნა ფრანგულ ენაზე რუსთაველის პოემა და მიუხედავად იმისა, რომ ეს თარგმანი ჭერჭერობით ქვეყნდება პატარა ნაწილებად „ბელი ქართლისაში“, შეიძლება ითქვას, რომ მიადგინა ნამდვილი შედეგის დონეს. ჩემი გასტონთან საუბრის შედეგად, მას გაუჩნდა აზრი, რომ შეადგინოს ქართულ ენაზე ბასკური პოეზიის ანთოლოგია, ხოლო მე გადაწყვიტე გავკეთო ანთოლოგიური ქართული ანთოლოგია ბასკებისათვის.

კიდევ ერთი კაცი, რომელიც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, არის რეზო ჩიეიძე, საქართველოს კინოსტუდიის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კინემატოგრაფისტა შორის. მან მე შემომთავაზა რამდენიმე წინადადება ქართული ფილმების ჩვენების ორგანიზაციის შესახებ ჩვენს ქვეყანაში“.

შ. კინტანა თბილისში მოუწევია ლადო გუდიაშვილსაც, მაგრამ შეხვედრა არ შეიძლება, რადგანაც ჩვენი სასიქაიდლო მხატვარი რაღაც გადაუღებელი საქმის გამო ქალაქიდან გასულა. ბასკი სტუმარი მიუღია ლადო გუდიაშვილის მეუღლეს. ამ ვინიტთან დაკავშირებით მას (ლადო გუდიაშვილის მეუღლეს) გაუხსენებია ერთი საინტერესო ეპიზოდი, რომელსაც პარიზში ჰქონია ადგილი: „მრავალი წლის წინ ჩემი მეუღლე პარიზში ცხოვრობდა. იგი ზღაპრულად გამო ორ დღეში ერთხელ სადილოდა, ერთხელაც მოაწყო თავისი ნაშრომების გამოფენა. ამ გამოფენაზე მოვიდა სულაგა და ნახა რა ნოვოგერითი ნამუშევარი ჩემი ქმრისა, აკიბისა, თუ სად ცხოვრობდა ლადო, რათა მისულიყო მასთან ხალხში და შეხვედრა მისგან რამდენიმე ნახატი. ლადომ, რომელიც იქვე იყო, მისცა მას თავისი მისამართი და, მართლაც, სულაგა რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა მასთან სახლში. სულაგა მამის 4 წელია და თანაც უკვე მეტად ცნობილი მხატვარი იყო. ჩემი ქმარი კი 2 წლისა იყო და ამიტომაც ჭერ კიდევ ყველაფერი წინ ჰქონდა. რამდენადაც ლადოს ახსოვს, სულაგამ მისგან იყიდა დაახლო-

ებით 15 ნახატი, გადაიხდა სათანადო ფასად წავიდა.

მისი წახლის შემდეგ გუდიაშვილმა მიხთვის დამასხსიათებელი მუყაითობით დააპირა თავისი მეგობარი მხატვრების მიმართება სადილზე რომელიმე რესტორანში, რომლებიც, ისევე როგორც იგი, იმუშებდნენ მარხულობდნენ. რადგანაც შლაპას იხურავდა, დაინახა, რომ ეს სულაგაც ქულია, რომელიც მან დაბნეულობის გამო დატოვა, თვითონ კი ლადოს შლაპა დაიხურა.

ლადო გამოვარდა ქუჩაში და იტალიურ ბუღარზე დაეწია სულაგას. გაიგო რა ამ უბრალო შემთხვევის შესახებ სულაგამ ლადოს უთხრა: „ო, ეს კარგი ნიშანია, თქვენც ასევე დიდი მხატვარი იქნებით, ჩემო მეგობარო!“ ამ მთელი ისტორიაც და თუშეცა ქულია აქ არაფერ შუაშია, მაგრამ არ შეიძლება არ გაიხსენოთ, რომ სულაგა მართალი აღმოჩნდა“.

როდესაც გუდიაშვილმა გაიგო, რომ მე ისევ თბილისში ვარ, — განაგრძობს შ. კინტანა, — მან თავისი ახალგაზრდობის წლების მისაგონარად მე, ბასკს, გამომიგზავნა თავისი ახალი ნახატი წარწერით. ვუპოვებდი ამ ნახატს და სხვათა შორის, განსაკუთრებით მაწუხებდა კითხვა: მაინც სადაა ის თხუთმეტი ნახატი გუდიაშვილისა, რომლებიც თავის დროზე მისგან იყიდა და წაიღო ჩემმა თანამემამულე სულაგამ? მეტად საინტერესოა იქნებოდა მათი მონახვა და ჩვენი ვიზიტობ, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ამისთვის“.

შ. კინტანა არ იფიქრებს იმსაც, თუ როგორი პაპულარობით სარგებლობს საქართველოში ბასკების ფეხბურთის გუნდი „ატლეტიკი“, როგორაა თქვენი „ატლეტიკი“ — ხშირად მკითხებოდნენ საქართველოში. ქართველები ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკვრები არიან და მათი გუნდი, განთქმული თბილისის „დინამო“, ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში, როგორც ჩვენშიც. ქართული ფეხბურთის გუნდი დაკომპლექტებულია მხოლოდ ქართველი ფეხბურთელებით“.

„1936 წელს ბასკური ფეხბურთის გუნდი, — განაგრძობს შ. კინტანა, — როგორც ცნობილია, ეწვია საქართველოს. ყველაზე საინტერესო მხატვრები მამინ კინოფირზე ჩაიწერეს და ეს კინოფირები მეც მაჩვენეს. ჩვენი თამაშის სტილი ქართველებს იმდენად მოსწონებოდა, რომ დღესაც კი, როდესაც რომელიმე ქართველი ფეხბურთელი განსაკუთრებით გამოირჩევა სხვებისაგან, მასზე ამბობენ: „ეს ფეხბურთელი კარგია როგორც ბასკი“. როდესაც მათ ვაიგებს რომ მე ვცინობ ირიბარს, ავტოგრაფების მსურველთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა“.

შ. კინტანა ყოფილა ზღაპრითა ინსტრუქტორიც. ამ რას წერს იგი ამის შესახებ: „ყველაზე დიდი და უღიდესიც კი საქართველოს კულტურ-

რის საგანმურებს შორის, ყველაზე უფრო ფა-  
სიული, ვიდრე მთელი მარაგი ოქროსა და ვერ-  
ცლის ნაყოფობებისა, რომლებიც დაცულია  
მუზეუმებში, უფრო მნიშვნელოვანი და განმა-  
ციფრებელი. ვიდრე საქართველოს მთელი მუ-  
ლეების, სასახლეებო და ციხე-სიმაგრეები, რომ-  
ლებიც ახე მრავლადაა მიმოფანტული მის  
მიწებს, და ველანში, არის თბილისის სახელ-  
მწიფო ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა, სწორედ  
ამ საციონალურ ბიბლიოთეკას მინდა ვუმღერო  
ამ მოკლე, მაგრამ აღტაცებით აღსავსე პიშნი.

ამ ბიბლიოთეკაში იდეალური წესრიგით  
წარმოდგენილია საქართველოს ყველა დროის  
არქივი, ყველა ძველი წიგნი, პაპირუსები და  
პერგამენტები, ხელშეკრულებები, შეფიცვები,  
დაპლომები, „გრაშობები“, ხეყულები და ა. შ.  
შე აქ ვნახე V საუკუნის პალიმფსესტები,  
ძველი დეკრეტები პერგამენტზე, შოთა რუს-  
თაფლის პოემის პირველი ხელნაწერები, ძვე-  
ლი დახვეწილი მინიატურები, სახელმწიფო  
ხელშეკრულებები, ძველი ქართული სამეფოს  
ქრონიკები და ა. შ. და თანაც ყველაფერი ეს  
შესრულებული იყო ქართულ ენაზე. შე ვიდე-  
ქი ყველაფერი ამის წინაშე შეიყვლი და უპო-  
ვარი, ცალკე შურით აღვსილი და ცალკე—სი-  
რცხვილით, ვიდრე როგორც თილიპუტი გი-  
განტის წინ. და თითქოს იმისათვის რომ შე  
სამოლოოდ გავენადგურებინეთ, მითხრეს  
სწორედ ამ დროს, რომ სულ რამდენიმე ხნის  
წინ მთელ მსოფლიოში გავრცელებული კატა-  
ლოგი ქართული ხელნაწერების მხოლოდ ეუ-  
თი ნაწილისა მოიცავს 14 ტომს.

დიდი ნაწილი იმ დოკუმენტებისა, რომლებ-  
საც შე ვათვალიერებდა, შედგენილი იყო იმ  
დროს, როდესაც ჭერ კიდევ არ არსებობდა  
დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის მრავალი  
სახელმწიფო და ეროვნება, მათ შორის ესპა-

ნეთიც და საფრანგეთიც, მაგრამ ქართველებმა  
უკვე მაშინ ჰქონდათ თავისი სახელმწიფო  
როგორც გარანტია ერის არსებობისა მომავალში  
და მისი აღმინისტრაცია უკვე მაშინ სარგებ-  
ლობდა მიწერ-მოწერისა და ძირითადი დოკუ-  
მენტაციის შედგენისათვის თავისი ერის ენათ.  
ამის შედეგად თანამედროვე ქართულ ენას  
ღრმად აქვს ფესვები ვადგმული თავის მდიდარ  
წარსულში და სარგებლობს საერთო სახალხო  
სიყვარულით, ხოლო დერში ამ ენისა ლიტერა-  
ტურასა, ხელოვნებას და ცოდნის სხვა სფე-  
როებში წარმოქმნის ახალ და ახალ შტოებს.  
ფოთლებს, ყუავილებსა და ნაყოფს ესე, რომ  
თვითონ არ ტყულებოა“.

დასასრულ შ. კინტანა ებება ქართველებისა  
და ბასკების ურთიერთობების საკითხს მომავა-  
ლში; „ჩემი საქართველოში უოგნის დროს,—  
აღნიშნავს იგი,— როგორც კულტურის მინის-  
ტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა, ისე თბილისის  
სახ. უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. და-  
ვით ჩხიკვიშვილმა გამოამტავვეს დიდი მისწ-  
რავება, რათა ხელი შეეწყოთ კონკრეტული ქა-  
რთულ-ბასკური ურთიერთობების განვითარე-  
ბისათვის, რომლებიც უნდა განხორციელდეს  
ბასკეთის გენერალური საბჭოსა და ჩვენი  
უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

ბასკურ-ქართული მიმოთეზის დამუშავება,  
მხოლოდ ეს-ესაა იწყება. ჩვენს ხელთ არსე-  
ბული მონაცემები, თუნდაც ისინი ჭერ კიდევ  
ვერ ამტკიცებდნენ ამ მიმოთეზას, უოკლე შე-  
მთხვევაში, გვინერგავენ დიდ იმედებს. ჭერ  
კიდევ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ რაც  
უფრო ადრე დავიწყებთ მუშაობას, მით უფ-  
რო ჩქარა მივიღებთ კონკრეტულ შედეგებს.  
ერთი ბასკური ანდაზისა არ იყოს, „დაწუე-  
ბული საქმე უკვე გაცეთებულად მოჩანს, ხო-  
ლო გაცეთებული ბაჭადლო ოქროა“.





## თქავ ჩვენკელი

# ფსევდონიმართლის ფასი

„ჩამო სულელო ლეკორალო“...

ალექსანდრ პუშკინი, „ქვის სტუმარი“

შარშან „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოცდა პუშკინის „მცირე ტრაგედიების“ ჩემული თარგმანი დედნის პარაფლური ტექსტითურთ. წიგნის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს გამსახკომმა მიიღო სსრ კავშირის გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტის რეცენზია (ჩვეულებრივ, ასეთი რეცენზიები სემლოუწერილია), რომელიც „ნაკადულმა“ გადაეგზავნა. ჩემთვის უცნობი რეცენზენტი მაღალ შეფასებას ამტევს „მცირე ტრაგედიების“ ახალ თარგმანს (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტ“, 9, VI), გვიზიარებს თავის შენიშვნებს და ბოლოს დასძენს:

«Вот, пожалуй, и все замечания. Они носят чисто «РЕДАКТОРСКИЙ» характер.

Может быть, они помогут Тамазу Чхеидзе сделать его замечательные переводы «Маленьких трагедий» еще более совершенными.

მოუკერძოებელი მკითხველისათვის აქ არაფერი უნდა იყოს გაუგებარი, მაგრამ სხვაა „დაინტერესებული“, განმარტებული კრიტიკოსი“ თინთ ატანალი „მკითხველი“, რომელიც „იღებს“, რომ „ქვეის სტუმარის“ თარგმანი იქნება „შეძლებილდამხედველი ზუსტი“. „იღებს“, რაღვან წინადაწინე იღებს, რომ სიტყვა-სიტყვაში თარგმანის ბჭარმდულ სიზუსტის ვერ ნახავს იქ. და აი, ეს „მკითხველი“ შემომოტანონილი ციტატადან იღებს ბოლო წინადადებას, მას წინ უმძღვარებს სხვა წერილიდან ამოღებულ კიდევ ერთ ციტატას (რომელიც „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტის ერთ-ერთ კითხვაზე გაცემულ პასუხს წარმოადგენს), კერძოდ: „ჩვეულებრივ, ჰგონია, რომ მთარგმნელს არ გააჩნია, ან არ უნდა გააჩნდეს საკუთარი სტილი, მაგრამ ივიწყებენ, რომ სწორედ სტილი აშუშავებს შემოკრძლივ რედაქციონულ, სიღრმისეულ სწავლის, და ეს სწავლის თარგმანის უსათუოდ შესაბამისი კირკვეულვით უნდა იყოს ალბანდოლის“, — და ასეთნაირ დასკვნას გვთავაზობს:

„დავაკვირდეთ (უკვე მერამდენედ მოგვიწოდებს, თ. ჩ.) — „მთარგმნელის სტილი“, „მთარგმნელის პიროვნულობა“, „მთარგმნელის მსოფლმხედველობა“. თარგმანზე ლაპარაკობენ და დედნის ბჭმარის შესახებ არაფერს გვეუბნებიან, თითქოს ის არც ბრძანობდეს(?) და არც

იყოს მოსხენიების ღირსი(?)... „დავაკვირდეთ“ და „დამოვინებთ“ (ეს სიტყვები უნდა იყოს ჩვენს კრიტიკოსს), რომ ინტერვიუს კითხვის პასუხში და იმ სამეგრედან წერილში, საიდანაც ეს ციტატება მომზადდა, არც ერთ კონკრეტულ თარგმანს და ამიტომ „დედნის ბჭმარის“ არ არის: ლაპარაკი, ანუ რომ, კრიტიკოსის მიერ „დედნის ავტორების“ დასაცვად რიხით თქმული სიტყვა წმინდა წყლის ინსინუბინა... მერე კიდევ გადავწავთ ის წიგნი, „დავაკვირდეთ“ და „დამოვინებთ“, რომ წერდით: „ბო ძოუ-ი“, „უოტ უტმენი“, „ლორაქა“, „ტროფები ქართულად“, „ახლად ალა მართის ახალი თარგმანი“, „მთარგმნელის გამარჯვება“, „რაბინდრანატ თაგორი“, „კაუ-ფი-ველა ზაბოლოცისეული თარგმანი“ და სხვ. — არამცხუ აღიარებულია „დედნის ბჭმარის“ არსებობა, „მოსხენიების ღირსადაც“ არის მიჩნეული მათი „სტილი, კირკვეულვად და მსოფლმხედველობა“. და რაც მთავარია, ეს წერილები წკითხული აქვს გ. პეტრიაშვილს. რა უნდა დაერქვას ამას? არაფერი, რადგან უკვე ჰქვია ზუსტი ხახელი — „ბჭმარის ბჭმარის ბჭმარის“.

16. ჩვენს კრიტიკოსს მიანია, რომ „покорный ученик“ უნდა მთარგმნა „მომრეა მწველად“ ან „შეძინდა“ და არა ისე, როგორცა მჭებს, — „უბრტულეს მსახურად“, — რატომ? თურმე იმითომ, რომ გვერდივერდ დაბჭედილი რუსული და ქართული ტექსტების წამკითხველი „ბავშვი ფიქტებს, რომ „покорный“ უერთგულებს ნიშნავს, ბოლო „ученик“ მსახურია. მაგრამ უნდა ვთხოვრობ გ. პეტრიაშვილს — ამას მხოლოდ ის ფიქტებს, ვინც თავის წერილს „ბჭმარის“ კითხვით იწყებს (დავიწყებ მთლად „ბავშვი“ კითხვით) და ამ კითხვებს „სწავნი ბჭმარის ბჭმარის“ პასუხობს (ბჭმარის ბჭმარის — ხახელებით სამართლიანად, ბჭმარის ბჭმარის ბჭმარის). ასეთი ინფანტილიზმი დაუშვებელია „ქვეის სტუმარის“ განხილვისას. პედაგოგიური მიზნებით „ალტინებულ“ კრიტიკოსი განაგრძობს: „შეიძლება ისე მოხდეს, რომ რომელიმე მათგანმა (ე. ი. მოსწავლემ, თ. ჩ.) ამ წიგნით რუსულის სწავლა გადაწყვიტოს და რა გამოვა, დედანში ერთი სიტყვა იწერება, თარგმანი კი სხვა...“ „სიტყვა-სიტყვით“ თარგმანის სტრუქტურის ბჭმარის ბჭმარის მათგანის მოტანა შეუძლებელია!

მაგრამ ჭერ უნდა დავამწვიდოთ „ბავშვის აღზრდით“ შემოფოთებული კრიტიკოსი. რატომ ჰგონია მას, რომ „ბჭმარის“ მინდობიანე პუშკინის ამ ფილოსოფიური პიესის კითხვით უნდა შეისწავლოს რუსული (პიესისთვის სპეციალური სახელმძღვანელოები არსებობს), იმ პიესის კითხვით, რომლის შინაარსსა და პრობლემატიკაში ბავშვობის ასაკს კარგა ხნით გადაცო-



ღებულის ბევრი მოწოდებით ვერ გარკვეულა? და მეორე, — რატომ ჰგონია იმავე გ. პეტრიაშვილს, რომ ეგრეთწოდებულ „პაპაშვიტს“, ზოგიერთი კრიტიკოსის მსგავსად, მაინცდამაინც სიტყვების „წესები“ შეპირისპირების ძიებას დაიწყებს?”

„პაპაშვიტს“ ამას ბრ აკეთებენ. ნუ გადავაბრალებთ მათ ჩვენს ფარულ ზრახვებს. ეს ცუდლულტობაც აღარ იქნება. მოვეშვათ „ბავშვურ“ კითხვებს და ვთქვათ, რით არ შეესაბამება დედნისა და თარგმანის ეს სიტყვები ერთმანეთს. მაგრამ ამის გასაგებად საქორთო მოვიტანოთ კონტექსტი, და აქ ჩვენ წავაწყდებით ერთ უცნაურ, შე ვიტყვით, უპრეცედენტო შემთხვევას, — კრიტიკოსს არც ერთი განსახილველი მავალი არ მოაქვს არამცოლ კონტექსტში (მაშინ მკითხველიხათვის თვალსაჩინო გახდებოდა დედნისა და თარგმანის მხატვრული შესაბამისობა), არამედ არც ერთი მავალითი არ არის მოტანილი ლექსური ფორმით. ლექსური ფორმა შეცვლილია პროზაული სტრუქტურით. მავალითები მოტანილია სტრუქტურების დაუყოფლად, დაწყვეტილი მუხლებით. რისთვის კეთდება ეს?

იმისთვის, რომ მკითხველს ზღელ შერჩევს განმლოლებული, საღეჭო რიტმიდან ამოვარდნილი სიტყვების გროვა, ინტონაციურ მთლიანობას მოკლებული და ამიტომ უზრუნველნი აქამდამდეგან გამოთიშული სიტყვების ქაში... ასეთი — ლექსის ბუნებრივი დინებიდან გარსული — სიტყვა კი მხოლოდ მრთინუნად სმინანტიპას ამჟღავნებს, კერძოდ, კომპონიპაციურს. და მაშინ ჩვენ იძულებული ვხდებით დაუჭეროთ „პაპაშვიტს“ ტიტის და ვლიაროთ, რომ ესა თუ ის სიტყვა შენარსით არ ემთხვევა დედნის ამა თუ იმ სიტყვას. მაგრამ როგორც კი ჩავსვამთ სიტყვებს პოეტურ (სძულს ეს „კომპონიპაცია“ გ. პეტრიაშვილს) კონტექსტში, ყველაფერი თავის ადგილზე დგება, ყველაფერი, — გარდა კრიტიკოსის „მეშაით“ სიჭიჭიკისა:

„დონ უფანი — გვიხნის კრიტიკოსი — იმით ამბობს გარყვნილების „მორჩილი მოწაფე“ ვიყავო, რომ სურს ერთგვარად აიკალოს პასუხისმგებლობა (ეს წარმოუდგენელი აბსურდაი თ. ჩ.); რა კვნა (წუწუნებს გ. პეტრიაშვილის დონ უფანი, თ. ჩ.), პაპაშვიტის სტიქია იმდენად მღიერი იყო, რომ სხვა გზა არ მქონდა და ვმორჩილებდიო“... „უცნიკ“ — ით დონ უფანი ამბობს: კი ვსწავლობდი ამ ცუდ (?) მცნობარებებს (?), მაგრამ არ დავსტატებულვარ (?), მთლად არ ბავშვთაბავშვობარო (?)“...

ეს იმდენად მახინჯი და ამასთანავე პრიმიტიული კომენტარია, რომ გაღივებაც არ შეუძლია საქმეს. ასეთი პროფანირებული და „გაწილებული“ დონ უფანის „აღსარება“ გ. პეტრიაშვილის კომენტარში.

ჭერ ერთი, „პაპაშვიტის სტიქია“ გამოცხადებს „ცუდი მეცნიერების“ შიშობილი „სტიქიით“ ატანილი კი არ სწავლობს და მსტატებდა, არამედ ბრმაღ მორჩილებს. პუშკინის მიერ აქ სწორედ ეს „მორჩილება“ უნდა იყოს აქცენტირებული, — მონაფესავით მორჩილი ვუფავო გარყვნილებისო, ე. ი. ერთგულად ვემსახურებოდი მასო. მეორედ, — დონ უფანი კი არ „სწავლობდა“, შესწავლილი მქონდა და სრულყოფილადაც ეს „ცუდი მეცნიერება“. მაქსიმალურად იყო „დაოსტატებული“ ამ საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქნებოდა „დონ უფანი“, ე. ი. უნივერსალიზირებული ტიპი იმ კაცისა, ვისაც წინ ვერ უღებდა ვერც ერთი ქალი, თვით „ანგელოსიც“ კი. დონ უფანი თავის სხმელსაც კი უშმელს ამ ქალს, მისგან მოკლებული დონ ალფარის ერთგულ ქვრივს, რათა მასი პირიპირადი შინაბანი ბარსი („დონ უფანიშვი“) კონდიციამდე იქნას მიყვანილი („ავტორები“ არ აკეთებენ ამას). საერთოდ, ეს „ავტორცობის სტიქია“ სრულიად გაუგებრობაა. დონ უფანს აწვალღებს „პაპაშვიტის ბაბაბაბის“, „შეშაფაფაფის შეშაფაფის“ ვნება (პათოსი) და არა „პაპაშვიტობა“. იგი „აღამიანური ბუნების“ აღიარების ლოზუნგით მისივე საუფძვლებს არუფვს და ამიტომ ისჯება ქვესტელური ძალით (ამ აზრით კომანდორის „ქეგლი“ ზებუნებრივ ძალას განასახიერებს).

„თარგმანის დონ უფანი კი უსიტყვილოდ აცხადებს (რისი უნდა შერცხვენიოდა? თ. ჩ.) გარყვნილების „უერთგულესი მსახური“ ვიყავიო“... იქნება არ იყო!

კონტექსტისადმი მტრულად განწყობილ კრიტიკოსს ჰგონია, რაკი „უცნიკ“ — ია ნახხენები, ჭერ კიდევ ბევრა უნდა ისწავლოსო, ჭერ კიდევ დიდი გზა აქვს „დაოსტატებამდეო“. აი, სადამდე მიმავს პუშკინის მიერ უარყოფილ „სიტყვა-სიტყვით“ თარგმანის აპოლოგიას ჩვენი კრიტიკოსი.

რუსული რეცენზიის ავტორს ჩვენი თარგმანის დედანთან ლექსიკურ სიახლოვეზე თავისი აზრი აქვს:

«В разбираемых нами переводах «Маленьких трагедий» хотелось бы подчеркнуть РЕДКУЮ ЛЕКСИЧЕСКУЮ БЛИЗОСТЬ К ОРИГИНАЛУ. В этом перевод Т. Чхенкели может успешно соперничать с хорошими переводами прозы. Думаю, что не без тайной гордости переводчик напечатал свои переводы рядом с пушкинским текстом».

პუშკინს შეეძლო გამოენახა თავისი თანამედროვე პოეტების ნაწერებში (რომელთაც ის

თამაზ ჩხენკელი  
ფსევდონიმბარტლის ფანც



უწომოდ აღმტატებოდა) ისეთი სიღამაზე, რასაც სხვები ვერასოდეს შენიშნავდნენ (იაკუშკინა), გ. პეტრიაშვილმა კარგი ვერაფერი ნანაჩემს თარგმანში: ვერც ერთი მოსაზრება სტრიქონში სამაგიეროდ, მის წერიალში მე ვნახე ერთი ისეთი შენიშვნა, რომელიც მოსაღიი და განათვალისწინებელია ჩემთვის. ამ შენიშვნებისათვის ორივეს ვფანადლო, თუმა მადლოის მტეტი წილი რეცენზენტს მიეთვლება, მართალია იმით კი არა, რომ საქმიანი შენიშვნები მომცა, არამედ, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მისი რეცენზია ქართული თარგმანის სრულყოფით გულწრფელად დანიშნა. გული კაცის რეცენზია.

17. ჩვენი კრიტიკოსის ან წერილში: მე კიდევ ერთი სტრიქონის თარგმანი „აღმოვაჩინე“, გ. პეტრიაშვილის თარგმანზე ლაპარაკი, პირველს (მერე ვერ დაუბოლო იქ შენიშვნის) უკვე გავცინათ, გავცენოთ მეორესაც. დონ უთანხმად აღმტატებოდა და არა „ფაქტობრივად“ გამომტატველი სიტყვები: „Чтен камня моего могли коснуться Вы легкою ногою или одеждой“ (ჩემს თარგმანში: „რომ უბედურის ხაფიავის ქვას ხანდახან მაინც მსუბუქი ფეხი დააკაროთ ან სამოსელით“ [მეცხადებოთ...]). გ. პეტრიაშვილს ანე აქვს თარგმანი: „...ხოლო თარგმანი აქვს იმ მიზნით, რომ დაგვანახოს, „რა განსხვავებაა დედანსა და თარგმანს შორის“: ნებად შენ უნახებდე სოლკე ვაშის ან ხაშის ჩემს სხვადასხვანს ძვანს“ (აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი კრიტიკოსი შეზღუდული არ იყო ლექსური მტრით). ახლა გავიხილოთ ეს თარგმანი პეტრიაშვილისეული „რუსები თარგმანის“ თვალსაზრისით, მისი სტრიქონის დატონის დაცვით:

მთარგმნელმა ამოაგდო სიტყვა „მსუბუქი“ და თვითმებურად ჩაუშინა „ნეტაც“. „ხოლო“, რომელიც დედანში არა გაქვს. პეტრიაშვილის ძმძმებს არ სტრიქონად კედლირებს. დედანში წერია „могли коснуться“, მთარგმნელი კი მალაშვარდოვანად გვეუბნება, „ნეტაც შენ შეაჩებდე“ ფხს. პუშკინის დონ უთანხმობა „КАМНИ МОЕГО“ — მთარგმნელი კი არ სტრიქონად „ძვანს“ და ამატებს „სხვადასხვანს ძვანს“, როგორცა ჩანს, ლექსის ზომის შესანარჩუნებლად. მთარგმნელმა გაამდიდრა შეუარულ და თქვა ის, რასაც თვით უნდა მიხვდეს მკითხველი, უფრო სწორად, რაც თვით უნდა იგრძნოს მკითხველმა. პოეტს პოეტი იმითმაც ჰქვია, რომ ზუსტად გრძნობს, რამდენი უნდა უთხრას მკითხველს საგნის, ფაქტის თუ მოვლენის შესახებ: არც ძალიან ცოტა, არც ძალიან ბევრი. თუ პოეტს ცოტას იტყვის (მაგ. „ძვანს“, თ. ჩ.), მკითხველი ვერ გაიგებს ნათქვამს, თუ საქიროვე მტებს იტყვის (მაგ. „სხვადასხვანს ძვანს“, თ. ჩ.), მკითხველი დაკარგავს მიხვედრის სინა-

რულს. სიმამრის მომატება არ სტრიქონში კინის ნაწარმოებს“...

მკითხველი სვლება, რომ ამ პაროდირებული ნაწევრის (ანუთი პაროდირებული სტილით აქვს განხილული მას ჩემი თარგმანი) პირველ ნახევარში ხაზგასმული სიტყვები და მთელი მეორე ნახევარი თვითონ გ. პეტრიაშვილს ეყუთვინს. მაგრამ მკითხველმა არ იტყოს, რას ეტება კრიტიკოსის ეს (პრეკლამაციის) დეკლარაციები და მალაშვარდოვანად ფუტსიტპავოდა. ეს ეტება ამავე სტრიქონის ჩემული თარგმანის ერთადერთი სიტყვას — „მომსაზრებელი“...

როგორც ვხედავთ, მე მაქვს „მოსაზრებელი“ გ. პეტრიაშვილისაგან „მწიქარდული ხაზგასმით“ თარგმანი, თორემ თვითონ ის „შემოქმედებითი თარგმანი“ მოხბრე ყოფილა იქ, სადაც საქმე კრიტიკულ სტატუსში მოთავსებულ მის ორადორ სტრიქონს ეტება. თარგმანის ერთ სიტყვად დახარჯული ანუთი „მეღვთისმეტყველი გულმოდგინება“ სჭარბს, სხვა ადგილას იყოს გააყუენებული, იქ, სადაც მისი ნაქვინობა სავალალო შედეგების მქონეა.

ეს ბარათაშვილისეული პოეტიზმი კი (და დამილითა მსაზრებელი), რაც გ. პეტრიაშვილს „აღმათ“ „დროგადასულ და დავიწყებულ“ სიტყვად ეტყენება, მე შემთხვევით არ გამოიყენებია აქ, ისევე, როგორც შემთხვევით არ შევანაცვლე პუშკინისეულ „წირო ქუხლს“ („УЗЕ-НЬЯЯ ПЯТКА“) ბარათაშვილისეული „მწიქარდული ფეხი“. კრიტიკოსს არც შეუნიშნავს ეს, არადა, მალაშვარდოვანი ტარადების მავიერად, მას სწორედ ამითანა კონკრეტული მავალითუბათ უნდა ეტყენებინა, პუშკინის მხატვრულ სახერბა სისტემისათვის რამდენად გამართლებულია (ხოლო თუ გამართლებული არ არის, — რატომ?) ასეთი შესაბამისობანი. მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, ასეთ რთულ რამეებს ვერ მოვუხილოთ ჩვენს კრიტიკოსსა და „დამწყებ მთარგმნელს“.

18. „Нелзя“ და „არ შემიძლია“ ხელ სხვადასხვა რამა (დაპარაქია ლაურას სიტყვებზე: «Мне двух любите нелзя»). «НЕЛЪЯЯ ობიექტურ მიზეზზე დაპარაქობს(?)», „არ შემიძლია“ — სუბიექტურზე, — ბრძანებს ჩვენი ყოვლისმცოდნე კრიტიკოსი, რომელსაც „დავიწყდა“, რომ ჩემს გარდა ორ სახელგანთქმულ ქართველ პოეტს ასწავლის ექუას... მიხეტრელებს, როგორ იტყვია ამ ფრაზის გ. პეტრიაშვილი „მომსაზრებელი“ (თქვას, აქა თარგმანში ხელს იწაფავს). და მერე, — რა „ობიექტური“ მიზეზები აქვს „ლად და ემოციურ“ ლაურას, რა ან ვინ უშლის ხელს ერთდროულად არამეოთხეულ, — სამი და მტეტი მამაკაცი შეიყვაროს? არავითარი „მომსაზრებელი“ მიზეზები არ არსებობს მისთვის, — „სუბიექტური“ — კი. იგი წრფელია, გავიხსენოთ ლაურას „ჩველი სინდისი“ და „წეობარობამდელი“ ხასიათი: იყვარებს

იმას, ვინც „ამ წუთს“ მოსწონს და „წუთიერად შეუვარებულს“ სხვა მამბაპაცი არ უნდა. ნუთუ ასეთი ელემენტარული რამ გაუგებარია? მაგრამ სხვანაირად ხომ ვერ მოგვთხოვდა გ. პეტრიაშვილი რუსული „ობიექტური“ ფრაზის ქართულენოვან „კალკას“, რასაც ვერა და ვერ მგუობს გ. პეტრიაშვილისათვის ბაშვილისაგან „მარტვიანი“, „მალაღმარადიანი“ და „სუბიექტური“ ქართული ენა.

ზემოთმოყვანილი მაგალითები სრულიად საკმაო იმისთვის, რომ თვალსაჩინო გახდეს: გ. პეტრიაშვილისათვის „გულღებელყოფილია უმცნუნელოვანები პროცესი — სათარგმნი ნაწარმოების ყოველმხრივი შესწავლა. უგულღებელყოფილია ტექსტის ანალიზი“... რატომ მოგვყავს ეს ფრაზები ბრქვალეზში? იმიტომ, რომ გ. პეტრიაშვილს ისინი ჩვენი მისამართით აქვს თქმული. „იმის მაგივრად, რომ (ტონს დააკვირდით, თ. ჩ.) მთარგმნელს გულდასმით გამოეკვლია დედნის“... დიახ, იმის მაგივრად, რომ კრიტიკოსი სწორად და საფუძვლიანად გარკვეულიყო დედნის რთულ პრობლემატიკაში, იგი ყოველად გაუმართლებელ, დაუსაბუთებელ და „ორიგინალურ“ მოსაზრებებს გვთავაზობს თავისი უხეირო ქართულით. მაგრამ ეს ვეღარ გააკვირვებს მკითხველს. ბასაპვირიც ის არის, რომ თავის ბანალურ თვალსაზრისებზე და პრიმიტიულ შეხედულებებს გ. პეტრიაშვილი საკმაოდ ღრმად ჩახედული სწავლულიც თავდაჯერებით, აზრიანი ტონით (რაც უკვე აღინიშნა კამასოი) და გაღალფარდებანი სენთენციების ფორმით გვიცხადებს.

მაგრამ ამას არ ემარობს ჩვენი კრიტიკოსი იგი ილაშქრებს თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი სკოლის წინააღმდეგ, რომლის დისკრედიტაცია სწავდა: „არც იხე კარგადაა საქმე, როგორც ბაშვილისაგან (ვინ უხატავს, — ვის? თ. ჩ.), თითო-ორილა(?) მთარგმნელის გამოკლებით უკველა მთარგმნელს აქვებენ (რომელ მთარგმნელს ერგო ასეთი უსაშველო ქება? თ. ჩ.)“... „მთარგმნელთა ბარბაქაულ ნაწილს (უნდა დაასახელოს, — რომელს?, თ. ჩ.) მცდარი წარმოდგენა შეექმნა ავტორისა და მთარგმნელის, დედნისა და თარგმანის ურთიერთმიმართებულად“... უნდა აღვნიშნოთ, რომ უკველა ეს დაუსაბუთებელი ბრალდება ცილისმწამებლურია. რეალური ვითარება გ. პეტრიაშვილის მიერ „დახატული“ სურათის საპირისპიროა სწორედ: „...გულდასაწყვეტია, რომ კრიტიკის შესვეურთა უკრადება მხოლოდ ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის განვითარებისკენაა მიმართული. არსად, არც ერთ წმინდში არ თქმულია სიტყვა მხატვრული თარგმანის პროფესიული კრიტიკის დღევანდელ დონესა და მისი განვითარების პერსპექტივებზე. მხატვრული თარგმანის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეუწყნარებელი ჩანს“ (დ. ფანჯიკიძე). როგორც ვნახეთ, გ. პეტრიაშვილის ეს წერილიც მხატვრული თარგმანის პროფესიული კრიტიკის შეტისმეტად დაბალი დონის მანკებელია.





# პრობლემა

## გუნებისგან, გუნებასთან თუ გუნებისთვის?

უპანახანდლ დრომდე აღიარებული იყო ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერების წამყვანი როლი თანამედროვე მეცნიერებაში. ამჟამად გაცილებით უფრო ძნელია გამოიყოს ამჟამად ლიდერი. ალბათ მართებული იქნება არა წამყვანი მეცნიერების ძებნა, არამედ იმ პრობლემების გამოაშკარაება, რომლებიც საზოგადოების წინაშე დგანან მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე. 70-იანი წლებისათვის ამ პრობლემებს შორის გაპოიყო ბიოსფეროს პრობლემა, ე. ი. აღამიანის გარემოს შენარჩუნების, აღდგენის და გაუმჯობესების საკითხების კომპლექსის პრობლემა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იხეხნ ისეთ ზრუნვას ბუნების დაცვაზე, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაში ხდება. განსაკუთრებით ბევრი რამ ევადება ამ მხრივ უკანასკნელი წლების მანძილზე. ბოლო წლებში ბუნების დაცვის სხვადასხვა საკითხების შესახებ მიღებული იქნა მრავალი კანონი და დღეგნილება. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხები ნათლად აისახა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის II მუხლში. 1974 წლის ბოლოს შეიქმნა ბუნების დაცვის სახელმწიფო ორგანო — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში იქმნება ბუნების დაცვის სპეციალური სამსახურები. 1974 წლიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებში ბუნების დაცვითი ღონისძიებები აისახა ცალკე განყოფილებად, მხოლოდ 1976 წელს ამ ღონისძიებებზე გაპოყოფილია 40 მლნ. მანეთი.

თი, ამ საკიბრბრბრტო საკითხებზე ესაუბრებიან „ესისკის“ მეთხველებს გარემოს დაცვის წამყვანი სპეციალისტები: ნაყო კეცხოველი — აკადემიოსი, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი; გიორგი ნატროშვილი — ეტრნალ „მნათობის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუღმივი კომისიის თავმჯდომარე; ლეონიდ რიგავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის აფხაზეთის ზონალური ინსპექციის უფროსი; ვერა ვაშაკიძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, შრომის პიგიენისა და პროფდავაადებათა ინსტიტუტის დირექტორი; ვახტანგ მღღვანი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერებისა და პროპაგანდის მთავარი სამმართველოს უფროსი; გიორგი ვიგაური — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე; ევგენი ბარათია — ეტრნალ „საქართველოს ბუნების“ მთავარი რედაქტორი; დავით ნაკანი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მეცნიერებისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი; საუბარს წარმართავს საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. თენგიზ ურუშაძე.



შეიძინევა თუ არა რესპუბლიკაში ბუნების დაცვის საქმეში არსებითი დადებითი ძვრები ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე?

**5. კაცხროველი** — ბუნების დაცვის საქმეში არსებითი დადებითი ძვრები ამ ორ-სამ წელიწადში არ მომხდარა. გარდა იმისა, რომ შეიქმნა ბუნების დაცვის კომიტეტი, რომელიც ღამობს ხელში აიღოს ეს დიდი საქმე, მაგრამ ჯერ ვერ დაუძღვია ადამიანთა უყუღმართობა რის ყველას შეეხება, გარდა ჩემისაო!

**ბ. ნატროშვილი** — ყოვლად შეუძლებელი იყო იმ საკანონმდებლო ღონისძიებებს, კონსტიტუციაში შეტანილ ახალ მუხლებს, რომლებიც ბუნების დაცვის საქმეს ეხებოდა, იმ ახლად დაარსებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც სპეციალურად ბუნების დასაცავად არიან შექმნილი, იმ მძლავრ პრობაგანდას, რომელსაც ეწევა ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია, შეუძლებელი იყო მთელ ამ მუშაობას არსებითი დადებითი ძვრები არ მოჰყოლოდა. ასეც მოხდა.

**ლ. რიპხაშვილი** — რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, დადებითი ძვრები, რასაკვირველია, შეიძინევა. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ ბუნების დაცვითი მუშაობა თითქმის ყველა სფეროში ფართოდ გაიშალა.

**მ. შაბუაძე** — გარემოს დაცვის ძირითადი ორგანოს — ბუნების დაცვის კომიტეტის შექმნა, ასევე სხვადასხვა უწყებებში გარემოს დაცვის კომისიების, საკოორდინაციო საბჭოების და სამსახურების შექმნა იმავე მეტაპლანზე, რომ უკანასკნელ წლებში გარემოს დაცვის თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯებიცაა გადადგმული.

**3. შიშკინი** — უდაოდ მისახალმებელია და მოსაწონია ის ინიციატივა ამ მიმართულებით, რომელსაც ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ანხორციელებს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, თსუ, სხვადასხვა უწყებანი, განსაკუთრებით ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა შესრულების უწყვეტი, მაგრამ აქ იბადება მეტად ლოკალური კითხვა. აკუმულირებს თუ არა ხაღლით, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით, პრობლემატური საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტის დონე და მასშტაბი? ვცოქობი ჯერჯერობით — არასაკმარისად!

**3. გიბარიაშვილი** — შემოიღია დადებითად ვუპასუხო ამ კითხვას ბუნების ისეთი კომპონენტის ნიშნით, როგორცაა ტყე. ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში შევეთრად შემიძირდა უკანონო ჭრების რაოდენობა, ხანძრები, საგრომობლად გაუმჯობესება ტყის დაცვა, გაუმწიდა ტყის ახალი მასივები და მრავალი სხვა.

**მ. ბარბაქაძე** — მართალია, ბევრი ღონისძიება

ბა ჩატარდა, რაც თავის კვალს დაამჩნევინებს ბუნების დაცვის საქმეს, მაგრამ ყოველივე ამას დრო სჭირდება.

**დ. ნაბანი** — უდავოდ. დღეისათვის ბუნების დაცვის საკითხებს გარკვეული უპრობლემა და ადგილი ეთმობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების და დაგეგმვის დროს. ყოველივე ამან არსებითი როლი შეასრულა ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესების საქმეში.

ბუნების რომელი კომპონენტი მოითხოვს განსაკუთრებულ დაცვას და რატომ?

**5. კაცხროველი** — ბუნების სამი ძირითადი კომპონენტი: მკერი, წყალი, ცოცხალი გარემო (მცენარეული საფარი, ცხოველთა საყარო). მკერი ისევ იწაბლება, ხროლავს ზესტაფონის ფეროს ქარხანა, ჯერჯერობით სათანადო ამონაოქვადამუშერები არ მუშაობენ. ავტომანქანებიც ასევე ხროლავენ. წყალში კვლავ ჩაღის გაუმწიფი კარხანის ნარჩენები. ერთ-ერთ თამბიურ აღინიშნა, რომ „თბილისის ზღვაზე“ აკრძალულიყო მოტორიანი ნავები. საპატრო ტრასა გადაწეულიყო ჩრდილოეთისაკენ, ისე რომ ზღვაზე არ გადავლო, მაგრამ არაინ ურობდა არ ილო. წყალი, მკერი და გარემო სხვის ადამიანის არსებობის ძირითადი საფუძველი და მას მეტა უპრობლემა სჭირდება. არც ის მიმართა მიინცდამინც გახასარებლად, რომ მთის მდინარეებზე წყალსაცავებს აკეთებენ და მდინარის ქვედაწეული წინდაუბედავად სცვლიან ბუნების რეჟიმს (ჭალა, ვრუნტის წყალი, თევზი და სხვა).

**ბ. ნატროშვილი** — რა თქმა უნდა, ბუნებაში არც ერთი კომპონენტის უფლებეულოცა არ შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებით დაცვასა და მოვლას მოითხოვს ტყე. ერთმა ცნობილმა ფრანგმა ბუნებისმეტყველმა თქვა: „ადამიანის გამარჯება — ნიადაგის გამარჯებაა. ორივე კი დამოკიდებულია ხის გამარჯებისაგან“. უტყველო შეუძლებელია არა მარტო ცხოვრება, არამედ, უზარლოდ, ხუნთვაც კი. მასზეა დამოკიდებული არა მარტო პურის, ქერის, ყურძნის და ლიმონ-მანდარინის მოსავალი, არამედ საერთოდ კაცობრიობის ფიზიკური არსებობა. სწავლულთა დასკვნით, მ მილიონი წელი დასჭირდა მცენარეს, რომ გამოეყო და დაეგროვებინა იმდენი ტენგადი, რაც დღეს ჩვენს პლანეტას გააჩნია. სწავლულებმა ისიც გამოთვალეს, რომ უწყვეტ გარდაღობა ხე დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებს 180 ლიტრ ტენგადს, ხოლო მოზრდილ ადამიანს დღეში, თუ უქმად წეებს და ისვენებს — სჭირდება 300 ლიტრი, ხოლო თუ მუშაობს — 700-900 ლიტრი.

ტენგადიო ხუნთვაც არა მარტო ადამიანი და ცხოველი, მას ხარბად ნთქავს მანქანაც.

**ბუნებმცნის, ბუნებმცნის თუ ბუნებმცნის?**

მსხუდუკი ავტონომილი 1.000 კმ-ზე ხარკავს იმ-  
დენსავე უანგბადს, რაც მოზრდილ ადამიანს  
სჭირდება მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ ეს  
ყველაფერი როდია! თანამედროვე სამგზავრო  
ოთხსართავანი რეაქტორული თვითმფრინავი ნიუ-  
იორკიდან პარიზში გადაფრენაზე ხარკავს მს-  
ტონა უანგბადს, ზუსტად იმდენს, რამდენსაც  
იძლევა დღეში 3 ათასი მქეტარი ტყე! თანაც,  
უნდა გვანსოვდეს, ევროპა ხარკავს 2-ჯერ მეტ  
უანგბადს, ვიდრე წარმოქმნიან მისი ტყეები,  
ხოლო ამერიკა—ორჯერ მეტს. უანგბადის და-  
გრავილი მარაგი კი ამოუწურავი როდია!  
ეს ცნობები ამოღებულია შაქვს ჩეხოსლოვაკე-  
ლი ავტორების წიგნიდან — «ცივილიზაციის  
ტროადული ცხენი». ამ წიგნში სრულიად ხე-  
მართლიანად აღნიშნულია, რომ კაცობრიობის  
ხსნა შეუძლია მარტოოდენ ტყეს).

**ლ. რიშპაპა** — აფხაზეთის ავტონომიურ რე-  
სპუბლიკაში ბუნების ყველა კომპონენტი განსა-  
კუთრებული დაცვის ღირსია, მაგრამ მე შინც  
გამოვყოფდი საშს — ტყეს, მიწის რესურსებს  
და წყლის რესურსებს, უფრო გარკვეულად —  
ზღვას.

**პ. ვაშაქიძე** — ატმოსფერული ჰაერი, წყა-  
ლი, ნიადაგი, საკვები პროდუქტების დაცვა  
მთლიანობაში ადამიანის, საერთოდ ცოცხალი  
ორგანიზმებისა და ბუნების დაცვას უზრუნველ-  
ყოფს. შეიძლება ითქვას, რომ გარემოს ეკო-  
ლოგიური ციკლი არ იძლევა იმის საშუალებას,  
გამოეყოთ რომელიმე გარემო, რომელიც პირ-  
ველ ყოვლისა მოითხოვს მოვლას, რადგან ერ-  
თის გაქუქყიანება ხსნა გარემოთა გაქუქყიანებას  
იწვევს.

**პ. მღვივანი** — ჩემთვის, როგორც გენეტი-  
კოს-ეკოლოგისათვის, რომელიმე განსაკუთრე-  
ბული კომპონენტის გამოყოფა — ძნელია!  
ბიოსფეროს (გარემოს) დაცვა უფრო გლო-  
ბალური მასშტაბის მომცველი საკითხთა სა-  
კითხობა და მისი განსაკუთრებული დაცვა და მო-  
ვლა ერთიან საქმედ მიმჩნია; ამა ვის გაუგია,  
სიცოცხლის დანაწევრება ცალკეულ კომპონენ-  
ტებად — იგი ერთიანი და ურთულესი მარმო-  
ნიულონითაა შეთანაწყობილი, როგორც კარგი  
სიმფონია ევოლუციისა და მუდმივი განვითარე-  
ბა-განახლებისა.

**ბ. გიბაძე** — ატმოსფერული ჰაერი, რადგა-  
ნაც მისი გაჯანსაღება, ისევე როგორც კონ-  
ტროლი, საკმაოდ რთული საქმეა. ვინც თბი-  
ლისში ცხოვრობს, კარვად გრძნობს ამ პრო-  
ბლემის აქტუალობას, იზრდება მანქანების რა-  
ოდენობა და სამწუხაროდ სულ უფრო და  
უფრო იგრძნობა ჰაერის გაბინძურება.

**მ. ბარბაქაძე** — მასხალბო ბუნების კომპო-  
ნენტებზე (როგორც ცხოველთა, ისე მცენა-  
რთა სამყაროდან), რომლებიც განსაკუთრებულ  
დაცვას მოითხოვენ, რომ არ გადაშენდნენ, იბ-

ეძლება ჩვენი ჟურნალის ფოტოქმის უკუღმრთე-  
ერში რუბრიკით „წითელი წიგნი“.

**დ. ნაბანი** — ბუნება მთლიანად მოითხოვს და-  
ცვას და რომელიმე კომპონენტის ასე ვთქვათ  
„პრივილეგია“ ამ დროს ალბათ მხოლოდ უშუ-  
ალოდ შექმნილი ადგილობრივი პირობებით თუ  
განისხავდება. საქართველოს ბუნება მისთვის  
დამახასიათებელი მრავალფეროვნებით და აქე-  
დან გამომდინარე სირთულით რომელიმე კო-  
მპონენტის „პრივილეგიას“ გამოირჩევას.  
ფაქტობრივად შეუძლებელია და მე შგონი,  
არც არის სწორი დაცვის თვალსაზრისით ბუნე-  
ბის რომელიმე კომპონენტის ცალკე გამოყოფა.  
რა უნდა გავთვდეს პირველ რიგში ჩვენში  
ბუნების დაცვის მკვეთრი გაუმჯობესების თვა-  
ლსაზრისით?

**ნ. კაცხვიანი** — პირველ რიგში შემცირ-  
დეს კონფერენციები, თათბირები, სიმპოზიუმე-  
ბი ბუნების დაცვაზე და მთელი ეს ენერგია  
მოხმარდეს კონკრეტული ღონისძიებების ცხო-  
ვრებაში გატარებას. უმაღლეს სასწავლებელში  
ყველა ფაქტობრივად შეიძლებულ აქნას ყურსი  
ბუნების დაცვაზე და კურსის წაყობვა მიენ-  
დოს კომპეტენტურ სპეციალისტებს. განსაკუთ-  
რებულად უურაღებია მიეცეს არქიტექტორთა  
და ინჟინერ მშენებელთა ამ მხრივ მომზადებას  
და გადამზადებას, რადგან გეგმის განხორციე-  
ლების დროს უოველთვის ანგარიში არ იღე-  
ბენ მცენარეული საფარის ხიკეთეს.

**ბ. ნატროშვილი** — ნუ გაგვიკვირდებათ, თუ  
აქ პირველ რიგში ფსიქოლოგიურ ფაქტორს  
დავასახებებ — გული უნდა შესტკოვდეს ყვე-  
ლას, ეს არის მთავარი. და თუ გულში ერთი  
წერია და ქალაღზე მეორე, მაშინ ზრუნვა-  
საც. დადავილებსაც ფორმალური ხასიათი  
იძლევა. კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა  
ტყეს უნდა უცქეროდეს როგორც თავის ვენახს,  
სადაც არ შეიძლება ვაწის აჩეხვა.

**ლ. რიშპაპა** — პირველ რიგში უნდა ამაღ-  
ლდეს სამინისტროების, უწყებების, ორგანიზა-  
ციების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა პირ-  
რადი პასუხისმგებლობა. აღერ თუ ამ საკით-  
ხებს გულგრილად და დაუდევრად ეკარობოდ-  
ნენ, დღეს ამის დაშვება არავითარ შემთხვევა-  
ში არ შეიძლება. ბუნების დაცვა კონსტიტუ-  
ციური მოთხოვნაა და ყველა მოქალაქე ვალდე-  
ბულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.

**პ. ვაშაქიძე** — ბუნების გაბინძურების შე-  
სახებ არსებული პრაქტიკული მონაცემების  
(ცალკეული უწყებების მიერ გაანალიზებული)  
განვოგაღებთ, დღეისათვის რესპუბლიკაში  
არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება და  
აქედან გამომდინარე გენერალური გეგმის შე-  
დგენა აღნიშნული დარღვევების თავიდან ასა-  
ცილებლად და ბუნებისათვის დამახასიათებ-  
ელი რეჟონანსის აღსადგენად.

**პ. მღვივანი** — ბუნებისა და ბიოსფეროს

დაცვაზე უპირველეს აშკარად მიმართა ზოგადო კულტურისა და განათლების დონე. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ უნდა ჩამოყალიბდეს განათლების ერთიანი სისტემა, როგორც ეს არის რევოლუციური იუნივერსიტეტის მიერ მოწვეული 1977 წლის სამთავრობათაშორისო კონფერენციის თბილისის დეკლარაციაში.

**ბ. ბიბაშვილი** — უნდა გააძლიერდეს მეცნიერების კავშირი წარმოებასთან და უფრო ეფექტური გახდეს ბუნების დაცვის საქმეში მეცნიერული მიღწევების დანერგვა.

**მ. ბარბაქაძე** — ბუნების დაცვის მკვეთრი გაუმჯობესება მართკო ერთი უწყების მოვალეობა როდია. ამ საშვილიშვილო საქმეში, გარდა ამ საქმისათვის მოწოდებული უწყებებისა, როგორც არიან, მაგალითად, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმი, აქტიურად უნდა ჩაებნენ სხვა უწყებები და ორგანიზაციებიც, ყველა დაწესებულება, ქარხანა, ფაბრიკა, მაგამ მათი ჩაბმა ამ აღდნმშენელოვან დონისძიებაში არ უნდა ატარებდეს შემთხვევით, კამპანიურ ხასიათს. იგი უნდა იყოს ამა თუ იმ უწყების, ორგანიზაციის, დაწესებულების, ქარხნისა და ფაბრიკის გეგმის ორგანიზაციის ნაწილი და უნდა სრულდებოდეს ისე, როგორც გეგმა. სხვაგვარად ბუნების დაცვაზე მსჯელობა ლიტონი სიტყვაა.

**დ. ნაბახიძე** — შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, რითი უნდა აღდნოთ ბუნების დაცვა საერთოდ, გვიჩვენა 1977 წ. ოქტომბერში ქ. თბილისში გატარების დარგში განათლების ხაკითებზე ჩატარებულმა იუნივერსიტეტის პირველმა სამთავრობათაშორისო კონფერენციამ. უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო, რომ სწორად განათლებამ, აღზრდამ უნდა ვანაპირობოს ისეთი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება, რომელიც სწორად შეიცნობს ბუნების კანონებს და რაც მთავარია, სწორად გამოიყენებს მათ ადამიანთა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების დროს. თბილისში ჩატარებულმა ფორუმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოძახილს, მის შედეგს პირობა წლის შემდეგ ვიხილავთ, როცა ცხოვრების ასპარეზზე გამოვლენ ახალი ტიპის ადამიანები.

დღეისათვის რესპუბლიკაში ბუნების დაცვის გაუმჯობესების თვალსაზრისით საქართველო უფრო მკაცრი კონტროლისა და უფრო მკაცრი სასჯელის დაწესება ყველა იმ პირისა თუ ორგანიზაციათა მიმართ, რომელთა მოქმედებაც ვერც გარემო ბუნებას, ხდის მას ადამიანთა მომავალი თაობებისათვის გამოუსადეგარს და მავნებს. აღმინისტრაციული კონტროლის გაძლიერებასთან ერთად საქართველოს თემების მიხედვით ყველაზე ახლო მდგომი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას ბუნების დაცვის სამე-

ცნიერო ცენტრი; უნდა დაჩქარდეს ბუნების ცალკეული კომპონენტების მიხედვით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ჩამოყალიბება, რათა დროულად შეიქმნას ნიადაგი რესპუბლიკაში მძლავრი ბუნებისდაცვითი ინდუსტრიის შესაქმნელად, უნდა მოგვარდეს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის სპეციალისტების მოწალება, რათა ბუნების დაცვის სამსახურები, სხვადასხვა სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები რეგულარულად მარაგდებოდნენ ამ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

რა ძირითადი სინდრომების დაძლევა მიგანინათ საქართველოს ბუნების დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

**ნ. კახიანი** — ბიოლოგიის უწყვეტ-მართობის მოსაზრება. თავის სამრეკლოდან ზარის ბრახუნის ჩაქრობა. ზემდგომი ორგანოების დადგენილებების განუხრებლად შესრულება.

**ბ. ნატროშვილი** — საქმე ის არის, რომ რაც დრო გადის, რაც უფრო მძლავრად ვითარდება ინდუსტრია და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მით უფრო ძნელდება ბუნების დაცვის საქმე. დიდი ცოდნა, გამოცდილება სჭირდება ამ ორი ბუშმერაზის მორიგებას. პირველი მათგანი — ცივილიზაცია, მანქანა, რკინა, მთელი მეცნიერულ-ტექნიკური რევილუცია შეტევაზეა გადასული, მეორე კი, — ე. ი. ბუნება თავის იცავს, იცავს იმიტომ, რომ ის აუცილებლად უნდა ცოცხლობდეს, უმისოდ შეუძლებელია ადამიანის ყოველგვარი შრომითი საქმიანობა. ეს ორი ბუშმერაზი ერთი-მეორეს უარყოფენ და თანაც ადამიანი ვერ დასთმობს ვერც ერთსა და ვერც მეორეს.

**ლ. რიპაბაძე** — უნდა ვალიაროთ, რომ მოსახლეობის ვარკვეულმა ნაწილმა ჭერ კიდევ ცუდად იცის ბუნების დაცვის კანონები. ამაში არა იშვიათად ორგანიზაციის ბელმძღვანელებიც სცოდავენ. ეს უნდა გასწორდეს. უნდა გავიგოს ყველამ, როგორც ეს სკკპ XXV კრილობაზე აღინიშნა, რომ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებისაგან არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის გეგმების წარმატებით შესრულება, ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობა, იეს დიდი სოციალური საკითხია. საქმეს იხივ ხელს უშლის, რომ ბუნების დაცვის ხაკითებზე დასაქმებული ორგანიზაციები დაქსაქსულია, საქმიანობა მათი გაერთიანება, ერთ ხელში მოქცევა. მაგრამ ამ პრობლემების გადაწყვეტა ადვილად ვერ მოხერხდება. გასულ „პრადის“ ფურცლებზე არერთხელ გამოიტყვა აზრი იმის შესახებ, რომ შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო კომიტეტი ან სამინისტრო, რომელიც ბუნების

ბუნებისდაცვის, ბუნებისდაცვის თუ ბუნებისდაცვის



დაცვის საკითხებზე დასაქმდება. ეს საკითხი დიდი ხანია მომწიფდა და ალბათ დადებითად უნდა გადაწყდეს. მისი გადაწყვეტა კი დიდად შეუწყობს ხელს ბუნების დაცვის აუჯანას მაღალი მოთხოვნების დონეზე.

3. ვაშალიანი — ჯერ კიდევ მთელი რიგი მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის დარგების ხელშეწყობის მთლიანად არ აღუქვამთ ეს სერიოზულობა და საშინაოება, რასაც უქმნის კაცობრიობას და მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას გარემოს ეკოლოგიური კავშირების შემდგომი დარღვევების გართულება, ამის მიზეზი ალბათ არასაკმარისი პროპაგანდა და ინფორმაციაც შეიძლება იყოს. ამიტომაც მათთვის ჯერ კიდევ გაუგებარია იმ არსებული ეკოლოგიური პოლიტიკის ატრიაბუტების შესრულება, როგორცაა დაბინძურებულ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დაცვა, გამონაფრქვევების დასაშვები ნორმებისა და სტანდარტების დროული დანერგვა პრაქტიკაში, გარემოს დაცვის დონისთვის ზე ფინანსირების ხანაითა და დონე და სხვ. საძნელე იმასაც მდგომარეობს, რომ დღემდე არ არის მიღწეული ატმოსფერული ჰაერის, წყლის, საკვების ნივთიერებების ხარისხის შემსწავლელი რესპუბლიკური სამსახურის შექმნა.

3. მდინარე — საძნელეთა ჩამოთვლის ნუსხა ალბათ ისეთი გრძელი იქნება, რომ უმჯობესია მათზე ცალკე ვიშკელოთ უფრონად „საქართველოს ბუნების“ ფურცლებზე.

3. გიბაშინი — მაღალკვალიფიკაციური კადრების სიმცირე.

3. ბარბანი — ბუნების დაცვის საქმეში ძირითად სწინედელ ვთვლი ბუნების შეუფასებლობას. ყველა მათგან იყოს, რომ ბუნება ადამიანის სიცოცხლის წყაროა და უფურცებს მას, როგორც დღის მიერ ნაბიძგს სიყუთეს. სინამდვილეში კი საჭიროა მასების ეკოლოგიური განათლება. იხე როგორც ერთ დროს ადამიანის კულტურული ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი წერა-კითხვის უცოდნარობა იყო, ასევეა ამჟამად ჩვენი ბუნების მიმართ.

3. ნაბანი — ძირითადად ორი რამ. პირველი ეს არის ადამიანის ბუნებაში, ფსიქიკაში ათასწლების განმავლობაში ჩამოყალიბებული — უღარდელი დამოკიდებულება ბუნებისადმი, ბუნებისაგან საკუთარი თავის გამოყოფა და ბუნებრივი კანონების ცალმხრივად გაგება-გამოყენება. პირიქით „მხოლოდ ბუნებისაგან“ და არა „ბუნებისათვის“. რადგან „ბუნება ყველაფერს აიტანს, ყველაფერს მოგვანდის, მისი ხიმიდარე ამოუწურავია“, „ჩვენ ბომ ვკუთვართ“ და ა. შ.

მეორე, ეს არის — უწყებრიობა და ბუნების დაცვის ძალების დაქაქსულობა, უწყებრივი ინტერესების ზოგადბუნების დაცვისა და გაუმჯობესების ინტერესებზე მაღლა დაყენება.

საკმარისია თუ არა ახალგაზრდების მონაწილეობა ბუნების დაცვის საქმეში და რა გზითაა შესაძლებელი მათი როლის ამაღლება?

3. აქსონგული — ჩვენი ახალგაზრდობა ბევრს აცემთ, მაგრამ არაა საჭიროის. ხელშეწყობაში მისი მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ ახალგაზრდობა მართლა დაინახონ მათი მუშაობის სიყუთე. მაგალითი: ყოველწლიურად სკოლები რამდენიმე ასეულ ათას ნერგს რგვენ, მაგრამ რამდენია აქედან გაზარებული? რაც უკანასკნელ 30-40 წლის მანძილზე დავრგეთ, რომ ეხარა, სამ საქართველოს ტერიტორიას ეყოლოდა.

3. ნატონგული — ჩვენი ბავშვები—პიონერები და მოსწავლეები თვითონ არიან საქართველოს ფლორისა და ფუნის გულმხრეველი და მოუღლელი დამცველები, მათ კარგად აქვთ განვითარებული პატრონის გრძნობა, ის გრძნობა, რომელიც ჩვენი დროის ქაბუკა და ქალიშვილს ჩასძახის—ეს ქვეყანა შენია, შენი სახლ-კარია მთელი ეს ლამაზი მიწაც, ეს ტყეც, ეს მდელიც, ქალაცა და ჩანჩქერიც. წინაპრებმა შენ გადმოგცეს იგი, რათა შენ შენს შვილებსა და შვილიშვილებს უფრო გალამაზებული და გამდიდრებული გადასცე. ეს გრძნობა ჩვენი მოზარდებს, ნორს თობას მუდარბილი აქვს გამჭდარი, ამას თვითონ ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მაღალი მუშანაწიითა და პატრიოტიზმით განსკეალული ატმოსფერო განაპირობებს. მაგრამ აქაც, ძალზე ხშირად, უცნაურ ამბებს წაწყდებით. საშწუნაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა არასრულწლოვანები დამოუკიდებლად დადიან ტყეებში ხანადროდ, შეიარაღებულნი თოფით, რომლებიც ეკუთვნის მათს მამებსა და ახლო ნათესავებს. ბევრი დაუფიქრებელი მშობელი ამას თითქმის ნორმალურ ამბად სთვლის, ზოგი თავსაც კი იწონებს — შეხედეთ, რა ყოჩაღია ჩემი შვილიო. სინამდვილეში კი ეს გასაკიცხია საქციელია.

სკოლის შემქლია და კიდევაც უნდა თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ, ამ საკითხის განხილვის შემდეგ დადგინებულაში შეიტანა მუხლი იმის თაობაზე, რომ აღიძრას საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მან სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენის დროს, სათანადო დისციპლინებში (ბუნებისმეტყველება, ზოოლოგია, ბიოლოგია, მხატვრული ლიტერატურა) გაითვალისწინოს შესაფერი მასალის შეტანა, რომელიც მოზარდ თაობას თავიდანვე აღძრავს დამინტერესებს ბუნებისადმი, როგორც უშვირფახესი ეროვნული საუნებისადმი, ასწავლის იზრუნოს მასზე, დაიცვას, გაუფრთხილდეს,

3. რიგვაპა — არაა საკმარისი. საშწუნაროდ, ჩვენ ამ მიმართულებით არ გავკვირებ-

ბია უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ხასიათის ღონისძიება,

ამჟამად ჩვენ, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ შევიწყობავეთ ღონისძიებები და ეფექტობ, ახალგაზრდობის მონაწილეობა ბუნების დაცვის საქმეში უფრო კონკრეტული, შინაარსიანი და შედეგიანი გახდება.

3. ვაშაპიძე — ახალგაზრდობის როლი ბუნების დაცვის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია, მიუხედავად ამისა დღეისათვის ახალგაზრდობის ინიციატივა ამ მიმართულებით ნაკლებად შეიმჩნევა.

3. მდივანი — ვფას აშინავენ ხტროფები აილო დღეისად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პრობლემური ცენტრის გაერთიანებულმა ექსპედიციამ „დაჭრილი ბუნება“ ამ ზაფხულს:

ხევი შოს მონებს, შთა — ხეცსა,  
წყალნი — ტყეს, ტყენი მღინარეთ,  
ყვავილნი — მიწას და მიწა —  
თავის აღზრდილთა მცინარეთ .  
და მე ხომ ყველას შონა ვარ  
პირზე ოფლ-გადამღინარეთ!

ეს საინტერესო ინიციატივად შესახება, ახალგაზრდად შეუძლიათ იმოქმედონ რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობამაც, რომელთა კოლექტივებშიც არიან ალბათ ამ საქმის მოჭირნახულე და კომპეტენტური ენთუზიასტები.

2. გიბაძე — არაა საქმარისი. ახალგაზრდებს მეტი დანხარება სჭირდებათ. საქაროა მათი აღზრდის დახვეწა ბავშვობიდან ბუნების სიყვარულის თვალსაზრისით.

2. ბარბაქაძე — ახალგაზრდობის მონაწილეობა ბუნების დაცვის საქმეში ჭრჭერობით უმნიშვნელოა. ახალგაზრდები მაშინ ამწვანებენ ჩამორტყხილ ფერდობებს, როცა ამ მხრივ საერთო ღონისძიება ტარდება. ცალკე მათი ინიციატივა არ შეიმჩნევა. ამის საილუსტრაციოდ მართო თბილისის მაგალითი კმარა. თბილისის გარშემო გატიტვლებული მთებია. ახა, რომელმა კომკავშირის ორგანიზაციამ ითავა მისი გამწვანება და რომელმა გამწვანებულის დაცვა?

2. ნაბანი — დღეს ახალგაზრდობის როლი ბუნების დაცვის საქმეში არაა საქმარისი, მაგრამ მკერა რომ ახალგაზრდობა მალე იტყვის თავის სიტყვას.

ჩვენს ინტერვიუში მონაწილე სპეციალისტების კომპეტენტურობა ბუნების დაცვის საკითხებში, მათი საქმოდ ფართო და საინტერესო პასუხები, რომლებიც თითქმის ყველა საკითხობოროტო საკითხს ეხება, ალბათ არ საჭიროებს მოკეპული მასალის კომენტარს. ასეც მოგიტყვიეთ. გვიდა მხოლოდ ორ კითხვაზე შევჩერდეთ. პირველსა და უკანასკნელზე.

შესაძლებელია გასაკვირი იყო, რომ პირველ კითხვაზე, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შეიმჩნევა თუ არა რესპუბლიკაში არსებითი დადებითი ძვრები ბუნების დაცვის საკითხებში ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე, — ერთიანი პასუხი ინტერვიუს მონაწილეებმა არ მოგვეცეს. უფრო მეტიც, არც ერთმა კითხვამ არ გამოიწვია ისეთი საწინააღმდეგო პასუხები, როგორც ამ კითხვამ. რაშია საქმე? ჩვენი აზრით, უნდა დავეთანხმოთ იმ სპეციალისტებს, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ იმ დიდ ზრუნვას, რომელსაც იჩენს ჩვენი პარტია და მთავრობა ბუნების დაცვისადმი საერთოდ და, კერძოდ, რესპუბლიკაში. ამ მხრივ ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდი ნაბიჯები გადაიდგა. უნებლიედ იბადება კითხვა, შეესაბამება თუ არა ჩვენი მიღწევები ბუნების დაცვის საქმეში, იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გაეფარინა? ალბათ, არა, და აქედან გამომდინარე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად მთელი რიგი არსებითი წარმატებებისა, არსებითი ძვრები ჭერ კიდევ არ შეიმჩნევა. ეს მდგომარეობა კიდევ ერთხელ დასტურებს იმ კუშიარტებას, რომ ბუნების დაცვის საკითხებში მაშინ გვექნება სასურველი შედეგები, როდესაც ეს საქმე მთელი ჩვენი მოსახლეობის დიდძალი საქმე გახდება. ამ კიდევ ბევრია გასაყვთებელი. სხვანაირად, ვერც ერთი საზოგადოების, კომიტეტის, სამინისტროს საქმიანობა სასურველ შედეგს ვერ მოგვეცემს. იმიტომ რომ, ბუნების დაცვის საქმე იყო, არის და უნდა იყოს საყოველთაოდ სხაზლხო საქმე.

გულსატკენია, რომ კითხვაზე, თუ რა ადგილი უკავია ახალგაზრდობას ბუნების დაცვის საქმეში, პასუხები უპროფითია. მართლაც რომ, ჩვენს ახალგაზრდობას ვაცილებით მეტის ვაკეთება შეუძლია და კიდევაც უნდა გააყვთოს. ამაში კი მას უფრო მეტი შხარადა-კერა და დახმარება ესაჭიროება

ადგილი შესამჩნევია, რომ ინტერვიუს ტონი ოპტიმისტურია. ეს გასაგებიც არის. ჩვენ გეყვრა, რომ ბუნების დაცვის საქმეში სულ მალე სასურველ შედეგებს მივითვბო.





რუსთაველის თეატრი ამა წლის აგვისტოს თვეში (20-დან 25-მდე) იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, სადაც მიიწვიეს ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. უცხოელმა მსაჯურებელმა ნახა რუსთაველთა ორი სპექტაკლი: ბ. ბრეჰტის „აკაკასიური ცარცის წრე“ (4-ჯერ) და „შექსპირის „რიჩარდ III“ (სამჯერ).

მკითხველებს ვაცნობთ დიდი ბრიტანეთის პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიების ერთ ნაწილს სრული სახით.

თარგმანი მოამზადეს ლილი ფოფხაძემ და გელა ჩარკვიანმა.

## რუსთაველის თეატრი ედინბურგში

### კამკასიური ცარცის წრე

(„ვანდენვულ ტაიმსი“, 22 აბვისტო)

ეს ბრეჰტის „წრის“ მეხამე დადგმაა, რომელიც წელს ვნახე. იგი არა თუ ხეობს ორ დანარჩენს, არამედ მნიშვნელოვნად აღემატება ბრეჰტის ნებისმიერი პიესის საუკეთესო დადგმას, რომელიც კი ოდესმე მინახავს ბერლინერ-ანსამბლის ფარგლებს ვარეთ. როცა ვამბობ, ბერლინერ-ანსამბლის ფარგლებს ვარეთ-მეთქი, ამასთან დაკავშირებით მე ჩემი საკუთარი აზრი მაქვს.

ბრეჰტის ინტელექტუალური ფოკუსები — VERFREMDUNG-ის ფაობაზე — ამოღებულია. რობერტ სტურუას დადგმას, რომელიც „ლაიხიემის“ თეატრში უჩვენა თბილისის რუსთაველის სახელობის ქართულმა სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა, საფუძვლად უდევს დახვეწილი აქტიორული თამაში, გრაციოზული მოძრაობები და მხიარულების ყოვლისშთანთქმელი გრძნობა. ეს ქემშარბიტად სახალხო თეატრია.

სცენა ცარიელია. ერთ კუთხეში მიყრილია ძველი ავეჯის გროვა, იქვე რუჯაა გაკრული, რომელზედაც კაკასია ცარცის წრით არის შემოხაზული. აქ უ. დოლაშვილს, ენერგიულ წამყვანს, თავისი ბაზა და მიკროფონი აქვს. მოპირდაპირე მხარეს ფორტეპიანოს უწის პიანინო (ლ. სიუმაშვილი), რომელსაც თავზე ძველი ყავისფერი ცილინდრი ბხურავს. გვერდით დგას

გამოშიგნული როიალი, რომლის სიმებს პიანინოც ცოხს უბრაზუნებს, შემწარავი ხმა რომ გამოაკეშინოს.

ბრეჰტის ბალაღები, ისევე როგორც მოსაწეენი კამათი პროლოგში, გაქრა თავისუფალ თარგმანში. მათ ნაცვლად სპექტაკლში უხვად ეღერს ვია უანელიის მუსიკა. რომელიც მელოდიური მიუზიკ-ჰოლის სულისკვეთებით! არის დაწერილი. დეკორაცია, ძირითადად, დახეული ფარდებისაგან შედგება. თეატრალური რეკვიზიტებიდან ცხენიც კი, რომლის უნაგირიდანაც მეგაფონის საშუალებით წარმოთქვამენ პოლიტიკურ განცხადებებს, ნაწილობრივ დაფარულ მავთულის კარკასს წარმოადგენს.

სისხლსავსე მახობრივ სცენებს ხტურთა ფაქიზი დეტალებით ამკობს. მავალითად, პირველი აქტის სააღდგომო დღესასწაულის სცენაში, როცა გუბერნატორის ახალშობილი ვაჟი ხალხს უნდა წარუდგინონ, ძიძას, რომელსაც ორი მსახური ახლავს, გაუწოდებენ მორეულ ცისფერ ეტლს, რომელიც თითქოს ეს-ეს არის კიბიდან დაგორდა ფილმში „კავშნოსანი პოტიომკინი“ და თანაც ამ დროს მშვენიერ ალილუიას მღერაინ. სცენის შუაგულს რომ მიაღწევინ, უცებ საბალეტო მოძრაობით უკანე ბრუნდებიან და გრაციოზულ პოეზიაში გაიარინდებიან, ბავშვი



(თოჭინა) კი საზოგადოების შეფასების ობიექტად ქცეულა. ამის შემდეგ საქველთხო მოძრაობა ახლდება. მოგვიანებით, როცა გრუსე გარბის პატარა თავადიშვილთან ერთად, იგი სცენის სიღრმეში უჩინარდება „passe bourre“-ს მოძრაობით.

დასის თამაში მრავალფეროვნებითა და მახვილგონიერებით ბრწყინავს. გრუსეს როლს შესანიშნავად ასრულებს წაბლისფეროშიანი მხახიობი. დ. დოლიძე. მის გარშემო დამხმარე პერსონაჟები კი პანტომიმური სახის არიან, მათ შორის ჭარისკაცი სიმონ ჩაჩავაძე (ე. კახაძე), რომელიც თავის რომანტიკულ როლს პაროდირებული სამხედრო რიტუალებით ამშვენებს. ზოგიერთ პერსონაჟს, მაგალითად, ლელუა წითელსამოსიან თავად ყაზბეგს (გ. საღარაძე) ნახევარნიღები უყვითა.

სპექტაკლის ვარსკვლავი, თუმცა იგი მაშინ

გამორჩდება, როცა წარმოადგენის ორი მესამედი უკვე ნათამაშეგია, ეს არის ლოთი აზღაყი და რამაზ ჩხიკვაძე ამ როლს ისე ასრულებს, როგორც ვარსკვლავს შედეურება. (თქვენ მას მოგვიანებით „რიჩარდ მესამეში“ შეხვდებით). ამ მსახიობს ყველაფრის კეთება შეუძლია და ასეც იქცევა. ერთ მომენტში იგი სიმღერასაც კი მღერის, რომელიც ვერდის არიასავით უღერს. მისი აზღაყი განსაკუთრებით გიზიდავთ შინაგანი ძალით, რომელიც გაუთავებელ ლაზღანდარობაშიაც უწინავს. ტყუილად ხომ არ დანიშნეს მონამართლად მას შემდეგ, რაც მშვიდობა აღსდგა კავკასიაში.

შესაძლოა, ცოტა უცნაურად გვეჩვენოს, აზღაყს რომ მოსამართლედ ვხედავთ, მაგრამ რაკილა იმსახურებს შედარებას მხოლოდ და მხოლოდ პანჩთან\*, საბოლოოდ იგი სამართლიან კაცად უნდა მივიჩნიოთ.

## ძარბაველი რიჩარდი ბაიძემრბ აღმონდა

(„დიილი ტელეგრაფი“, 24 აპრილი)

მე თავი პურისტად მიზანია. ვერ ვიტან შექსპირის ტექსტის დამახინჯებასა და პაროდირებას. მაგრამ ფანტასტიკური ვარიანტი „რიჩარდ მესამეში“, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულმა რუსთაველს თეატრის დამა გვიჩვენა „ლაიბოიშის“ სამეფო თეატრში, იმდენად დამაიქტროვებელი, კომარებით სავსე, საუცხოოდ გათამაშებულა წარმოდგენა, რომ, ვერდის „ოტელოს“ მსგავსად, ხელოვნების დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს.

ტიტისორმა რომერს სტურუამ ბარდის\* უბეში ლექსის ქართული (ისევე როგორც სხვა) თარგმანი სამართლიანად მიიჩნია არადამაკმაყოფილებლად და მოლაპარაკე ბალეტად აქცია. იგი გვიხატავს მრისხანე ბარონის სასტიკ გარაკვებას თავის მოწინააღმდეგეებზე, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის ინდუსტრიულ მაგნატთა უაღაზე არიან ჩაცმული და მხოლოდ იმიტომ მარცხდებიან, ბატონობისაკენ სწრაფვის წყურავილი ოდნავ ნაკლები რომ აქვთ, ვიდრე გამარკვებულს.

თანამედროვე თეატრალურმა წარმოსახვამ პლანტაჟენტთა კარი საგიფად აქცია, სადაც ლამაზი, კუდიანი ქალი (დედოფალი მარგარეტ) წიგნის ფურცლებიდან ამოკითხულ წყევლა-კრულვას ასმენინებს ღვიზიან მირონცხბულის მკვლელებს.

მეომარი ბარონები, განწირული უმარწილი პრიციები და რიჩარდ გლოსტერის სხვა ნათესავები თუ მსხვერპლი, დაწყებული ყოვლად

უდანაშაულო ცოლით, დამთავრებული შეთქმული ძმებითა თუ განგსტერი მეგობრებით — ყველანი აქ არიან და მოქმედება ისე ვითარდება, როგორც ჩვენ ვიცით.

იმაზეა სიტუაციები ავბედით პლატფორმებზე, თავსმა წვიმაში, ქოლგების ქვეშ, ამარჩენად მოზრქილად ურიკებზე. მარი ლაიმის თემის მონათესავე, შემარწუნებლად ტყბილი მუსიკის აკომპანეშენტის ფონზე მახსარა, რომელიც შექსპირთან არ არის, თავვეთ მიგრეცხა ადამიანთა ბედ-იღბლად ჭოჭობებიდან მოგზავნილი ცირკის კონფერანსისავით.

და ყველაფერი ეს ანტურაჟია რამაზ ჩხიკვაძის გამაოგნებელი რიჩარდისათვის. მისი ძალა მოგვანიშნებს იმ გაუსაძლის გამოსხივებაზე, რომელიც ახასიათებდა შიტლერსა და ალ კაპონეს.

მოკლედ შეპირილი ჰალარა თმებით, დიდი პირითა და ლითონისქუსლიანი ფეხსაცმელებით — რიჩარდი თავიდან ბოლომდე გამოცანაა, სიარულითა თუ საქციელით. ეს ეშპაქის მახსარა მიპროვს უყვითებს მყურებელს არა სიმორსოტით, არამედ ცბიერებითაც.

უფრო მეტიც, იგი მშვიდია. სახეზე ლაქუცა ზვიგენის ღიმილი დასთამაშებს. როგორც

\* ბარდი — ასე უწოდებდნენ კელტ პოეტებს, რომლებიც ეპიკურ პოემებს კითხულობდნენ მუსიკის თანხლებით. საერთოდ ამ სახელით იხსენიებენ შექსპირს.

\* პანჩი — თოჭინური სპექტაკლის პოპულარული კომიკური პერსონაჟი (მთარგმნ.).

რუსთაველის თეატრი მდინეპარბში



მეგობარი, შეფოთიანი შეინახე, როგორც ბიძა, რა თქმა უნდა, ხანდა, ხოლო სატრფოს პირობაზე, ეს თვალმგადაღმკარკლული გაიძვერა ნამდვილად ღირს იმად, რომ ლოკინში ჩაუგორდენ. რჩინარდ ერთდროულად მშვიდიც არის და ფიცხიც. ნახად მოსაუბრეს შეუძლია ფეხით ააყირავოს სკამი, ტუჩებში გაულაწუნოს აქვითინებულ ქალს ან მასხარასავით სიცილით ბრძანოს — თავი მოკვეთეთო. ფინანსი, — რო-

ცა წარსულიდან გადმოსული მოჩვენებები ივსება სცენა, უნებურად გებრალბა გაიძვერა, რომელმაც ეს ცხოვრება გაბედულად და ეშხი გალია.

ამ წარმოდგენაში გადმოცემულია ელისაბედის დროინდელი ტექსტის დინამიზმი, რომელიც ამ ბოლო წლების მანძილზე ვერ შენიშნეს და გამოიყენეს ინგლისელმა ინტერპრეტატორებმა.

### რიხარდ III

(„ბარდინი“, 24 აპრისტო)

უღინავრებში მიმდინარე წლის ფესტივალზე არაფერი რომ არ უყოფილიყო წარმოდგენილი ხაქართველოს რუსთაველის თეატრის ვარდა, იგი მაინც გაამართლებდა თავის დანიშნულებას. მთი სპექტაკლი „რჩინარდ მეხამე“, მეტი რომ არა ვთქვათ, სენსაციურია.

ეს არის თავისუფალი, გონებამახვილური, ხატოვანი ადაქტაცია. იგი პიესის ძირითად თემებს ასახავს და მაყურებელს წარუდგენს ყველასა და ყველაფერზე ამაღლებულ ცენტრალურ ფიგურას, რომელსაც რამაზ ჩხიკვაძე ასრულებს. გარეგნულად ეს სახე აღიქმება როგორც ნაპოლეონისა და დიდნიზი ანდერსონის შემადრწუნებელი ნარევი.

რეჟისორმა რობერტ სტურუამ სცენა გაანთავისუფლა უამრავი რკინის საგნებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, მუდამ უკავშირდებოდა ამ პიესის დადგმებს. დეკორაცია — ეს არის ვრცელი, შეღახული, თეთრი კარავი, გვირგვინის ფორმის ნახერტებით. ფანფარებისა და დაფდაფების ნაცვლად გაისმის, სადა, გაწყვეტილი მულოდიები, რომლებიც მოგვაგონებს სიმღერებს: „იქნებ იმითომ; რომ ლონდონელი ვარ“ და „ღმერთო, იხვენ დედოფალი“. ეს მულოდიები ფორტპიანოზე სრულდება.

ტექსტიაც ცვლილებებია. ამრიგად, დედოფალი მარგარეტი იქცა ყველაფრის მოწმე, ყორანეთი შავ ტანსაცმელსა და სატანურ შლამაში გამოწყობილ ქოროს მხვავს ფიგურად. თეთროსისასპიანაი რჩინონდიც ხელ ერთთავად სცენაზეა, რჩინარდს კი არჩილივით ასდევნებია წითელფლეტიანი მასხარა, სწორედ ის, ცოცხალი რომ რჩება მისი ხიკვილის შემდგომ.

მაგრამ აქედან არაფერი არ არის გაკეთებული კირვეული აპირების სულისკვეთებით, თუმცა ქართული ენა არ გვემის, მაგრამ მაინც სავსებით ცხადი ხდება, რომ რეჟისორი მიჰყვებოდა პიესის ძირითად ხაზს და თავის იღებებს გასაოცარ სახეებში ასხამდა ხორცს.

მე არ დამავწყლებმა ეღვარდ IV-ის სიკვდილის სცენა. მისი თავი — გომბეშოს გასიებულ

თავს რომ ჰგავდა და კოკინას ეყრდნობოდა ნიკაპით, ანდა სცენა, სადაც რჩინარდი და ბეკინგეში ლონდონის მერის თვალწინ ფეხით დააგორებენ გვირგვინს, და, რა თქმა უნდა, რჩინარდისა და რჩინონდის უკანასკნელი შეგრძობლების სცენა, სადაც მათი თავები ხან აქ და ხან იქ გაიფეხებენ ინგლისის უზარმაზარ პორიზონტალურ რუკაზე. ეს სცენა იმით მთავრდება, რომ უძლეური რჩინარდი გახვეულია იმ კვერის რუკაში, რომელიც თავად დააქუცმაცა.

